აკაკი მახარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმერი - სიმერის წერ...
სოცოცხლე - სოცოცხლის წერ!

აკაკი მახარაძე

სისხლი - სისხლის წილ...
სიცოცხლე - სიცოცხლის წილ!

ისტორიულ-დოკუმენტური
რომანი

თბილისი
2024

აკაკი მახარაძე:
სისხლი - სისხლის წილ... სიცოცხლე - სიცოცხლის წილ!

გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი. 2024. გვ. 208.

„სისხლი სისხლის წილ... სიცოცხლე სიცოცხლის წილ“ აკაკი მახარაძის ისტორიულ-დოკუმენტური რომანია. როგორც ნაწარმოების ჟანრიდან ირკვევა, ავტორი დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით, ლიტერატურული ფორმით გადმოგვცემს სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ქართველთა ავბედით ისტორიას, რომელიც, ძირითადად, საბჭოთა პერიოდს უკავშირდება.

რომანში აშკარად იგრძნობა მწერლის ოსტატობა - არც ოფიციალური წყაროები დაამახინჯოს და სიუჟეტიც ისე ბუნებრივად შეკრას, მკითხველს ბოლომდე წაკითხვის ინტერესი გაუღვივოს!

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ მსგავს ნაწარმოებებს ყოველთვის ლიტერატურულ ღირებულებებზე მეტად საინფორმაციო (შემეცნებითი) დატვირთვა გააჩნია, რასაც ავტორი შესანიშნავად ახერხებს.

ვულოცავთ ბატონ აკაკის ახალი საინტერესო წიგნის დაბადებას და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

ზაურ ნაჭყებია,
პუბლიცისტი, გამომცემელ-რედაქტორი

რედაქტორი: **ოთარ ცინარიძე**

გამომცემელ-
რედაქტორი: **ზაურ ნაჭყებია**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **ალიოშა მახარაძე**

წიგნი გამოდის ბიზნესმენ-მეცენატ
ლევან (ანდრია) მჟავანაძის ფინანსური
უზრუნველყოფით

ISBN - 978-9941-8-6307-3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინათქმა

მოწინააღმდეგე ქვეყნების (მათ შორის, მეზობლების), სპეციალური სამსახურების ბრძოლა საიდუმლო ფრონტზე კონსპირაციის წესებისა და ხერხების სრული დაცვით, უხმაუროდ, სროლა-აფეთქების გარეშე, ოდითგანცე წარმოებდა.

ამას განაპირობებდა (დღესაც განაპირობებს) ბევრი ფაქტორი, მათ შორის, განსხვავებული სახელმწიფო-საზოგადოებრივი წყობისადმი დამოკიდებულება, მოქიშპე, მსოფლიო დომინანტობისკენ მსწრაფ ბლოკებსა თუ ორგანიზაციებში წევრობა, თუ გაწევრიანების, რეგიონული ლიდერის ფუნქციის მოპოვებისა და თავისი დიქტატის გამყარება-გატარების სურვილი და სხვა.

დაუწერელი, მაგრამ აღიარებული, გამოცდილი და ურთიერთ თანმხვედრი წესების თანახმად, საიდუმლო ფრონტზე ბრძოლის შედეგები ცხელ ფაზაში (შეიარაღებულ კონფლიქტში) არ უნდა გადავიდეს. როგორც წესი, ამ დაუწერელ, მაგრამ ყოველმხრივ შესწავლილ-გაანალიზებულ და საყოველთაოდ აღიარებულ წესებს ყველა ცივილიზებული სახელმწიფო და მისი სპეცსამსახურები განუხრელად იცავენ. როცა რომელიმე მხარე ამ დაუწერელ წესებს არღვევს, იარაღისა და ტერორის ენაზე გადადის - ასეთს, ცივილიზებული სამყაროს წევრი ქვეყანა, თუ მათი გაერთიანება, სათანადო პასუხს მოსთხოვს და საპასუხო ქმედებებზეც არ იტყვის უარს!

სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისი მოქალაქეები, მით უმეტეს, სამხედრო მოსამსახურეები, მათი ოჯახის წევრები და უზრუნველყოს მათი მშვიდობიანი და უსაფრთხო ცხოვრება - როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ჩვენი სახელმწიფოს იურისდიქცია მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე, მათ შორის, საზღვრისპირა რეგიონებში, არ ვრცელდება. მაგრამ იმ კონკრეტული პირების დასჯა, ვინც ამას გაბედავს, მით უმეტეს, თუ ისინი სულ ახლახანს ამ ქვეყნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეები იყვნენ, ღალატით, საიდუმლოდ საზღვარგარეთ გაიქცნენ, მეზობელ ქვეყანას შეაფარეს თავი და იქიდან მტრობენ ყოფილ სამშობლო - ქვეყანას, დივერსიულ-სადაზვერვო თუ ბანდიტურ დაჯგუფებაში გაერთიანებულნი უკანონოდ კვეთენ საზღვარს, დივერსიულ-სადაზვერვო და ძირგამომთხრელ-ბანდიტურ საქმიანობას ახორციელებენ, დამეთანხმებით, ალბათ უპირობოდ, რომ მათ წინააღმდეგ მუხლჩაუხრელი ბრძოლაა საჭირო, მით უმეტეს, თუ საქმე ეხება სამხედრო თუ სამოქალაქო ობიექტებზე ღიად შეიარაღებულ, ან ქურდულად, მიპარვით თავდასხმას, სამხედრო თუ სამოქალაქო პირების მასიურ ხოცვა-ჟლეტას!

წინამდებარე რომანი სწორედ ასეთ ვანდალურ, არაადამიანურ-ბანდიტურ თავდასხმას და საბჭოთა სასაზღვრო საგუშაგოზე მძინარე პირადი შემადგენლობის პირწმინდად ამოჟლეტის ფაქტსა და დამნაშავეთა მოძიება-ლიკვიდაციის სპეცოპერაციის პერიპეტიებს ასახავს...

აქვე მინდა გაცნობოთ და გაგაფრთხილოთ,რომ სახელმწიფოთაშორის არსებულ ურთიერთობებს, მათ შორის, საზღვრის კვეთით ჩადენილ დანაშაულთა მიზეზ-შედეგობრივი ასპექტების ძიება-გამოძიებისას, გვერდს ვერ ავუვლით, ისტორიის გარკვეული პერიოდებისა და მონაკვეთების, მეზობელ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა განვითარების (მათ შორის, დაძაბულობისა თუ ცვლილებათა ეტაპების) გახსენებასა და ზოგიერთი მოვლენის გაანალიზებას, რაც გარკვეულწილად წინაპირობად და შლეიფად გასდევს ასეთი ტიპის დანაშაულებათა შესწავლა-გამოძიება-დამუშავებას...

ავტორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარი პირველი

დიდებული მესხეთის

ნანგრევებზე!..

„... ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა...“

შოთა რუსთაველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი I

1947 წლის მარტის დამლევს, შემზარავი, თითქმის დაუჯერებელი ამბავი მთელ ქვეყანას ელვის სისწრაფით მოედო და საზოგადოებაში სამართლიანი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია: სამცხეში, ახალციხის რაიონში, მდინარე ურაველის ხეობაში განლაგებულ სასზღვრო საგუშაგოს სათაო შენობას მეზობელი თურქეთიდან ფარულად გადმოსული დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფი დასხმია თავს. საგუშაგოს პერიმეტრზე განლაგებული გუშაგები მიპარვით, ყელგამოღადრულნი დაუყრიათ, შემდეგ კი შეუმჩნევლად შეღწევიათ საგუშაგოს ყაზარმის საძინებელში და ზოგიერთი მძინარე მესაზღვრისთვის ყელი გამოუჭრიათ, რამდენიმე კი ყურში შაშხანის ზუმბის (შომპოლის) ჩხვლეტით გამოუსალმებიათ სიცოცხლეს. მკვლელ-ბანდიტებს ესეც არ უკმარიათ – არც საგუშაგოს ოფიცრები და მათი ოჯახის წევრები დაუნდიათ. მალულად შეპარულან ყაზარმის ახლოს მდგომ ოფიცერთა საცხოვრებელ სახლში და საგუშაგოს უფროსი, მისი მოადგილეები და საგუშაგოს ზემდეგი ცოლშვილიანად ამოუწყვეტიათ... ისინიც საწოლებში ყელგამოღადრულები უპოვიათ!

საგუშაგოს სრული შემადგენლობიდან მხოლოდ ოთხნი გადარჩენილან: საგუშაგოს უფროსის კაპიტან შერემეტიევის ხუთი წლის ბიჭუნა – დენისი, რომელიც მკვლელების ბინაში შეღწევისას საპირპარეშოში, ღამის ქოთანზე მჯდარა და სამი ჯარისკაცი – სერჟანტი ქავთარაძე, ეფრეიტორი მარტინენკო და რიგითი ვერსტინი, რომლებიც სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და კონტროლის მიზნით საგუშაგოს მიერ დასაცავი საბჭოთა კავშირ – თურქეთის საზღვრის მონაკვეთის მარჯვენა ფლანგზე სასაზღვრო განწესში მზირად იყვნენ დაგზავნილნი.

სწორედ მათ, გამთენიისას, სასაზღვრო საგუშაგოზე დაბრუნებულებმა, ნახეს იქ დატრიალებული ტრაგედია და ვანდალური თავდასხმის საზარელი სურათი: – სასაზღვრო საგუშაგოს პერიმეტრზე განლაგებულ კოშკურებზე ყელგამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღადრული გუშაგები, სამორიგეო სათავსოში – საგუშაგოსა და კავშირგაბმულობის კვანძის მორიგეები და ყაზარმის საძინებელში, პირდაპირ საწოლებში – პირწმინდად ამოწყვეტილი (ყელგამოღადრული და ზუმბით ყურებდაჩხვლეტილი) ჯარისკაცები. ოფიცერთა სახლში კი მძინარედ ჩაკლული ოფიცრები და მათი ცოლ-შვილი... სერჟანტმა ქავთარაძემ, საგუშაგოზე ჩინითა და თანამდებობით დარჩენილმა როგორც ერთადერთმა უფროსმა, მომხდარის შესახებ სასწრაფოდ მოახსენა ახალციხის სასაზღვრო რაზმის ოპერატიული სამსახურის მორიგეს...

მოგვიანებით, სერჟანტი ქავთარაძე იტყვის: საგუშაგოს პერიმეტრზე რკინა-ბეტონის ღობეში ჩატანებულ ჭიშკართან უნახავთ პატარა დენისი, საღამურის ამარა, სიცივისგან გათოშილი, შეშლილი სახით, მდუღარე ცრემლებით, დაღარულ-დახოკილი ლოყებით, შეშლილი თვალებით... საცოდავი ძნელად გასაგონი, სლუკუნ-მოთქმით ლუღლუღებდა – რაღაც დამთრგუნველი, საზარელი ამბის მოყოლას ლამობდა... სერჟანტს სიცივისაგან აცახცახებული, გათოშილი და გულის განგმირავად მოსლუკუნე დენისი ხელში აუტაცია, ეფრეიტორ მარტინენკოსა და რიგითი ვერსტინისთვის კი ბრძანება გაუცია: – დაუზვერიათ საგუშაგოს პერიმეტრი, ყაზარმის შენობა და სხვა სათავსო-ნაგებობები...

სერჟანტს ისე, რომ დენისი ხელიდან არ ჩამოუსვამს, საგუშაგოს სამორიგეო ნაწილისკენ გაუწევია. აგერ, საგუშაგოს მორიგე, უმცროსი სერჟანტი მაქსიმენკო, საწყალს მაგიდასთან მიდგმული სკამიდან ადგომაც ვერ მოუსწრია, თითქოს სძინავსო, მაგიდაზე თავდასვენებული, ყელგამოღადრული სისხლის გუბეში ცურავდა. მეზობელ ოთახში ასეთივე ბედი სწვევია მორიგე – მეკავშირეს, სერჟანტ სანებლიძეს...

შოკისმომგვრელი, შემზარავი სანახაობით გაოგნებული სერჟანტი გონს ვერ მოგებულიყო, რომ ეფრეიტორ მარტინენკოს არაადამიანური ღრიალი და ღვიძლამოყოლილი, ძარღვიანი რუსული გინება ყუმბარასავით გასკდა სამარისებური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიჩუმის ტყვეობაში გარინდულ საგუშაგოს ყაზარმაში. ის, შემზარავი, არაადამიანური გოდებით სერჟანტს თავისთან იხმობდა...

ქავთარაძე გაოგნებული და ნანახით შეძრწუნებული, მარტინენკოს არაადამიანური ღრიალით შეძრული, გაშეშებულ ხელებში ატატებული დენისითურთ, საგუშაგოს ყაზარმის საძინებელ „კუბრიკში“ შევარდა. აი საძინებელი სათავსო. კოხტად განლაგებულ-მიდგმული რკინის საწოლები... თეთრ საცვლებში გამოხვეული ახალგაზრდა ვაჟკაცი ბიჭების სასიკვდილო აგონიით დაკრუნჩხული სხეულები... ქათქათა ბალიშ-ზეწრები და მათზე მიმობნეული ალისფერი „ყაყაჩოების ფურცლები“... მსახვრალ ხელს უმოწყალოდ და ურჯულოდ უგლეჯია მშვენიერი „ყაყაჩოს ყვავილები“... ზოგან თაიგულებად მოუსვრია, ზოგან კი სულ ფურცელ-ფურცელ უგლეჯია და მიუბნ-მოუბნევია ჯარისკაცების სხეულებზე, ზეწრებზე, ბალიშებზე, იატაკზე და საწოლებთან მიდგმულ ტუმბოების გვერდებზეც კი!

ქავთარაძემ დენისი პირველსავე საწოლზე მიაწვინა. სერჟანტ სანებლიძის საწოლია, – გუმანით მოინიშნა. დენისი არ ცხრება, გაჰკივის, სასოწარკვეთილი, მკივან-წკრიალა ხმით დედას უხმობს...

ბიჭებმა თითოეული ჯარისკაცი შეამოწმეს, ბოლომდე არ კარგავდნენ იმედს – ეგების რომელიმე ცოცხალი გადარჩენოდა მტარვალთა უსისხლო და უძარღვო გულსა და მზაკვრულ ხელს, მაგრამ ამაოდ – ყველას, ოცდაერთივე ჯარისკაცს, შაშხანის ზუმბით დახვრეტილ-დატეხილი ჰქონდათ თავ-ყური...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი II

გამაოგნებელი სისასტიკითა და თავხედობით, საარაკო გამბედაობითა და ჯერაც შეუცნობელი თავზეხელაღებულობით, უნაკლო სიზუსტით, დეტალებში გათვლილი და უზადოდ დაგვირგვინებული დივერსიულ-ტერორისტული აქტისგან გამოწვეული შოკი და დიდი ტკივილი სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში – დაღუპულთა კოლეგების, მათი ნათესავ-მოკეთეების თუ ადგილობრივი მოსახლეობის გულებში...

მომხდარის სისასტიკისა და მაშტაბიდან გამომდინარე, ახალციხის სასზღვრო რაზმს საბჭოთა კავშირის შინსახკომის სასაზღვრო ჯარებისა და საქართველოს სასაზღვრო ოლქის მეთაურობა და ოპერატიული სამსახურების მაღალჩინოსნები ეწვივნენ.

სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლები ოპერატიულ თათბირზე იხმეს. საგანგებო თათბირს ესწრებოდნენ მოსკოვიდან და თბილისიდან მოვლენილი მაღალჩინოსნები, ახალციხის სასაზღვრო რაზმის მეთაური, შტაბის უფროსი, ბათუმის სასაზღვრო რაზმის სადაზვერვო სამსახურის წარმომადგენლობა და ახალციხის სასაზღვრო რაზმის სადაზვერვო სამსახურის მთელი ოპერატიული შემადგენლობა, მისი უფროსის, პოლკოვნიკ რომან ინასარიძის ხელმძღვანელობით.

ჯერ პოლკოვნიკ ინასარიძის მოხსენება და პირველადი დასკვნები მოისმინეს, შემდეგ კი რიგრიგობით, თავიანთი მოსაზრებები და რეკომენდაციები გაახმიანეს შინსახკომის სასაზღვრო ჯარების საკავშირო მთავარი სამმართველოს, ოლქისა და სადაზვერვო სამსახურების ხელმძღვანელებმა.

გამოიკვეთა მოქმედების გეგმა, რომლის რეზიუმე იმაში მდგომარეობდა, რომ უნდა დადგენილიყო თურქეთის რესპუბლიკის საზღვრის მიმდებარე რეგიონში (შესაძლოა, ჩვენს ტერიტორიაზე), მოქმედი დივერსიულ-ტერორისტული დაჯგუფება, მისი შემადგენლობა, დისლოკაცია, კუთვნილება, მმართველობა და მოქმედების შემდგომი გეგმები. ხსენებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯგუფება, შესაძლოა სხვა დაჯგუფებებიც, პერიოდულად ახორციელებდნენ საზღვარზე შეიარაღებულ გამოხდომებს, იტაცებენ საზღვრის მიმდებარე იალაღებიდან და ფერმებიდან საკოლმეურნეო და საზღვრისპირა დასახლებული პუნქტების მცხოვრებთა ნახირსა და ცხვრის ფარებს, ასევე, ადგილი ჰქონდა ძარცვის სხვა ფაქტებს. ახლა კი ყოვლად გაუგონარი და შემზარავი ფაქტი – სასაზღვრო საგუშაოზე ფარული თავდასხმა და თითქმის მთელი პირადი შემოდგენლობისა და ოფიცერთა ცოლ-შვილის პირწმინდად ამოწყვეტა დაფიქსირდა.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარების საქართველოს სასაზღვრო ოლქის, ბათუმისა და ახლაციხის სასაზღვრო რაზმების სადაზვერვო სამსახურების ოპერატიული შემადგენლობიდან შეიქმნა საგანგებო ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ჯგუფის ხელმძღვანელი – საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარების საქართველოს სასაზღვრო ოლქის სადაზვერვო სამმართველოს უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი, ტარიელ გიორგაძე.

ჯგუფის წევრები:

– მაიორი ევგენი დოლგორუკოვი, ახალციხის სასზღვრო რაზმის დაზვერვის სამსახურის გამოძიებისა და მოკვლევის უფროსი ოპერრწმუნებული;

– მაიორი, შოთა ლაზიშვილი, ახალციხის სასაზღვრო რაზმის სადაზვერვო სამსახურის უფროსი ოპერრწმუნებული;

– მაიორი, შაქრო ლომიძე, ახალციხის სასაზღვრო რაზმის სადაზვერვო სამსახურის უფროსი ოპერრწმუნებული;

– მაიორი, გოდერძი ჯაყელი, ბათუმის სასაზღვრო რაზმის სადაზვერვო სამსახურის უფროსი ოპერრწმუნებული;

– კაპიტანი, მანოლის კალიკიდი, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ახალციხის რაიონული განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული;

– კაპიტანი სამველ ბალასანიანი, საქართველოს სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო უშიშროების სამინისტროს ახალქალაქის რაიონული განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული.

ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის ყველა წევრი, სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებათა დასრულებამდე, მიავლინეს ქალაქ ახალციხეში, სასაზღვრო რაზმის ბაზაზე მუდმივი დისლოკაციით, პირდაპირი სამსახურებრივი მოვალეობისგან, მივლინების პერიოდში, გათავისუფლებით.

ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის პირველივე თათბირზე, ზემდგომი ორგანოებიდან მოსული მითითებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, დამუშავდა და დამტკიცდა სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებათა დეტალური გეგმა. გეგმის ყველა პუნქტის მიხედვით, განისაზღვრა პასუხისმგებელთა და უშუალო შემსრულებელთა ნუსხა. თავის მხრივ, პასუხისმგებელ პირებს დაევალათ პუნქტების მიხედვით განსახორციელებელ ღონისძიებათა დეტალური ჩამონაშალის გაწერა, ვადები და კონკრეტულ შემსრულებლებამდე დაყვანა.

განხორციელებული დივერსიულ-ტერორისტული აქტი, თავისი სისასტიკით, თავზეხელაღებულობითა და შესრულების სიზუსტით, თავის თავში გულისხმობდა მრავალი ვერსიის წამოყენების შესაძლებლობას.

ბევრი მსჯელობისა და ძირეული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სამი ძირითადი მოტივი:

– იდეოლოგიური;

– სამხედრო-პოლიტიკური;

– შურისძიება.

ერთი სიტყვით, მოტივთა შესაბამისად გამოძიების სამი ვერსია გამიოკვეთა.

ყველაზე რთული მომხდარის იდეოლოგიური შემადგენელის განსაზღვრა და მოცემულ დანაშაულთან შემხებლობის დადგენა იყო. მსოფლიოში შექმნილი ომის შემდგომი რეალობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბანაკების პოლარიზაციის, სოციალისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიური ურთიერთდაპირისპირების, ურთიერთქიშპობისა და გავლენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სფეროების გადანაწილების პროცესში, მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავებისა და განწყობის შექმნის ფონზე, ურთიერთ დისკრედიტაციის, იდეოლოგიური ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების განსაზღვრისას, ძირგამომთხრელ-დივერსიული, ტერორისტული ქმედებების დაშვებადობის თვალსაზრისი. ამ ვერსიის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებული იქნებოდა მოსკოვიდან მიღებულ დირექტივებზე, ასევე მოპოვებულ მასალებსა და ადგილზე შექმნილი სიტუაციაზე.

სამხედრო-პოლიტიკური შემადგენლის განსაზღვრისას, ყურადსაღები იყო ის გარემოება, რომ თურქეთის მმართველი რეაქციული ძალები, პირველი პრეზიდენტის, მუსტაფა ქემალის გარდაცვალების შემდეგ, ღიად მიემხრნენ ფაშისტური გერმანიის აგრესიულ პოლიტიკას, გერმანის წაქეზებით, ხელსაყრელი პირობების დადგომის შემთხვევაში, თურქეთი გეგმავდა ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების დაპყრობას, ბაქოს ნავთობითა და გაზით მდიდარი სარეწეების ხელში ჩაგდებას. ამ გეგმის განხორციელების მიზნით, თურქეთს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრების მიმდებარედ განლაგებული ჰყავდა სათანადოდ გაწვრთნილი და აღჭურვილი მილიონიანი, პოლიტიკურად და მორალურად მოტივირებული, არმია, რის გამოც საბჭოთა კავშირს, ფაშისტურ გერმანიასთან გაგანია ომის დროს, მაშინ, როცა ფაშისტური გერმანიის არმიები მოსკოვის, ლენინგრადისა და სტალინგრადის მისადგომებთან გააფრთებით უტევდნენ საბჭოთა ჯარებს, ქვეყნის ბედი და მომავალი ბეწვზე ეკიდა, იძულებული იყო სამხრეთ კავკასიაში, თურქეთის საზღვრებთან, თვრამეტი, სათანადოდ აღჭურვილი და გაწვრთნილი დივიზია განეთავსებინა. საბოლოოდ, საბჭოთა ჯარების მიერ სტალინგრადთან ფაშისტური გერმანიის არმიების განადგურების შედეგად საომარ მოქმედებებში გარდატეხის შეტანისა და საბოლოოდ, როგორც ფაშისტურ გერმანიაზე, ასევე მილიტარისტულ იაპონიაზე ბრწყინვალე და გამანადგურებელი გამარჯვების შემდეგ, თურქეთმა საზღვრებიდან თავისი ჯარები მოხსნა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარი თქვა სამხედრო-რევანშისტულ ქმედებებზე. მაგრამ ეს გარემოება არ გამოირიცხავდა რეაქციული თურქეთის მხრიდან სამხედრო-დივერსიული და პროვოკაციული ქმედებების თუ გამოხდომების დაშვებას. ეს კი, თავის მხვრივ, არ გამორიცხავდა, რომ დივერსიულ-ტერორისტული დაჯგუფება ჩამოყალიბებული და მომზადებული იქნებოდა თურქეთისა და მისი მოკავშირე ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ, რომელსაც, შესაძლოა, განეხორციელებინა გაუგონარი, თავზეხელაღებითა და სისასტიკით გამორჩეული დივერსიულ-ტერორისტული აქტი, რითაც შეარყევდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების უძლეველობის მითს და სამყაროს აჩვენებდა, რომ მსოფლიო ზესახელმწიფო და მშვიდობის გარანტი, საბჭოთა კავშირი, სხვა არაფერია, თუ არა „თიხისფეხება გოლიათი“... თურმე შესაძლებელი ყოფილა ძლევამოსილი, თანამედროვე ტექნიკითა და შეარაღებით აღჭურვილი, საბრძოლო გამოცდილებისა და სათანადო წვრთნაგამოვლილი არმიის თუ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სასაზღვრო ჯარების საბრძოლო მორიგეობაზე მყოფ სამხედრო ქვედანაყოფზე, მუდმივი დისლოკაციის ადგილზე, შეიარაღებული ბანდიტურ-ტერორისტული ჯგუფის მიერ სახელმწიფო საზღვრის არალეგალური კვეთით, შეიარაღებული თავდასხმა და პირადი შემადგენლობის სრული ლიკვიდაცია. ამ აქტით, მსოფლიოს თვალში გამოჩნდებოდა საბჭოთა არმიის თუ სპეციალური დანიშნულების ჯარების არშემდგარი „სიდიადე და მისი ძლევამოსილების“ მითის სიყალბე.

შურისძიების შემადგენელი ყველაზე დამაჯერებელ არგუმენტად გამოდგებოდა. თავისთავად ბუნებრივად ჩანდა ხალხის წყრომა და ტკივილი, რაც გამოიწვია ისტორიული სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის ბარის რაიონებიდან, მუსლიმური აღმსარებლობის მოსახლეობის შუა აზიის რესპუბლიკებში დეპორტაციამ. დეპორტაციის დროს 10 000 ადამიანზე მეტი მხოლოდ გზაში, დეპორტაციის ადგილამდე მისვლამდე, დაიღუპა. უმძიმესი ტკივილი და წარმოუდგენლად ძნელი აღსაქმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო მამა-პაპათა საცხოვრისიდან მუსლიმური აღმსარებლობის მოსახლეობის, თითქმის 125 000 ადამიანის, ბოლომდე დაუდგენელი და ობიექტურ მტკიცებულებებს მოკლებული მიზეზებით, გადასახლება. სრულიად ლოგიკური ჩანდა ამ აქტის შედეგად ბუდემონგრეულ და ახლობელ-მოკეთეების დაკარგვით გამწარებულ, გონებაარეულ, თავზეხელაღებულ ინდივიდებს თავისი ნებითა და სურვილით შეექმნათ დივერსიულ-სადამსჯელო დაჯგუფება, ჩაეტარებინათ შურისძიების აქტი, რითაც თავის წილ სამაგიეროს გადაუხდიდნენ მათთვის მოძულე მთავრობასა და მის შეიარაღებულ ძალებს, კერძოდ სასაზღვრო ჯარების ქვედანაყოფებს. მათი წარმოდგენით, სწორედ პირველები, სასაზღვრო ქვედანაყოფები, ყველაზე ხელშესახებ ბარიერად იდგნენ მათთვის ორად გაყოფილ, გახლეჩილ, ფიზიკურად, მენტალობითა და რელიგიური აღმსარებლობით ერთიან ხალხს შორის...

საჭირო იყო სამივე ვერსიის საფუძვლიანი გაანალიზება, მათგან პრიორიტეტული ვერსიის გამოყოფა, ყოველმხრივ გაშლა-გაანალიზება და მიზანმიმართული საგამოძიებო-სამძებრო ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.

პირველი ორი ვერსია ძალიან მაღალ დონეზე გლობალურ შესწავლასა და გაანალიზებას მოითხოვდა.

მესამე, შურისძიების ვერსია, რეგიონის ისტორიული სპეციფიკისა და ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უფრო ხელშესახები და რეალისტური იყო. ეს კი თავის მხვრივ გულისხმობდა მის ძირითად სამუშაო ვერსიად გამოყოფას- საფუძვლიან, ყოველმხრივ შესწავლა-განხილვას, დანაშაულის მიზეზ-შედეგობრივ გარემოებათა დადგენას, კონკრეტულ დამნაშავეთა დადგენა-დაძებნას, დანაშაულის გამოძიებას და მოთავეთა სათანადო დასჯას.

ნებისმიერ შემთხვევაში, სამივე ვერსია სიცოცხლისუნარიანად იკვეთებოდა. მოითხოვდა გამოძიებისა და სპეცსამსახურების სხვადასხვა დონეზე შესწავლა-გადაწყვეტას.

რა თქმა უნდა, ძირითადი დატვირთვა ჩვენი რეგიონის საგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ჯგუფებს ეკისრებოდათ. სამოქმედო გეგმებშიც სამივე მოტივის შესწავლა-დადგენის კომპლექსურ ღონისძიებათა მთელი სპექტრი იყო გათვალისწინებული. ეს თავის მხრივ გულისხმობდა თითოეული ვერსიის შესწავლა-გადამოწმება-დადგენა-გაანალიზებას და ყველაზე ხელშესახებ და ჭეშმარიტ ვერსიამდე დაყვანას. შესაბამისად, ძირითადი ძალებისა და შესაძლებლობების კონცენტრაცია და თავმოყრა ამ მიმართულებით წარიმართებოდა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგენილიყო დივერსიულ-ტერორისტული დაჯგუფების პერსონალური შემადგენლობა, სადაურობა, ეროვნული, სოციალური და რელიგიურ-აღმსარებლობითი მდგომარეობა, საბრძოლო გამოცდილება და შესაძლებლობები, მოტივაცია, შესაძლო კავშირები, მათ მოქმედებათა არსებითი კოორდინირება-მართვა თურქეთის სპეცსამსახურების სტრუქტურების მხრიდან.

პრაქტიკის გათვალისწინებით, გამოიყო და დამუშავებისთვის განისაზღვრა ორი მოსაზრება:

– დივერსიულ-ტერორისტული დაჯგუფება თურქეთის მოქალაქეებითაა დაკომპლექტებული, ამ სახელმწიფოს სპეცსამსახურების მიერ შერჩეული, გაწვრთნილი და აღჭურვილი, რითაც ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პირველი და მეორე ვერსია იქნება გამართული და განმტკიცებული;

– დაჯგუფება შედგებოდა ისტორიული სამცხეს მუსლიმური აღმსარებლობის მოსახლეობის წარმომადგენლებისგან, რომლებმაც გააღწიეს თურქეთის ტერიტორიაზე დეპორტაციის დაწყებამდე, ან დეპორტაციის პროცესში (ან დეპორტაციისას) რკინიგზის ეშელონებიდან გაპარვით, ან დეპორტაციის დანიშნულების ადგილას ჩასვლის შემდეგ გაქცევით. ლტოლვილმა დამნაშავეებმა, ირანის ტერიტორიის გავლით, ჩააღწიეს თურქეთის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, დაუკავშირდნენ იქ მოქმედ დანაშაულებრივ-ბანდიტურ ელემენტებს, გაუზიარეს თავსდატეხილი უბედურებანი, გაანდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთი ჭირ-ვარამი – ნათესავ-მოყვარეთა მხრიდან დანაკარგები, გამწარებულებმა გადაწყვიტეს შურისძიება, დივერსიულ-სადამსჯელო დაჯგუფება შექმნეს, სათანადო ოპერაცია დაგეგმეს და აქტიური მოქმედებები დაიწყეს.

საბოლოო ჯამში, ძირითად სამუშაო ვერსიად მიიჩნიეს შურისძიების ვერსია.

ტერორისტული აქტის მოტივებიც გამოიკვეთა.

ჯერი მიდგა დივერსიულ-სადამსჯელო დაჯგუფების პერსონალური შემადგენლობის დადგენა-შესწავლასა და ფიგურანტთა სავარაუდო პერსონიფიცირებაზე.

საჭირო იყო დეპორტირებული კონტინგენტის ძირეული შესწავლა, ცალკეულ პირთა კრიმინალური აქტივობები, ადრე შემჩნეულ დამნაშავეთა და შესაბამისი მიდრეკილების მქონე პირთა დადგენა, მათი შესაძლო კუთვნილება დანაშაულის ჩამდენ დაჯგუფებასთან, შემხებლობის ან კუთვნილების შესწავლა და განხილვა-გაანალიზება.

ჯეროვნად შეფასდა 1944 წლის 15 ნოემბერს ისტორიული სამცხე- ჯავახეთისა და აჭარის მხარეებიდან მუსლიმანური აღმსარებლობის მოსახლეობის გასახლების მიზეზ-შედეგობრივი ასპექტებიც.

გასაგები იყო, რომ უზარმაზარ კონტინგენტთან გვქონდა საქმე. სავარაუდო დამნაშავეთა წრის დადგენა თითქმის შეუძლებელი, ხოლო კონკრეტულ დამნაშავეთა დაძებნა ძალიან რთული იქნებოდა...

* * *

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებათა ორი მიმართულება განისაზღვრა:

– დეპორტირებულ კონტინგენტზე არსებული ოპერატიულ-სამძებრო და საგანგებო საარქივო მასალების ძირეული შესწავლა – გაანალიზება. სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის რეგიონიდან თურქი-მესხების, ქურთებისა და ჰემშილების სპეცგადასახლების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გაქცეულ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ან საეჭვო ვითარებაში დაკარგულ პირთა გამოვლენა-დადგენა-შესწავლა და დივერსიულ-ტერორისტულ აქტთან მათი შესაძლო თანამონაწილეობის დადგენა;

– თურქეთის ტერიტორიაზე საზღვრისპირა რაიონებიდან სხვადასხვა დროს გარკვეული დანაშაულის ჩადენის გამო გაქცეულ დამნაშავეთა შესახებ არსებული საარქივო მასალების მოძიება-შესწავლა, შესაძლო თანამონაწილეთა წრის განსაზღვრა და მათი ვინაობის დადგენა. თურქეთის საზღვრისპირა რეგიონებში ამჟამად მოქმედი ყაჩაღურ-ბანდიტური და კრიმინალური ჯგუფებისა, თუ ცალკეული ელემენტების გამოვლენა-შესწავლა და მათი შესაძლო შემხებლობა, ან მონაწილეობა აღნიშნულ დივერსიულ-ტერორისტულ აქტთან.

შეირჩა და დაკომპლექტდა სამი ოპერატიულ-სამძებრო-საგამოძიებო ჯგუფი:

1. შუა აზიის რესპუბლიკებში, კერძოდ: უზბეკეთში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში არსებულ სპეცდასახლებებში განსახლებული სპეცკონტინგენტის შემსწავლელი ჯგუფი (მაიორი შოთა ლაზიშვილი, მაიორი შაქრო ლომიძე).

2. თურქეთის რესპუბლიკის საზღვრისპირა რეგიონებში მოქმედი ყაჩაღურ-ბანდიტური და კრიმინალური ჯგუფებისა და ცალკეული ელემენტების დამდგენ-შემსწავლელი ჯგუფი (მაიორი გოდერძი ჯაყელი, კაპიტანი მანოლის კალიკიდი).

3. საარქივო ქვედანაყოფებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომუშავე ჯგუფი (მაიორი ევგენი დოლგორუკოვი, კაპიტანი სამველ ბალასანიანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III

„დაე, ყველამა იცოდეს, რამ ჩამაგდო ამ შავ დღეში!..“

ხალხური

უპირველეს ყოვლისა, ისტორიული და ფაქტობრივი მასალების სიღრმისეული შესწავლა-შეჯერების შედეგად უნდა ვუპასუხოთ მთავარ კითხვას: – როგორ მოხდა, რომ დიდებული მესხეთის, გმირ მესხთა, უბადლო მგოსნისა და უპირველესის – შოთა რუსთაველის, მსოფლიო დონის კანონმდებელთა და კანონშემოქმედთა – ბექა და აღბუღა ჯაყელთა და სხვათა დიდებულ ქართველთა სამკვიდრო და სამჭედლო, ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი ხალხის შთამომავლები რამ გადააშენა, ამ სავალალო დონემდე რამ დაიყვანა, ასე რამ დაასაწყლა, დააჩიავა, დააბეჩავა და მორალურ-ზნეობრივ-პატრიოტული თვალსაზრისით დააჩაჩანაკა, რომ მშობლიურ მიწა-წყალზე და გმირ წინაპართა სამკვიდროზე აჰყრიათ გული და ნებაყოფილებით განსახლებულან აზია-ანატოლიის თვალუწვდენელ სივრცეებზე, ხოლო, დიდებულ მესხეთში ვინც კი დარჩენილა, სრულებით არ ქართველობენ. პირიქით სრულად გათათრებულან და გადაგვარებულან, თანაც ისე, რომ მზად არიან სამშობლოს ღალატსა და თურქეთის სამსახურში ჩადგომაზე, თუ ეს უკანასკნელი ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრებოდა სამხრეთ კავკასიის დაპყრობის მიზნით?!

აქ, საქმე ასე მარტივად არ უნდა ყოფილიყო. ამიტომ, ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფმა გადაწყვიტა ოდესღაც დიდებული მესხეთის ისტორიის ძირეული შესწავლა და გაანალიზება.

მაშ, ასე:

... 1489 წელს დაირღვა უკანასკნელი „ქართული ერთობა“!..

აღარ არსებობს ერთიანი საქართველო – „ნიკოფსიით დარუბანდამდის“!..

ერთიანი საქართველოს ნანგრევებზე წარმოიქმნენ „საქართველოები“:

ქართლის სამეფო;

კახეთის სამეფო;

იმერეთის სამეფო;

მესხეთის (სამცხე-საათაბაგო) სამთავრო!.. იმერთა სამეფოდან ცალკე იქაჩება: საბედიანო-სამეგრელო, აფხაზეთი, გურია, სვანეთი...

... 1500 წელს მესხეთის ათაბაგობა და სამცხის სპასალარობა მიიღო ყვარყვარე-II ათაბაგის (ამ უკანასკნელმა მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე და დაუშრეტელი ენერგია ქართული სახელმწიფოებრივი მთლიანობის დარღვევისთვის ბრძოლას შეალია) მეორე ვაჟიშვილმა – მზეჭაბუკმა. მან თავიდან ქართლის მეფესთან „სიყვარულითა და პატივისცემით“ აღსავსე ურთიერთობა გააჩაღა.

სამცხე-საათაბაგოს ორივე საჭეთმპყრობელი – საეროც და სასულიეროც – ქართლის პოლიტიკურსა და „იდეოლოგიურ“ უზენაესობას აღიარებდნენ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ დროისთვის ანტიოქიის პატრიარქის, მიხეილის წყალობით დასავლეთ საქართველო – აფხაზეთის საკათალიკოსო გამოეყო საქართველოს ერთიან სამოციქულო ეკლესიას. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის კათალიკოსი აღარ აღიარებდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს და მცხეთის უზენაესობას.

„...მესხეთს მოვიდა ანტიოქიის პატრიარქი დოროთეოსი, მღვდელმთავარი „ყოვლისა აღმოსავლეთისა“.

...და „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ საჭეთმპყრობელმა მზეჭაბუკ ჯაყელი გამოაცხადა „ყოველთა აღმოსავლეთისა ხელმწიფედ“, მანვე გამოაცხადა „განმთავრება“ და დამოუკიდებლობა მესხეთის ეკლესიისა.

ამიერიდან მესხეთის დამოუკიდებელი საქრისტიანოს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭეთმპყრობელია მაწყვერელი – აწყურის ეპისკოპოსი. ამიერიდან მესხეთის საეპისკოპოსოთა მწყემსმთავრები ხელდასხმასა და კურთხევას ღებულობენ არა მცხეთას, არამედ, აწყურს და ემორჩილებიან არა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, არამედ – მაწყვერელს. ესეც გახდა სრულიად ქართველთა იდეოლოგიური გახლეჩვისა და გაუცხოების აქტი!..

მესხეთმა დედა-საქართველოსთან უკანასკნელი მაერთებელი ძაფიც გაწყვიტა...

1500-1510 წლებში ქართველთა სამივე საქართველოს (იმერეთის გარდა) უშუალო მონაწილეობით და დახმარებით, ირანის ახალმა მოდგმა-ურდომ – „ყიზილბაშებმა“ სასტიკად დაამარცხეს ირანში ადრე გაბატონებული ურდოს – „აღ-ყოინლუს“ (თეთრბატკნიანები) მპყრობელობა.

ყიზილბაშები წარმომავლობით თურქები იყვნენ, შუა აზიიდან და მცირე აზიიდან შვიდ განტოტებად (შამლუ, რუმლუ, თექელუ, ურთაჯლუ, ავშარი, ყაჯარი და ზულყადირი) წამოსული. მათი აღმსარებლობა შიიტური ისლამი იყო.

სწორედ შიიტობის გამოისობით ყიზილბაშები დანა-სისხლად ემტერებოდნენ მეორე დიდ თურქულ მოდგმას – ოსმალო სუნიტთა მაჰმადიანობას.

ათი წლის განმავლობაში ყიზილბაშებმა, ახალგაზრდა ბელადის – ისმაილის მეოხებით მოახერხეს ირანის სამფლობელოთა გაერთიანება და ახალი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც გადაჭიმული იყო მდინარე ამუდარიიდან ევფრატამდე.

ყიზილბაშთა სამფლობელოს მეორე სახელწოდებაც დაერქვა – სეფევიდების, ანუ სეფიანების სახელმწიფო, რადგან, მისი დამაარსებელი – შაჰ ისმაილი არდებილელი შეიხისა და დერვიშის – სეფიედ-დინის (1252-1335 წწ) შთამომავალი იყო.

ქართველთა სამხრეთ-აღმოსავლეთ კარიბჭეებთან მძლავრი სახელმწიფო აღმოცენდა. ისე გამოდიოდა – ქართველობამ თავად გამოჭედა თავისი დამამხობელი მახვილი!

მაშ ასე, სამხრეთ-აღმოსავლეთით – სეფევიდურ-ყიზილბაშური ირანი, დასავლეთით კი – ოსმალური თურქეთი. მაშინვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ურჩხული ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ.

საქართველო კი... აღმოჩნდა ეროსა და გრდემლს შორის!

ისევ გრძელდებოდა ქიშპობა ქართველ მეფე-მთავართა შორის, რაც, თავის მხრივ, ძალებს აცლიდა ისედაც დაშლილ-დანაწევრებულ „საქართველოებს“ და გარეშე მტრის იოლ ნადავლად აქცევდა.

1514 წელს ატყდა ნახევარსაუკუნოვანი ომი ყიზილბაშურ ირანსა და ოსმალურ თურქეთს შორის.

სამცხის ათაბაგმა – მზეჭაბუკმა ოსმალური თურქეთის მხარე დაიჭირა. ბრძოლაში ჩართულ სელიმ I იავუზ სულთანს სურსათ-სანოვაგე მიართვა, რითაც ირანის შაჰ ისმაილის რისხვა დაიმსახურა.

მართალია, გადამწყვეტი ბრძოლა თავრიზის (მაშინდელი ირანის დედაქალაქი) მისადგომებთან ოსმალების გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ სულთან სელიმმა, იმის შიშით, რომ სამხრეთ-დასავლეთიდან მის მეტოქეს – ეგვიპტის სულთანს რომ არ შემოეტია, 100 000 არმიით უკან, ოსმალეთში გაბრუნდა.

მოლაპარაკების შედეგად თურქეთის ხელში გადავიდა სომხეთის დასავლეთი ნაწილი, არზრუმი და ჩრდილოეთ მესოპოტამია ქალაქ მოსულთან ერთად.

ამ ხნის განმავლობაში თვით სამცხე-საათაბაგოშიც რიგი ცვლილებები მოხდა: სამცხის ეკლესია ისევ მცხეთის საკათალიკოსო-საპატრიარქოს დაუბრუნდა; მზეჭაბუკი ბერად აღიკვეცა და მალევე გარდაიცვალა; მომდევნო ძმამ – მანუჩარმა ძმიშვილი – ყვარყვარე III ქაიხოსროს-ძე ჩამოაგდო და ათაბაგის ტახტი წაართვა. ყვარყვარე ირანს გაიქცა, იქიდან კი ყიზილბაშთა ჯარით დაბრუნდა და ტახტი ისევ აღიდგინა. ამჯერად, მანუჩარი გაიქცა ოსმალეთს.

1518 წელს ისმაილ შაჰის მორჩილება და მოხარკეობა იკისრეს ლევან კახთა მეფემ და ყვარყვარე III – სამცხის ათაბაგმა.

ქართლსა და კახეთს შორის გრძელდებოდა ძმათამკვლელი ბრძოლები...

1520 წელს თურქეთის ახალმა მბრძანებელმა, სულეიმან

ეროვნული ბიბლიოთეკა

I სჯულმდებელმა (1520-1566 წ.წ.) ჯარები გამოგზავნა საქართველოში, რომლებმაც სამცხე ააოხრეს და ქართლის საზღვრებშიც შეიჭრნენ. საბედნიეროდ, ზემო ქართლში, ბორჯომის ხეობაში, გააფრთებულ ბრძოლაში ქართველებმა სძლიეს ოსმალებს, დიდძალი ზარალი მიაყენეს და უკუაქციეს.

ქართლი და კახეთი ცალ-ცალკე იბრძოდნენ ყიზილბაშთა მოხარკეობისგან თავდასახსნელად.

1522 წელს ისევ აზვავდა შაჰ ისმაილი. ყიზილბაშებმა ჯერ კახეთის მეფე ლევანი მოხარკედ და ქვეშევრდომად აქციეს, შემდეგ კი ქართლს მოადგნენ. დავით ქართლის მეფეს დაზავების სანაცვლოდ მაჰმადის რჯულზე შედგომა შეთავაზეს.

დავით X მოახერხა ლევან კახთა მეფისა და სამცხის ათაბაგის ყვარყვარე III-ის მიმხრობა, ჩრდილო კავკასიიდან დაიქირავა მეომრები. ქართველებმა მედგრად დაუდგნენ მტერს, მაგრამ „ციხე შიგნიდან გატყდა“ – ტფილისის ციხისთავმა დიდძალი ოქროს სანაცვლოდ მეტეხის კარიბჯენი გააღო. მტერმა მოსრა ქალაქი, დაანგრია და დალეწა სასახლეები და ეკლესია-მონასტრები. ისმაილმა ტფილისის ციხეში ყიზილბაშური ციხიონი ჩააყენა, ჯარის ნაწილი სამცხე-საათაბაგოში გაგზავნა და გააფრთებულმა ველურებმა აიკლეს ქვეყანა. შაჰი დიდძალი ნაძარცვითა და ტყვეებით დაბრუნდა ირანში.

1524 წელს, ისმაილ შაჰი გარდაიცვალა. ამით ისარგებლა დავით ქართლის მეფემ, სრულიად განდევნა ყიზილბაშნი და აღადგინა ქართლის საზღვრები.

1526 წელს, თურქეთის დიდმა სულთანმა, სულეიმან I სჯულმდებელმა იმერეთის მეფეს – ბაგრატს, ქართლის – გიორგი IX, კახეთის – ლევანს და სამცხე-საათაბაგოს ათაბაგს – ყვარყვარე III შესთავაზა ირანელებთაგან წმინდა ქალაქის – იერუსალიმის დახსნა, რაც გაერთიანებულმა ქართულმა ჯარმა ბრწყინვალედ აღასრულა და მსოფლიო ქრისტიანობის საძირკველი ქართველთა ხელთიქნა. სულთან სულეიმანმა ქართველ მეფეებს დიდძალი ძღვენი გამოუგზავნა და სიგელით დაუმტკიცა ქალაქი იერუსალიმი, ყველა სიწმინდითურთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IV

1533 წელს ოსმალეთის ხონთქარმა, სულეიმან სჯულმდებელმა, უნგრეთის დამორჩილების შემდეგ, ომი განაახლა ირანის წინააღმდეგ. მან ერთი წლის განმავლობაში აიღო ყიზილბაშთა სატახტო ქალაქი თავრიზი და ერაყი ბაღდადითურთ.

კვლავ საქართველო გახდა ორ მოქიშპეთა საბრძოლო ასპარეზად. ოსმალეთმა თვალი დაადგა დასავლეთ საქართველოს, ირანმა – ქართლ-კახეთს.

ოსმალები დასავლეთ საქართველოს დასაპყრობად და დასაქცევად სამი გზით მოდიოდნენ: პირველი: – ტრაპიზონი-ჭოროხის; მეორე: – სამცხე-ზეკარის; მესამე: – ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან (ყირიმი – ყუბანისპირეთი – აფხაზეთი).

პირველი გზით თურქეთმა იმერეთის სამეფოს ჯერ ჭანეთი წაართვა და გურიას მოადგა. აჭარაში ოსმალებმა გონიოს ციხე დაიჭირეს. მდინარე ჭოროხის მარჯვნივ ბათომის დაპყრობაც სცადეს, მაგრამ ამაოდ. სამაგიეროდ გონიოს ციხე დაიმკვიდრეს და დასავლეთ საქართველოში მუდმივი შემოსევის საყრდენად გაიხადეს.

მეორე გზით თურქებმა დაიპყრეს სამცხე-საათაბაგო და მტკიცედ დაიჩემეს იმერეთისკენ მიმავალი ზეკარ-ფერსათის გზა.

მესამე გზა, ეს საფრთხე, ქართველთა ქვეყნისთვის მას შემდეგ გაჩნდა, რაც თურქებმა ყირიმი დაიპყრეს, ჯიქეთ-ჩერქეზეთში მუსლიმანური სარწმუნოება გაავრცელეს და შავი ზღვა საბოლოდ „თურქეთის ტბად“ აქციეს.

გამუსლიმანებული ჯიქები და ჩერქეზები ზღვითა და ხმელეთით ესხმოდნენ აფხაზეთს, სამეგრელოსა და გურიას. ქონებას იტაცებდნენ, ბავშვებს ატყვევებდნენ და თურქეთის ბაზრებზე ყიდნენ.

ქართულ მიწაზე ფესვებს იდგამდა უბოროტესი სენი – ტყვეთა ყიდვა!..

1543 წელს, სულთან სულეიმანმა არზრუმის ბეგლარბეგს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსტაფა ფაშას უბრძანა დაუყოვნებლივ დაძრულიყო იმერეთის მეფის დასასჯელად და სამცხე-საათაბაგოში (რომელიც იმერეთის სამეფოში შედიოდა ბოლო ათი წლის განმავლობაში) „სამართლიანობის აღსადგენად“.

იმერეთის მეფემ, ირანის შაჰის – თამაზის მომხრობა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ამრიგად, იმერეთის მეფე ბაგრატი მარტოდ დარჩა თურქთა 22 000 იანიჩართა ჯარის პირისპირ. საბედნიეროდ, ბაგრატ მეფის მოხერხებულობისა და საზრიანობის წყალობით ოლთისთან და ქარადაღთან ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს ოსმალები, თვით ოსმალო ფაშაც მოკლეს!

ამასობაში, ათაბაგობის მაძიებელი ქაიხოსრო და თავადი ოთარ შალიკაშვილი სტამბოლისკენ მიაქროლებდნენ ცხენებს!..

სამცხე-საათაბაგოში დატრიალებულმა კატასტროფამ განარისხა სულთან სულეიმანის გული და გონება.

1545 წელს, სულთან სულეიმანმა არზრუმისა და დიარბექირის ფაშებს დიდძალი მხედრობა ჩააბარა და ბაგრატ იმერთა მეფის გასანადგურებლად გამოგზავნა.

... ბასიანში, სოხოისტას ველზე შეკრებილან იმერთ მეფე ბაგრატი, ქართლის მეფე ლუარსაბი, როსტომ გურიელი (ლევან დადიანმა საომარ მოქმედებებში ჩართვაზე უარი შემოუთვალა), მესხებიც შეუერთდნენ სამცხეში მოსულ ქართულ ჯარებს.

ეს იყო უკანასკნელი „დიდი ერთობა“ იმერ-ამერ საქართველოს საომარი ძალებისა, რომელშიც არ მონაწილეობდა აღმოსავლეთ საქართველოდან კახეთი, ხოლო დასავლეთიდან – ოდიში.

გადამწყვეტ ბრძოლაში მესხებმა „შურითა ბოროტითა აღსავსეთა“ (რადგან, მეწინავედ არა მესხები, არამედ ქართლელები იბრძოდნენ) მტერს ზურგი აქციეს და ბრძოლის ველიდან გაქუსლეს.

თურქ-თარაქამელი ურდოები და ქართველები შეაკვდნენ ერთმანეთს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ შალიკაშვილის რჩევით, სამცხე-საათაბაგოს დასამორჩილებლად და დასამკვიდრებლად, თურქებმა დაიწყეს მეციხოვნე ჯარების ჩაყენება სამცხე-საათაბაგოს ციხეებში!..

ასე დაიწყო სამხრეთ საქართველოს უდიდესი ტრაგედია: მისი „ნამდვილი დაპყრობა“!..

როგორც იქნა, ეღირსა თურქთაგან ხელდასხმულ ათაბაგობას ქაიხოსრო II (1545-1573 წ.წ.).

ბოლოს ქაიხოსრო და ოთარ შალიკაშვილი მაინც გამოერკვნენ, რომ თურქთა შემოსახლებით, ღვიძლ ქვეყანას უმძიმესი უცხოური უღელი დაადგეს კისრად. მაშინ გადაწყვიტეს თურქული უღლის გადაგდება არა ქართველ ხელმწიფეებთან შეკავშირებით, არამედ, ყიზილბაშ-ირანელთა მოწვევით. დასანანია, რომ მათთვის თურქეთის ხონთქარი და ირანის შაჰი უფრო „ახლობლები“ იყვნენ, ვიდრე ქართველი მეფეები.

1547 წელს, გახარებული შაჰ თამაზი, უზარმაზარი ყიზილბაშური მხედრობით ახალქალაქში დაბანაკდა. მას სამცხის დასავლეთი ნაწილიდან თურქ-ოსმალები უნდა გაერეკა.

ოსმალეთის ხონთქარი სულეიმანი გამოემართა უზარმაზარი არმიით, ფადიშაჰს გადაეწყვიტა: ყიზილბაშები გაენადგურებინა, გადამდგარი მესხეთის მესვეურები ღალატისთვის დაესაჯა და სამცხე-საათაბაგო ერთხელ და სამუდამოდ ძირფესვიანად მოეთხარა.

საბოლოო ჯამში, მესხ მესვეურთა გაქნილმა დიპლომატიამ გაჭრა: სულთან სულეიმანს მორჩილება კვლავ დაუდასტურეს და ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას თხოვეს. შაჰ თამაზმა ქართლის მეფის ქვეშევრდომი ჯავახეთი და ქვემო ქართლი მოთხარა და დიდძალი ნადავლითა და ტყვე ქართველებით საქართველოდან გააღწია. ეს იყო შაჰ თამაზის მეორე შემოსევა.

1549 წელს, სამცხის მესვეურები ირანს კვლავ მიემხრნენ, რის გამო, სულთან სულეიმანმა მისი სიძის, მეორე ვეზირის, აჰმედ ფაშის სარდლობით დიდძალი მხედრობა შემოუსია ქართულ მიწა-წყალს. თორთუმის ციხესთან მესხების დამარცხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შემდეგ თურქებმა სამცხე-საათაბაგოში ოცდაერთი ციხე აიღეს, აქედან, თხუთმეტში ოსმალური ციხიონები შეიყვანეს, დანარჩენები დაანგრიეს და ძირფესვიანად მოთხარეს.

მესხთა სოფლები და ქალაქები მოარბიეს, უზარმაზარი ალაფი მოიპოვეს. ყველაზე დიდი უბედურება კი ის იყო, რომ „ურიცხვი შავარდნისთვალებიანი ჭაბუკები და კაკბებივით მოგოგმანე ქალწულები“ თურქთა მხარეში ტყვედ წაიყვანეს.

ოსმალები სამცხის აოხრების შემდეგ გურიის დასალაშქრად გამოემართნენ. აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმერეთის მეფის ბაგრატის მიერ გურიას ნაბოძები ჰქონდა აჭარა და ჭანეთი.

თურქებმა აიღეს ჭანეთი, გონიოსა და ბათუმის ციხეები. ბოლოს, როსტომ გურიელმა შესძლო ბათუმის დაბრუნება, თურქებმა კი გონიოს ციხეში გამაგრდნენ.

საქართველომ სამუდამოდ დაკარგა ჭანეთი! ამ ბრძოლას ოდიშის მთავარი ლევან დადიანი და იმერეთის მეფე ბაგრატი განზე განუდგნენ.

1551 წელს, არზრუმის სერასქირმა ისკანდერმა, სამცხე-საათაბაგოს საბოლოო დამორჩილება და შირვანის დაპყრობაც განიზრახა.

გონიერმა ქართლის მეფე ლუარსაბმა დაასწრო ოსმალებს, ჯარი შეკრიბა და სამცხესკენ წამოვიდა. ლუარსაბმა დაიპყრო ჯავახეთი, სამცხე, კოლა, არტაანი და იხსნა ისინი ოსმალთა მომავალი შემოსევისგან.

მაინც არ ცხრებოდნენ ქაიხოსრო II ათაბაგი და მისი მთავარი ვეზირი, ოთარ შალიკაშვილი. მათ ქართველ მეფეებს, ოსმალოთა და ირანელთა უღელი ერჩივნათ. ისევ მიმართეს საშველად თამაზ შაჰს – მოგვეხმარე და გვიხსენ ქართველთაგანო, მორცხვად ოსმალთა შესაძლო თავდასხმას ატყობინებდნენ. (მინდა ისიც შეგახსენოთ, რომ შაჰ თამაზმა 1547 წელს ცოლად შეირთო ოთარ შალიკაშვილის ასული, საქართველოს ყველაზე დიდი დამაქცევარის, შაჰ აბას I ბებია).

1551 წელს მესამედ წამოემართა შაჰ თამაზი ყიზილბაშთა

ურდოებით საქართველოს საბოლოოდ დასაქცევად – კვლავ ქართველი ფეოდალებისგან აღძრული და წაქეზებული.

მესამე შემოსევისას ყველაზე შემზარავი სისხლისღვრა დიდებულ ვარძიას დაატყდა. თურქმან-ყიზილბაშებმა არ დაინდეს არც ქალი, არც მცირეწლოვანი, არც მხცოვანი. თვითონ შაჰ თამაზი მოვიდა ვარძიას, გაიხარა ქართველთა ამოწყვეტით, რომელსაც გვერდს უმშვენებდა „ბედნიერი ქართველი“ – ქაიხოსრო ათაბაგი., მან ყიზილბაშთა ხელით ქართლის მეფის „ბატონობაც“ დაამხო და ურჩი მესხი ფეოდალებიც დაბორკილი იხილა...

უზარმაზარი ნადავლითა და უამრავი ტყვე ქართველით ხელდამშვენებული შაჰ თამაზი ირანს დაბრუნდა. მესხეთი, ლორე, ბამბაკი და აღჭაყალა შაჰმა „თავის ერთგულ ქაიხოსროს“ უბოძა.

1554 წელს, ყარაბაღიდან კვლავ წამოემართა შაჰ თამაზი ქართლის მოსათხრელად, მანამდე მისი ძე – ისმაილ მირზა მესხეთს გააგზავნა, რომელმაც კარის (ყარსის) ციხე აიღო და იქიდან განდევნა თურქი მეციხოვნენი.

ეს შაჰ თამაზის „მეოთხე ქართული ლაშქრობა“ იყო. შედეგად ქართლი თითქმის სრულად მოარბია და გადაწვა, ატენის ციხეში ტყვედ აიყვანა ლუარსაბ მეფის დედა და და, სულ 30 000 ტყვე ქართველით „ხელდამშვენებული“ ირანისკენ მიმავალ გზას დაადგა. მაგრამ შაჰი მძიმე საფიქრებელს შეეპყრო: საქართველოში ლაშქრობით უფრო მეტი დაკარგა, ვიდრე მოიგო, ვერც ლუარსაბი ქართლის მეფე დაიმორჩილა!..

1555 წლის 29 მაისს, ქალაქ ამასიაში, შაჰ თამაზი და სულეიმან სულთანი ერთმანეთს ზავით შეეკრენ. მთავარი „საქართველოს საკითხი“ იყო. ქართველები არც დაისწრეს და არც შეეკითხნენ.

უბრალოდ და მარტივად გადაწყვიტეს: აღმოსავლეთ საქართველო (ქართლი, კახეთი და სამცხე-ჯავახეთის აღმოსავლეთი ნაწილი) – ირანის შაჰს, დასავლეთ საქართველო (იმერეთი, გურია-სამეგრელო, აფხაზეთი და სამცხე-საათაბაგოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთი ნაწილი (აჭარა, შავშეთი, ტაო-კლარჯეთი) – თურქეთის სულთანს. სომხეთიც, საქართველოს მსგავსად, შუაზე გაიყვეს: აღმოსავლეთი – სეფიანებს, დასავლეთი – ოსმალებს. სასაზღვრო ხაზზე, რომელიც კარის (ყარსის) ოლქზე გადიოდა, მოსახლეობა სულ აჰყარეს. თვითონ ქალაქი ძირფესვიანად მოთხარეს. შირვანიც მთლიანად ირანმა დაისაკუთრა.

თურქები, უკვე მფლობელნი ქართულ ქვეყანათა: ჭანეთისა, აჭარისა, შავშეთისა და ტაო-კლარჯეთისა, გამუდმებით თავს ესხმოდნენ ქაიხოსროს „წილ“ აღმოსავლეთ სამცხეს. ესხმოდნენ, არბევდნენ, ანგრევდნენ, აწიოკებდნენ.

1570 წელს თავზარდაცემული ქაიხოსრო ათაბაგი ყაზვინში ჩავიდა და შაჰ თამაზს შემწეობას თხოვა, მაგრამ სამი წელი ყაზვინში შემორჩა, შაჰის მოწყალების მოლოდიში. 1573 წელს გარდაიცვალა გაწბილებული და დამცირებული.

1571 წელს დაიბადა აბას-მირზა, შემდგომში შაჰ-აბას I, საქართველოს ყველაზე დიდი სისხლის მწოველი.

სამცხის ათაბაგი გახდა ყვარყვარე IV (1573-1581 წ.წ.). მას განუდგნენ მთელი რიგი თავადები. დაიწყო ძმათამკვლელი შეტაკებები. შიდაომებით იღუპებოდა მესხთა ქვეყანა. ბოლოს ჯაყელთა სახლმა გაიმარჯვა!..

1574 წელს თურქეთის სულთანი გახდა მურად III. ირანი ოსმალეთთან შედარებით ისევ სუსტად გრძნობდა თავს. შაჰ თამაზმა ახალ სულთანთან ელჩობა გაგზავნა მომავალი მშვიდობიანი ურთიერთობის შეთავაზებით, მაგრამ სტამბოლის კარმა ელჩობა უკან გაწბილებული გამოისტუმრა.

ისევ ჩამოწვა სისხლის მძიმე სუნი სუნიტურ და შიიტურ მოდგმათა შორის. ეტყობოდა, ამასიის ზავს დიდი ხნის არსებობა აღარ ეწერა!

1576 წელს, გარდაიცვალა შაჰ თამაზი. ორ დასად გაიყო ირანის ტახტის მაძიებლები: ისმაილ-მირზა (თურქმანული სისხლი) და ჰაიდარ-მირზა (ქართული სისხლი). ისინი ერთმანეთს დაეძგერნენ. ტახტზე ავიდა შაჰ-ისმაილ II, რომელმაც ალამუთის ციხიდან გამოიყვანა სვიმონ I, ქართლის მეფე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ მუხრან-ბატონი. ისინი ცხრა წელი ტყვეობაში იტანჯებოდნენ.

1577 წელს, მოულოდნელად გარდაიცვალა შაჰ-ისმაილი. ის მოწამლეს. ტახტზე ავიდა მუჰამედ ხუდაბენდე (ოთარ შალიკაშვილის ასულის უმცროსი შვილი). შაჰ-აბასის მამა. ის უნიჭო და სრულიად ბეცი იყო.

ეს გარემოება ხელსაყრელად მიიჩნიეს ოსმალებმა და 1578 წელს დაიწყო ირან – თურქეთის მეორე ომი.

თურქეთის სულთანმა მურად III ირანის წინააღმდეგ ომის სარდლად დანიშნა ლალა ყარა მუსტაფა ფაშა. წარმოშობით ბოსნიელი. ნიჭიერი და მამაცი.

მუსტაფა ფაშამ არზრუმში 300 000 მეომარს მოუყარა თავი, 600 ზარბაზნით.

1578 წლის 5 აგვისტოს ლალა მუსტაფა ფაშა სამცხისკენ წამოემართა და „საქართველოს კარებს“ – არტაანს მოადგა. მას გადაწყვეტილი ქონდა „საქართველოების“ დამოჩილება და მათი სამხედრო ძალების ირანის წინააღმდეგ წარმართვა.

ლალა ფაშამ სამცხის ათაბაგ ყვარყვარე IV-თან კი არა, მის ძმასთან – მანუჩართან გააბა მოლაპარაკებები, მაგრამ უშედეგოდ. ლალა ფაშა დიდძალი ლაშქარით დაიძრა სამცხე-საათაბაგოსკენ. ბევრი ციხე-სიმაგრე, ჯაყელებთან მეომარმა თავადებმა, თურქებს უბრძოლველად ჩააბარებს. თვით ლალა ფაშა შემოეწყო მგელ-ციხეს (კურტ-ყალა) ჩრდილის ტბის მიდამოებში (ისტორიული საპალაკაციო). ხუთი დღე მამაცად იდგნენ მეციხოვნენი ძმები გოგორიშვილების წინამძღოლობით. ლალა ფაშამ ზედიზედ აიღო ქაჯის, ველის და თეთრას ციხეები. ახალქალაქისა და თმოგვის ციხეები შალიკაშვილებმა თურქებს უბრძოლველად ჩააბარეს!

როგორც იქნა, ბევრი მცდელობის შემდეგ, ჯაყელების მეცადინეობით, თურქეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ირანი ჩაება.

1578 წლის 8 აგვისტოს, ოსმალები და ყიზილბაშები ერთმანეთს შეებნენ. თავსხმა წვიმის გამო ზარბაზნები და თოფ-დამბაჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ გამოიყენეს. იბრძოდნენ ხმალთაკვეთებით. აღმოსავლეთ მესხეთის ლაშქარი ყიზილბაშების მხარდამხარ იბრძოდა.

მანუჩარ ჯაყელი 6 000 მეომრის თანხლებით მთის ფერდობზე ელოდა ბრძოლის დასასრულს... გამარჯვებულს ეახლება, მოულოცავს და შეჰფიცებს ერთგულ სამსახურს!..

თურქებმა გაიმარჯვეს. 5 000 ქართველი და სპარსი დაეცა ბრძოლის ველზე. ოსმალო იანიჩრებმა ამდენივე ქართველი ტყვედ აიყვანეს. მანუჩარი ხუთასკაციანი ამალით ლალა ფაშას ეწვია...

...გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეთანხმდნენ ლალა ფაშა და მანუჩარ ჯაყელი. სამცხე-საათაბაგო სანჯაყებად – ოლქებად დაიყო. აწყურის სანჯაყის მმართველად მანუჩარი დაადგინეს, ოლთისში – ყვარყვარე, კიდევ სამი ციხე – დედისიმედს, ხოლო მესხთა დანარჩენი ციხე-ქალაქები თურქ მმართველებს ჩააბარეს, სადაც პირდაპირი თურქული მმართველობა შემოღეს.

მანუჩარის ქვეშევრდომობის გაფორმების შემდეგ, მუსტაფა ლალა ფაშამ მთელი მესხეთი უბრძოლველად დაიმორჩილა და ქართლის გულისკენ დაძრა ჯარები. საუბედუროდ იმერეთისა და კახეთის მეფეებს ქართლის გადასარჩენად და საშველად თითიც არ გაუნძრევიათ...

მაშინ, თბილისში მმართველად დაუდ-ხანი იჯდა. ქართველი ხალხის გამყიდველი და ირანის შაჰის ყურმოჭრილი მონა!

დაუდ-ხანმა თბილისი გადაწვა, თვითონ კი ლორეს ციხეს შეაფარა თავი.

ოსმალებმა თბილისი უბრძოლველად აიღეს და საბეგლარბეგოდ – საფაშოდ გამოაცხადეს. ორი ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს, მოსახლეობა „საგანგებო დავთარში“ აღწერეს. „ქართლის საფაშოს“ ყოველწლიურად ერთი მილიონი ახჩა (ოსმალური ფულის ერთეული) უნდა გადაეხადა. თბილისში 6 000 მეციხოვნე ჩადგა 100 ზარბაზნით. მუხრანი, ქსნის ხეობა და გორი თურქებმა უბრძოლველად დაიჭირეს და ცალკე სანჯაყად დაუმორჩილეს ქართლის საფაშოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვემო ქართლი – საბარათიანო არ დაემორჩილა ლალა ფაშას. ბრძოლებში ქართველეებმა სძლიეს და განდევნეს. ფაშამ ქვემო ქართლს იმ ეტაპზე შეეშვა.

მესხეთის და „მთავარი ქართლის“ უბრძოლველად დამორჩილების შემდეგ, ლალა ფაშას იმერეთის დასჯა გადაეწყვიტა. იმერეთი ოსმალეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა, მხოლოდ სახელად. ლიხის მთაზე შეებნენ ერთმანეთს იმერელნი და ოსმალონი. გაიმარჯვა იმერთა ჯარმა. მეორე შეტაკებაც თურქთა მარცხით დამთავრდა. ლალა-ფაშა ჯერ-ჯერობით იმერეთს შეეშვა და შაქის, შირვანის და კახეთის დასაპყრობად ამხედრდა.

1578 წლის 1 სექტემბერს, ალექსანდრე კახთა მეფემ სათანადოდ შეაფასა შექმნილი ვითარება, ირანის ქვეშევრდომობაზე უარი განაცხადა და ოსმალეთის ქვეშევრდომობა მიიღო. ლალა მუსტაფა ფაშას გაურიგდა. ის რჩებოდა კახეთის მმართველად ბეგლარ ბეგის რანგში და ყოველწლიურ ხარაჯას გადაიხდიდა დადგენილი ოდენობით. გარდა ამისა, ფადიშაჰის ყოველ დაძახილზე, ევალებოდა ჯარით გამოსვლა თურქული დროშის ქვეშ.

ამის შემდეგ, ალექსანდრე კახთა ბეგლარ ბეგმა და ლალა მუსტაფა ფაშამ ერთმანეთის მიყოლებით აიღეს შაქი, შირვანი და დაღესტნის სამთავროები. აქ შირვანის საბლეგლარბეგო დაარსდა, რომელშიც 12 სანჯაყი შედიოდა, მათ შორის შაქი, რომლის მმართველად ალექსანდრეს შვილი ერეკლე დაინიშნა.

ამრიგად, ოსმალეთმა ფეხი ზღვიდან (შავი) ზღვამდე (კასპი) მოიკიდა. ჩრდილო კავკასია სულთნის ბრძანებით ყირიმის ხანმა დალაშქრა და დაიმორჩილა.

ირანის შაჰი ხუდაბენდე და დედამისი – შალიკაშვილის ასული, ვერ ეგუებოდნენ „საქართველოების“ თურქეთზე დათმობას, ამიტომ ალამუთის ციხიდან ცხრაწლიანი ტყვეობიდან გათავისუფლებული სვიმონ I ქართლის ტახტზე აღადგინეს, გულუხვად დაასაჩუქრეს, ადრე დატყვევებულ ქართველებს თავისუფლება უბოძეს და სვიმონთან ერთად საქართველოში გამოუშვეს. ყოველივე ამისთვის ირანელებმა სვიმონს მოსთხოვეს: ქვეშევრდომობა, მოხარკეობა და გამაჰმადიანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვიმონი დათანხმდა, რამეთუ გაცნობიერებული ჰქონდა – ირანის დახმარების გარეშე ქართლის ძალებით შეუძლებელი იქნებოდა ოსმალების დამარცხება და საქართველოდან გაძევება.

1578 წლის ნოემბრის მიწურულს, ლალა მუსტაფა ფაშამ სამცხის ათაბაგი ყვარყვარე IVჯაყელი და მისი ძმა მანუჩარი არზრუმში ჩაიყვანა. სტამბოლში, სულთან მურად III-ს სამხრეთ კავკასიის დაპყრობა მოახსენა და ძმების მასთან წარდგენის შესახებ აცნობა.

ამასობაში, ირანის ტყვეობიდან ქართულ ლაშქართან ერთად დაბრუნდა სვიმონ I დიდი. ხალხი დიდი იმედითა და პატრიოტული აღტკინებით შეეგება ქართლის მეფეს. შიშისგან თავზარდაცედმული ოსმალები ციხეებში შეიხიზნენ. მეფეს ისევ ქართველი თავადები უბორკავდნენ და უხერგავდნენ გზას – ქვებუდნობით, სიხარბით, განკერძოება-თავგანმზიდობით, იდუმალი თუ აშკარა ღალატით. სვიმონმა ისინი ამჯერად აღარ დაინდო: ზოგი სიკვდილით დასაჯა, ზოგს თანამდებობა ჩამოართვა, ზოგიც ქართლიდან გააძევა.

თურქებმა განიზრახეს მესხეთის საბოლოოდ დამორჩილება, თურქულ მართვა-გამგეობასა და ადმინისტრაციულ მოწყობაზე გადასვლა, საბოლოოდ ფეხის მოკიდება, საიმედო საყრდენად ქცევა, გნებავთ, პლაცდარმად დანარჩენ „საქართველოებზე“ გასალაშქრებლად.

1579 წლის 3 ივნისს, სამცხის მფლობელნი, ძმები ყვარყვარე და მანუჩარი ასორმოცდაათი მესხი აზნაურის თანხლებით, სტამბოლში ჩავიდნენ. არზრუმიდან სტამბოლამდე ცხენით თვენახევარი იარეს.

სულთან მურად III-ს გადაწყვეტილი ჰქონდა სამცხე-საათაბაგოს დამოუკიდებლობის სრული მოსპობა. მას არ ჭირდებოდა „ქვეშევრდომი ათაბაგი“, მას სჭირდებოდა ოსმალეთის პროვინცია – საფაშო, საბეგლარბეგო, მისი მოხელის – ფაშას, ბეგლარ ბეგის მეთავეობით, რომელიც აუცილებლად მაჰმადიანი-სუნიტი უნდა ყოფილიყო.

ყვარყვარე IV-მ კატეგორიული უარი განაცხადა ქრისტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანობის განდგომაზე, მანუჩარმა კი მიიღო სულთნის შეთავაზება – ქრისტიანობას (ქართველობას) განუდგა და მაჰმადიანობა (ოსმალობა) მიიღო ფაშის თანამდებობასთან ერთად.

საბოლოოდ სულთანმა მანუჩარ-მუსტაფა დანიშნა ჩილდირის ფაშად ანუ ბეგლარბეგად, ხოლო ყვარყვარე – სანჯაყ ბეგად.

ჩილდირის, ანუ ახალციხის საფაშო მოიცავდა „ყოფილი“ სამცხე-საათაბაგოს უმეტეს ნაწილს – ახალციხეს, არტაანს, ოლთისს, მთელს ჭორიხის ხეობას.

1582 წელს, მანუჩარ-მუსტაფა ათაბაგი თურქებს განუდგა და სვიმონ მეფეს ეახლა. მთელი მესხეთი – ჩილდირის საბეგლარბეგო მანუჩარ ათაბაგის მეთაურობით კვლავ ქართულ წიაღს დაუბრუნდა.

ოსმალეთის სულთანმა მაშინვე ჩილდირის ბეგლარ ბეგად გიორგი ბეგ – იუსუფ ფაშა (გათათრებული გურჯი) დანიშნა და არზრუმიდან ჩილდირში ახალი ჯარები გაუგზავნა აჯანყების ჩასაქრობად და ოსმალური წესრიგის აღსადგენად, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო.

1583 წლის დამდეგს მანუჩარმა სამცხეში ათაბაგობა აღადგინა და ქართლის მეფე სვიმონ I-ს დაუმოყვრდა – ცოლად შეირთო მისი ასული ელენე.

1583 წლის გაზაფხულზე ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ სვიმონ მეფემ აიღო თბილისი, სამშვილდე, დმანისი და ლორე და თურქები პირწმინდად გაანადგურა.

1584 წელს სულთან მურად III-მ აღმოსავლეთის ჯარების სერასქერად – სარდლად ფერჰად (ფერად) ფაშა, ტომით ალბანელი, დანიშნა და საქართველოს დალაშქრვა და დაპყრობა დაავალა.

მანამდე ფერად ფაშამ სომხეთი უბრძოლველად აიღო და ერევნის საბეგლარბეგო დაარსა!..

1584 წლის შუა ზაფხულში, ფერად ფაშა არზრუმიდან საქართველოსკენ მრავალრიცხოვანი მხედრობით წამოემართა. ფაშამ ლაშქრის ნაწილი სამცხეს გაგზავნა და ციხეები გაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრებინა – ახალქალაქში, ფოცხოვში, შავშეთში, ლივანაში, ზემო აჭარასა და მაჭახელაში.

ჩვენდა სავალალოდ, ფერად ფაშამ რიგრიგობით აიღო ლორე, დმანისი და 20 000 ოსმალო მეომრით თბილისს მოადგა. მტერს მოუძღოდა სვიმონ მეფის გათათრებული ძმა – დაუდ ხანი.

ქართული და ოსმალური ჯარები მდინარე ალგეთის ნაპირებზე დაბანაკდნენ, ხატისოფელთან. ოსმალებს 30 000, ხოლო, ქართველებს – 4 000 მეომარი ჰყავდათ. ქართველები დილაუთენია დაესხნენ მტრის ბანაკს და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.

ალგეთზე დამარცხებული სერასქერი ფერად ფაშა სამცხე-ჯავახეთს შემოუბრუნდა და იქაურობა ნაცარტუტად აქცია. ოსმალებმა ახალციხის გამაგრება გადაწყვიტეს, მაგრამ მანუჩარ ათაბაგის „მფრინავი“ რაზმებით შევიწროვებულებმა სასწრაფოდ საქართველოდან გაცლა ამჯობინეს.

1585 წელს, განრისხებულმა მურად სულთანმა, ფერად ფაშა გადააყენა და აღმოსავლეთის არმიების სერასქერად დანიშნა ოსმან ფაშა იზდემირ ოღლუ.

1586 წელს, ოსმან ფაშა გარდაცვლილა. აღმოსავლეთის ჯარების სერასქირად ისევ ფერად ფაშა დაინიშნა. ამასობაში თურქებმა ირანელებს დიდი ზარალი მიაყენეს და ქალაქი თავრიზი აიღეს.

1587 წელს, ოსმალეთის სულთანმა ირანის ფრონტებს თავი მიანება და მთელი საომარი ძალები ისევ საქართველოს დასაპყრობად შემოუსია.

1587 წელს, ირანის ტახტზე ავიდა 16 წლის შაჰ აბას I (1587-1629წ.წ.). მან იცოდა: ქართველები „ძალიან ძლიერნი, საშიშნი და საჭირონი არიან“!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი V

1590 წელს, ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ზავი მძიმე და დამაცირებელი იყო ირანისთვის. მათ ამ ზავით მთელი სამხრეთ კავკასია ოსმალეთის მფლობელობაში აღიარეს!

ხანგრძლივმა ირან-ოსმალეთის ომმა ყველაზე მძიმე დღეში სამცხე-საათაბაგო ჩააგდო.

სამცხე-საათაბაგო უკვე „გურჯისტანის ვილაეთი“, გინა „ჩილდირის ვილაეთი“, გინა „ახალციხის საფაშო – საბეგლარ-ბეგო“ გახდა.

„გურჯისტანის ვილაეთისთვის“ საგანგებო „დავთრები“ შე-ადგინეს და შიგ ყველაფერი აღწერეს: აქაური მოსახლეობა, ქალაქი, სოფელი, ციხესიმაგრე, მიწა და წყალი, მთა და ბარი, ყანა და ვენახი, ბაღი და ბაღჩა, საძოვარი და ჯოგი – წვრილი და მსხვილი საქონლით. ყოველივე იბეგრებოდა გადასახადით.

„გურჯისტანის ვილაეთი“ რვა სანჯაყად ანუ ლივად დაჰ-ყვეს. ყოველი ლივა თავის მხრივ რამდენიმე „ნაჰიეს“ (რაიონს) აერთიანებდა:

1. ახალციხის ლივა – მზვარე, ჩრდილი, უდე, ქვაბლიანი, აწყური, ალთუნყალა, ოცხე, ასპინძა, ჭაჭარაქი(ურაველის ხე-ობა);

2. ხერთვისის ლივა – ხერთვისი, ტყიან-ჯავახეთი, ბუზმა-რეთი;

3. ახალქალაქის ლივა – აკშეჰირი, თმოგვი, ნიალისყური;

4. ჩილდირის ლივა – ჯანბაზი, ქანარბელი, მგელ-ციხე (კურტ – ყალე);

5. ფოცხოვის ლივა – მზვარე, ჩრდილი;

6. პეტრას ლივა – პეტრა, ქაშვეთი;

7. ფანაკის ლივა – ფანაკი, ქიამხისი, ფანასკერტი;

8. დიდი არტაანის ლივა – მზვარე, ჩრდილი, ტყიანი ოლქი.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“(ოსმალეთის ხე-ლისუფალთა მიერ 1595 წელს ფისკალური დაბეგვრის მიზნით შედგენილი წიგნი – სამცხე-საათაბაგოს სოციალურ-ეკონო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკური, პოლიტიკური ისტორიისა და ისტორიის გეოგრაფიის წყაროა) აღწერილი და დაბეგრილია 1160 სოფელი.

„გურჯისტანის ვილაეთის“ ცენტრი იყო ქალაქი ახალციხე, სადაც იჯდა ფაშა, ბეგლარ ბეგი ანუ მირმირანი.

თურქეთის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარის, ტაო-კლარჯეთისა და სამცხე-ჯავახეთის) მიტაცების შემდეგ, XVI – XVIII საუკუნეებში, ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ისლამი.

ამ საკითხის ანალიზისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებანი: ოსმალეთის იმპერიის სარდლობა, დასალაშქრი რეგიონისა თუ ხეობის მმართველებსა და ზოგადად მოსახლეობას, თავისი ელჩების თუ ემისრების მეშვეობით უთვლიდა და თავაზობდა მშვიდობიანად, უბრძოლველად დანებებას, სოციალური და აღმსარებლობითი ხელშეუხებლობისა და შემწყნარებლობის პირობით, მაგრამ რეგიონის თუ ხეობის მოსახლეობა უარს იტყოდა უბრძოლველად დანებებაზე და იარაღს ისხამდა, მაშინ ულმობელი და შეუმწყნარებელნი იყვნენ ოსმალები. როგორც წესი, მეომარ მოსახლეობას მასობრივად ხოცავდნენ, ჟლეტდნენ, გადარჩენილები კარგავდნენ ყოველგვარ უფლებებს, უმეტესობა აჰყავდათ ტყვედ, თითქმის ძირ-ბუდიანად ასახლებდნენ იმპერიის შიდა რაიონებში, ტყვეებს კი ყიდდნენ იმპერიის ტყეთა ბაზრობებზე.

რეგიონის დამორჩილებისა და ოსმალეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილად გამოცხადების შემდეგ, სამხედრო-ეკონომიკური და კაბალური საგადასახადო სისტემის დებულებათა შესაბამისად, მოსახლეობა ისეთ გამოუვალ პირიობებში ვარდებოდა, რომ იძულებული ხდებოდა, საკუთარი და ოჯახის წევრების სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, მიეღო ისლამი.

ისლამის სარწმუნოებაზე თავდაპირველად უფრო გაბატონებული ფენა გადადიოდა. დაბალი ფენა კი ადგილობრივი რელიგიური ტრადიციების ერთგული რჩებოდა. ისლამის გავრცელების ერთ-ერთ მთავარ იარაღად, ძირითად ფაქტორად საგადასახადო სისტემა იქცა, რომელიც არამუსლიმანებისთვის საგანგებოდ შემოიღეს. გურჯისტანის დიდი დავთრის მიხედვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ქრისტიანი მოსახლეობა იხდიდა ისეთ გადასახადებს, როგორიც იყო: ისფინჯი, მურაჰასიე, ჯიზიე, ბადჰავა, საქორწილო და გადასახადი ღორის შენახვისთვის.

როგორც ვთქვით, სოციალური მოტივებით მაჰმადიანდებოდნენ უპირატესად მაღალი ფეოდალური წრეების წარმომადგენლები ახალ პოლიტიკურ ვითარებაში მემკვიდრეობითი სოციალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად და მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობათა დასაჭერად, ტიტულების მისაღებად ოსმალთა იმპერიაში. სარწმუნოებას ძირითადად მამაკაცები იცვლიდნენ. ოჯახს – ქრისტიანობას, ისევე როგორც მშობლიურ ენას, აშკარარდ თუ მალულად , ქალი-დედა უნარჩუნებდა, რომელიც ქმარ-შვილზე ზნეობრივი სიმაღლისა და სულიერი სათნოებისთვის იღვწოდა და არა მათი მატერიალური უზრუნველყოფისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენში, უპირატესად, ოსმალური ხმალი არ დაპირისპირებია ქრისტიანულ სარწმუნოებას. თურქთაგან „შემოთავაზებული“ გამაჰმადიანების ფორმა ნებაყოფილებითი იყო. სინამდვილეში გამაჰმადიანება აუცილებელ პირობად ედო ოსმალურ ეკონომიკურ რეჟიმს, სამხედრო სისტემას.

თურქეთის მხრიდან გატარებული ამდაგვარი რელიგიური პოლიტიკა იყო დაპყრობილ ძირძველ ქართულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ეკონომიკური ბერკეტებით რელიგიურ-ფსიქოლოგიური ზეწოლა, ვინაიდან, იმ დროისთვის ისლამურ გარემოცვაში მოქცეული ქართველებისთვის მართლმადიდებლობა ეროვნულობის – ქართველობის სინონიმად იქცა და ქართული მეობის შენარჩუნების ტოლფასი გახდა.

ოსმალეთის ხელისუფლება პირველ ხანებში კომპრომისზე წავიდა და თავის სამსახურში ჩამდგარ საათაბაგოს ქართველ ფეოდალებს უფლებას აძლევდა ტრადიციულ ქრისტიანულ რელიგიასთან ერთად მამულზე საკუთრების უფლებაც შეენარჩუნებინათ. ხელისუფლების განმტკიცდების შემდეგ, სულთანმა ეს პრივილეგიები გააუქმა. ამ ფაქტს ფეოდალთა ძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითადი ნაწილი ვერ შეურიგდა და საქართველოს სხვა კუთხეებში გადაიხვეწა. დარჩენილებმა კი სარწმუნოება შიეცვალეს და ოსმალთა სამსხურში ჩადგნენ.

სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი ქართველი ქრისტიანული მოსახლეობის ისლამიზაცია მეთვარამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, როცა აქ სხვადასხვა არაქართული ტომების (ლეკები, თარაქამები, ქურთები, თურქები, ყარაფაფახელები) შემოსახლება მოხდა.

სამცხე-ჯავახეთში გამაჰმადიანება ინტენსიურად წარიმართა XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან, რასაც ხელი შეუწყო, კავკასიაში მართლმადიდებელი რუსეთის შემოსვლის შემდეგ, მომთაბარე თურქმანებისა და გამაჰმადიანებული ქურთების დეპორტაციამ და სხვა არაქართველი მოსახლეობის მასობრივად შემოსახლებამ ამ რეგიონში. ამან გამოიწვია ის, რომ მოსახლეობაში საურთიერთობო – სალაპარაკო ენა გარკვეულწილად თურქული გახდა. ამის შედეგად კი სარწმუნოება გამოცვლილმა ადგილობრივმა მოსახლეობის ნაწილმა თანდათანობით ენაც დაივიწყა და თავისი მრწამსითა და ენითაც მუსლიმად ანუ თავგამოდებულ თურქად იქცა.

გამუსლიმებული ქართველები, შუა საუკუნეობრივი ეროვნულ-პოლიტიკური ხედვისა და მენტალიტეტის თანახმად, ქართველებად აღარ ითვლებოდნენ.

მოსახლეობის დაბალი ფენის წარმომადგელებისთვის ოსმალური წესითა და რიგით მიწის მფლობელობის უფლება მხოლოდ მაჰმადიანს და თურქეთის არმიის მხედარ-მეომარს ჰქონდა, თანაც მხედარ-მეომარ მაჰმადიანს და არავითარ შემთხვევაში ქრისტიანს ან სხვა რომელიმე სჯულისას.

ქართველი კაცის წინაშე არჩევანი დააყენეს: ან მიწაზე აიღე ხელი, გაღარიბდი, დამცირდი და დაპატარავდი ან მაჰმადიანად მოინათლე, თურქეთის სამხედრო სამსახურში ჩადექი, მიწაც მიიღე, კიდეც გამდიდრდი და აღზევდი!

რეგიონში ქართული მიწათმფლობელობა ოსმალური მიწათმფლობელობის (ხასა, ვაყუფი, თიმარი, ზიამეთი) ყაიდაზე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადიოდა. ხოლო, მის კვალობაზე – ქართველი კაციც „ქართველობიდან“ ოსმალურ „თათრობაზე“ უნდა გადასულიყო.

ეკონომიკურ-საგადასახადო სისტემის ბერკეტების გამოყენებით გაჩაღდა დაუნდობელი ბრძოლა ქართველობისა და ქრისტიანობის ძირფესვიანად მოსასპობად.

მამულებს ართმევდნენ ყველას, ვინც ქრისტიანობას არ განაგდებდა, ისლამს არ მიიღებდა და ოსმალეთის სამსახურში არ შევიდოდა მხედარ-მეომრად...

მამულებს ართმენდნენ ქართულ ეკლესიებს. ქართულ ტაძრებს მეჩეთებად აქცევდნენ. ქრისტიანები დამატებით გადასახადს იხდიდნენ ქრისტიანობისთვის – მაშასადამე, ქართველობისთვის.

გაუძლებდა კი ქართული გენი სულისა და გულის ამნაირ, დამანგრეველ უკუღმართობას?!

თავი VI

საუბედუროდ, კავკასიის მრავალსახოვან და მცირერიცხოვან ხალხებს, ურთიერთშორის მტრობა უფრო ჰქონდათ, ვიდრე მეგობრობა და ერთსულოვნება. ეს ზოგადად, საერთოდ, ფეოდალურ დრო-ჟამს მოსდგამდა.

ყველა უბედურება, რაც კი ოსმალეთმა კავკასიაში მოიტანა, ერთბაშად ფერმკრთალდება ისეთ „ოსმალურ ჭირთან“, როგორიც, ტყვეებით ვაჭრობა იყო!

ოსმალეთის საქონელბრუნვაში ტყვე, ისიც კავკასიელი – განსაკუთრებით ქართველი და ჩერქეზი – უმაღლესი საქონლის ადგილს იჭერდა.

ოსმალებმა მოსვლისთანავე დაიახლოვეს და „დაიმოყვრეს“ საშამხალო – დაღესტანი, შუაგული კავკასიონის აღმოსავლეთით. ამ კუთხეს დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ოსმალეთის კავკასიურ პოლიტიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშამხალო კავკასიის შუა გულში იდგა – სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ოსმალთაგან დაპყრობილი დარუბანდის სახანო ეკვროდა, ჩრდილო-დასავლეთით კი – რუსეთის გზაზე შემდგარი ჩერქეზთა (ადიღები, ჩერქეზები, ყაბარდოები) სამთავრო.

მწირ, მოუსავლიან მთასა და ღრეში მთიელმა შემოსავლის წყარო გაიჩინა – ადამიანების მოტაცება და გაყიდვა. მართალია, ეს საქმე მტაცებელს ხშირად სიცოცხლის ფასად უჯდებოდა, მაგრამ საარსებო პირობების სივიწროვე და ცოცხალი ადამიანის საბაზრო ფასი თავისას აკეთებდა.

მაჰმადიანი მთიელ ქრისტიან მეზობელს მტაცებლად ჩაუსაფრდა და სადაც კი მოიხელთა, მოიტაცა და თურქ ვაჭარს ოქროზე გაუცვალა.

საშამხალო ადამიანზე მონადირე აბრაგთა ბუდედ იქცა. აქედან დაიწყო კიდევ ერთი უდიდესი უბედურება საქართველოს მკვიდრთა ცხოვრებაში – „ლეკიანობა“.

ჯგუფ-ჯგუფად, ღამის წყვდიადსა და ტყე-ღრეს შეხიზნული მოიპარებოდნენ ლეკები, ერთბაშად დაეცემოდნენ და გაიტაცებდნენ შარაგზაზე მიმავალ მგზავრს, საძოვარზე გასულ მწყემსს, წყაროზე ჩამომჯდარ ქალს, აკვანში ჩაკრულ ბავშვს...

ძნელი იყო საშამხალოსთან ბრძოლა, – ძნელი მარტო იმიტომ კი არა, რომ მისი ცადავარდნილი მთები და პიტალო კლდეები არ იძლეოდნენ დალაშქვრის საშუალებას, – უფრო, იმიტომ, რომ შამხალთან ომი ოსმალეთთან და ყირიმთან ომის დაწყებას ნიშნავდა!

* * *

1599 წელს სამცხე მანუჩარ ათაბაგის ხელმძღვანელობით აუჯანყდა ოსმალეთს.

სულთან მეჰმედ III ქართველთა ერთჯერ და სამუდამოდ დასაქცევად გამოგზავნა თავრიზისა და ვანის ბეგლარ ბეგი ჯაფარ ფაშა.

... 1600 წელს ფარცხისთან ახლოს, ლაფში ჩაფლული ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთლის მეფე სვიმონ I ტყვედ ჩავარდა. ჯაფარ ფაშამ ძვირფასი ტყვე სტამბოლს გაგზავნა.

1603 წელს სტამბოლში, ტყვეობაში, დალია სული სვიმონ მეფემ. გამეფდა 19 წლისა, ტყვეობაში გაატარა 12 წელი, იმეფა 35 წელი, გარდაიცვალა 66 წლისა!..

... XVI საუკუნეში ქართველმა მომხდურ მტერთან გადაიხადა 70 ბრძოლა. აქედან: მოიგეს – 49, წააგეს – 21.

... ოსმალო სამცხე-საათაბაგოს უკანასკნელად 1625 წელს შემოესია. ამ პერიოდიდან საბოლოოდ მიიერთა და დაიმკვიდრა დიდებული მესხეთი. აქედან იწყება ქართული კულტურისა და არქიტექტურის საბოლოო დაკნინება. აქედან იწყება ქართველთა უპრეცედენტო დევნა-შევიწროება და უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა, აყრა-გადასახლება რელიგიური და ეროვნული ნიშნით.

1627 წელს, საფარ ფაშა ჯაყელის გამუსლიმანება სათავედ დაედო ქართველობის ისლამის ისტორიას.

1635 წელს, ახალციხე ოსმალური საფაშოს (ჩილდირის, გნებავთ, ახალციხის საფაშო) მთავარ საფაშალიკო ქალაქად დადგინდა. ბექა ჯაყელი, აწ უკვე საფარ ფაშა, საფაშოს მმართველად – ბეგლარ ბეგად, მირმირანად დადგინდა. ამან განაპირობა, რომ სამცხე და ჯავახეთი ოსმალებმა ადრიდანვე გაათათრეს, ვიდრე ლაზისტანი, არტაანი, არტანუჯი, ლივანა, აჭარა, თორთომი, ოლთისი და სხვა, ცენტრიდან უშორესი ადგილები.

... 1636 წლიდან – ოლთის-თორთომის გამუსლიმანება დაიწყეს. არტაანელებიც ამ პერიოდში გამუსლიმანდნენ. ყარსის თემის ქართველების გამუსლიმანებაც მალევე დაიწყო. მხოლოდ შავშელები და აჭარლები გაცილებით გვიან გამუსლიმანდნენ.

ყარსსა და არტაანში, ის ქართველები, რომლებიც არ მუსლიმანდებოდნენ, სხვა ადგილებში ასახლებდნენ, მათ ადგილებში კი ბერძნებს, სომხებს, ქურთებსა და თათრებს ასახლებდნენ. ამან განაპირობა, ძველადვე, ქართველთა რიცხვის შემცირება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ენის ამოვარდნა, დარჩენილების კი სრული გათათრება-გადაგვარება.

ამასთან, თურქთა მოხელეები არ ერჩოდნენ, ქართულ მიწაზე მშვენივრად გრძნობდნენ თავს – ებრაელები, კათოლიკეები, სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის მრევლი, სხვადასხვა მიმდინარეობის თუ სექტის წარმომადგენლები – პროტესტანტები, კალვინისტები, დუხობორ-სტაროვერებიც კი!..

მხოლოდ ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი ვერ იგუა ოსმალომ. ეტყობა, ურჯულო ოსმალომ იცოდა, რომ ქართველს, მის იდენტობას, სამი ფენომენი: – მამული, ენა, სარწმუნოება განაპირობებს! მამული დაიპყრო და მკვიდრად შემოიმტკიცა; ენა საეკლესიო-სამრევლო და საერო სკოლებიდან და მმართველობით-სამეურნეო წრეებიდან განდევნა, გარიყა, შერყვნა და შეავიწროა; მხოლოდ ჯერ კიდევ ურყევად იდგნენ თავის სარწმუნოებაზე ქართველები. სადაც ცეცხლმა და მახვილმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, იქ ეკონომიურ ფაქტორს იყენებდნენ. ქრისტიანი მართლმადიდებელი კაცის თავზე განსაკუთრებული ხარაჯა დაადგინა – ისფენჯი. სანამ გადასახადს იხდიდი შეგეძლო ქრისტეს რჯულზე დგომა, ვერ იხდი?! – ან მუსლიმანურად ინათლები ან ლტოლვილობა, შეპყრობა, სტამბოლისა თუ აღმოსავლეთის სხვა ტყვეთა ბაზრობებზე გაყიდვა არ აგცდება!..

ამას ერთვოდა სასამართლო და ადმინისტრაციული უსამართლობა. ქრისტიანი მართლმადიდებელი სამართალს ვერ იპოვიდა, იქაც აღმსარებლობითი და ეროვნული ფაქტორი იყო განმსაზღვრელი!..

* * *

ოსმალეთის მიერ, სრულიად მესხეთის დაპყრობის შემდეგ, დიდ გაჭირვებასა და წვა-დაგვაში იყვნენ მართლმადიდებელი ქართველები. ძნელად თუ მოახერხებდა ვინმე თავისი ოფლით მონაგარი სარჩოს ოჯახში მშვიდად შეეტანას. მზა, მომკალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირნახულს გათამამებული თათარი არხეინად იტაცებდა და თავისთვის მიჰქონდა. თუ ვინმე გაბედავდა სიტყვის შებრუნებას, ან წინააღმდეგობას, წუთისოფელს უნდა გამოთხოვებოდა. ხშირად ამასაც არ აკმარებდნენ, ცოლ-შვილსაც მოსტაცებდნენ და ახალციხის ტყვეთა ბაზარხე გაყიდნენ!..

გაუპატიურებული, დაჩაგრული და დამცირებული საჩივარსაც კი ვერ ბედავდა ვერც ადგილობრივ მოხელესთან და ვერც უმაღლეს მთავრობასთან. ადგილობრივ საქმეებს, საჩივრებსა და სხვა დავიდარაბას განაგებდნენ ყადები და ეფენდები. ფაშასთან და უმაღლეს სასულიერო მოხელეებთან მიმართვა კი უარესი იყო – უფრო მეტი განწბილება და დამცირება-დაჩაგვრა გარანტირებული ქონდათ.

გათამამებული, თავზეხელაღებული, დაუსჯელობით გათავხედებული ოსმალო-თათარი მარტო ძარცვა-გლეჯით არ კმაყოფილდებოდა: – ქრისტიან ქართველებს ისეთი ხარაჯა (გადასახადი) დაადო, რომ მისი გადახდა ყოვლად შეუძლებელი იყო. თითო სულ მამაკაცზე წლიური ხარაჯა ოცდათხუტმეტ ყურუშამდე ადიოდა, რაც მაშინდელ დროს ძნელი საშოვარი იყო, რამეთუ სოფლად მცხოვრები ქართველი გლეხი ნატურალურ მეურნეობას მისდევდა და ცოტა რამ თუ მოეპოვებოდა ქალაქში ფულზე გასაყიდად გასატანი. რელიგიურ გადასახადს ემატებოდა მთელი რიგი ადგილობრივი, თუ სახელმწიფო სახაზინო გადასახადი. ამდენ ფულს ქრისტიანი ქართველი ვერ ნახულობდა. ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი ორი უკიდურესად მძიმე არჩევანის წინაშე დგებოდა: ან დედაბუდიანად უნდა აყრილიყო და საქრისტიანო საქართველოში გადახვეწილიყო, ან მაჰმადიანობა უნდა მიეღო!..

ვინც გამაჰმადიანდებოდა, ხარაჯისგან მაშინვე ათავისუფლებდნენ. ბევრი, თათრის მოსაჩვენებლად, მუსლიმანური ნათლობის რიტუალს (წინდაცვეთას – სვინეთს) მოსაჩვენებლად იტარებდნენ და აშკარად აღიარებდნენ ისლამის სარწმუნოებას, სულით და გულით კი ქრისტიანობას მისდევდნენ. მაგრამ აქაც დიდი საფრთხე ელოდათ – თუ ვინმე დაასმენდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევით უნახავდნენ ქრისტიანულ სიწმინდეებს, ან წაასწრებდნენ ქრისტიანული რიტუალის შესრულებისას, სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდათ!

... ბავშვებსაც მალულად ნათლავდნენ და ჯვრისწერის წესსაც საიდუმლოდ ასრულებდნენ.

ყოველივე ამან და კიდევ სხვა გარემოებებმა სულიერად და ხორციელად დააძაბუნა, ერთ დროს გმირი, სახელოვანი და ბრძენი მესხი. უკიდურესად დაჩაგრა და დააჩიავა!..

ოდესღაც დიდებულ მესხს მონობის, შიშის, იძულებითი მოკრძალებისა და უიმედობის ბეჭედი დასმია შუბლსა და სახეზე: „გამარჯვების“ ნაცვლად „თემენას“ აკეთებს – მძიმედ უკრავს თავს და მიწამდე წელში იხრება!..

თუ სათხოვარი ან რამე სხვა საქმე აქვს, ისე ითხოვს, როგორც შეფერის ჰარამხანაში აღზრდილ საჭურისს, ან მონას, რომელსაც თავის სიცოცხლეში მზე და მთვარე არ უნახავს, ან ღრეჭა-ხვეწნით, მუდარითა და მლიქვნელობით თავს მოგაბეზრებს და არ მოგშორდება. არც სიამაყე, არც თავმოყვარეობა, არც ღირსება აღარ ეტყობა!..

საქმის გაკეთება უქრთამოდ, უფეშქაშოდ ადგილობრივ მკვიდრს ვერ წარმოუდგენია. თითქმის სამასი წელიწადი ცურავდა მესხეთის მკვიდრი „ფეშქაშების“ მორევში და სხვა, რიგიანი წესი მართვა-გამგეობისა ვერ შეითავსა!

თავი VII

გადასახადები და საგადასახადო სისტემა ოსმალეთის იმპერიაში

ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკა ძირითადად დაპყრობით ომებზე იყო დაფუძნებული. ძირითად შემოსავალს დაპყრობილი ქვეყნებიდან ამოღებული ნადავლი, ტყვეები და მათზე შეწერილი გადასახადები შეადგენდა. ოსმალეთის იმპერიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარებულ სამხედრო სისტემას ზურგს უმაგრებდა ასევე კარგად ჩამოყალიბებული და დახვეწილი საფინანსო სისტემა. თავის მხვრივ, საფინანსო სისტემა დაქვემდებარებული იყო საგადასახადო სისტემაზე.

ისლამური გადასახადებისა და საგადასახადო სისტემა მთლიანად შეესაბამებოდა თურქული სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს ბუნებასა და ხასიათს.

ოსმალეთის იმპერიის საგადასახადო სისტემა დამყარებული იყო ისლამის პრინციპებზე. იმპერიაში არსებული გადასახადები შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ნაწილად:

1. შარიათის პრინციპებზე, ანუ ისლამურ სამართალზე დაფუძნებული გადასახადები, იგივე „რუსუმი შერიე“;

2. სულთნის და მოხელეების ნება-სურვილის მიხედვით შემოღებული, ადათ-წესებზე და ჩვეულებებზე დამყარებული გადასახადები ანუ, „რუსუმი ორფიე“.

შარიათით დაფუძნებულ გადასახადთა რიცხვს მიეკუთვნებიან ზექათი, უშრი, ჯიზიე და ხარაჯა.

განვიხილოთ მოკლედ და ცალ-ცალკე:

1. ზექათი. სიტყვა-სიტყვით ბარაქას, ნამატს ნიშნავს. იგი ისლამის ხუთი აუცილებელი პირობიდან ერთ-ერთია, რომელიც ითვალისწინებს წელიწადში ერთხელ ქონების მეორმოცედის გაღებას გაჭირვებულის დასახმარებლად.

ზექათის პირობები ასეთია:

– მისი გადამხდელი აუცილებლად უნდა იყოს გადახდის უნარიანი მუსლიმი;

– ზექათს არ იხდიან მონები და ტყვეები;

– ზექათის გადასახადის სახით მოგროვილი საქონელი ერთი წლის განმავლობაში ინახებოდა მიწის მეპატრონესთან, რის შემდეგაც მისი მეორმოცედი ნაწილი მუსლიმ გაჭირვებულებს ურიგდებოდა. ზექათის გადახდა შეიძლებოდა როგორც ნატურის, ისე ფულადი სახით.

ზექათი თავის მხვრივ რამდენიმე გადასახადს შეიცავდა:

– ცხოველებზე დაწესებული გადასახადი (წვრილფეხა);

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მიწის მოსავალზე დაწესებული გადასახადი;
– მადნეულზე და განძზე დაწესებული გადასახადი;
– ოქროსა და ვერცხლის ფულზე დაწესებული გადასახადი;
– სავაჭრო საქონელზე დაწესებული გადასახადი.

2. ჯიზიე. ოსმალეთის საგადასახადო სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჯიზიეს, რომელსაც არამუსლიმანი მოსახლეობა იხდიდა საკუთარი ოჯახის, ქონების და სარწმუნოების უსაფრთხოებისთვის.

მის შესახებ ყურანის მეცხრე სურაში ნათქვამია: „ისინი, ვისაც ალაჰის და იმქვეყნიური ცხოვრების არ სწამთ და ჩვენს რწმენას არ აღიარებენ, დაიმორჩილეთ და ჯიზიეს გადახდა აიძულეთ“. დაპყრობილ ტერიტორიებზე ქრისტიანს, რომელიც ისლამის მიღებაზე უარს იტყოდა, ჯიზიეს გადასახადს აკისრებდნენ. ეს იყო არამუსლიმი მოსახლეობისთვის დაწესებული გადასახადი ჯარიმა. იმის გამო, რომ ისინი ისლამს არ აღიარებდნენ.

ჯიზიეს იხდიდა 14-დან 75 წლამდე ასაკის ყველა ჯანმრთელი მამაკაცი. ქალები, ბავშვები და ღრმად მოხუცებულები გადასახადისგან თავისუფლდებოდნენ. გადასახადებისგან თავისუფლდებოდნენ აგრეთვე ღატაკები და მათხოვრები. ხეიბრები, რომლებიც გარკვეულ ქონებას ფლობდნენ გადასახადს იხდიდნენ. ჯიზიეს არ იხდიდნენ ღარიბი ეკლესიის მსახურები, ხოლო, თუ ეკლესია მდიდარი იყო, მისი მსახურები ჯიზიეს გადასახადს ექვემდებარებოდნენ.

საინტერესო იყო ჯიზიეს აკრეფის პროცესი, რომლის დროსაც არაქრისტიანი არასრულფასოვან პიროვნებად იყო წარმოდგენილი. გადამხდელი გადასახადს გაშლილი ხელით მიართმევდა ჯიზიედარს, რომელიც შემაღლებულ ტახტზე იჯდა. იგი იღებდა გადასახადს ისე, რომ მისი ხელი გადამხდელის ხელის დაბლა არ უნდა მოქცეულიყო. გადასახადის აღების შემდეგ ჯიზიედარი თავში მუშტს არტყამდა გადამხდელს. ამის შემდეგ, მას ჯიზიედარის დამხმარე მუჯლუგუნებით აშორებდა იქაურობას. ასე მეორდებოდა ყველა გადამხდელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, თურქულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია აზრი, რომ ჯიზიე იყო სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ დაწესებული გადასახადი. ჯიზიეს მხოლოდ მამაკაცები იხდიდნენ და ისინი თავისუფლდებოდნენ სამხედრო სამსახურისგან. ქრისტიანები, რომლებიც სახელმწიფო სამსახურში იყვნენ ჯიზიეს არ იხდიდნენ. თანზიმათის შემდგომ ჯიზიეს გადასახადმა სახელწოდება შეიცვალა და მას „ჯარის სანაცვლო“ ეწოდა.

XVI საუკუნის 80-იან წლებში ჯიზიეს გადასახადი სულზე დაახლოებით 40-50 ახჩას შეადგენდა, ხოლო, XVII საუკუნის 40-იანი წლებისთვის მისმა რაოდენობამ 240 ახჩას მიაღწია. ამ გადასახადის ამკრეფი მოხელეების – ჯიზიედარების ბოროტმოქმედება და თვითნებობა უფრო ზრდიდა გადასახადების რაოდენობას. გარდა ამისა, იყიდებოდა ჯიზიედარის თანამდებობები, რის შემდეგაც ისინი თვითნებურად აწესებდნენ ჯიზიეს რაოდენობას. გადასახადის ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ახჩას ინფლაცია იყო.

3. უშრი. უშრის წარმომავლობა ისლამის გავრცელების პირველივე წლებს უკავშირდება. რაოდენობა მოსავლის მეათედი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მოსავლის ნახევარსაც შეადგენდა.

ოსმალეთის იმპერიის მიწის უმრავლესობა სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა, რომელიც გარკვეული პირობით გადაცემული იყო კონკრეტულ პირზე, მაგრამ ამ მიწის შემოსავლის ნაწილი მაინც რჩებოდა სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად. მიწას უშუალოდ გლეხი ამუშავებდა, რომელიც ივჯარით იღებდა მას და უშრის სახით იხდიდა მიწის მოსავალზე შეწერილ გადასახადს. იგივე გადასახადი იმავე რაოდენობით ემართათ ქრისტიანებსაც.

უშრის გადასახადი დიდად მნიშვნელოვანი იყო ოსმალურ საგადასახადო სისტემაში. ის მრავალმხვრივი და მრავალფეროვანი იყო. არ არსებობს სოფლის მეურნეობის დარგი, რომელზეც არ იყოს გაწერილი უშრის გადასახადი. ნატურალურ რენტს ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკავა ოსმალეთის საგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახადო სისტენაში. სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან გადასახადი ძირითადად ნატურის სახით გაიღებოდა, თუმცა არ იყო გამორიცხული მისი შესაბამისი თანხის გადახდაც.

4. ხარაჯა. ოსმალურ საგადასახადო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხარაჯის გადასახადს, რომელიც არამუსლიმურ მოსახლეობაზე იყო გაწესებული.

იგი წარმოდგენილი იყო ორი სახით:

1. ხარაჯა მუვაზაფ, რომელიც გულისხმობდა დასამუშავებლად აღებულ მიწის ნაკვეთზე გადასახადის ფულადი სახით აკრეფას;

2. ხარაჯა მუკასიმე, იგი იყო მუსლიმი რეაიას (გლეხი) მიერ გადახდილი უშრის ანალოგიური გადასახადი, რომელიც დაწესებული იყო არამუსლიმ გლეხობაზე და იგი მას იხდიდა მიწის ნაკვეთიდან აღებული მოსავლიდან ნატურალური სახით; თუმცა, მას შეეძლო ამ გადასახადის ფულადი სახითაც გადახდა.

ისლამის კანონებით, ხარაჯის გადახდის პირობები განსხვავდებოდა იმის მიხედვით თუ რა გზით იყო ესა თუ ის ტერიტორია შემოერთებული:

– თუ მიწა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით იყო შემოერთებული და ის მის ძველ მეპატრონეს რჩებოდა, ასეთ მიწებზე დაწესებული ხარაჯა – ჯიზიეს წარმოადგენდა და იგი უქმდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მისი გადამხდელი გარდაიცვლებოდა, ან ისლამს მიიღებდა. ასეთივე მშვიდობიანი გზით შემოერთებული მიწები შეიძლება მუსლიმი მფლობელის ხელში გადასულიყო. ამ შემთხვევაში ხარაჯას მიწაზე მომუშავე გლეხი იხდიდა.

– თუ ტერიტორიები ბრძოლითა და იარაღის ძალით იყო შემოერთებული, ხარაჯას გადასახადის გადახდით დაპყრობილი ხალხი თავისუფლებას, სარწმუნოებას და მიწის დამუშავების უფლებას ინარჩუნებდა.

ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანულ მოსახლეობაზე დაწესებულ ხარაჯა მუვაზაფის ანალოგიურ გადასახადს, ჩიფთის გადასახადის სახელწოდებით, მუსლიმი გლეხი იხდიდა სხვადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა სახით. ამ შემთხვევაში გადასახადის ოდენობა დამოკიდებული იყო მიწის ნაკვეთის სიდიდესა და მიწის ნაყოფიერებაზე.

ჩიფთზე დაწესებული გადასახადის მაგივრად ოსმალეთის იმპერიის ქრისტიანი მოსახლეობა იხდიდა ისფენჯის გადასახადს. აქ ნამდვილად დისკრიმინაციული მიდგომა მძვინვარებდა. არ იყო გათვალისწინებული არც მიწის ნაკვეთის სიდიდე, არც მიწის ნაყოფიერება. ეს იყო უცვლელი რიცხვი და 25 ახჩას შეადგენდა.

ხარაჯას გადასახადის მეორე სახე – „ხარაჯა მუკასემე“ უშრის ანალოგიური გადასახადი იყო.

სულთნისა და და მოხელეების ნება სურვილით შემოღებული გადასახადები ადათ-წესებზე, ჩვეულებებზე იყო დამყარებული და არ ეწინააღმდეგებოდა შარიათის პრინციპებს, უბრალოდ ისინი საჭიროების მიხედვით ინიშნებოდა. ეს გადასახადებიც ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდა.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნებოდა გადასახადები, რომლებიც იკრიფებოდა სახელმწიფო მოხელეებისა და და სასამართლო პირების სასარგებლოდ. ამ ჯგუფში შედის საკმაოდ დიდი რაოდენობის გადასახადები, რომლებიც ბეგლარ ბეგების, სანჯაყ ბეგების, სუბაშების, სიფაჰების და ყადების სასარგებლოდ იკრიფებოდა.

რაც შეეხება მეორე ჯგუფს, ეს იყო საგანგებო მდგომარეობის დროს, ძირითადად ომის პერიოდში, აკრეფილი გადასახადები. ავარიზის (ასე ერქვა გადასახადს) გადახდა შეიძლებოდა როგორც ნატურით ასევე ფულით. ავრაზის შემოსავალი პირდაპირ სახელმწიფო ხაზინაში მიდიოდა. ავრაზის გადახდა შეიძლებოდა გარკვეული სამსახურითაც, რაც ძირითადად ლაშქრობების დროს ჯარისთვის საჭირო სურსათისა, თუ სხვა პროდუქტის გადაზიდვაში, ციხეების მშენებლობაში მონაწილეობასა და სხვა საქმიანობაში გამოიხატებოდა. ეს გადასახადი ყველა მიწის მფლობელს ცალკე ფირმანით ენიშნებოდა და იგი უკლებლივ უნდა გადახდილიყო. გადასახადის რაოდენობა დადგენილი არ იყო, იგი შექმნილი ვითარების მიხედვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცვლებოდა. ამის გამო ხშირი იყო ამკრეფთა მხრიდან თვითნებობისა და გადასახადის ხელოვნური ზრდის შემთხვევები.

ფეოდალების მადა განუსაზღვრელი იყო. ისინი ათასნაირ და ხშირად უცნაურ გადასახადებს ახდევინებდნენ გლეხებს.

ოსმალეთში არსებული საგადასახადო სისტემა უკიდურესად აღატაკებდა გლეხობას. თურქ გლეხთან შედარებით, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა დაპყრობილი არათურქი მოსახლეობა, რომელთა მიმართაც დამოკიდებულება უფრო მკაცრ ფორმებში ვლინდებოდა. გარდა ეკონომიკური პრივილეგიებისა, მუსლიმი ქრისტიანთან შედარებით, სოციალურ უპირატესობასაც ფლობდა. ქრისტიანს არ ჰქონდა უფლება ეტარებინა იარაღი. მას გზა უნდა დაეთმო შემხვედრი მუსლიმისთვის და ქედი მოეხარა მის წინაშე.

ქრისტიანთა მდგომარეობის გასათვალისწინებლად აგრეთვე საინტერესოა მათი ჩაცმის საკითხი. სულთნის ფირმანიც კი არსებობდა, რომელშიც აღწერილი იყო, თუ როგორი ტანისამოსი უნდა ეტარებინათ ქრისტიანებს, ებრაელებს თუ სხვა არამუსლიმი თემის წარმომადგენლებს. მათ არ შეეძლოთ ძვირფასი ტანსაცმლის ტარებაც კი, ესეც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომელიც საბოლოოდ ტეხდა ქრისტიან მოსახლეობას და გზას უხსნიდა მათი ისლამიზაციის პროცესს. მიუხედავად ამისა, ეს პროცესი მაინც დიდხანს გაგრძელდა.

თავი VIII

ისტორიული მესხეთი ტერიტორიით ისტორიულ ქართლ-კახეთის სივრცეს სჭარბობდა. იყო დრო, ამ ვრცელ ტერიტორიაზე ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა. მაგრამ დროთა განმავლობაში მთელი მესხეთი, საქართველოს საუკეთესო ნახევარი, მაჰმადიანობამ სამუდამოდ მოჰკვეთა და მოსწყვიტა სამშობლოს.

სარწმუნოებასთან ერთად მაჰმადიანობამ სული და გულიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე შეუცვალა ქართველს, რომ ქართველ მაჰმადიანს უკვე სძულს მართლმადიდებელი ქრისტიანი, მისი სისხლ-ხორცი და სულ იმის ნატვრაშია, როდის იქნება მოშორდეს მშობლიურ მხარეს, გაეცალოს და გადაიხვეწოს შორს, ოსმალეთში, სადაც მხოლოდ ცივ სამარეს პოულობს, მაგრამ მაინც ურჩევნია, სამოთხედ მიაჩნია, ერთმორწმუნე ოსმალეთი.

... მაჰმადიანობდნენ მესხნი!.. თითო-ოროლას შერჩა ნიშანი ქართველობისა – ენა. ამასაც ნელ-ნელა კარგავდნენ. მოხუცებულებს თუ ახსოვთ რამე კიდევ ქართულისა, თორემ ყმაწვილკაცობამ სიტყვა აღარ იცის. მიუწვდომელი სიმძლავრე გამოიჩინა ქართველებში უცხო რელიგიამ!

უკვე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სამცხე-საათაბაგოში ქრისტიანი მართლმადიდებლები ხილულად და აშკარად აღარ იყვნენ. ძლივსღა მოიძებნებოდა თითო-ოროლა მართლმადიდებელი, რომელნიც წმინდა საიდუმლოებას მალულად, ღამ-ღამობით იღებდნენ ერისკაცის სამოსში გამოწყობილი მღვდელისგან!..

დალხენილი და ფუფუნებაში არც ქართველი კათოლიკეები იყვნენ. მეთვრამეტე საუკუნეში მათ წირვა ლათინურად ჰქონდათ, რომის ეკლესიის წესსა და რიგს მისდევდნენ. ჭკვიანი და განათებული მისიონერები და პატრები თავის დროზე შეეცადნენ და ქართული მრევლისთვის ნებართვა აიღეს ჯერ კიდევ 1757 წელს წმინდა კონგრეგაციისგან, რომ სახარება და სამოციქულო წაეკითხათ „სამშობლო ქართულ ენაზედაც“. კონგრეგაციას კაპუცინის ორდენისთვის ხელი არ შეუშლია ამ სასარგებლო სურვილის შესასრულებლად. სახარებისა და სამოციქულოს გარდა ეკლესიაში სუფევდა ქართული გალობა.

ოსმალოს მთავრობა მტრის თვალით უყურებდა ლათინურსა და ქართულ წირვა-ლოცვას. ლათინური ევროპას აგონებდა, იმ ევროპას, რომელმაც არაერთხელ მოზნიქა ქედმაღალი ოსმალეთი, ქართული კიდევ – შეუპოვარ გურჯისტანს, რომლის სრულიად დამხობა შეადგენდა მაჰმადიანი ოსმალეთის პოლიტიკისა და დიპლომატიის მთავარ მიზანს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ გააფრთებულმა და გაალმასებულმა ოსმალეთმა სასტიკად დაუწყო დევნა ლათინურ და ქართულ ენებზე წირვა-ლოცვასა და ღვთისმსახურებას.

სომხურ ენაზე და სომხური წესით ღვთისმსახურება კი მიჩნეული და ნებადართული ჰქონდათ მაშინდელ ოსმალებს, სომხებისა არ ერიდებოდათ და დიდი თავაზიანობით ეკიდებოდნენ თვით სომხურ ერსაც!

სომეხი ერის ჟლეტა და აოხრება დაიწყო მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც სომხობამ გამოიღვიძა, მოითხოვა ეროვნული უფლებები და ევროპას შეატყობინა, დიდ გაჭირვებაში ვართ და პატრონობა გაგვიწიეო. ოსმალეთმა თვალები გააჭყვიტა, ეს რა დაუძინებელი მტერი მყოლია შინაო – ევროპას პირობა მისცა, რეფორმებს შემოვიღებ სომხეთშიო და ამავე დროს თავისებურად დაიწყო პოლიტიკის გატარება. ოსმალეთმა „თავისებურად“ გაატარა რეფორმები!.. სომხებს გააგებინა – აუტკივარ თავს არ ავიტკივებ, ან მაჰმადიანობა მიიღეთ, ან დედაბუდიანად გაგაქრობთო – მოგეპყრობით სწორედ ისე, როგორც ვეპყრობოდით ქართველებს მესხეთშიო!

ზოგმა სომეხმა მიიღო მაჰმადიანობა, მაგრამ უმეტესობამ არ უღალატა მამა-პაპურ სარწმუნოებას. უარის თქმას ენით აღუწერელი ამბები მოჰყვა: ანატოლიის სომხობა წიწილასავით ისრისებოდა. ვინც მახვილს გადაურჩა, გულგახეთქილი სამშობლოდან სხვაგან გაიხიზნა. ისტორიული სომხეთი თითქმის გეოგრაფიულ ტერმინად გადაიქცა.

... მაგრამ ასე არ იყო XVIII საუკუნეში. მესხეთში რომ ქართველთა სისხლი კოკისპირულად იღვრებოდა და ქართველთა მარტო სახელიც კი ზიზღსა და ბოროტებას უსახავდა გულში ოსმალოს, სომხობა განცხრომით ცხოვრობდა და მოქალაქეობდა.

სომხები არც მესხეთში იყვნენ პატივს მოკლებული. თავისუფლად წირავდნენ და ლოცულობდნენ მშობლიურ ენაზე, დამშეული არავინ ჰყავდათ.

ოსმალოს თვალის ასახვევად და ქრისტიანობის დასაცა-

ვად ქართველმა კათოლიკეებმა განიზრახეს, შემოეღოთ წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე.

სომხურად მლოცველი ქართველი კათოლიკე თამამად ეტყოდა გამძვინვარებულ ოსმალოს. რა გინდა, დაწყნარდი, ხომ ხედავ აღარც ლათინი ვარ და აღარც ქართველიო!

მართლაც ამ დიპლომატიურმა ხერხმა გაჭრა, ქართველმა კათოლიკეებმა შეინარჩუნეს ქრისტიანობა, მაგრამ ლამის ქართული ენა და ეროვნება დაკარგეს.

მაშინ საიდან იცოდნენ ქართველებმა, რომ გულუბრყვილო დიპლომატიურო ხერხი ახალ უბედურებად და თავსატეხად დაატყდებოდათ. პავლე და იაკობი პოღოსად და აკოფად გადაინათლენ!

ქართველი კათოლიკე ზემოთხსენებულ ისტორიულ მომენტს ასე ხსნიდა: „თათარი სომეხს არ ერჩოდა და ჩვენმა მამა-პაპებმა იმიტომ მიიღეს სომეხ კათოლიკეთა აღსარებაო“.

ოსმალომ ქართველი მთლად გაამუსლიმანა, მამაკაცს ქუდი ჩალმით შეუცვალა, დედაკაცი ჩადრში გაახვია და ბოსელში გამოკეტა, ხოლო ქალაქი ახალციხე ქართველ ქალწულთა და ჭაბუკ მონათა უმთავრეს ბაზრად აქცია!..

ოსმალეთის ორი საუკუნის ბატონობამ (1626 – 1828 წ.წ.) წარუხოცელი დაღი დაასვა მესხეთს. მკვიდრთაგან ვინც კი დარჩა, ისე დაბეჩავებულა, რომ ერის მომეტებული სიბეჩავე ძნელი წარმოსადგენი იყო – დაფლეთილ-დაბანძული სამცხე-საათაბაგოელი მკვიდრი!..

როგორც ხალხმა, ასევე ფერ-იერი იცვალა ქვეყანამაც. სანაქებო ვენახები სრულად ამოვარდნილა და გადაშენებულა!.. მიწაში ჩაფლული ქვევერები და ქვითკირის საწნახელებიღა მოწმობენ, რომ აქაური ქართველები აქტიურ მევენახეობა-მეღვინეობას მისდევდნენ. ძველი სამცხე-ჯავახეთი ტყით ყოფილა დაბურული, დღეს კი ისეა მოტრუსული, რომ ჩირგვსა და ბუჩქსაც კი ვერსად ნახავ... ძველად ტყე ხშირი და მრავალფეროვანი ყოფილა. ჯავახეთის დაბურული ტყეები ერზრუმიდან მოსულ სომხებს გაუკაფავთ. ერზრუმში შეშას დახამებულნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუტკარივით შესევიან და სულ გაუჩეხავთ, ბოლოს პურის გამოსაცხობად, საჭმლის მოსახარშად და გასათბობად ისევ მამაპაპეულ ჩვეულებისთვის, ესე იგი, წივისთვის, მიუმართავთ!..

პირველად რჯული გამოიცვალეს ათაბაგმა და თავად-აზნაურებმა. ვინც სარწმუნოებას იცვლიდა, მას მამულ-დედული უნარჩუნდებოდა და წყალობასაც იღებდა ოსმალთა ფადიშაჰისაგან. თავადის მაგიერ მისცეს ბეგის, აზნაურის კი – აღის ხარისხი და პატივი.

შემდეგში თავადაზნაურობას გლეხკაცობა გაჰყვა, თუმცა კარგა ხანს ჯიუტობდა და ქრისტიანობას არ ღალატობდა, მაგრამ ძალდატანებასა და გადამეტებულ ხარჯს ვეღარ გაუძლო და ახალი რჯული მიიღო. რჯულის გამოცვლას მოჰყვა ზნე-ხასიათის, ადათ-წესების, ჩვეულებებისა და ტანისამოსის გამოცვლა. მაგრამ რაც უნდა იყოს, გაოსმალებული და გამაჰმადიანებული მესხი მაინც ძალიან ჰგავს კართლ-კახეთის ქართველს, შეინარჩუნეს ქართული გარეგნობა და ქართული სახე-იერი, იმის მიუხედავად, რომ მკვიდრი მესხი დაუნათესავდა სამცხე-საათაბაგოში დაბინავებულ ოსმალოსა და თათარს.

... მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში, ასე 1626 წელს, ოსმალებმა საბოლოოდ დაიპყრეს და მიიმკვიდრეს სამცხე-საათაბაგო. ოსმალების ჩამოთესლებამ და დამკვიდრებამ დიდი ზარალი და ზიანი მოუტანა ზემო ქართლს.

ჯერ ერთი, საქართველო სრულიად მოწყდა განათლებულ დასავლეთ ევროპას, რადგან ოსმალო უზარმაზარ კედლად აესვეტა წინ, ევროპასთან ურთიერთობა და მისვლა-მოსვლა გაძნელდა და ქართველები დარჩნენ გალიაში კარმიხურული.

მეორე მხრივ, ოსმალები მაშინ გაუნათლებელი ხალხი იყო, თვითონ ომის გარდა არაფერი იცოდნენ და ჩვენს ქვეყანას რას მოუტანდნენ? მას შემდეგ, რაც ოსმალები სამცხე-საათაბაგოში გაბატონდნენ, სწავლა-განათლება, ხელოვნება და სამრეწველო-სავაჭრო ურთიერთობები უკან წავიდა. სადღა იყვნენ ცნობილი მგოსნები, კანონმდებელნი, მქადაგებელნი, ფილოსოფოსნი, სახელმწიფო მოღვაწენი და სარდლები... ოსმალების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონობის დროს ცხოვრება ისე დადუმდა და დაქვეითდა, რომ აღარც სარდალ-მოღვაწენი, აღარც ბრძენ-ფილოსოფოსნი და აღარც მგოსან-მქადაგებელნი აღარ ჩნდებოდა ამ რეგიონში. ქალაქი ახალციხე სხვადასხვა ავაზაკთა ბრბოების საბუდარი გახდა. აქ იკრიბებოდა მოუსვენარი ხალხი, უფრო კი დაღესტნიდან ჩამოსული ლეკობა, რომლებიც დროგამოშვებით ხან ქართლს აწიოკებდნენ ხან კი – გურია – იმერეთს. ადგილობრივი ფაშები და ხელისუფლება ხელს აფარებდნენ ამ ავაზაკებს და პატრონობას უწევდნენ.

მრავალი ურჩი და მოუხელთებელი გლეხკაცები ქართლ-კახეთიდან და იმერეთ-სამეგრელო-გურიიდან გადადიოდნენ ახალციხეში და იქ აფარებდნენ თავს.

... ასე გაგრძელდა 1828 წლამდე!..

თავი IX

ისლამის გავრცელა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში ისლამის გავრცელება არაბობის ხანიდან (VII-IX საუკუნეებიდან) დაიწყო.

თურქეთის მიერ სამხრეთ საქართველოს (აჭარის, ტაო-კლარჯეთისა და სამცხე-ჯავახეთის) მიტაცების შემდეგ XVI-XVIII საუკუნეებში ნელ-ნელა მოსახლეობაში ფეხს იკიდებს ისლამი. ამ სარწმუნოებაზე თავდაპირველად უფრო გაბატონებული ფენა გადადიოდა. დაბალი ფენა კი ადგილობრივი რელიგიური ტრადიციების ერთგული რჩებოდა. ისლამის გავრცელების ერთ-ერთ მთავარ მოტივად, ძირითად ფაქტორად საგადასახადო სისტემა იქცა, რომელიც არამუსლიმანებისთვის საგანგებოდ იქნა შემოღებული. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის მიხედვით, მხოლოდ ქრისტიანი მოსახლეობა იხდიდა ისეთ გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახადებს, როგორებიც იყო ისფინჯი, მურაჰასიე, ჯიზიე, გადასახადი ღორის შენახვისათვის, საქორწილო და ბადჰავა.

ისლამი, პირველ რიგში, დიდგვაროვანთა ფენაში ვრცელდებოდა, ვინაიდან ოსმალეთის იმპერიაში არამუსლიმები არ ფლობდნენ მიწას და გააჩნდათ შეზღუდული უფლებები.

ოსმალეთის მიერ დაპყრობილ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ქართველ ქრისტიანთა გამაჰმადიანება უაღრესად რთული და მძიმე ფსიქოლოგიურ-სოციალური პროცესი იყო. მაჰმადის რჯულის აღიარების წესი კი ამ სირთულის ფონზე შედარებით მარტივად გამოიყურებოდა. საკმარისი იყო უცხო სარწმუნოების პირს რამდენიმე მუსლიმანის თანდასწრებით ეთქვა „ლა ილაჰა ილლა ლაჰუ ვა მუჰამმადე რასულ-ლაჰი“, რომელსაც მშობლიურ ენაზეც წარმოსთქვამდა – „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედი მისი მოციქულია“, – რომ იგი მაჰმადიანად ეცნოთ.

სოციალური მოტივებით მაჰმადიანდებოდნენ მაღალი ფეოდალური წრეების წარმომადგენლები ახალ პოლიტიკურ ვითარებაში მემკვიდრეობითი სოციალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად და მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობათა დასაჭერად, ტიტულების მისაღებად ოსმალეთის იმპერიაში. სარწმუნოებას ძირითადად მამაკაცები იცვლიდნენ. ოჯახს ქრისტიანობას, ისევე როგორც მშობლიურ ენას, აშკარად თუ მალულად, ქალი-დედა უნარჩუნებდა, რომელიც ქმარ-შვილზე ზნეობრივი სიმაღლისა და სულიერი სათნოებისთვის იღვწოდა და არა მათი მატერიალური უზრუნველყოფისთვის.

თურქეთის მხრიდან გატარებული რელიგიური პოლიტიკა იყო დაპყრობილ ძირძველ ქართულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ეკონომიკური ბერკეტებით რელიგიურ-ფსიქოლოგიური ზეწოლა, ვინაიდან, ამ დროისთვის ისლამურ გარემოცვაში მოქცეული ქართველებისთვის მართლმადიდებლობა ეროვნულობის-ქართველობის სინონიმად იქცა და ქართული მეობის შენარჩუნების ტოლფასი იყო.

მიუხედავად ყველაფრისა, სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი ქართული მოსახლეობის ისლამიზაცია მეთვრამეტე სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, როცა აქ სხვადასხვა ტომების (ლეკები, თარაქამები, ქურთები, თურქები, ყარაფაფახელები) შემოსახლება მოხდა. ახალ ტერიტორიაზე თავი მყარად იგრძნეს თუ არა მოგვიანებით, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან და მეოცე საუკუნის ოციანი წლების ჩათვლით იწყება მათ მიერ დაკავებულ ზოგიერთ სოფელში ისლამური სალოცავების აგება. რაც შეეხება ისლამმიღებულ ქართული მოსახლეობის ცალკეულ სოფელში სალოცავების მშენებლობა ძირითადად მეოცე საუკუნის დასაწყისიდან იწყება.

სამცხე-ჯავახეთში გამაჰმადიანება ინტენსიურად წარიმართა მხოლოდ XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან, რასაც ხელი შეუწყო კავკასიაში მართლმადიდებლური რუსეთის შემოსვლის შემდეგ, მომთაბარე თურქმანებისა და გამაჰმადიანებული ქუეთების დეპორტაციამ და სხვა არაქართული მოსახლეობის მასობრივად შემოსახლებამ ამ რეგიონში. ამან გამოინვია ის, რომ მოსახლეობაში საურთიერთობო-სალაპარაკო ენა გარკვეულწილად თურქული იქცა, რადგან ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეებიდან მასობრივად შემოსახლებულები (სომხები, ბერძნები) ზედმიწევნით ფლობდნენ თურქულ ენას, ხოლო ქართული ენა სრულიად უცხო იყო მათთვის. ამის შემდეგ კი სარწმუნოებაგამოცვლილმა ადგილობრივმა მოსახლეობამ თანდათანობით ენაც დაივიწყა და თავისი მრწამსითა და ენითაც მუსლიმად ანუ თავგამოდებულ თათრად იქცა.

გამუსლიმებული ქართველები, შუა საუკუნეობრივი ეროვნულ-პოლიტიკური ხედვისა და მენტალიტეტის მიხედვით, ქართველებად აღარ ითვლებოდნენ. მართალია, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები და ჰუმანისტები (ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები) თანამემამულეებს თითოეული მოქალაქის სინდისისა და სარწმუნოების პატივისცემისკენ მოუწოდებდნენ, ითვალისწინებდნენ იმ ფაქტს, რომ რელიგიური პლურალიზმი ცივილიზებული მსოფლიოს სტანდარტია და ამ მოვლენაში სახიფათო არაფერია. მუსლიმი ბავშვებისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ენის ვარიანტიც კი ჩამოყალიბდა, ქართველ მუსლიმებთან ეროვნულ-საგანმანათლებლო მუშაობის ისეთი პროგრამები და მეთოდები შეიმუშავეს, რაც სარწმუნოებრივ აქცენტებს გამორიცხავდა.

ისლამისადმი კეთილგანწყობას პრიორიტეტად ისახავდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაც, მაგრამ ბოლშევიკების გამარჯვებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი მუსლიმანი ქართველები არაქართველებად საბოლოოდ შერაცხეს და აზერბაიჯანული სკოლები გაუხსნეს, აზერბაიჯანელი პედაგოგების მოწვევით.

საბედნიეროდ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ისლამმა გავრცელება მეშვიდე საუკუნიდან დაიწყო და არაერთი მუსლიმანური დასახლებაც გაჩნდა (გამაჰმადიანებული ქართველებისა თუ უცხოტომელ მუსლიმთა), მაინც მაჰმადიანობა ქართველის ბუნებას ვერ მოერგო და სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ისლამური კულტურული მემკვიდრეობის რაიმე გამოხატულება ვერ დატოვა. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ქართული ისლამური კულტურა არ არსებობს. ამის ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ მაჰმადიანობა და ქართული ეროვნული ბუნება-თვისება ერთმანეთს ვერ მოერგო, ვერ შეეთვისა!

თავი X

მუჰაჯირობა სამცხე-ჯავახეთიდან...

სიტყვა „მუჰაჯირი“ არაბული ენიდან მომდინარეობს და საკუთარი სამშობლოდან სხვა ქვეყანაში იძულებით გადახვეწას ნიშნავს.

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში მუჰაჯირობა XIX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო და XX საუკუნის მეორე ნახევრამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრძელდა. ამ პროცესს (განსაკუთრებით XX საუკუნის 20-იან წლებამდე) როგორც თურქეთის, ისე რუსეთის მთავრობა ერთნაირად უწყობდა ხელს. ოსმალეთი იმედოვნებდა, რომ გადმოსახლებულ მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ ომში გამოიყენებდა და ნაკლებადდასახლებულ მიწებს მათი განსახლებით აითვისებდა, რუსეთი კი ცდილობდა, რომ გადასახლებულთა ხარჯზე და მათ ნამოსახლარზე სხვა ტომელთა შემოსახლებით ახლად შემოერთებულ მხარეში იმპერიისადმი ერთგული ხალხის ჩასახლებით ფეხი მყარად მოეკიდა.

ჯერ კიდევ 1810 წელს, როდესაც სამცხე-ჯავახეთში (კერძოდ ახალქალაქის მხარეში) რუსეთის არმიის ნაწილები შევიდა გენერალ ტორმასოვის მეთაურობით, ქართულ მილიციას (ქართული ეროვნული ლაშქარი)დაევალა შემოევლო მთელი რეგიონი, აღეწერა ქართველი ქრისტიანი მოსახლეობა და გადაესახლებინათ ქვემო ქართლში.

ტორმასოვის ლაშქრობას სამცხე-ჯავახეთში შედეგად მოჰყვა ის, რომ ამ მხარიდან 1500 – ზე მეტი ქრისტიანი ქართველების ოჯახი ძალით აჰყარეს და ლორესა და ბამბაკის ოლქებში გადაასახლეს. ეს მოსახლეობა მშობლიურ მხარეში რომ არ მობრუნებულიყო, კონტროლის მიზნით წინასწარი კარანტინი დაუწესეს. უცხო ეთნიკურ გარემოში მოხვედრილმა მოსახლეობამ ჯერ სარწმუნოება შეიცვალა (რა თქმა უნდა, რუს მოხელეთა ზეწოლით) – გრიგორიანობა მიიღო, შემდეგ ეროვნული თვითშეგნებაც დაკარგა.

რუსეთის ხელისუფლების წინასწარ გამიზნულმა ამგვარმა ქმედებამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ქართულ ეროვნულ საქმეს. სამცხე-ჯავახეთიდან ადგილობრივი მკვიდრი ქართველების მასიური გადასახლების გამო სოფლების დიდი ნაწილი (განსაკუთრებით ჯავახეთში) მოსახლეობისგან ან სრულიად დაიცალა, ან გაუკაცრიელდა.

უკვე გამაჰმადიანებული ქართველების მუჰაჯირობის მეორე დიდი ტალღა ოსმალეთისკენ რუსეთის მიერ სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემდეგ დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1828-1829 წლების რუსეთ – თურქეთის ომი სამხრეთ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო, ერთი მხვრივ, იმ თვალსაზრისით, რომ მან ნაწილობრივ დაიბრუნა თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები, მეორე მხვრივ კი სავალალო აღმოჩნდა, რადგან ქართველობა დემოგრაფიულად კატასტროფულად შემცირდა.

ანტიქართულმა პოლიტიკამ რადიკალურად შეცვალა დემოგრაფიული სურათი სამცხე-ჯავახეთში. დეპორტაციების შემდეგ მისი მოსახლეობა 280 000- დან 40 000- მდე შემცირდა. ისტორიული მესხეთის ზოგიერთი მხარე, მათ შორის, ჯავახეთი, თითქმის სრულიად დაცარიელდა ადგილობრივი მოსახლეობისგან.

მუჰაჯირობის შემდეგი დიდი ტალღა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ აზვირთდა. ამ პროცესს შედეგად მოჰყვა ის, რომ საქართველოს ისტორიული პროვინციებიდან – ტაო-კლარჯეთი, ლივანა, არტაანი, აჭარა, სამცხე, ქვემო გურია, სადაც დიდი რაოდენობით სახლობდნენ მაჰმადიანი ქართველები, თითქმის მთლიანად დაცარიელდა. მარტო არტაანიდან 22 743 მაჰმადიანი ქართველი გადასახლდა თურქეთში.

მომდევნო საკმაო დიდი ტალღა მიგრაციისა 1921 წლის ყარსის ხელშეკრულების შემდეგ განხორციელდა, რამაც მაჰმადიანი ქართველების რიცხვი ოსმალეთის იმპერიაში მნიშვნელოვნად გაზარდა.

ამ ომებში რუსეთის მიზანი იყო არა ქართველი მოსახლეობის გათავისუფლება თურქთა ბატონობისგან, არამედ ახალი ტერიტორიების შემოერთება, ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის აყრა-გადასახლება და ამ გზით კავკასიაში თავისი პოლიტიკური ჰეგემონიის გამყარება.

ახლად შემოერთებულ რეგიონში რუსი მოხელეები ყველანაირად ცდილობდნენ აეძულებინათ ადგილობრივი დიდებულები ჩალის ფასად გაეყიდათ საკუთარი მამულები და სამშობლოდან გადახვეწილიყვნენ.

მეფის რუსეთის ხელისუფლებამ არა თუ ძირძველი ქრისტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანი, არამედ ახლად გამაჰმადიანებული ქართველი მოსახლეობაც არ დაინდო და ყველანაირად უწყობდა ხელს მამა-პაპური მიწა-წყლიდან მათი ძალით, თუ ნებით აყრა-გაძევებას.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიზნები იყო შემდეგი:

– ძირძველი მკვიდრი ქართველი მოსახლეობის (განურჩევლად სარწმუნოებისა) აყრა-გასახლებით სახაზინო მიწების ფონდის გაზრდა;

– თურქეთთან სასაზღვრო ზოლიდან და საზღვრისპირა რაიონებიდან მათთვის „არასაიმედო“ მკვიდრი მოსახლეობის გაყვანა-მოცილება, საზღვრის საიმედოდ დაცვის მიზნით იმ ტერიტორიებზე მალოროსსიის (ამჟამინდელი როსტოვის, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები) კაზაკების ჩამოსახლება;

– ქვეყანაში ეკონომიკური და ეთნიკური ცვლილებების გატარების მიზნით, შემოერთებულ მხარეებში გადასახლებულთა ნამოსახლარზე კომპაქტურად ჩაესახლებინა ისეთი ხალხი (უცხოტომელები), რომელიც მისთვის მუდამ „საიმედო“ და „მადლიერი“ იქნებოდა, მაგრამ არა ქართველი, რომელიც რუსულ კოლონიალურ რეჟიმს ვერ შეეგუებოდა და ადრე თუ გვიან აჯანყდებოდა. ერთი სიტყვით, თურქეთის ჭიშკართან თავისი სანდო „ქოფაკის“ დაბმა. აკი, ამასთან დაკავშირებით, რუსეთის იმპერატორს „სტატსკი სოვეტნიკი“ ბულგაკოვი წერდა კიდეც: „ახალციხე რუსეთის იმპერიის ნამდვილი ჭიშკარია და აუცილებლობა მოითხოვს ამ ჭიშკართად საიმედო ძაღლი გვებას“;

– ახლად შემოერთებულ მხარეებში თავისი რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარების მიზნით, ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების, თვითმყოფადობის ჩაკვლა, სხვადასხვა ეთნოსებისა და ხალხების ურთიერთაღრევა;

– სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი ქართული მოსახლეობის სარწმუნოების ნიშნით შეგნებული გამიჯვნა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ამ მოსახლეობის ერთმანეთის მიმართ სარწმუნოებრივ-ეთნიკური გაუცხოება-გათიშვა, რაც ხელს შეუწყობდა ახლადგამაჰმადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანებულ ქართველობას ადვილად დაეტოვებინათ მამა-პაპური მიწა-წყალი.

ცარიზმის მოხელეთა შოვინისტური მიზნები აშკარად გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც პასკევიჩმა „არ შეივრდომა სამცხე-ჯავახეთიდან ადრე გაქცეული თავად-აზნაურების თხოვნა მათთვის დაებრუნებინა ქართველ მეფეთა ნაწყალობევი მამულები და არ მისცა საშუალება მოსახლეობისგან დაცლილ ჯავახეთის სოფლებში ქართლ-იმერეთიდან თავიანთი ძმები ჩამოესახლებინათ“.

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად შემოერთებულ სამცხე-ჯავახეთის ბევრ სოფელში, ქრისტიანი და ფარული ქრისტიანი ქართველები ცხოვრობდნენ, მოსახლეობის ერთი ნაწილი კი ახლადგამაჰმადიანებული იყო. მეფის ხელისუფლებას მცირეოდენი სარწმუნეობრივი ყურადღება და შემწყნარებლობა რომ გამოეჩინა, ეს ახლად სარწმუნეობაგამოცვლილი ქართველობა კვლავ ქრისტიანულ სარწმუნოებას დაუბრუნდებოდა. თუმცა, რუს მოხელეებს ეს სრულიად არ აინტერესებდათ. პირიქით, მათ ქართველებად არ თვლიდნენ, თურქებად მიიჩნევდნენ და ყველანაირად ცდილობდნენ (ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური ზეწოლით) რათა ეს მოსახლეობა სამშობლოდან აყრილიყვნენ და თურქეთში გადახვეწილიყვნენ.

რაც შეეხება მოგვიანებით (ძირითადში მეთვრამეტე საუკუნე) ამ რეგიონში შემოსახლებულ არაქართულ მოსახლეობას (ქურთები, თარაქამები, თურქები, ყარაფაფახები, ლეკები), ისინი არც რელიგიურად, არც ეთნიკურად შევიწროებას არ განიცდიდნენ. 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ეს მოსახლეობა რუსეთის სამსახურში ჩადგა და ქართველთა მიმართ პოლიციის ფუნქციას ასრულებდა, ამიტომ მათ თავიანთ ერთგულ ქვეშევრდომებად მიიჩნევდა.

1828 წელს დადებული ანდრიანოპოლის სამშვიდობო ტრაქტატის მე-13 მუხლით განისაზღვრა გადასახლების ვადა – 18 თვე. გამაჰმადიანებული ქართველი თავადები ჩქარობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ ამ ვადაში მოესწროთ მამულების გაყიდვა. მეფის მოხელეთა წყალობით სამცხე-ჯავახეთის მიწა-წყალი ჩალის ფასად რუს მოხელეებზე და არაქართველ ვაჭარ-სპეკულიანტებზე იყიდებოდა. სოფლებს ჩალის ფასად ყიდულობდნენ, როგორც, რუსეთის ხაზინა, ასევე კერძო პირები. ფაქტიურად სამცხე-ჯავახეთის გამაჰმადიანებული ფეოდალები ცარიელ-ტარიელი გადაიხვეწნენ თურქეთში. გამაჰმადიანებულმა ქართველმა გლეხობამაც მათ მიბაძა.

1828-1829 წლებში ომში დაღუპულთა და ომის შედეგად თურქეთში გადახვეწილთა სახით სამცხე-ჯავახეთმა ფაქტიურად მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა. ამ პერიოდში ომის შედეგად ახალციხის საფაშოდან უცხოეთში გადაიხვეწა 10-12 ათასი ოჯახი, სულ ცოტა 60-65 ათასი სული, რომლებიც დასახლდნენ ოსმალეთის ტერიტორიებზე.

მრავალი შიმშილ-სიცივისგან გზაში გაწყდა. ვინც ოსმალეთში უვნებლად ჩააღწია, იმანაც ვერ იხეირა. ათასი გაჭირვება და ვაი-ვაგლახი ნახა ახალ ადგილზე, ვერ უძლებდა თავზე დატეხილ მრავალ უბედურებას, სნეულდებოდა და წუთისოფელს ესალმებოდა. ვინც ცოცხლად დარჩა ვერც ის ხეირობდა. სამშობლოს დარდი და სევდა ტანჯავდა, უცხოობას ვეღარ იტანდა... მცირე აზია და ევროპის ოსმალეთი მოიფინა მესხეთიდან გადასახლებულთა სოფლებით, სადაც „დღესაც გაისმის წმინდა, წკრიალა ქართული ენა“.

1834 წლის სტამბულის კონვენციის გადაწყვეტილებით, ფოცხოვის, ქვაბლიანის, ჩილდირის, ახალქალაქის სანჯაყებში დარჩენილ გამაჰმადიანებულ მკვიდრ ქართულ მოსახლეობას კვლავ 18 თვიანი ვადა მისცეს, რათა თავიანთი სურვილით გაეყიდათ უძრავ-მოძრავი ქონება, დაეტოვებინათ მამა-პაპური მიწა-წყალი და თურქეთში გადასულიყვნენ. ამ კონვენციას ერთ-ერთ მუხლად დაემატა გრაფი როზენის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქრისტიანებს (იგულისხმებოდა იქ დარჩენილი სომხები) მისცემოდათ უფლება ამავე ვადაში გადმოსულიყვნენ გამაჰმადია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებული ქართელებისგან დაცლილ ადგილებში. მეფის რუსეთი ფიქრობდა, რომ ამ ღონისძიებით საბოლოოდ დაიცლებოდა ეს რეგიონი ადგილობრივი ქართული მაჰმადიანური მოსახლეობისგან.

კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ, სამცხე-ჯავახეთიდან გამაჰმადიანებული ქართველების წასვლის ნაცვლად ამ რეგიონიდან ადრე თურქეთში წასული ქართველების დიდი ნაწილი აიყარა, საზღვარს მოადგა და მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნებას ითხოვდა. ეს გარემოება არც თურქეთს აწყობდა და არც რუსეთს. თურქეთს არ სურდა შრომისმოყვარე ხალხი ხელიდან გაეშვა, ხოლო რუსეთს არ უნდოდა სამშობლოში დაბრუნებულიყო ეს მოსახლეობა როგორც „არაქრისტიანი“ და „არასაიმედო“, რომელთა ნამოსახლარებზე და სოფლებში ყარს-არზრუმელი სომხობა ჰყავდა ჩამოსახლებული.

ზოგიერთი ქართველი ახერხებდა ფარულად, საზღვრის გადმოკვეთით სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ მეფისნაცვალ გოლიცინის მოთხოვნით საზღვარზე გადმოსულ ყველა მაჰმადიან ქართველებს ან აპატიმრებდნენ ან უკან აბრუნებდნენ. თურქეთის ხელისუფლებაც ყველანაირად ცდილობდა ადგილზე დაეტოვებინა ეს მოსახლეობა. მართალია, 300- მდე ოჯახმა მოახერხა საზღვრის გადმოკვეთა და ახალციხის მაზრის სოფლებში განსახლება, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო!..

1840 წელს, გართულებული საადგილმამულო საკითხების გასარკვევად, ახალციხეში ჩამოსულ მეფის დიდმოხელე ბულგაკოვს ფოცხოვის, ქვაბლიანის, ახალციხისა და აბასთუმნის სანჯაყ-ბეგებმა თხოვნით მიმართეს: „ ჩვენი სურვილია დავუბრუნდეთ ჩვენი წინაპრების ძველ ქართულ ქრისტიანულ სარწმუნოებას, მთელი ჩვენი მხარის მცხოვრებლებთან ერთად თუ მთავრობა ისეთივე პირობებს შეგვიქმნის, როგორც ქართველ თავად-აზნაურობას აქვს“ (შ. ლომსაძე – სამცხე-ჯავახეთი. თბ. 1975 წ. გვ.353). რა თქმა უნდა, პეტერბურგმა ამ თხოვნაზე სასტიკი უარი განაცხადა. ამას კი გამაჰმადიანებული ქართველების ქრისტიანული ადგილობრივი მოსახლეობისგან არა მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტო სარწმუნოებრივი, არამედ, ეროვნული გაუცხოებაც მოჰ-ყვა და მისმა მწარე შედეგებმა არა მარტო 1918-1919 წლებში, არამედ, 1944 წელსაც იჩინა თავი.

მაშასადამე, დოკუმენტურად დასტურდება, რომ მე-19 საუ-კუნის 20-იანი წლებიდან 70-იან წლებამდე მუჰაჯირებად, საბო-ლოო ჯამში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან თურქეთში გადასახლდა 100 000-მდე გამაჰმადიანებული ქართველი. გა-დახვეწილთა ნახევარზე მეტი (60-65 000) სამცხე-ჯავახეთი-დან იყო. სამცხე-ჯავახეთიდან გამაჰმადიანებული ქართველე-ბის დიდი ნაწილის იძულებით განდევნა და მათ ნამოსახლარზე უცხოტომელთა შემოსახლება იყო მეფის რუსეთის კოლონია-ლური პოლიტიკის აშკარა გამოვლინება, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა ხალხების ერთმანეთში აღრევა, მათი ეროვნული თვითშეგნების ჩაკვლა და ამ გზით რუსიფიკატორული პოლი-ტიკის გატარება. ამ რეგიონის მოსახლეობის სარწმუნოებრივი ნიშნით შეგნებულმა გამიჯვნამ უარყოფითი შედეგი შემდეგ-შიც არაერთხელ გამოიღო!..

თავი XI

ზოგი რამ ე. წ. „თურქი მესხების“ ცნებისა და ვინაობის შესახებ

დღეისთვის არსებული წერილობითი წყაროების, სპეცია-ლური თუ ზოგადი ლიტერატურის, საარქივო დოკუმენტებისა და ჩემს მიერ ათეული წლების განმავლობაში მოძიებულ-და-ფიქსირებული ეთნოგრაფიული მასალების ურთიერთშეჯერე-ბა-გაანალიზება საშუალებას იძლევა ერთხელ და საბოლოოდ განისაზღვროს: ვინ არიან ე.წ. „თურქი მესხები“... რა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო მოხდა სამცხე-ჯავახეთიდან მაჰმადიანური სარწმუნოების მქონე (განურჩევლად ეთნიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთვნილებისა) მოსახლეობის შუა აზიაში გასახლება.

წერილობითი დოკუმენტებითა და ეთნოგრაფიული მასალებით ნათლად ჩანს, რომ მე-20 საუკუნის 40-იან წლებამდე ეთნიკური შემადგენლობითა და რელიგიური კუთვნილების მიხედვით ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების (დღევანდელი ნინოწმინდის, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენის რაიონები) მოსახლეობა მეტად ჭრელი იყო. აქ ცხოვრობდნენ ძირძველი – მკვიდრი ქრისტიანი და ნაწილობრივ გამაჰმადიანებული ქართველები, მოგვიანებით შემოცხოვრებული ქურთები, თურქები, თარაქამები, ბოშები, სომხები, ბერძნები, უკრაინელები, ყარაფაფახები და რუსი რასკოლნიკ-დუხობორები.

1830 წელს, თურქეთის აღმოსავლეთ პროვინციებიდან სომხების დიდი რაოდენობით შემოსახლებასთან დაკავშირებით დაისვა ჯავახეთიდან არაქრისტიანული სარწმუნოებისა და სხვა ეროვნების ხალხების გასახლებისა და ჩამოსახლებული სომხებისთვის ერთგვარი ავტონომიური ბუფერის შექმნის საკითხი. ამ მიზნით:

1831 წელს ყარაფაფახების ერთი ნაწილი ჯავახეთიდან აყარეს და დაასახლეს ერუშეთის იმ ნაწილში, რომელიც ანდრიანოპოლისის ზავის შემდეგ რუსეთის საზღვრებში დარჩა და რომელსაც ისტორიულ წყაროებში „ნიგალის“, ანუ ნიალის ველი ეწოდება (დღევანდელი ასპინძის რაიონი). აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ არა მხოლოდ ახალქალაქის მაზრაში, არამედ საერთოდ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ თურქებსა და თარაქამებს რუსეთის მიერ ამ რეგიონის შემოერთებამდე და შემოერთების შემდეგაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან და ხშირად გადადიოდ-გადმოდიოდნენ საზღვარზე, მათი ამგვარი მიმოსვლა არც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეუწყვეტიათ. თარაქამები სამცხე-ჯავახეთში შემოდიან მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასწყისში. ისინი ბოლომდე, ძირითადად, მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ამგვარად, მიწაზე ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1870 წელს გამოცემული „თბილისის გუბერნიის აღწერილობის მასალების კრებულის“ მონაცემებით, ამ დროისთვის ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში ცხოვრობდა:

– მაჰმადიანი ქართველი – 20 855 სული;
– ქურთი – 1 067;
– თარაქამა – 2 360;
– თათარი – 574;
სულ – 24 857 სული.

1916 წლის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა შემდეგი იყო:

ახალციხის მაზრაში:
– მაჰმადიანი ქართველი – 52 000;
– ქურთები – 2 000.
ახალქალაქის მაზრაში:
– მაჰმადინი ქართველი – 7 000;
– ქურთი – 1 000;
– თარაქამა – 1000.
ორივე მაზრაში ცხოვრობდა:
– მაჰმადიანი ქართველი – 59 000;
– ქურთი – 3 000;
– თარაქამა – 1 000;
სულ – 63 000 მუსლიმანური აღმსარებლობის მოსახლეობა.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ოსმალეთის იმპერია, როგორც გერმანიის მომხრე, დამარცხებული ქვეყანა, ოკუპაციის ზონებად დაიყვეს ანტანტის წევრმა სახელმწიფოებმა – ინგლისმა და საფრანგეთმა, ხოლო საბერძნეთმა აქტიური საომარი მოქმედებები წამოიწყო ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების მიზნით. თავის მხვრივ, საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც მასობრივად ცხოვრობდა მუსლიმანური აღმსარებლობის მოსახლეობა, პოზიციების შენარჩუნების მიზნით თურქეთის რეაქციულმა ძალებმა და ეროვნული მოძრაობის ემისრებმა, რელიგიურ მოღვაწეთა (ხოჯა-მოლების) ფართო ჩართვით გააჩაღეს აქტიური საქმიანობა სამცხე-ჯავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეთის მუსლიმ მოსახლეობას შორის ოსმალური პოლიტიკური ორიენტაციის განმტკიცების მიზნით. მათი ხელშეწყობითა და წაქეზებით, მუსლიმი მოსახლეობისგან ყალიბდებოდა მოთარეშე ბანდები, რომლებიც აწიოკებდნენ ქრისტიან მოსახლეობას, ამით საბოლოოდ უნდა გაემიჯნათ და ერთმანეთზე სამკვდრო-საციცოცხლოდ გადაეკიდათ რეგიონის ქრისტიანი და მუსლიმანური მოსახლეობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, განსაკუთრებით 1918-1919 წლებში, გააქტიურდნენ ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარი ბანდები – „ხუჟანები" (ადგილობრივი მკვიდრი ქრისტიანი მოსახლეობა „ხუჟნებს" ახალციხისა და ადიგენის რაიონებში მცხოვრებ მაჰმადიან მოთარეშე ბანდებს ეძახდნენ). მოთარეშე ბანდები – „ხუჟანები", განსაკუთრებული სისასტიკით, ქართველ ქრისტიან მოსახლეობას უსწორდებოდნენ. შემოესეოდნენ ქრისტიანთა სოფლებს, ძარცვავდნენ, აქტივისტებს ხოცავდნენ, ქალებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა გოგონებს კი აუპატიურებდნენ. ამიტომ, ახალქალაქის მაზრის ქრისტიან მოსახლეობას ამ წლებში ორჯერ მოუხდა აყრა და საქართველოს სხვა რეგიონებში გადასახლება.

საბოლოო ჯამში, სარწმუნოებაგამოცვლილი ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, თავისი შეგნებით, მრწამსითა და რწმენით თურქებად ჩამოყალიბდნენ და ნებაყოფლობით აირჩიეს გადასახლებულთა ბედი!..

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გააქტიურდა მუშაობა მოსახლეობის ეროვნული კუთვნილებისა და სარწმუნოებრივი ორიენტაციის გამორკვევის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ რიგი ქართველობა ფარულად ინარჩუნებდა ქრისტიანობას, იმ სოფლებში, სადაც შერეული ქრისტიანულ-მაჰმადიანური სარწმუნოების მატარებელი მოსახლეობა ცხოვრობდა, მოიწვიეს სოფლის საერთო კრება – „დინი საჩლაჯარ" (რჯულის გამრჩევი ყრილობა). ყოველ მაცხოვრებელს, განურჩევლად რწმენისა, მიეცა საშუალება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებაყოფილობოთ, თვითონ აერჩია ქრისტიანობა – ქართველობა, თუ მაჰმადიანობა – თურქობა (ამ რეგიონის მოსახლეობაში ოდითგანვე ასე ჩამოყალიბდა: ქრისტიანობა ნიშნავდა ქართველობას, მაჰმადიანობა – თათრობა-თურქობას). სამწუხაროდ, არა მარტო ქურთებმა, თარაქამებმა და თურქმანული წარმომავლობის მოსახლეობამ, არამედ სარწმუნოებაგამოცვლილ ქართველთა (იერლების-მკვიდრთა) დიდმა უმრავლესობამაც შეგნებულად, თავის რჯულად მაჰმადიანობა და ეროვნებად თურქობა აღიარეს და ამდენანდ, თვითონვე განსაჯეს საკუთარი ბედი.

ხელისუფლებამ დიდი მუშაობა გაწია მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაციის გამოსაკვლევად და მის შესაცვლელად. მაჰმადიანური მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაცია დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა მხარის დანარჩენი მოსახლეობისთვისაც. თათრები თავიანთ მომავალს აშკარად თურქეთის ბედთან აკავშირებდნენ. აქედან გამომდინარე, საბჭოთა ხელისუფლება აქტიურ ღონისძიებებს ატარებდა მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაციის გასარკვევად.

ასე, მაგალითად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1937 წლის 15 ივნისის დადგენილებით, საქართველოს სსრ ახალი (სტალინური) კონსტიტუციის მიღების შემდეგ, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის წინ, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისგან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ვითარების გასარკვევად აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში გაემგზავრა. კომისია ადგილებზე ატარებდა გამოკითხვას სარწმუნოებრივი და ეროვნული კუთვნილების გამიჯვნის თაობაზე. მაჰმადიან ქართველებს წინადადებას აძლევდნენ, რომ ეროვნული კუთვნილებით ქართველებად დაწერილიყვნენ. აღნიშნული კომისიის შემადგენლობაში ცნობილი ისტორიკოსი აკადემიკოსი სიმონ ჯანაშიაც შედიოდა. მან მოიარა სამცხე-ჯავახეთის სოფლები, სადაც ხვდებოდა მაჰმადიან მოსახლეობას, უხსნიდა, რომ ეროვნული და სარწმუნოებრივი კუთვნილება შეიძლება სხვადასხვა ყოფლიყო, არკვევდა მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ მიკუთვნებულობას და თავაზობდა დაწერილიყვნენ ქართველებად, ესე იგი, – პასპორტისა თუ აღწერის ოქმებში ეროვნების აღნიშვნის გრაფაში ქართველი ჩაეწერათ. ყოვლად დასანანია, მაგრამ ამ წინადადებას მოსახლეობა სასტიკი უარით ხვდებოდა. არადა, რჯულის შეცვლას და მონათვლას არავინ ავალებდა, მარტო პასპორტში უნდა ჩაეწერათ ეროვნება – ქართველი. რა თქმა უნდა, ამ საგანგებო აქციის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად შეიძლებოდა ქართველ მაჰმადიანთა თურქულ-მუსლიმანური ორიენტაციიდან შემობრუნება და მათში პოლიტიკური დასაყრდენის მოპოვება.

არსებული ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე რეგიონის ქართულ მოსახლეობაში კვლავ გაჩნდა მუსლიმანური აღმსარებლობისთათრების მხრიდან აგრესიის შიში. კვლავ ელოდნენ „ხუჟანების“ – ადგილობრივ მაჰმადიანთა მოთარეშე ბანდების ჩამოყალიბება-გააქტიურებას.

მართალია, დიდი სამამულო ომის დროს საყოველთაო მობილიზაციის შედეგად 40 000 მაჰმადიანური აღმსარებლობის სამცხე-ჯავახეთის მოსახლე იბრძოდა სხვასხვა ფრონტებზე, მაგრამ მობილიზაციის პროცესს უმტკივნეულოდ და პასუხისმგებლური გაგებით არ ჩაუვლია. ათასობით მაჰმადიანმა წვევამდელმა, მობილიზაციის თავის არიდების მიზნით, მუსლიმი ემისრებისა და ხოჯა-მოლების აქტიური აგიტაციის წყალობით, შეიარაღებული ორგანიზებული ჯგუფები ჩამოაყალიბეს და ტყეში გავიდნენ, ნაწილმა მოახერხა და საქართველოს ტერიტორია დატოვა, არალეგალურად სახელმწიფო საზღვარი გაარღვია-გადალახა და თურქეთში გადავიდა.

თურქეთის მხრიდან მეორე ფრონტის გახსნის მოლოდინში, თურქეთის სპეცსამსახურებისა და რელიგიური ემისრების აგიტირებითა და აქტიური ხელშეწყობით, რეგიონის მაჰმადიანი მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი, დიდი სამამულო ომის, გასაკუთრებით კი კავკასიის ფრონტზე წასვლის ნაცვლად, იარაღდებოდნენ, ირაზმებოდნენ ჯგუფებად და ტყეებსა და მიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალ ადგილებში ბანაკდებოდნენ. ასე მაგალითად, 1942 წელს სოფელ მუსხის (ახალციხის რაიონი) მაჰმადიანი მოსახლეობისგან შეიქმნა 300 კაციანი ჯგუფი, ტყეში გავიდა და დაბანაკდა. ასევე, შეიარაღებულ მაჰმადიანთა 300 კაციანი ჯგუფი მოხის (ადიგენის რაიონი) ტყეში იყო დაბანაკებული. სამწუხაროდ და სავალალოდ, მათ დასაშოშმინებლად და გასანეიტრალებლად, საბჭოთა ხელისუფლებას სამხედრო ძალის გამოყენება დაჭირდა!..

მსგავსი ფაქტების მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ესეც საკმარისია დავინახოთ, თუ როგორი „ეროვნული სულისკვეთებით“ იყო გამსჭვალული სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მუსლიმანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი...

საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის N 6279-სს დადგენილების საფუძველზე, შუა აზიის რესპუბლიკებში გადასახლებული იქნა 19 818 ოჯახი. მათ შორის:

– თურქები – 14 493 ოჯახი;
– ქურთები – 1 830 ოჯახი;
– აზერბაიჯანელები – 3 058 ოჯახი;
– იეზიდები – 7 ოჯახი;
– თათრები – 126 ოჯახი;
– ჰემშილები – 304 ოჯახი.

რაიონების მიხედვით გადასახლების სურათი ასე გამოიყურებოდა:

ახალციხის რაიონიდან:
– თურქები – 2 609 ოჯახი;
– ქურთები – 389 ოჯახი;
– აზერბაიჯანელები – 2 473 ოჯახი;
– თათრები – 126 ოჯახი.
სულ: 5 597 ოჯახი.
ადიგენის რაიონიდან:
– თურქები – 6 702 ოჯახი;

– აზერბაიჯანელები – 278 ოჯახი;
სულ: 6 980 ოჯახი.
ახალქალაქის რაიონიდან:
– თურქები – 614 ოჯახი;
– ქურთები – 155 ოჯახი;
სულ: 769 ოჯახი.
ასპინძის რაიონიდან:
– თურქები – 3 743 ოჯახი;
– ქურთები -488 ოჯახი;
– აზერბაიჯანელები – 301 ოჯახი;
სულ: 4 532 ოჯახი.
ბოგდანოვკის (ნინოწმინდის) რაიონიდან:
– თურქები – 157 ოჯახი;
– ქურთები – 6 ოჯახი;
– აზერბაიჯანელები – 6 ოჯახი;
– იეზიდები – 7 ოჯახი.
სულ: 176 ოჯახი.
აჭარიდან გაახლეს 1 764 ოჯახი, მათ შორის:
– თურქები – 668 ოჯახი;
– ქურთები – 792 ოჯახი;
– ჰემშილები – 304 ოჯახი.

თავი XII

რომანის სიუჟეტიდან გამომდინარე, ისტორიული თანხვედრის შესატყვისად, მინდა მკითხველს დანარჩენ, დანაწევრებულ „საქართველოებში“ განვითარებული მოვლენები, მთელი თავისი ტრაგიზმით, მოკლედ, მაგრამ ქრონოლოგიურად წარმოვუდგინო:

... 1783 წელს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ და რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II ხელშეკრულება -ტრაქტატი დადეს, რომლის ძალითაც რუსეთის მეფეებმა ვალად დაიდეს და იკის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს სამცხე – საათაბაგოს საქართველოსთვის დაბრუნება.

1783 წლის 24 ივლისს, გენერალმა პავლე პოტიომკინმა (ეკატერინე II-ს ფავორიტის – გრიგორი პოტიომკინის ბიძაშვილმა), ბატონიშვილმა იოანემ და ქართლ-კახეთის მეფის ელჩმა, გარსევან ჭავჭავაძემ, რუსეთის იმპერიის ქალაქ გეოერგიევსკში ტრაქტატს მოაწერეს ხელი.

ტრაქტატი მოიცავდა 13 მთავარ, 4 „სეპარატულ“ არტიკულსა და ერთგულების ფიცის ნიმუშს. მკითხველისთვის რომ ბოლომდე გასაგები იყოს ტრაქტატის-ხელშეკრულების არსი და მისი ნიუანსები, განვიხილოთ მუხლობრივად:

არტიკულიები:

– ქართ-კახეთის მეფე წყვეტს ირანთან და სხვა სახელმწიფოებთან კავშირს და აუქმებს ადრე დადებულ შეთანხმებებს, თუ ყოველგვარ ვალდებულებებს;

– რუსეთი იღებს ვალდებულებას: დაიცვას მეფე ერეკლეს მფლობელობაში მყოფი ქართლ-კახეთის სამეფო არსებულ საზღვრებში;

– შემდგომად საქართველოს (ქართლ-კახეთის) მეფეს ამტკიცებს რუსეთის იმპერატორი;

– საქართველოს მეფეს არ უნდა ჰქონდეს მიწერ-მოწერა სხვა ქვეყნებთან, საჭიროების შემთხვევაში, თუ ეწვევიან სხვა ქვეყნის ელჩები, ან მიმართავენ წერილობით, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მესაზღვრე მთავარს და საიმპერიო მინისტრს და დაელოდება მის გადაწყვეტილებას;

– ხელშეკრულება ელჩი – „რეზიდენტების“ გაცვლის ნებას იძლეოდა;

– საქართველოს მტერი რუსეთის მტრად ცხადდებოდა. ამასთანავე, რუსეთი არ ჩაერეოდა საქართველოს მართვა-გამგეობაში. ე.ი. შიდა საქმეებში, კერძოდ: – დაიცავდა ერეკლეს მემკვიდრეობას ქართლ-კახეთის სამეფოში; მსჯავრისა და სამართალწარმოების არსებულ წესებს არ ხელყოფდა; უცვლელად ტოვებდა ხარკისა თუ გადასახადების აკრეფის წესს, რაც მეფის განკარგულებაში დარჩებოდა მთლიანად, ასევე არ ჩა-

ერევოდა ქართლ-კახეთის სამეფოში დადგენილ საკადრო-შიდამმართველობით პოლიტიკაში;

– ერეკლე მეფე თავისი მემკვიდრეების სახელითაც პირობას დებდა, რომ მხედრობა მუდმივ საომარ მდგომარეობაში ეყოლებოდა; ქართველ მეფეებს უნდა დაეკმაყოფილებინათ რუსი სამხედრო მეთაურების მოთხოვნები, სახელმწიფო სამსახურში კი ის ადამიანები დაეწინაურებინათ, რომლებსაც რუსეთის იმპერიის წინაშე გარკვეული დამსახურებები მიუძღოდათ;

– საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს რუსეთის საიმპერიო წმინდა სინოდს უქვემდებარებდა და ტობოლსკის შემდეგ მე-8 ხარისხს ფლობდა, ხოლო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის მოსაგვარებლად მომავალში „სხვა არტიკული“ უნდა დაწერილიყო, ე.ი. ცალკე მოლაპარაკების საგანი უნდა ყოფილიყო;

– ერეკლე II-ის მიერ წარდგენილი სიების თანახმად ქართველი ფეოდალები რუს თავად-აზნაურობას უთანაბრდებოდნენ;

– ქართლ-კახეთის მოქალაქეებს რუსეთში თავისუფალი გადაადგილების, ვაჭრებს კი – აღება – მიცემობის (რუსი ვაჭრებისთვის ანალოგიური უფლებების მინიჭების შემთხვევაში) ნება ეძლეოდათ;

– სამხედრო ტყვეებს, რომლებიც გამოსასყიდს დაფარავდნენ და გზის ხარჯებს გადაიხდიადნენ, სამშობლოში დაბრუნება შეეძლოთ;

– ხელშეკრულება „იქმნებოდა საუკუნოდ“, ხოლო, რატიფიკაციისთვის „სათანადო არს ურთიერთარს შეცვალებულ-ყოფაი ექვსა თვითთა შინა ხელის-მოწერითა“. ესე იგი რატიფიცირება უნდა განხორციელებულიყო ურთიერთ შეთანხმებულ-შეჯერებული ცვლილებების მიხედვით – ექვსი თვის განმავლობაში.

„სეპარატული“, ანუ საიდუმლო არტიკულების მიხედვით:

– ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II და იმერეთის მეფე სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომონ I შორის შუამავალი რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II უნდა ყოფილიყო;

– რუსეთი ვალდებულებას იღებდა, რომ ქართლ-კახეთში ჩააყენებდა „ორსა სრულსა ბატალიონსა ქვეითისა ოთხითა ზარბაზნითა, რომელთაცა პრავიანტი და საკვები უსიტყვთა ხარისხისაებრ მხედრობისაგანთა მათ მიეცემის... დადებულითა ფასითა“;

– ომიანობის შემთხვევაში გაერთიანებულ ლაშქარს, რუსი „მთავარი მესაზღვრე“ უსარდლებდა;

– რუსეთის იმპერატორი ვალდებულებას იღებდა, „რათა დროსა ბრძოლისასა იხმაროსმცა ყოველი შემძლებლობაი მეცადინეობისა ღონითა საჭურველისათა, ხოლო, დროსა მშვიდობისასა დაზავებისა მიერ უკმო-ქცევისათვის ქვეყანისა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა და ძველადვე სამეფოისა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა“. ანუ ბრძოლების ან მშვიდობიანი მოლაპარაკებების შედეგად დაბრუნებული ადგილები და ქვეყანა, რომლებიც ძველთაგანვე ქართლის და კახეთის სამეფოებს ეკუთვნოდათ, უკანვე მათ უბრუნდებოდათ.

ერეკლესთვის ნამდვილი სატყუარა სწორედ ეს, უკანასკნელი სეპარატული არტიკული აღმოჩნდა. ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი ისტორიული ქართული მიწების გათავისუფლება-გამოხსნის და ქართლ-კახეთის შემადგენლობაში დაბრუნების ვალდებულებას იღებდა. მეხსეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი კვლავ იქნებოდა...

ტრაქტატი, რეალურად, მეფე ერეკლეს ახალგაზრდა მსაჯულმა, სოლომონ ლეონიძემ შეადგინა. მან უცხო ენები ბრწყინვალედ იცოდა და საოცარი მჭერმეტყველებით გამოირჩეოდა. თუმცა, ხელშეკრულებაში ანტიქართული, მზაკვრული დეტალები, თავად გრიგორი (ხელმომწერ პავლეს ბიძაშვილმა) პოტიომკინმა შეიტანა.

ფაქტობრივად, ტრაქტატის საბოლოო მიზანი იყო საქართველოს ხელში ჩაგდება. ტრაქტატის კაბალური დებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებით ხელ-ფეხ შეკრული და სამხედრო დახმარების არაღმოჩენითა და აგრესიული მეზობლების შურისმაძიებლური რბევა-თარეშის მეშვეობით დასუსტებული და სისხლგამოცლილი...

დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების აკრძალვამ (იმ პირობებში, როდესაც პეტერბურგიდან სამხრეთ კავკასიაში პასუხი რამდენიმე თვის შემდეგ ჩამოდიოდა) ერეკლე თურქეთისა თუ ირანის მხრიდან მოსალოდნელი შემოსევებისთვის გაწირა, ხოლო ეკლესიის საკითხისადმი მიძღვნილ არტიკულს, შეიძლებოდა ქართული მართლმადიდებლობის ათასწლოვანი დამოუკიდებლობისთვის წერტილი დაესვა. კავკასიონის ქედი რუსეთის მხრიდან სწრაფ სამხედრო დახმარებას გამორიცხავდა.

ერეკლე მეფე უდავოდ აცნობიერებდა, რომ ხაფანგში გაება. ეს კი საქართველოს, როგორც იმერეთის ასევე, ქართლ-კახეთის სამეფოს, ძალიან ძვირი დაუჯდა. ჯერ იყო და რუსეთის იმპერიამ პროვოკაციული პოლიტიკის გამოისობით (1791 წელს რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული იასის ხელშეკრულება) იმერეთის სამეფო ოსმალთა მუდმივი შემოსევა-გაჩანაგების არენად აქცია, ხოლო, შემდგომში გაჩანაგებული და სასოწარკვეთილებამდე მიყვანილი სამეფო და მასში შემავალი სამთავროები იოლად ნაწილ-ნაწილ მიიერთა...

1795 წელს ერეკლე მეფემ, ირანის შაჰის, აღა-მამად – ხანისაგან ულტიმატუმი მიიღო: „... გაუწყებთ, რომ ჩვენ ერთგულება ასე გვესმის: ამჟამად ჩვენი უმაღლესი ნებაა, რომ შენ, როგორც ჭკვიანმა ადამიანმა, მიატოვო ამგვარი სახის საქმე და გაწყვიტო კავშირი რუსებთან. თუ ამ ბრძანებას არ შეასრულებ, მაშინ მალე მოვაწყობთ ლაშქრობას საქართველოში, ერთად დავღვრით რუსულ და ქართულ სისხლს და მტკვარივით ვადენთ“. საქართველო ირანის პირისპირ მარტო აღმოჩნდა: სომეხმა კათალიკოსმა აღა-მაჰმად-ხანს, მშვიდობის სანაცვლოდ, 100 000 მანეთი გადაუხადა და ქართლ-კახეთის მეფეს განუდგა, ხოლო, რუსმა გენერალმა გუდევიჩმა, რუსული საჯარისო შენაერთი ჩრდილო კავკასიაში – გეორგიევსკში გაიყვანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითომცდა როტაციის (ჩანაცვლების) მიზნით, სინამდვილეში კი ნაბრძანები ჰქონდა „ხარჯსა და არს მორიდებოდა“.

ერეკლე მეფემ სულ ტყუილად შეაკეთა ჯვრის უღელტეხილზე გადასასვლელი გზა და 3 000 რუსი ჯარისკაციც სულ ამაოდ მოითხოვა. 1795 წლის აგვისტოში, ირანის შაჰმა 70 000 -ანი ლაშქრით მდინარე არაქსი გადმოლახა და პირდაპირ ქართლისკენ დაიძრა. თბილისის მისადგომებს კი მხოლოდ 5 000 ქართველი იცავდა.

1795 წლის 11 სექტემბერს დილის ნისლში, თბილისის მისადგომებთან, 35 000-მა ირანულმა არმიამ ქართველებს ყოველი მხრიდან შეუტია. შედეგად ირანელებმა 13 000 ადამიანი დაკარგეს (არმიის მესამედი), ქართველებმა – 4 000(თითქმის მთელი არმია). ირანელებმა თბილისი გაძარცვეს, რაც ხელს ვერ გააყოლეს, გადაწვეს. ქუჩებში 20 000 გვამი ეყარა და იხრწნებოდა, გადარჩენილები კი შიმშილითა და ეპიდემიებით იხოცებოდნენ. ქართული ლაშქრის ნარჩენებმა თავი არაგვის ხეობას შეაფარეს... ირანელი მბრძანებელი სამშობლოსკენ 21 სექტემბერს დაიძრა და 16 000 ქართველი ტყვე წაასხა...

...ორმა რუსულმა ბატალიონმა, დეკემბერში გადმოლახა ჯვრის უღელტეხილი. აღა-მაჰმად-ხანი ამ დროს მეამბოხეებს ხორასანში (შიდა ირანი) ებრძოდა...

რუსეთის პრესტიჟი საგრძნობლად შეილახა: ირანულმა ლაშქარმა მისი ვასალი სამეფო მიწასთან გაასწორა. ერეკლეს თანამედროვეები ეჭვობდნენ, რომ ეკატერინე II ერეკლე მტერს დასაგლეჯად განზრახ მიუგდო, რათა სისხლისგან სრულიად დაცლილი ქვეყანა მერე ადვილად მიეერთებინა...

საბოლოოდ 1796 წლის 6 ნოემბერს ეკატერინე გარდაიცვალა. მისმა ვაჟმა – პავლემ კი დედის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უმრავლესობა გააუქმა: გენერალ გუდევიჩს უბრძანეს, ქართლ -კახეთის მეფესთან მხოლოდ ისეთი დამოკიდებულება ჰქონოდა, როგორც რუსების „მტრების შესაძლო მტერთან“. წლის ბოლოს კი საქართველოდან ჯარები გაიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1797 წლის 6 ივნისს აღა-მაჰმად-ხანი მოკლეს. 1798 წლის 11 იანვარს ერეკლე მეფე გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა ერეკლეს გაუბედავი და ავადმყოფი ვაჟი გიორგი – XII, რომელიც მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა.

... 1800 წლის 28 დეკემბრამდე იმპერატორ პავლე- I უკვე ჰქონდა შედგენილი მანიფესტი, რომლის მიხედვითაც, ქართლ-კახეთის სამეფო უშუალოდ რუსეთის იმპერიის იურისდიქციას დაექვემდებარებოდა...

... 1801 წლის 18 იანვარს, ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა. გენერალ-გუბერნატორად გენერალი კრონინგი დაინიშნა, რომელმაც 11 მარტს საიდუმლო ბრძანება გამოსცა მამრობითი სქესის ბაგრატიონების რუსეთის ევროპულ ნაწილში გადასახლების შესახებ.

ახალგამომცხვარ „მთავრობაში“ გენერალი კრონინგი მთელი სამხრეთ კავკასიის მთავარსარდალი გახდა, გენერალი კოვალენსკი – პირველი მინისტრი, რჩეული ქართველები კი – მრჩევლები და თარჯიმნები. მთავრობა ოთხი ექსპედიციისგან შედგებოდა: აღმასრულებელი, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ფინანსური.

ახალი „გუბერნია“ ხუთ მაზრად დაიყო, მათ სათავეში სამაზრო პოლიციის უფროსი ჩაუყენეს (კაპიტან-ისპრავნიკი), პრიმიტიული სასამართლოთი. მართლმსაჯულებისა და ადმინისტრაციის ერთადერთი ენა რუსული გახდა: ვის ადარდებდა ის, რომ მოსახლეობის 95 პროცენტს რუსულის არაფერი გაეგებოდა...

1806-1812 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსეთის იმპერიამ მოახერხა დასავლეთ საქართველოს სამთავროების – აფხაზეთის (5 000 მუსლიმი ჩერქეზ-აფხაზი თურქეთში გადასახლდა), სამეგრელოს, გურიის და სვანეთის შემოერთება. მართალია, მათ გარკვეული ავტონომიური მმართველობა შეუნარჩუნდათ.

1809 წელს გენერალმა ტორმასოვმა საველე სასამართლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ები შემოიღო. მანვე თურქთიდან იმიგრირებული კათოლიკეები და პონტოელი ბერძნები შეიფარა, თრიალეთის ზეგანზე დაასახლა და გადასახადებისგან გაათავისუფლა.

1810 წელს რუსეთის იმპერიის გენერალმა ტორმასოვმა ყველა იმერელი ფეოდალი რუსის მეფის ერთგულებაზე დაიფიცა, ხოლო, იმერეთის მეფე სოლომონ II დაატყვევა. მეფე თბილისის ციხიდან გაიპარა და ახალციხეში გადავიდა. შემდეგ, ერევანში ალექსანდრე ბატონიშვილს შეხვდა. მეფე სოლომონ II (1815 წლის 7 თებერვალს ტრაპიზონში გარდაიცვალა) და მისი მომხრეები ახალციხიდან აქტიურად მოქმედებდნენ დამოუკიდებლობის აღსადგენად, მაგრამ უშედეგოდ.

გენერალმა ტორმასოვმა მონანიე იმერლების დელეგაცია პეტერბურგში გააგზავნა, იმერეთის სამეფოს ადმინისტრაცია გურიისა და სამეგრელოს ადმინისტრაციასთან გააგერთიანა და ქვეყანას „დროებითი მთავრობა“ დაუნიშნა. იმერეთის სამეფო გაუქმებულად გამოაცხადა.

იმერეთის სამეფო იღუპებოდა:

– მხოლოდ 1811 წელს მოუსავლიანობის, ბლოკადისა და ომების გამო 30 000 ადამიანი დაიღუპა;

– შიმშილმა აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარი გაწყვიტა, 5 000 მუსლიმმა ჩერქეზ-აფხაზმა ანატოლიაში (თურქეთი) გადასახლებით თავს უშველა;

– იმერეთში შავი ჭირი, მალარია და ციებ-ცხელება ბობოქრობდა. მოსახლეობის რაოდენობა კატასტროფულად მცირდებოდა. შავმა ჭირმა დაავადებულთა 3/4 (4 000) შეინირა, ხოლო 7 450 გლეხმა ახალციხეში გაქცევით თავს უშველა;

– ტორმასოვის წყალობით, იმერეთის მოსახლეობის ნახევარი დაიღუპა, ნახევარი კი ტანჯვა-წამებას და უმოწყალო ხოცვა-ჟლეტას განიცდიდა (1816 წლისთვის დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა 120 000 სულს შეადგენდა, ხოლო ქალაქ ქუთაისის – 1000 მოსახლეს);

– 1811 წელს იმერეთში შიმშილობა ჩამოვარდა. ლტოლვილი მოსახლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მოაწყდა, რომლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიც (ძირითადად იმერლები) თბილისში მასიურად იღუპებოდნენ.

1811 წელს იმპერატორის ბრძანებით გენერალმა ტორმასოვმა კათალიკოს-პატრიარქი ანტონ – II (ერეკლე II-ს ვაჟი) რუსეთში გაასახლა. საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებულად გამოცხადდა. კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობა გაუქმდა. ქართულ ეკლესიას რუსეთის წმინდა სინოდი დაეპატრონა. ეკლესიის საქმეების ხელმძღვანელად ეგზარქოსი ვარლაამი დაინიშნა. ეგზარქოსმა ვარლაამმა ქართლ-კახეთში 13 ეპარქია შეკვეცა და ორამდე დაიყვანა. ეკლესია-მონასტრებიდან და სასულიერო სასწავლებლებიდან ქართული ენა სასტიკად და დაუნდობლად იდევნებოდა... ქართველი მღვდლების (რუსული, იმპერიული ორიენტაციის) ახალი თაობების აღსაზრდელად თბილისში სასულიერო სემინარია დაარსა.

სომხებმა, კათოლიკეებმა, ებრაელებმა, მაჰმადიანებმა რელიგიური ავტონომია შეინარჩუნეს.

... ხორბალზე ფასების დაცემისა და რუსი „სალდათების“ მიერ ქონების მასიური კონფისკაციისა და გლეხის ქალების გაუპატიურების გამო კახეთში აჯანყებამ იფეთქა. გენერალ პაულიჩს მთელი წელი დასჭირდა აჯანყების ჩასაქრობად. ქართველების „მხეცური და მერყევი ბუნება“ საბოლოოდ უნდა მოეთხარათ... 8 მოთავე ჩამოახრჩვეს, ხოლო, ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს-ძე დაატყვევეს და პეტერბურგში გადაასახლეს.

ამის შემდეგ, საქართველოს კუთხეები არაერთჯერ აჯანყდნენ. რუსული იმპერიული მმართველობა სხვადასხვა ხერხს მიმართავდა ამბოხებებისა და აჯანყებების ჩასაქრობადა (ნებისმიერ დანაშაულზე კოლექტიური პასუხისმგებლობა შემოიღეს, სოფლებსა და დაბებს სამხედრო პირები მართავდნენ, რომლებიც საველე სასამართლოების მეშვეობით უმნიშვნელო დანაშაულისთვისაც კი ქართველებს სიკვდილით სჯიდნენ...).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIII

ამბობენ, უფალი სამართლიანიაო, და... მეცხრამეტე საუკუნე ცუდ ვარსკვლავზე დაებედათ ოსმალებს. ევროპელები დასავლეთიდან, რუსეთი კი აღმოსავლეთიდან სტაცებდნენ ოსმალეთს დიდების დროს დაპყრობილ ტერიტორიებს.

...1826 წელს, იმპერატორმა ნიკოლოზ I გენერალი ერმოლოვი გენერალ-გუბერნატორის თანამდებობიდან გადააყენა (1826 წელს, ომის გამოუცხადებლად, ირანის სარდალი აბას-მირზა სამხრეთ კავკასიას თავს დაესხა. გენერალმა ერმოლოვმა კონტრიერიში ვერ გაბედა და განჯა უბრძოლველად დათმო, რითაც თავი შეირცხვინა) და სამხრეთ კავკასიაში მთავარსარდლის თანამდებობაზე გენერალი გრაფი პასკევიჩი დანიშნა.

პასკევიჩმა 1826 წლის შემოდგომაზე, ირანელები სამხრეთ კავკასიიდან განდევნა, რითაც იმპერატორის ნდობა გაამართლა.

პასკევიჩი სულსწრაფი და უწიგნური იყო. მან ადიუტანტის თანამდებობაზე დანიშნა ვინმე ივანე ყორღანოვი – გაქნილი თბილისელი სომეხი...

1827 წელს გენერალმა პასკევიჩმა, ირანს გამანადგურებელი მარცხი აგემა და ირანის შაჰს თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულების გაფორმება აიძულა, რითაც სომხეთი და აზერბაიჯანი (დღევანდელ საზღვრებში) რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საბოლოოდ შეიყვანა. ამ გარემოებას მოჰყვა ყოფილი ერევნის, ნახჭევანის, მთიანი ყარაბახის და განჯის სახანოებიდან მუსლიმი აღმსარებლობის მოსახლეობის მასიური გადინება და მათ ადგილას ჩრდილო-დასავლეთ ირანიდან სომხური მოსახლეობის მასიური ჩასახლება, რამაც ამ რეგიონების ეთნიკური შემადგენლობა რადიკალურად შეცვალა.

1828-1829 წლებში, თურქეთთან წარმოებული წარმატებული ომითა და ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულებით, საქართველოს სამცხე-ჯავახეთი და შავიზღვისპირა პო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტები შეუერთა. პასკევიჩის ძალისხმევით, რუსეთის იმპერიის მმართველობა მთელ აფხაზეთსა და სვანეთში გავრცელდა. საქართველო შუა საუკუნეების საზღვრებამდე გაფართოვდა, ოღონდ, რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებასა და შემადგენლობაში...

... ოსმალეთის იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე რუსების გაბატონებას ვერ შეეგუა ოსმალო მოხელეები და გამაჰმადიანებულ ქართველებს ხოჯა-მოლების პირით შეუთვალეს: „ავიყაროთ და ფადიშახის სამფლობელოში გადავსახლდეთო“. ორი წლის განმავლობაში რუსების მიერ დაპყრობილი ტერიტორიებიდან გამაჰმადიანებული ქართველობა მასიურად აიყარა და გადაიხვეწა მცირე აზიაში, ძირითადად, ოსმალეთის იმპერიის სიღრმეში განსახლდნენ. ისინი სარწმუნოებრივი ფანატიზმის გავლენით ტოვებდნენ სამშობლოს, სახლ-კარს, წინაპართა საძვალეებს და ოსმალეთში მიემგზავრებოდნენ. ახალქალაქისა და ახალციხის მაზრების უმეტესი სოფლები მთლიანად გატიალდა და გავერანდა.

უგლეხკაცოდ დარჩენილ ქვეყანას, გრაფმა პასკევიჩმა მალე გაუჩინა „მუშაკები“!

გრაფმა პასკევიჩმა არზრუმის ეპისკოპოსის კარაპეტას წინამძღოლობითა და პოლკოვნიკ ლაზარევის და ადიუტანტ ივანე ყორღანოვის ძალისხმევით, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების სოფლებში ოსმალეთის იმპერიის არზრუმის საფაშოდან 100 000 (სომეხი ისტორიკოსის ეზოვის ცნობით – 14 000 ოჯახი) გრიგორიანი და კათოლიკე სომეხი გადმოასახლა. მათი „დაკარება-დამკვიდრებისა და ბინის მოსაკიდებლად“ გენერალმა პასკევიჩმა იმპერატორ ნიკოლოს I-ს სახელმწიფო ხაზინიდან ერთი მილიონი ოქროს რუბლი გამოაყოფინა, ხოლო, სომეხი ახალმოსახლეები ყოველგვარი გადასახადებისგან გაათავისუფლა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სომეხთა ეპისკოპოსი, კარაპეტა, რუსეთის მმართველობის მიერ, მათ ახალმოსახლეობის ხელშეწყობის მიზნით გამოყოფილი დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დძალი ფულითა და სომეხ ვაჭარ-სოვდაგართა შემოწირულობის წყალობით, სულ მუქთად ყიდულობდა სამცხე-ჯავახეთში, თრიალეთსა და ქვემო ქართლში ქართველ მუაჯირთა მიერ მიტოვებულ სახლებს, სახნავ-სათესსა და საძოვრებს, დიდძალ ტყეებს სომხების დასახლებისა და და მათი მოშენება-მოღონიერების მიზნით.

1831 წელს იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა გენერალი პასკევიჩი იხმო და პოლონეთის აჯანყების ჩახშობა დაავალა. იმავე წელს, კავკასიაში მთავარსარდლის თანამდებობაზე ბარონი გრიგოლ როზენი დანიშნა.

1832 წელს რუსეთის იმპერიის მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოში, მათ შორის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ტერიტორიაზე, ებრაელები და რუსი ერეტიკოს-რასკოლნიკები (ე.წ. დუხობორები) ჩამოასახლეს.

1833 წელს რუსულმა მთავრობამ თბილისში ქართული ზარაფხანა დახურა. მიმოქცევაში რუსული მანეთები და კაპიკები გაუშვა. ქართული აბაზის, სპარსული თუმანის და თურქული ყურუშის მიმოქცევა და გამოყენება აკრძალა. ასევე ქვეყანაში ზომისა და წონის რუსული სტანდარტები შემოიღეს.

გამაჰმადიანებული ქართველები, ჯერ კიდევ წმინდა ქართულით მოლაპარაკენი და მობაასენი, ვინც დარჩა სამშობლოში, რუსის მთავრობამ „თათრებად“ აღიარა. ხოლო, მათ სამეტყველო და საურთიერთო ენად – თურქული ენა. შესაბამისად, არაქართველებთან სამეტყველო და სახელმწიფო დაწესებულებებთან და რუსის მოხელეებთან საურთიერთობო ენად – რუსული ენა.

ქართველებმა რუსულის ინჩი-ბინჩი არ იცოდნენ, ამიტომ მწერლებად და თარჯიმნებად გაუმწესეს რუსული და თურქული ენის მცოდნეები, ასეთები კი მხოლოდ თრიალეთში გადმოსახლებული პონტოელი ბერძნები და ვაჭრობა-აღებ-მიცემობასა და წვრილმან ხელოსნობაში დახელოვნებულ-გაქნილი სომხები აღმოჩნდნენ. აქედანვე გასაგებია, ისინი მუსლიმანი ქართველების – თათრების რისი ხელშემწყობი იქნებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ნელ-ნელა და სისტემურად ისპობოდა დიდებულ მესხეთში ქართულის სახსენებელი...

ყირიმის ომის დროს (1853-1854 წ.წ.) ოსმალეთმა ერთხელ კიდევ სცადა ბედი და მოადგა ახალციხეს, საბედნიეროდ, რუსულ-ქართულმა ჯარმა თავად ანდრონიკაშვილის სარდლობით სასტიკად დაამარცხა ოსმალოს ჯარი ახალციხეს მიმდებარედ, სოფელ სხვილისთან. ამის შემდეგ ოსმალეთს ახალციხის დაბრუნების იმედი სამუდამოდ დაეკარგა.

სამწუხაროდ, კვლავ ამოქმედდნენ ოსმალეთის მოხელეები. ოსმალეთის სპეცსამსახურების ემისრები და ხოჯა-მოლები მიუსიეს ისედაც მცირერიცხოვნად დარჩენილ მაჰმადიან ახალციხელ ქართველებს. მაჰმადიან ქართველთა უმეტესობას გულიდან სამუდამოდ ამოუძირკვეს სამშობლოს სიყვარული და ისინიც თავშეუკავებლად დაიძრნენ ოსმალეთისკენ.

აი, რას წერს ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე) წიგნში „დიდებული მესხეთი“: „ ოსმალეთის ორი საუკუნის ბატონობამ (1626-1828 წ.წ.) წარუხოცელი დაღი და დიდი ბეჭედი დაასვა მესხეთს. მკვიდრნი ვინც დარჩენილა, ისე დაბეჩავებულა, რომ მომეტებული სიბეჩავე ისტორიული ერისა ძნელი წარმოსადგენიღა იყო. სად აჭარელი, თამამი, გამბედავი მკვირცხლი, როგორც გურული და სად აქაური, დაფლეთილ-დაბრანძული სამცხე-საათაბაგოელი მკვიდრი. როგორც მესხმა ოსმალოს გავლენის წყალობით ბევრი ფერი და იერი იცვალა, ისევე შეიცვალა გარეგანი სახე ქვეყნისა. სანაქებო ვენახები სულ ამოვარდნილა და გადაშენებულა“.

იქვე დასძენს: „აჭარა შინაურ გამგეობაში თითქმის დამოუკიდებელი იყო. მამაცი აჭარელი ქედს არ იხრიდა ოსმალოს წინაშე და იარაღით იცავდა თავისუფლებას. ესაა მიზეზი, რომ ენაც წმინდად შეინახა და ქართული ზნე-ჩვეულებაც, დაკარგა მხოლოდ სარწმუნოება“. ამასთანავე, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თითქმის სამასწლიანი ბატონობის დროს აჭარა რვაჯერ აუჯანყდა ოსმალოს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებული მესხეთის ნასუფრალს, 1901 წლის მდგომარეობით, ე.ი. ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში, შემორჩა 6408 სული ქართველი კათოლიკე, რომლებსაც წირვა-ლოცვა და დანარჩენი ღვთისმსახურება სომხურ ენაზე ჰქონდათ... ოფიციალურად და სხვა საბუთის ქაღალდებში იწერებოდნენ – სომეხი კათოლიკე. ეს ოფიციალური ტერმინი აღმნიშვნელია ქართველ კათოლიკეთა სარწმუნოებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, სარწმუნოების აღმნიშვნელი ტერმინი, ზოგ შემთხვევაში, ეროვნებისა და წარმომავლობის აღმნიშვნელად გარდაიქმნა...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოსმალეთის ბატონობის დროს განსაკუთრებით დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანები. თავის მხირვ, ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ, შეენარჩუნებინათ მართლმადიდებლობა და ქართული იდენტობა.

მართლმადიდებელმა ქართველობამ, რუსების დამკვიდრების შემდეგ თავი იჩინა ჯავახეთსა და სამცხეში. საუბედუროდ და სავალალოდ, მესხეთის სხვა ნაწილებში მართლმადიდებელი ქართველის სინსილა და სახსენებელი კარგა ხანია გამწყდარა...

ჯავახეთი თრიალეთს აკრავს, ახალციხის მხარე კი – გურია-იმერეთს და დღევანდელ ზემო ქართლს. ალბათ, ამ სიახლოვემ შეუწყო ხელი, რომ ქრისტიანობა სრულიად არ ამოვარდა. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქართლ-იმერეთიდან ქრისტიანი ქართველები სხვადასხვა მიზეზთა გამო, როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად, არაერთხელ აყრილან და ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ქართულ ტერიტორიებზე გადმოხვეწულან.

1900 წლისთვის ჯავახეთსა და სამცხის რეგიონში ითვლებოდა ორივე სქესის 10 088 მართლმადიდებელი, რომლებიც ირიცხებოდნენ 13 სამრევლოში.

როგორც ყველგან საქართველოში, იმერეთის გარდა, ქალაქის მკვიდრი ქართველი მოსახლეობა ძალიან ცოტანი იყვნენ. ახალციხეში ქართველს კანტი-კუნტად თუ ნახავდი, ხოლო ახალქალაქი სომხების ქალაქად იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოცე საუკუნის დამდეგისთვის, ჩვენთვის საინტერესო რეგიონის დემოგრაფიული და აღმსარებლობითი მდგომარეობის აღსაქმელად, მოგვყავს 1897 წლის იანვრში ჩატარებული აღწერის მონაცემები: ახალქალაქის მაზრაში ითვლებოდა 67 919 სული ორივე სქესისა, ხოლო ახალციხის მაზრაში – 53 757; სულ 121 676 ადამიანი. ქართველები – კათთოლიკეები და მართლმადიდებლები – შეადგენდნენ მხოლოდ 16 408 ადამიანს, რაც მოსახლეობის 13,48 % -ია. ანუ 100 კაცში 12 ქართველი. აქედან, 6 408 – კათოლიკე და 10 000 – მართლმადიდებელი, ანუ მოსახლეობის 8,21 %...

ასეა წარმავალი დიდება ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნისა – მისი ძირძველი, ისტორიული რეგიონისა!..

ისევ ალექსანდრე ფრონელს (ყიფშიძე) მოვუსმინოთ: „ ... განა გაგონოლა სხვაგან სადმე ასეთი უკუღმართობა, ცვალებადობა და სიმუხთლე ბედისა? განა გონებით მისაწვდომია, რომ სამშობლო რუსთველისა, გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელთა, ბექასი და აღბუღასი, ისე აოხრდეს, რომ კაცმა ვეღარ იცნოს? ას კაცზე რვაღა დარჩენილა ქართველი, თუ გნებავთ, თოთხმეტი იანგარიშეთ. ცხადია, რომ ჩვენ უფრო სტუმრის სახელი შეგვშვენის, ვიდრე მასპინძლისა. ვაგლახი მაშინ იქნება, მასპინძელს თუ სტუმრიანობა მოსწყინდა და ანდაზისაებრ: „დილით ოქრო ხარ, სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ ხანი დაგიგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი“,- თავაზიანად გვიბრძანოს:- მიბრძანდით, სახლ-კარი გამითავისუფლეთო, – მერე რაღა გვეშველება, მერე რაღა იქნება?!.“

ყველაზე ძლიერი სევდა, ადამიანის დამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეღება!.. გამალებით მიდის ქართული ენის გადაშენება-გადაგვარება-მივიწყების პროცესი. აქაურ ქართველს, როცა რამე დაავიწყდება იტყვის: – „გადამქართულდაო“, ე.ი. დამავიწყდა, როგორც ქართული ენაო. მესხი მუსლიმი ქართველი ქართული ენისა და ქართულად წერა-კითხვის არცოდნას მარტივად ხსნის: – „რად მინდა, ბატონო ქართული, რაში უნდა გამოვიყენო?..“

* * *

ამასთანავე, მორალური უფლება არ მაქვს არ აღვნიშნო: – 1900-1901 წლებში რუსულმა მთავრობამ თურქეთის სამასწლოვანი ბატონობიდან დახსნილ აჭარაში ადგილობრივი მართვა-გამგეობის რეფორმა განახორციელა. აჭარაში, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (95 პროცენტი მაინც) სისხლ-ხორციელად, ჯიშით და მოდგმით ძირძველი ქართველები იყვნენ, წმინდად ლაპარაკობდნენ ქართულად, ცხოვრობდნენ ქართული ადათ-წესებითა და ტრადიციებით, განუხრელად იცავდნენ ძირძველ-ენდემური ქართული მორალისა და ზნეობის ღირებულებებსა და მცნებებს, მხოლოდ, ენით აღუწერელი წამებისა და ზეწოლის შედეგათ მიეღოთ მუსლიმური აღმსარებლობის დოგმები, რუსულმა იმპერიულმა მთავრობამ „გაიმეორა“ იგივე „შეცდომა“, რაც თავის დროზე სამცხე-ჯავახეთში. აჭარელი ქართველები ეროვნებით თათარ-ოსმალებად „მონათლეს“ და სამშობლო ენად „უღიარეს“ ოსმალურ-თათრული. სწორედ ისე მოიქცნენ, როგორც პასკევიჩის მიერ ახალციხის აღების შემდეგ სამცხე-ჯავახეთის, ისევე, როგორც ისტორიული მესხეთის სხვა რეგიონების (ტაო-კლარჯეთი, კოლა-არტაანი, ერუშეთ-საპალაკაციო) ქართველი მაჰმადიანები ეროვნებით ოსმალო-თათრებად „მონათლეს“, მშობლიურ ენად კი „უღიარეს“ ოსმალურ-თათრული, რითაც სრულიად უგულებელყვეს მათი ქართული გენიალოგია, წარმომავლობა, ქართული ენა, ძირძველი ენდემურ-ქართული ადათ-წესები და ტრადიციები!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიისა და ბუნების წინააღმდეგ ასეთი შეცდომის გამო, სათემო და სასოფლო ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში, კერძოდ, სასოფლო სამმართველოებსა და სასამართლოებში წვრილ მოხელეებად და მწერლებად ისეთები მოიწვიეს, რომელთაც უეჭველად უნდა სცოდნოდათ სახელმწიფო ენის, ესე იგი, რუსულის გარდა, ოსმალო-თათრული, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მშობლიური ენა!.. თათრულ-ოსმალურისა და რუსულის მცოდნენი აჭარაში, ისევე როგორც სამცხე-ჯავახეთში, იმ დროს, მხოლოდ ბერძნები, ებრაელები და სომხები აღმოჩნდნენ და სწორედ ისინი გაამწესეს ხსენებულ თანამდებობებზე. მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა უბედურება დაატყდებოდა ქართულ ენასა და ქართველობას აჭარაშიც, რომ არა პირველი მსოფლიო ომი და შემდგომი ცვლილებები როგორც ევროპაში, ასევე სამეზობლოსა და ჩვენს ქვეყანაში!..

თავი XIV

... 1918 წლის 26 მაისს საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა. ტანჯულმა ერმა შვებით ამოისუნთქა – „ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა“... მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთმა, ექვსთვიანი ომის შედეგად, კვლალ მოახერხა საქართველოს დაპყრობა და ანექსია, ახლა უკვე კომუნისტური რეჟიმისა და წეს-წყობილების დამყარება!..

... 1921 წლის ჯერ მოსკოვის, შემდეგ კი ყარსის ხელშეკრულების წყალობით, საქართველომ კვლავ დაკარგა ადრიანოპოლის 1878 წლის ზავის შედეგად დაბრუნებული მიწები: კოლა-არტაანი, ფოცხოვ-იმერხევი, საპალაკაციო-ერუშეთი, ტაო-კლარჯეთის უდიდესი ნაწილი, ართვინის მხარე და ისტორიული ლაზეთის უმეტესი ტერიტორიები. მხოლოდ დღევანდელ საზღვრებში არსებული აჭარის ავტონომიის (აქაც, თურქეთს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეცა აჭარის სამხრეთი სექტორი – ბორჩხის მაზრა და ზემო მაჭახელის ვრცელი ტერიტორიები) მიწების შენარჩუნება შეძლო, ისიც, დემოკრატიული საქართველოს ჯარის ნაწილებისა და ადგილობრივი მოხალისე ეროვნული ძალების თავდადებისა და გააფრთებული ბრძოლების შედეგად!..

სამცხე-ჯავახეთში, ისევე, როგორც ქვემო ქართლის რიგ რაიონებში, ამ პერიოდისთვის ეროვნული სიჭრელე და უთანასწორობა კვლავ სახეზეა. აქ მცხოვრები სომხები, ებრაელები, ბერძნები, თურქმანული წარმომავლობის თარაქამები და ყარაფაფახები, ბოშები, ქურთები, რუსი დუხაბორები და სტაროვერ-რასკოლნიკები ეროვნულ-ენობრივ-სარწმუნოებრივ ავტონომიას ინარჩუნებენ: გახსნილია ეროვნული სკოლები, მშობლიურ ენაზე სწავლებით, ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა განვითარდნენ მშობლიურ გარემოში, მშობლიურ ადათ-წესებსა და ტრადიციებზე, ხოლო, უმაღლესი განათლება მიიღონ მათი ერების ავტოქტონურ რესპუბლიკებში, ან საბჭოეთის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

მუჰაჯირობას გადარჩენილ-შემორჩენილი მუსლიმანი ქართველები კვლავ იჩაგრებიან: არც სამართლებრივად და არც დეფაქტო არ აღიარეს ქართველებად, ისევ „თათრებად“ მონათლეს, (მიუხედევად იმისა, რომ ადგილობრივი თურქმანული ელემენტები მათ „იერლებს“- ადგილობრივებს, მკვიდრებს უწოდებდნენ). საუბედუროდ და სავალალოდ, მათაც, უმეტესობამ, ქართული ენა თითქმის არ იცოდა, სრულიად ასიმილირებულნი, თავს თათრებად თვლიდნენ. მათაც აზერბაიჯანული სკოლები გაუხსნეს და აზერბაიჯანიდანვე მოიწვიეს მასწავლებლები!.. უმაღლეს განათლებასაც ან აზერბაიჯანში, ან უკრაინა-რუსეთში იღებდნენ.

... არადა მაინც ბევრნი ყოფილან „თურქი მესხები – თათრები“ – გამუსლიმანებული ქართველები (სხვათაშორის, თავისთავს, ისევე, როგორც სამცხე-ჯავახეთის სხვა მუსლიმი მოსახლეობა, „იერლის“ უწოდებენ, რაც თურქულიდან ქართულად მკვიდრს – ადგილობრივს ნიშნავს).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

კარგი, ეშმაკსაც წაუღია ოსმალეთის იმპერია და მისი დისკრიმინაციული იმპერიულ-დამპყრობლური და აღმსარებლური შეუწყნარებლობის პოლიტიკა!..

რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ხელისუფალთ, მუსლიმანი ქართველების – მესხების საკითხს ფრთხილად რომ მოპყრობოდნენ, მათ მიმართ სწორი, პროქართული პოლიტიკა რომ გაეტარებინათ, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მუსლიმანი მესხი ქართველების შენარჩუნება და ქართულ-ეროვნლ სამყაროში ინტეგრირება?.. რა თქმა უნდა შეიძლებოდა!.. ძირითადი ბრალეულობა რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას უნდა მივაწეროთ, მაგრამ, აქაც ერთი მგლისა უნდა ითქვას, ერთიც ცხვრისა!.. ყველაფერს გარე ძალებს ნუ დავაბრალებთ.

ამ საკითხის მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად განსახილველად უნდა გამოვყოთ ორი, მთავარი გარემოება:

1. რუსეთის იმპერიას, ისევე მის მემკვიდრე საბჭოთა კავშირს, როგორც ყველა კლასიკურ დამპყრობელსა და ჰეგემონს, არ აწყობდა დაპყრობილ ტერიტორიებზე მეზობელი, ანტაგონისტურად განწყობილი ქვეყნების ადრე ქვეშევრდომობაში მყოფი მისივე აღმსარებლობის მოსახლეობა (რომლებიც მანვე წაართვა ან მიიღო კონტრიბუციის სახით). რა თქმა უნდა, ყოველთვის არსებობდა ლეგიტიმური ვარაუდი იმისა, რომ ანტაგონისტურად განწყობილი მეზობელი ქვეყნები თუ სახელმწიფოები, ერთმორწმუნეობის საბაბის გამოყენებით მოახდენდნენ ამ მოსახლეობის გადაბირებას და რუსეთის წინააღმდეგ დივერსიულ-ტერორისტული და სხვა მავნებლური ქმედებების განხორციელებაში გამოყენებას, ესე იგი, ამ ტერიტორიებს და მათზე განსახლებული მუსლიმანური აღმსარებლობის მოსახლეობას გამოიყენებდნენ როგორც მუდმივი დესტაბილიზაციის კერებს, რევანშის შემთხვევაში კი – სანდო დასაყრდენსა და ერთგულ თანამებრძოლ-ხელშემწყობ თანამოაზრეებს. რაც ნაწილობრივ ასეც იყო!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის – მართლმადიდებელი ქართველებით, ანუ თავისი ძალებით თუ იქნებოდა შესაძლებელი დემოგრაფიული მდგომარეობის დარეგულირება? ჩანს შესაძლებელი ყოფილა! ხელი რომ გაენძრია ვინმეს, ან უნარი და ეროვნული წინდახედულობა გამოეჩინა, მთელი ახლად შეძენილი ნაწილი მესხეთისა – ჯავახეთი და ახალციხის მხარე, სულ ქართველებით შეივსებოდა და ძირძველ ქართულ მიწა-წყალს მოეფინებოდა!

ცოტაოდენი მართლმადიდებელი და კათოლოკე ადგილობრივი ქართველი ისედაც მოიპოვებოდა, გამაჰმადიანებული ქართველების დიდი ნაწილიც სიხარულით დაუბრუნდებოდა ქართველობას, ანუ მამა-პაპურ მართლმადიდებლობას, რადგან მუსლიმანური სარწმუნოება ოსმალების მხრიდან გაუსაძლისი დევნა-შევიწროების, მუდმივი შიშის, ტოტალური უსამართლობისა და უთანასწორობის, კაბალური საგადასახადო და სამხედრო, ეკონომიკურ-სოციალური პოლიტიკის გამო ჰქონდა მიღებული, თანაც ჯერ კიდევ ქართული გული და ეროვნული თვითშეგნება არ გასცივებოდათ!

მაშასადამე, საქართველოს მესვეურთ ხუთასიოდე მართლმადიდებელ ქართველთა კომლი რომ მოეძებნათ და ჩაესახლებინათ, ორივე მაზრაში (ახალციხე და ახალქალაქი) ქართული მოსახლეობა იქნებოდა უმეტესობა. აქაც, რამდენადაც გულდასაწყვეტი არ უნდა იყოს, მთავარი ის არის, რომ საქართველოს ეროვნული ინტერესების გულშემატკივარი პატრონი არ გამოუჩნდა და ქართველი ერით შეთხელებულ კუთხეში არავინ გადმოასახლეს...

იყო ასეთი შესაძლებლობაც: 1829 წელს ახალციხის ოლქის უფროსად იყო ცნობილი ქართველი თავადიშვილი ვასილ ბებუთაშვილი. მართალია, ბებუთაშვილი (ბებუთოვი) ჩამომავლობით სომეხი იყო, მაგრამ იმ დროს – მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, დიდი და საპატიო იყო ქართველის სახელი, ახალციხის ოლქის ქართველთა კოლონიზაციას თავადი ბებუთაშვილი თანაგრძნობით მოეკიდებოდა და რუსი მთავრობისთვისაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასიამოვნო იქნებოდა მართლმადიდებელ ქართველთა რეგიონში ყოლა...

თუმცა, ჩვენდა სავალალოდ და საუბედუროდ, ასე ვერ მოხერხდა – ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო მაშინდელი საქართველოს რეგრესიული სოციალური წეს-წყობილება. რუსეთის იმპერიის დროს ჩვენებური პატრიარქალური ბატონყმობა ფრთებს ისხამდა და იფურჩქნებოდა! ქართველი თავად-აზნაურები გაქცეულ ყმებს დაადევნებდნენ წვრილფეხა აზნაურებს და იჭერდნენ, სადაც კი მოასწრებდნენ, როგორც იჭერენ ხოლმე ქამანდით გაქცეულ ცხენს. რომელი თავადი, ან აზნაური გაიწყვეტდა „ლუკმა პურს“ და ნებაყოფილებით გაუშვებდა თავის მარჩენალ ყმას – მიანიჭებდა თავისუფლებას და რუსეთის მიერ ახლადმიერთებულ სამცხე-ჯავახეთში დასახლების ნებას მისცემდა?.. ნამდვილად არა!..

საეკლესიო და სამეუფეო (სახასო) გლეხები?!. არც ამათ უჭირდათ ისე და იოლად არ აიბარგებოდნენ მამა-პაპისეული ადგილებიდან!..

ვფიქრობ, ვინმე პატრიოტ და მამულზე მოამაგეს თავი გამოედო, მართალია, დაბრკოლება დიდი იქნებოდა, მაგრამ საქმე კეთილად დაგვირგვინდებოდა. ოღონდ, ყმა ქართველ გლეხს თავისუფლება უბოძე, ბლომად მამული დაპირდი, შეღავათი აღუთქვი და სად არ წავა?..

საკუთარ ხალხზე მზრუნველი, სომეხთა ეპისკოპოს კარაპეტასა და პოლკოვნიკ ლაზარევისთანა კაცები რომ გამოჩენილიყვნენ ჩვენში – ქართველობაში, მაშინ ნახავდით, როგორ დაითრგუნებოდა ყველა დაბრკოლება და თავისუფალი ქართველი გლეხობა დიდი სიამაყითა და ძალიხსმევით განსახლდებოდა ძირძველ, მშობლიურ მიწაზე!..

გამოდის, რაკი გენერალმა პასკევიჩმა უშუალოდ საქართველოში განსახლების მსურველი ქართველი „მუშტარი“რომ ვერ ნახა სამცხე-ჯავახეთში დასასახლებლად, ამიტომაც, სომხები წამოიყვანა ოსმალეთის არზრუმის ვილაეთიდან!..

სომეხი მეცნიერის ეზოვის ცნობით, მაშინ, ერზრუმის ვილა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთიდან, მოსულა 14 000 ოჯახი. მათგან, ზოგი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში დაბინავდა, ზოგი სომხეთის ქალაქ გიუმრსა და მის მაზრაში, ზოგიც გაიფანტა სამხრეთ კავკასიის სხვა რაიონებში.

სწორედ ეს შემოხიზნული სომხობა და ჩვენთან დარჩენილი თარაქამა-თურქობა დარჩა როგორც სამცხე-ჯავახეთის ძირითადი მოსახლეობა.

* * *

... მართალია, სამცხე-ჯავახეთში, დემოგრაფიული საკითხი იმერეთიდან, მთიულეთიდან და რაჭა-ლეჩხუმიდან ქართული ოჯახების ნებაყოფლობით-გეგმიური ჩასახლების გზით (საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან სამცხე-ჯავახეთში ჩაასახლეს 7 000 კომლი, 32 000 ქართველი) მეტ-ნაკლებად მოგვარდა, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ 1944-1945 წლებში და ისიც თურქმანული წარმომავლობისა და მუსლიმანი „იერლების“ (მკვიდრი მოსახლეობა) ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში დეპორტაცია-გადასახლების შემდეგ.

ჭეშმარიტად: – „არ არის ბოროტება, რომელსაც სიკეთე არ მოსდევს!..“

თავი XV

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონიდან სარწმუნოებრივ-ეთნიკური ნიშნით მოსახლეობის გადასახლება განხორციელდა ორგანიზებულად, ყოველგვარი გართულებებისა და ექსცესების გარეშე!..

ჩემო მკითხველო, ქართული ანდაზისა არ იყოს – „ძაღლს თუ მოკლავ, კიდეც უნდა გადაათრიო“, ე.წ. „თურქი-მესხების“ გადასახლების ირგვლივ სრული ინფორმაციისა და მეტი დამაჯერობლობისთვის გთავაზობთ სრულიად საიდუმლო დოკუმენტების დედნებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

„სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის №6279სს დადგენილება „საქართველოს სსრ სასაზღვრო რეგიონებიდან თურქი-მესხების, ქურთების და ჰემშილების გადასახლების შესახებ“

1944 წლის 31ივლისი.
დოკუმენტი №3172

1944 წლის 31 ივლისის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის № 6279სს დადგენილების თანახმად:

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის პირობების გასაუმჯობესებლად, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ადგენს:

1. გადასახლდეს საქართველოს სსრ სასაზღვრო ზოლიდან – ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონებიდან და აჭარის ასსრ-დან – 16,700 ოჯახი 86,000 მაცხოვრებლით. კერძოდ: თურქები, ქურთები და ჰემშილები, მათ შორის:

ყაზახეთის სსრ-ში – 40,000 ადამიანი;

უზბეკეთის სსრ-ში – 30,000 ადამიანი;

ყირგიზეთი სსრ-ში – 16,000 ადამიანი.

გადასახლების ორგანიზება დაევალოს სსრკ შინსახკომს.

დაეკისროს სსრკ შინსახკომს (ამხ. ლ. ბერიას) გადასახლება უზრუნველყოს 1944 წლის ნოემბერში.

2. ნება მიეცეთ გადასახლებულებს საქართველოს სსრ სასაზღვრო რაიონებიდან სრულად წაიღონ თან მათ საკუთრებაში არსებული ძვირფასეულობა, ფული, პირადი ნივთები (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჭურჭელი, სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო ინვენტარი) და სურსათის მარაგი – ჯამში ერთ ოჯახზე 1000 კილოგრამის მოცულობით.

3. სასაზღვრო ზოლიდან გადასახლებულთაგან მათ მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატოვებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, პირუტყვის, ინვენტარის, შენობა-ნაგებობების, ხეხილის ბაღების და სხვა ქონების მიღების/ჩაბარების ორგანიზებისთვის ჩამოყალიბდეს კომისია საქართველოს სსრ სახალხო კომისრების საბჭოს თავჯდომარის მოადგილის ამხ. ხოშტარიას ხელმძღვანელობით. კომისიაში შევიდნენ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების სახალხო კომისიარიატის, დამზადების სახკომის, მიწათმოქმედების სახკომის და ფინანსთა სახკომის წარმომადგენლები. აღნიშნულ კომისიას დაევალოს გადასახლებულთა მიერ ადგილზე დატოვებული მთელი ქონების მიღება და ასევე გადასასახლებელთათვის პერსონალური გაცვლითი ქვითრების გადაცემა დატოვებული პროდუქტების, მარცვლეულის, ფრინველის, ნახირის და ხეხილის ბაღების სანაცვლოდ, ბაღების შეფასებითი ღირებულების მითითებით.

4. დაევალოს ყაზახეთი სსრ (სკვორცოვი, უნდასინოვი), ყირგიზეთის სსრ (ვაგოვი, კულატოვი), უზბეკეთის სსრ (იუსუპოვი, აბდურახმანოვი) ცენტრალურ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს, ადგილობრივ შინსახკომებთან ერთად, გადასახლებულთა ადგილზე მიღების, განთავსების და მუდმივი სამეურნეო -საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების ორგანიზება.

მათ შორის:

ა. ყველა ჩამოსახლებული პირი განთავსდეს კოლმეურნეობებში, სადაც გამოიყოფა საჭიროების მიხედვით გარემონტებული ზამთრის პირობებში საცხოვრებლად მომზადებული საცხოვრებელი ფონდი;

ბ. ჩამოსახლებულებისა და მათი ქონების გადასაზიდად სარკინიგზო სადგურიდან განთავსების პუნქტებამდე მობილიზდეს ტრანსპორტი;

გ. ორგანიზება გაეწიოს ჩამოსახლებულთათვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფას და მათთვის დახმარების გაწევას სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესაძენად. მოსამზადებელი სამუშაოები დასრულდეს 1944 წლის 1 ნოემბრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოს საგზაო მიმოსვლის სახალხო კომისარიატს (ამხ. კაგანოვიჩი) უზრუნველყოს აღჭურვილი ეშელონების დროული ფორმირება და მოწოდება სადგურებზე სსრკ შინსახკომის მითითებით გადასახლებულთა ტრანსპორტირებისთვის – ყაზახეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, უზბეკეთის სსრ შიდა ტერიტორიებზე საქართველოს სსრ სახალხო კომისრების საბჭოს განცხადებისთანავე.

6. დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს (ამხ. ლიუბიმოვი) უზრუნველყოს სპეცგადასახლებულთა კვება გზაში.

7. დაევალოს ჯანდაცვის სახალხო კომისარიატს (ამხ. მიტერევა) უზრუნველყოს სპეცგადასახლებულთა სანიტარულ-სამედიცინო მომსახურება გზაში და განსახლების ადგილზე.

8. დაევალოს გადასახლებულთა მიმღები რესპუბლიკების სახალხო კომისრების საბჭოსთან ერთად:

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს (ამხ. ანდრეევა) ხორცპროდუქტებისა და რძის პროდუქციის წარმოების სახალხო კომისარიატს (ამხ. სმირნოვა), დამზადების სახალხო კომისარიატს (ამხ. სუბოტინა) წარმოდგენილი გაცვლითი ქვითრების სანაცვლოდ გასცენ:

ა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, თხა და ფრინველი 1945 წლის 1 მაისამდე;

ბ. მარცვლეული და სხვა საკვები კულტურა 1945 წლის 1 აპრილამდე;

გ. გადასახლებულთა კოლმეურნეობებისთვის ცხენები 1946 წლის 1 იანვრამდე.

გაცემა იწარმოოს იმ რაოდენობითა და ხარისხით, რაც მითითებულია პერსონალურ გაცვლით ქვითრებში.

9. დაევალოს სსრკ სასოფლო-სამეურნეო ბანკს (ამხ. კრავცოვა) გასცენ ყაზახეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის რესპუბლიკებში ჩასახლებულებს 7 წლის ხანგრძლივობის სესხი

ოჯახზე 7 000 რუბლის ოდენობით – სამეურნეო მოწყობის და საჭირო ნაგებობების მშენებლობისთვის.

10. გადასახლებულები 1945 წლისთვის განთავისუფლდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულადი გადასახადებისა და მოსაკრებლებისგან, ასევე კოლმეურნეები – სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ჩაბარებისაგან. ანაზღაურდეს მათ მიერ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დატოვებული ხეხილის ბაღების ღირებულება (შეფასებული მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ).

11. უფლება მიეცეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების პირველ პუნქტში მითითებულ რაიონებში განასახლოს 7000 კომლი, 32000 ადამიანის ოდენობით, კერძოდ – კოლმეურნეები საქართველოს სხვა მცირემიწიანი რაიონებიდან. გადასახლება განხორციელდეს როგორც მთლიანი კოლმურნეობების, ასევე მეურნეობის ცალკეული ჯგუფებად. განსახლების პუნქტები სასაზღვრო ზოლში შეთანხმდეს და განისაზღვროს საქართველოს ოლქის შინსახკომის სასაზღვრო ჯარის ხელმძღვანელობასთან.

12. საქართველოს სსრ მცირემიწიანი რაიონებიდან სასაზღვრო ზოლში გადასახლებულთა სამეურნეო მოწყობის მიზნებისთვის უფლება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს:

ა. გადასცენ ახლად ორგანიზებულ კოლმეურნეობებს საზოგადოებრივი და კერძო ნაგებობები უფასოდ, ხოლო, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი – 5 წლიანი სესხის სახით;

ბ. განსახლებულ კოლმეურნეებს გადაეცეთ განსაზღვრული მაქსიმალური ნორმის შესაბამისი საკარმიდამო ნაკვეთები სასაზღვრო ზოლში;

გ. კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს გადასცენ კოლმეურნეობებისა და კერძო საკუთრებაში მყოფი ხეხილის ბაღები, სახელმწიფოსათვის ღირებულების 7 წლის მანძილზე გადახდის პირობით;

დ. ოჯახის სულადობის გათვალისწინებით გამოყონ სასურსათო სესხი 3-დან 5 ცენტნერამდე ხორბლის ოდენობით;

ე. 1945 წლისთვის გაათავისუფლონ ახლადორგანიზებული კოლმეურნეობები და კოლმეურნეები სასოფლო-სამეურნეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროდუქციის ჩაბარების, ფულადი გადასახადებისა და მოსაკრებლებისგან;

ვ. დაეხმარონ განსახლებულ, პირუტყვის არმქონე, კოლმეურნეებს საქონლის შეძენაში. ამ მიზნით უფლება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გაზარდოს კონტრაქტაციის და მოსახლეობისაგან საქონლის შეძენის გეგმა;

ზ. სასაზღვრო ზოლში კოლმეურნეებისა და მათი ქონების ტრანსპორტირება განხორციელდეს უფასოდ, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამ მიზნისათვის გამოყოფილი სპეციალური სახსრების ხარჯზე;

თ. განსახლება დაიწყოს 1944 წლის ნოემბერში და დასრულდეს 3 თვის განმავლობაში.

13. სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარს (ზვერევი) დაევალოს:

ა. გამოიყოს სსრკ შინსახკომისთვის 30 მილიონი რუბლი სპეცგადასახლებულთა გამოსახლების, გადაზიდვის და განსახლების სპეცოპერაციის განსახორციელებლად. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ გამოყოს 4 მილიონი რუბლი სასაზღვრო ზოლში ჩასახლებული კოლმეურნეების განსახლების ხარჯების დასაფარად;

ბ. სსრკ კომისართა საბჭოს ერთი თვის ფარგლებში დასამტკიცებლად წარედგინოს წინადადებები საქართველოს სსრ გადასახლებულთა საქონლის, ფრინველის, მარცვლეულის და სხვა მათ მიერ წინა საცხოვრებელ ადგილას დატოვებული

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ხეხილის ბაღების ღირებულების ანაზღაურების რიგითობის შესახებ. ზემოთ აღნიშნული განხორციელდეს სსრკ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, სსრკ დამზადების სახკომის, სსრკ ხორცისა და რძის პროდუქტების წარმოების სახალხო კომისარიატის ჩართულობით.

14. დაევალოს მთავარ ნავთმომარაგებას (ამხ. შიროკოვა) ოქტომბერ-ნოემბერში გამოყოს სპეციალური გადასახლებისათვის ავტობენზინის ზეგანაკვეთური ფონდი: სსრკ შინსა-

ხკომისათვის – 750 ტონა, ყაზახეთის სსრ – 75 ტონა, ყირგიზეთის სსრ – 35 ტონა, უზბეკეთის სსრ – 70 ტონა, საქართველოს სსრ – 100 ტონა.

სსრკ სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის თავჯდომარე
იოსებ სტალინი“.

თავის მხვრივ, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების განუხრელი შესრულების მიზნით შეიმუშავა და 1944 წლის 20 სექტემბერს გამოსცა ბრძანება N 001176.

II.

1944 წლის 20 სექტემბრის N 001176 ბრძანების აღსრულება ითვალისწინებდა საქართველოს სსრ საზღვრისპირა რეგიონებიდან თურქი-მესხების, ქურთების და ჰემშილების ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების სპეცგადასახლებას ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში. ამავე დადგენილებით, მათ ჩამოერთვათ უკან დაბრუნების უფლება!..

გთავაზობთ ხსენებული ბრძანების დედანს:

„ სსრკ შინსახკომის (НКВД) ბრძანება №001176
საქართველოს სსრ სასაზღვრო რეგიონებიდან
თურქების, ქურთებისა და ჰემშილების
გადასახლების შესახებ

1944 წლის 20 სექტემბერი.
მოსკოვი.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის № 6279სს ბრძანებულების: „საქართველოს სსრ მოსაზღვრე რაიონებიდან, კერძოდ, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის და ბოგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანოვკის რაიონებიდან თურქების, ქურთების და ჰემშილების გადასახლების შესახებ “ აღსასრულებლად, ვბრძანებ:

1. საჭირო მოსამზადებელი ღონისძიებების საორგანიზაციოდ და გადასახლების ოპერაციის განსახორციელებლად შეიქმნას შემდეგი ოთხი ოპერატიული სექტორი:

ა. ახალციხის (ახალციხის რაიონის შემადგენლობაში);

ბ. ადიგენის (ადიგენის რაიონის შემადგენლობაში);

გ. ასპინძის (ასპინძის რაიონის შემადგენლობაში);

დ. ახალქალაქის (ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების შემადგენლობაში).

2. ოპერატიული სექტორების ხელმძღვანელებად და მათ მოადგილეებად დაინიშნონ:

ა. ახალციხის ოპერატიული სექტორის ხელმძღვანელად, საქართველოს სსრ სახელმწიფო უსაფრთხოების კომისრის მოადგილე, სახელმწიფო უსაფრთხოების კომისარი ამხ. დავლიანიძე. ოპერატიული სამუშაოების სექტორის ხელმძღვანელის მოადგილედ – ამიერკავკასიის სარკინიგზო გზის მილიციის კომისარი, სარკინიგზო მილიციის განყოფილების უფროსი ამხ. მაღრაძე. საჯარისო სექტორის უფროსის მოადგილედ – ჩრდილო-კავკასიური ოლქის შინსახკომის ჯარების უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი ამხ. კალინინი;

ბ. ადიგენის ოპერატიული სექტორის უფროსად – საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ნაჭყებია. ოპერატიული სამუშაოების სექტორის ხელმძღვანელის მოადგილედ – საქართველოს სსრ სახელმწიფო უსაფრთხოების სახალხო კომისარიატის განყოფილების უფროსი სახელმწიფო უსაფრთხოების პოლკოვნიკი, ამხ. კუკუტარია. საჯარისო სექტორის უფროსის მოადგილედ – შინსახკომის გენერალ მაიორი, მოსკოვის პირველი მსროლელთა დივიზიის ჯარების მეთაური ამხ. პიაშევი;

გ. ასპინძის ოპერატიული სექტორის ხელმძღვანელად – საქართველოს სსრ სახელმწიფო უსაფრთხოების კომისრის მოადგილე, სახელმწიფო უსაფრთხოების კომისარი ამხ. ნიბლაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპერატიული სამუშაოების სექტორის ხელმძღვანელის მოადგილედ – საქართველოს სსრ სახელმწიფო უსაფრთხოების სახალხო კომისარიატის განყოფილების უფროსი, სახელმწიფო უსაფრთხოების ვიცე პოლკოვნიკი ამხ. პაბგულიძე. საჯარისო სექტორის უფროსის მოადგილედ – სსრ შინსახკომის ბანაკების მთავარი ხელმძღვანელობის უფროსის მოადგილე, სახელმწიფო უსაფრთხოების კომისარი ამხ. დობრინინი;

დ. ახალქალაქის ოპერატიული სექტორის ხელმძღვანელად – საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე, სახელმწიფო უსაფრთხოების პოლკოვნიკი ამხ. ტატუზოვი. ოპერატიული სამუშაოების სექტორის ხელმძღვანელის მოადგილედ – საქართველოს სსრ

სახელმწიფო უსაფრთხოების სახალხო კომისარიატის განყოფილების უფროსი, სახელმწიფო უსაფრთხოების პოდპოლკოვნიკი ამხ. კაზაჩენკო. საჯარისო სექტორის უფროსის მოადგილედ – გროზნოს დივიზიის ჯარების შინსახკომის მეთაური გენერალ-მაიორი ამხ. ბულიგა.

3. ოპერატიული სექტორების უფროსები და მათი მოადგილეები დაუყოვნებლივ შეუდგნენ თავიანთი მოვალეობების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უსაფრთხოების სახალხო კომისარმა, სახელმწიფო უსაფრთხოების მე-3 რანგის კომისარმა ამხ. რაფავამ და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა, სახელმწიფო უსაფრთხოების კომისარმა ამხ. კარანაძემ მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად გამოყონ ოპერატიული სექტორების უფროსების განკარგულებაში НКВД-НКГБ ისეთი 50 ოპერატიული მუშაკი, რომლებიც იცნობენ ადგილობრივ პირობებს.

4. ოპერაცია განხორციელდეს 10 დღის განმავლობაში, მიმდინარე წლის 15-დან 25 ნოემბრამდე.

5. ოპერაციის უზრუნველყოფისთვის, აგრეთვე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საზღვრის დაცვის გაძლიერებისთვის, გადასახლების ოპერაციის მსვლელობისას გამოიყოს შინსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხკომის შემდეგი საჯარისო ნაწილები: მე-40, 281-ე, 266-ე და მე-3 (წითელი დროშის მფლობელი), მე-8, მე-2 შინსახკომის შიდა პოლკები, შინსახკომის შიდა საჯარისო ნაწილების პირველი მოსკოვური დივიზიის პირველი, მე-2, მე-10 პოლკები, შინსახკომის მოსკოვის დივიზიების პირველი და მეორე სპეცქვედანაყოფი, უმაღლესი საოფიცრო სკოლა, მოსკოვის სამხედრო-ტექნიკური სასწავლებელი, სარატოვის, ორჯონიკიძის, ლენინგრადისა და ხარკოვის შინსახკომების ჯარების სასწავლებლები, პოლიტიკური შემადგენლობის სკოლა და შინსახკომის საჯარისო ოპერატიული კურსები – ჯამში 20 000 პიროვნება.

6. სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა, აპოლონოვმა 25 ოქტომბრისთვის საზღვრის დაცვის გაძლიერების მიზნით უზრუნველყოს:

მობილიზებული ჯარების ჩასვლა დანიშნულების ადგილზე, დანარჩენი ჯარების მობილიზაცია კი – მიმდინარე წლის 25 ოქტომბრიდან – 1 ნოემბრამდე.

7. სსრკ სახელმწიფო უსაფრთხოების მე-3 რანგის კომისარმა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ კადრების განხრით, ამხ. ობრუჩნიკოვმა, სსრკ НКГБ კადრების განყოფილებასთან ერთად, გამოყოს ოპერაციის უზრუნველსაყოფად НКВД-НКГБ 4000 ოპერატიული მუშაკი და უზრუნველყონ მათი დანიშნულების ადგილზე განთავსება მიმდინარე წლის 25 ოქტომბრიდან – 1 ნოემბრამდე.

8. სარკინიგზო ტრანსპორტით გადასახლებულთა გადაზიდვისათვის საჭირო ღონისძიებების უზრუნველყოფა დაევალოს სსრკ სახელმწიფო უსაფრთხოების მე-3 რანგის კომისარს, НКГБ მე-3 განყოფილების უფროსს ამხ. მილშტეინს და სსრკ სახელმწიფო უსაფრთხოების კომისარს სსრკ შინსახკომის გადაზიდვების განყოფილების უფროსს, ამხ. არკადიევს.

9. სათანადო პუნქტებში მძღოლებითა და საწვავით აღჭურვილი 900 ავტომობილის „სტუდებეკერის“ მობილიზაცია და სსრკ შინსახკომის გადაზიდვების განყოფილების საქმიანობის კონტროლქვეშ აყვანა აღჭურვილი ეშელონების დროული მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წოდების მიზნით დაევალოთ სსრკ სახელმწიფო უსაფრთხოების მე-2 რანგის კომისარს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს ამხ. ჩერნიშევს და წითელი არმიის ზურგის ჯარის უფროსს, გენერალ ხრულოვს.

10. გადასახლებულთა დაცვის ორგანიზება ჩასხდომის სადგურებში და მათი თანხლება განსახლების ადგილებამდე დაევალოს სსრკ გენერალ-მაიორს, სსრკ შინსახკომის კონვოის ჯარების ხელმძღვანელს, ამხ. პოტიოხინს.

11. ინტენდანტური სამსახურის გენერალ-ლეიტენატს, სსრკ НКВД სამხედრო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსს, ამხ. ვურგაფტს დაევალოს ოპერაციაში მონაწილეობისათვის მობილიზებული ოპერატიული შემადგენლობის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფა.

12. გენერალ-მაიორ სლადკევიჩს დაევალოს ოპერატიული სექტორების ავტოტრანსპორტის ორგანიზება, მომარაგებითა და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა. გენერალ-პოლკოვნიკმა აპოლონოვმა გენერალ-მაიორ სლადკევიჩის დაქვემდებარებაში გამოყოს სათანადო კვალიფიკაციის ოფიცერთა აუცილებელი რაოდენობა.

13. ოპერაციის ზოგადი ხელმძღვანელობა დაევალოს სახელმწიფო უსაფრთხოების მე-2 რანგის კომისარს, ამხ. ქობულოვს, სახელმწიფო უსაფრთხოების მე-3 რანგის კომისარს, ამხ. რაფავას და სახელმწიფო უსაფრთხოების კომისარს, ამხ. კარანაძეს.

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი,
სახელმწიფო უსაფრთხოების გენერალური კომისარი
ლავრენტი ბერია“.

აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის გადასახლებისთვის გამოიყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საჯარისო ნაწილებიდან 20 000 ჯარისკაცი, ხოლო, სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის რიგებიდან, 4 000 ოპერატიული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუშაკი. გადასახლებისთვის მობილიზდა 900 ერთეული „სტუ-დებეკერის“ ტიპის სატვირთო ავტომობილი და ათეულობით სარკინიგზო ეშელონი, ძირითადად სატვირთო გადაზიდვების დანიშნულების სარკინიგზო ვაგონები.

ოპერაციის ზოგადი ხელმძღვანელობა დაევალათ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატისა და შინსახკომის მაღალჩინოსნებს – ავქსენტი რაფავას, ბოგდან ქობულოვს და გრიგოლ კარანაძეს.

ოპერაციის დაწყებამდე ზედმიწევნით შეისწავლეს სპეცსამსახურების მიერ ადრე მოპოვებული აგენტურული ცნობები სპეცგადასახლებას დაქვემდებარებული კონტინგენტის შესახებ, მათ შორის იმ იმფორმატორების ცნობები, რომლებიც შემდგომ პერიოდში გადაასახლეს.

III.

შინსახკომის ბრძანებას თან ერთვოდა შესაბამისი ინსტრუქცია, სადაც იყო დაწვრილებით გაწერილი გასახლების პროცესის მსვლელობის თანმიმდევრობა, ექსცესებისა და არეულობის თავიდან აცილების მიზნით გასატარებელი სათანადო ზომები.

გთავაზობთ ინსტრუქციის დედანს:

„ინსტრუქცია საქართველოს სსრ სასაზღვრო რეგიონებიდან თურქი-მესხების, ქურთების და ჰემშილების გადასახლების პროცედურის შესახებ (სსრკ НКВД №001176 ბრძანების დანართი).

1944 წლის 20 სექტემბერი.

სრულიად საიდუმლოდ

საქართველოს სსრ ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რეგიონების ყველა ეროვნებით თურქი, ქურთი და ჰემშილი მაცხოვრებელი ექვემდებარება გადასახლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპარტიის (ВКП(б)) და კომკავშირის (ВЛКСМ) ეროვნებით თურქი, ქურთი და ჰემშილი წევრები, დაკავებული სამუშაოს მიუხედავად ასევე ექვემდებარებიან გადასახლებას.

შენიშვნა:

ა) გადასახლებას არ ექვემდებარებიან ეროვნებით თურქი, ქურთი და ჰემშილი ქალები, რომლებიც იმყოფებიან ქორწინებაში სხვა ეროვნების პირებთან;

ბ) გადასახლების მომენტში ადგილზე არმყოფი ოჯახის ცალკეული წევრები (მივლინება, შვებულება, პირადი საქმით სხვაგან ყოფნა და ა.შ.) აყვანილი არიან აღრიცხვაზე და ექვემდებარებიან გადასახლებას დამატებით.

საორგანიზაციო ნაწილი:

1. აუცილებელ ღონისძიებებს გადასახლების ოპერაციის მომზადებასა და განხორციელებაში ახორციელებენ ოპერატიული სექტორები, რომლებიც ყველა დასახლებულ პუნქტში ნიშნავენ პუნქტის პასუხისმგებელ პირებს. მათ დაქვემდებარებაში გამოიყოფა შინსახკომის (НКВД) ოპერმუშაკების შესაბამისი რაოდენობა, რაც დამოკიდებულია გადასასახლებელი კონტინგენტის რაოდენობაზე.

2. ყოველი ოპერატიული ჯგუფი, რომელიც შედგება НКВД-НКГБ ერთი თანამშრომლისგან და НКВД საჯარისო დანაყოფის ორი მეომრისგან, განახორციელებს ოთხი ოჯახის გადასახლებას.

3. გადასახლების წარმატებით განხორციელებისთვის, პუნქტის პასუხისმგებელი პირები წინასწარ ეცნობიან НКВД-НКГБ ადგილობრივ ორგანოებში არსებულ მასალებს გადასასახლებელი კონტინგენტის შესახებ. პუნქტის პასუხისმგებელი პირი საჯარისო დანაყოფის მეთაურთან ერთად, რომელიც ასევე მის დაქვემდებარებაშია, გულდასმით სწავლობს მარშრუტებს დასახლებული ადგილიდან შეკრების პუნქტამდე და რკინიგზის სადგურამდე, სადაც ხდება მათი მატარებელში ჩასმა; მონიშნავენ აუცილებელ ადგილებს ხევებში, სადაც შესაძლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელია ჩასაფრება, ასევე – ხეობებსა და ბილიკებს, რომელიც მიემართება სასაზღვრო ხაზამდე და მის მიმდებარე რაიონებამდე; შეიმუშავებენ დასახლებული პუნქტის ალყის გეგმებს და განსაზღვრავენ საჯარისო რეზერვის განლაგების პუნქტებს, საიდანაც ყველაზე სწრაფად შეიძლება ძალების გადასროლა ექსცესების დაწყების შემთხვევაში.

4. НКВД ოპერატიული შემადგენლობა და ოპერაციის შესასრულებლად გამოგზავნილი ოფიცრები, თავის სამუშაოს ასრულებენ კონსპირაციის წესების საგულდაგულო დაცვით.

5. დეპორტირებულების პირუტყვისა და სხვა ქონების უსაფრთხოებისა და ადგილზე შენარჩუნების მიზნით, გადასახლების ოპერაციის დროს, უნდა მოხდეს ამ ქონების ინვენტარიზაცია და შესაბამისი ქვითრების გაცემა გადასასახლებელ პირებზე, თითოეულ ოპერატიულ სექტორთან მიმაგრებული უნდა იყოს სპეციალური ეკონომიკური კომისია, რომელთა უფლებამოსილი წარმომადგენლები უნდა იყვნენ ყველა დასახლებულ პუნქტში და დაექვემდებარონ რაიონის პასუხისმგებელ პირს.

ოპერაციის განხორციელების გეგმა:

1. ოპერაციის დაწყებამდე, რაიონის პასუხისმგებელი პირი ამოწმებს, სწორად არიან თუ არა განლაგებული დასახლებული პუნქტის უშიშროების თანამშრომლები, მოწყობილია თუ არა ჩასაფრებები და დასახლებული პუნქტის ალყა, რის შემდეგაც იგი უხმობს დასახლებული პუნქტის მამაკაცებს და აცნობს მათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საზღვრის დაცვის გაუმჯობესების მიზნით, ისინი უნდა გადასახლდნენ ცენტრალური აზიის სამხრეთ რაიონებში. ამასთანავე, რაიონის პასუხისმგებელი პირი მათ ზედმიწევნით აცნობს გადასახლების პირობებს (რამდენი და რა სახის ქონების წაღების უფლება აქვთ, რა პირობებით მოხდება მათი დასახლება ახალ საცხოვრებელ ადგილას და რა შეღავათებს გაუწევს მათ სახელმწიფო). ამ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნმარტების დასრულების შემდეგ ის შეკრებილებს სთავაზობს ქონების შეგროვებას და აფრთხილებს, წინააღმდეგობის ან გადასახლებაზე უარის თქმის შემთხვევაში მათ პასუხისმგებლობაზე.

2. კრების დასრულების შემდეგ, პასუხისმგებელი პირი დაუყოვნებლივ აგზავნის ოპერატიულ ჯგუფებს მათზე გაპიროვნებულ სახლებში. სახლებში მისვლისას ოპერჯგუფის ხელმძღვანელი ოჯახის უფროსს მოუწოდებს, ჩააბაროს მათთან არსებული ცეცხლსასროლი, ან ცივი იარაღი და შედეგისდა მიუხედავად, დამატებით ათვალიერებს შენობას.

3. დეპორტირებულებს უფლება ეძლევათ თან წაიღონ პირადი ქონება და ძვირფასეულობა, ფული, საოჯახო ნივთები (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სასოფლო და საოჯახო ინვენტარი) და ოჯახზე 1500 კილოგრამი წონის მარაგი.

4. НКВД-НКГБ ოპერმუშაკი ვალდებულია ოჯახებს დართოს ნება ამ ნორმის შესაბამისად წაიღონ ქონება და ნივთები. შეგროვების პროცესში ოპერმუშაკი ავსებს სააღრიცხვო ბარათის ორ ეგზემპლარს. ოჯახის რომელიმე წევრის არყოფნის შემთხვევაში, რომელიც ექვემდებარება გადასახლებას, ასევე ოჯახის შემადგენლობაში შესაძლო უზუსტობების დროს, ოპერმუშაკი არკვევს ოჯახის წევრების ადგილმდებარეობას და აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ბარათში.

5. სახლში მყოფი ყველა პირი უნდა იქნას დაკავებული. ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის რაიონებში მცხოვრები თურქები, ქურთები და ჰემშილები ექვემდებარებიან გადასახლებას. სხვა ეროვნების პირები, დოკუმენტების შემოწმების და პიროვნების დადგენის შემდეგ გათავისუფლდებიან ოპერაციის დასრულებისთანავე. ოპერაციის ფარგლებში ოპერმუშაკებს შეუძლიათ გამოავლინონ და დააკავონ სხვა ეროვნების ბანდიტები, დამნაშავეები, ძებნილები და სხვა არასაიმედო პირები. ყველა საეჭვო პირი ექვემდებარება დაპატიმრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. არ უნდა იქნას დაშვებული უცხო პირების შეკრება გადასახლებულთა სახლებთან. ანტისაბჭოთა გამოხტომების და ოპერჯგუფებზე თავდასხმის საფრთხის გათვალისწინებით, რაიონის პასუხისმგებელი პირები უნდა იყვნენ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ექსცესების წარმოქმნის შემთხვევაში, მიიღონ გადამჭრელი ზომები დაუყოვნებლივ ლიკვიდაციისთვის, განსაკუთრებულ შემთხვევებში, იარაღის გამოყენებითაც. ოპერჯგუფების სექტორების უფროსებმა გააფრთხილონ ყველა ოპერმუშაკი და НКВД ჯარების ხელმძღვანელი, რომ საქმეში იარაღის გამოყენების შემთხვევაში იმოქმედონ მკაცრად და დამაჯერებლად, ზედმეტი აურზაურის, ხმაურისა და პანიკის გარეშე.

7. გადასახლებულთა და მათი ქონების ავტომობილებში განთავსების დროს, თითო სატვირთო მანქანაზე უნდა მოთავსდეს 3-4 ოჯახი და მათი ქონება, რათა არ მოხდეს ავტომობილების გადატვირთვა. დასახლებულ პუნქტებში, სადაც გათვალისწინებულია გადასახლებულთა ღამისთევა, საძილე ადგილი მოეწყოს იმგვარად, რომ გამორიცხული იყოს გაქცევა ან რაიმე სახის ექსცესი.

8. გადასასახლებელთა შეკრების პუნქტებთან გადასაყვანად, განსაკუთრებით მთიან რაიონებში, ოპერაციის დღეს მოხდეს კოლმეურნეობების სატვირთო ტრანსპორტის მობილიზება და იმგვარად განაწილება, რომ შესაძლებელი იყოს ნორმით დადგენილი ქონების გადაზიდვა.

9. სადგურში გადასასახლებელთა გადაყვანის შემდეგ, რაიონის პასუხისმგებელი პირი, შესაბამისი ეშელონის კომენდანტს აბარებს ხალხს ხელწერილით. მათთან ერთად აბარებს სააღრიცხვო ბარათის პირველ ეგზემპლარს. კომენდანტისთვის გადაცემის შემდეგ, რაიონული პასუხისმგებელი პირი დაუყოვნებლივ აცნობებს ოპერატიული სექტორის ხელმძღვანელს ოპერაციის შედეგების შესახებ და თან ურთავს საააღრიცხვო ბარათის მეორე ეგზემპლარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახლებულთა გადაყვანა რკინიგზით:

1. ჩასატვირთ სადგურებში ყოველ ვაგონში ჩაისვას 5-6 ოჯახი ქონებით. არაუმეტეს 30 ადამიანისა და 6-7 ტონა ტვირთისა. ყოველი ეშელონი უზრუნველყოფილი იქნას НКВД საჯარისო კონვოით 25 ადამიანის შემადგენლობით.

2. მატარებლის კომენდანტი, გადასასახლებელთა ჩატვირთვის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მათ სწორ განლაგებას, რათა:

ა) გადასასახლებელთა ქონება მათთან ერთად იყოს ერთ ვაგონში;

ბ) გამოირიცხოს ქონების დაკარგვა (ნივთებზე დაეწეროს მფლობელთა გვარები);

ვ) არ დაიშვას ოჯახის წევრების განცალკევება სხვადასხვა ვაგონებსა და ეშელონებში;

გ) ყველა ვაგონი უნდა იყოს მოწყობილი ხალხის გადასაყვანად (შიგნით უნდა იყოს ფიცრები, ღუმელი და სხვა აუცილებელი საგნები).

3. გადასასახლებელთა კვებას გზად უზრუნველყოფს მატარებლის კომენდანტი, სპეციალურად მოწყობილ ადგილებში. კვების თანხას იხდის მატარებლის კომენდანტი, რისთვისაც საჭირო სახსრები მას გამოეყოფა ოპერატიული სექტორის უფროსის მიერ. ყოველ მატარებელზე მიმაგრებული იქნება ექიმი და მედდა საჭირო მედიკამენტებითა და ინსტრუმენტებით.

4. აგენტურულ-ოპერატიული მომსახურებისთვის თითო მატარებელს გამოეყოფა ერთი ოპერმუშაკი. მატარებელზე მიმაგრებული ოპერმუშაკი ვალდებულია დაამყაროს კონტაქტი გადასასახლებლებს შორის არსებულ აგენტურულ- ინფორმაციულ ქსელთან, რათა თავის დროზე მიიღოს ზომები მათი მხრიდან ანტისაბჭოთა ქმედებების და გაქცევების წინააღმდეგ.

5. მატარებლის კომენდანტი მისთვის გამოყოფილ НКВД კონვოის ჯარების მეთაურთან ერთად აყენებს ყარაულს, ისევე

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მატარებლების გაჩერებებზე, ასევე მთელი გზის მანძილზე შესაბამისი განრიგით.

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი,
სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისარი,
ლავრენტი ბერია.“

როგორც ინსტრუქციიდან ირკვევა, ოპერაციის დაწყებამდე ადგილებზე სიტუაციის შესასწავლად დააგზავნეს კონსპირაციულად მოქმედი შინსახკომელები. ისინი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხუთ რაიონში და აჭარის რეგიონში მონიშნავდნენ აუცილებელ-მოსახერხებელ ადგილებს, სადაც ხევებში შესაძლებელი იყო ჩასაფრების მოწყობა, ასევე აკონტროლებდნენ იმ ხეობებსა და ბილიკებს, რომლებიც მიემართებოდნენ სასაზღვრო ხაზამდე და საზღვრის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებამდე. დეტალურად იყო შემუშავებული და განსაზღვრული დასახლებული პუნქტების ალყაში მოქცევის გეგმები და საჯარისო რეზერვის განლაგების ისეთი პუნქტები, სადაც ყველაზე სწრაფად შეიძლებოდა ძალების გადასროლა ანტისაბჭოთა გამოსვლების, არეულობის, ან ექსცესების დაწყების შემთხვევაში.

შინსახკომის თანამშრომლებისთვის გაცემულ ინსტრუქციაში (რომელიც საკავშირო შინსახკომის უკვე ცნობილი ბრძანების დანართს წარმოადგენდა) შევხვდებით ისეთ მითითებებს, როგორიცაა: „ანტისაბჭოთა გამოხტომების და ოპერჯგუფებზე თავდასხმის საფრთხის გათვალისწინებით, რაიონის პასუხისმგებელი პირები უნდა იყვნენ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში, ექსცესების წარმოქმნის შემთხვევაში, მიიღონ გადამჭრელი ზომები მეამბოხეების დაუყოვნებლივი ლიკვიდაციისთვის“... „იმოქმედონ მკაცრად და დამაჯერებლად, ზედმეტი აურზაურის, ხმაურის და პანიკის გარეშე“ და ა.შ.

ანუ, გადაწყვეტილი იყო, რომ მცირედი წინააღმდეგობაც კი, საჩვენებლად, იარაღის გამოყენებით აღკვეთილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 ნოემბერს დილით, სათანადო დაზღვევის და დასახლებული პუნქტების ოპერატიული უზრუნველყოფისა და ალყის შემორტყმის შემდეგ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (სამცხე-ჯავახეთი) რაიონების სოფლებში მცხოვრები, გადასახლებას დაქვემდებარებული, მამაკაცები შეკრიბეს და აცნობეს, რომ საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო საზღვრის დაცვის გაუმჯობესების მიზნით, ისინი ექვემდებარებიან ცენტრალური აზიის რესპუბლიკების სამხრეთ რაიონებში სპეცგადასახლებას. თითოეულ ოჯახს მიეცა 1500 კგ წონის საოჯახო ნივთების (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სასოფლო და საოჯახო ინვენტარი) წაღების უფლება. იმავე საღამოს 18 საათისთვის ეშელონებში იმყოფებოდა და გასამგზავრებლად მზად იყო 26 591 ადამიანი.

აქვე უნდა აღინიშნოს მოარული, განსხვავებული მოსაზრებაც, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის გადასახლება იმ მოტივით, რომ ისინი საფრთხეს წარმოადგენდნენ მეორე მსოფლიო ომში და საომარი მოქმედებების შემთხვევაში თურქეთს შეუერთდებოდნენ, მხოლოდ საბაბი იყო ამ ტერიტორიების ეთნიკური გაწმენდისა და, ამავდროულად, ცენტრალური აზიის უზარმაზარი ცარიელი ტერიტორიების ათვისება-დასახლების მიზნით.

გადასახლების პროცესი ხორციელდებოდა გეგმისა და გაწერილი განრიგის მიხედვით, ორგანიზებულად.

IV.

სრული სიცხადისა და დამაჯერებლობისთვის გთავაზობთ საქართველოს სსრ უშიშროების სახალხო კომისრის ა. ნ. რაფავას ტელეგრამის დედანს, რომელიც ბორჯომის რკინიგზის სადგურიდან გაუგზავნა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა კომისარს ლავრენტი ბერიას თურქი – მესხების, ქურთების და ჰემშილების გადასახლების დაწყების თაობაზე:

„1944 წლის 15 ნოემბერი.

სრულიად საიდუმლოდ.

ბორჯომიდან:

თქვენი მითითების თანახმად, სპეცკონტინგენტის გადასახლების ოპერაცია დაიწყო 15 ნოემბრის დილიდან. 18 საათისთვის ეშელონებში ჩატვირთულია 26 591 ადამიანი. სამი ეშელონი გაგზავნილია, დანარჩენი გადასახლების მომლოდინე სპეცკონტინგენტი იმყოფება რაიონული შეკრების პუნქტებში. ოპერაციის განხორციელების პროცესში არანაირი ექსცესი არ ყოფილა.

ნ. რაფავა.

მიღებულია: 15.11. 1944 წ., 21:40 სთ.“

V.

გადასახლების ოპერაციის ორგანიზებულად და სრულყოფილად დასრულებისა და შედეგების შესახებ, 1944 წლის 28 ნოემბერს, საბჭოთა კავშირის შინსახკომის სახალხო კომისარმა, ლ.პ. ბერიამ ქვეყნის მეთაურს – ი.ბ. სტალინს ტელეგრამით მოახსენა.

გთავაზობთ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ლ.პ. ბერიას მოხსენებითი ბარათის დედანს, გაგზავნილს, ი.ბ. სტალინის, ვ.მ. მოლოტოვის და გ.მ. მალენკოვის სახელზე – თურქების, ქურთების და ჰემშილების საქართველოს სსრ სასაზღვრო რეგიონებიდან გადასახლების ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ:

„თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი:

სრულიად საიდუმლოდ:

ამხანაგ ი.ბ. სტალინს;

სსრკ სახალხო კომისრების საბჭოს – ამხ. ვ.მ. მოლოტოვს;

კომპარტია (ЦК ВКП(Б)) ამხ. გ.მ.მალენკოვს.

28 ნოემბერი 1944 წელი

N1282/ბ

სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად, ჩატარდა საქართველოს სსრ სასაზღვრო რაიონებიდან თურქების, ქურთებისა და ჰემშილების გადასახლების ოპერაცია.

მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებსაც მოსაზღვრე თურქეთის რაიონების მოსახლეებთან ნათესაობა აკავშირებდათ, დაკავებული იყვნენ კონტრაბანდით, ავლენდნენ ემიგრაციულ განწყობებს და თურქეთის სადაზვერვო ორგანოებისთვის წარმოადგენდნენ ჯაშუშურ ელემენტებად გადმობირებისა და ბანდიტური შენაერთების ფორმირების წყაროს.

გადასახლებისათვის მზადება მიმდინარეობდა მ.წ. 20 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე.

ამავდროულად, გაძლიერებული იყო თურქეთთან სახელმწიფო საზღვრის დაცვა, რათა თავიდან აცილებული ყოფილიყო გადასახლებას დაქვემდებარებულ პირთა მცდელობები გადაეკვეთათ თურქეთის საზღვარი. ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის რაიონების მოსახლეობის გადასახლების ოპერაცია ჩატარდა მიმდინარე წლის 15-18 ნოემბერს, აჭარის ასსრ-ში მიმდინარე წლის 25-26 ნოემბერს. ჯამში გადასახლდა 91 095 ადამიანი.

გადასახლებულებით დატვირთული ყველა ეშელონი იმყოფება ახალი განსახლების პუნქტებისკენ, კერძოდ, უზბეკეთის, ყაზახეთის და ყირგიზეთის საბჭოთა რესპუბლიკებისკენ მიმავალ გზაზე.

გადასახლების ოპერაცია ჩატარდა ორგანიზებულად, დაუგეგმავი შემთხვევითობების გარეშე.

საქართველოს სსრ ზემოთ აღნიშნულ რაიონებში ჩასახლდება 7 000 ოჯახი საქართველოს სსრ მცირემიწიანი რაიონებიდან.

ამავდროულად, სსრკ შინსახკომი ახორციელებს სპეციალურ ღონისძიებებს თურქეთთან მოსაზღვრე საქართველოს სსრ რაიონებში სასაზღვრო რეჟიმის გასაძლიერებლად.

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი
ლავრენტი ბერია“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრემლში გაგზავნილი დეპეშიდან ნათლად ჩანდა, გადასახლების ოპერაციის მსვლელობისას შემთხვევითობები, ექსცესები არ ყოფილა, მოსახლეობა დაემორჩილა მათთვის მიცემულ მითითებებს და ცენტრალური აზიისკენ მიმავალ შორეულ გზას გაუდგა, სადაც მათ უმძიმესი ცხოვრების პირობები ელოდებოდათ!..

შედეგად, საქართველოდან დედაბუდიანად გადაასახლეს აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მუსლიმური აღმსარებლობის თურქმანული წარმომავლობის და მასთან გაიგივებული მოსახლეობა (საუბედუროდ, მუსლიმანი მესხებიც – „იერლები“ – სამცხე – ჯავახეთში მცხოვრები ქართული წარმომავლობის მკვიდრნი).

ისიც საგულისხმოა, რომ სამცხეში არის სოფელი კიკიბო (ადიგენის რაიონი), სადაც მუსლიმი აღმსარებლობის აჭარლები სახლობდნენ. იქიდან ერთი ოჯახიც არ გაუსახლებიათ, თუნდაც იმიტომ, რომ მათ თურქული ორიენტაცია და სხვა ხედვა არ ჰქონდათ. მათთვის მთავარი მცნებები მამული და ენა იყო!

ცენტრალური (შუა) აზიის რესპუბლიკებში: – ყაზახეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 31 ივლისის N 6279-სს დადგენილების თანახმად, უკან დაბრუნების უფლების ჩამორთმევით, გადასახლებას დაექვემდებარა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს 200 სოფლის 19 818 ოჯახი.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება, თუ ეთნიკურ შემადგენელს, გადასახლებულთა რაოდენობის მიხედვით, დავაზუსტებთ:

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონიდან (სამცხე-ჯავახეთი) გადაასახლეს 19 818 ოჯახი. მათ შორის:

– თურქი-მესხები – 14 493 ოჯახი;

– ქურთები – 1 830 ოჯახი;

– აზერბაიჯანელები (თურქმანული ტომები – ყარაფაფახები და თარაქამები) – 3 058 ოჯახი;

– იეზიდები – 7 ოჯახი;
– თათრები – 126 ოჯახი;
– ჰემშილები – 304 ოჯახი.

აჭარის ავტონომიის ტერიტორიიდან გადაასახლეს 1764 ოჯახი. მათ შორის:
– თურქები – 668 ოჯახი;
– ქურთები და ბოშები – 792 ოჯახი;
– ჰემშილები – 304 ოჯახი.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იგივე მოტივით, აჭარიდან ასევე გადასახლებას დაექვემდებარა ქართველი მოსახლეობის ის კონტინგენტი, რომლებიც შედარებით გვიან (1877-1878 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ) გადმოსახლდენ თურქეთის საზღვრებში მოქცეული საზღვრისპირა რაიონებიდან და განსახლდნენ მთისა და ბარის აჭარის სოფლებში.

მაშასადამე, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის (ნინოწმინდის) რაიონების მოსახლეობის გადასახლების ოპერაცია ჩატარდა 1944 წლის 15-18 ნოემბერს, აჭარის ასსრ – 1944 წლის 25-26 ნოემბერს. ჯამში გადასახლებას დაექვემდებარა 91 095 ადამიანი.

ასევე გადასახლებას დაექვემდებარა ზემოთხსენებულ ეროვნებათა 41 000 სამხედრო სამსახურში მობილიზებული წარმომადგენელი, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდნენ. ომის დასრულების შემდეგ უკან დაბრუნდა 14 000 მუსლიმი თურქი-მესხი, რომლებიც ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში გადასახლებულ ოჯახებს შეუერთდნენ.

* * *

სამართლიანობა მოითხოვს განმეორებით აღინიშნოს კიდევ ერთი ყურადსაღები გარემოება: რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის დროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში მუსლიმან მესხთა ჯგუფი მოიხსენიება, როგორც „თურქი მესხები“, რის შედეგადაც აღნიშნული მცდარი ტერმინი ფართო მასებში დამკვიდრდა. სინამდვილეში აღნიშნული ეთნიკური

ჯგუფი – მუსლიმანი მესხები – წარმომავლობითა და ჯიშით სუფთა ქართველები იყვნენ და თურქმანულ ეთნოსთან არანაირი კავშირი არ გააჩნდათ. სამცხე-ჯავახეთის იმდროინდელი თურქმანული და სხვა არაქართული წარმომავლობის მოსახლეობა მუსლიმან მესხებს „იერლებს“ უწოდებდნენ. ესე იგი, ისინი ადგილობრივ, მკვიდრ, ქართველ მოსახლეობას წარმოადგენდნენ.

სტატისტიკის თანახმად, შუა აზიაში საქართველოდან გადასახლებული ეგრეთ წოდებული თურქი-მესხები (14 493 ოჯახი) გადასახლებას დაქვემდებარებული კონტინგენტის უმრავლესობას შეადგენდენ. თუ ვივარაუდებთ, რომ ერთი ოჯახი საშუალოდ ხუთი წევრისგან შედგება, გამოდის, რომ 72 465 ადამიანი მუსლიმანური აღმსარებლობის მესხი – ქართველი ყოფილა!.. ეს ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის დიდი დანაკლისია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარი მეორე

ბოროტება
დაუსჯელი არ რჩება!

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა,
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი!..“

შოთა რუსთაველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი I

დიდებული მესხეთის დაცემა-დაკნინების, გმირ, ბრძენ, განათლებულ, ქართული კულტურისა და ლიტერატურის, პოეზიისა და ხელოვნების სანიმუშო და წარმეტებილი გენიის შთამომავალთა დაკნინება-გადაგვარება-ასიმილაციის მიზეზ-შედეგობრივ რაობას კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი. ერთგვარი მოკლე რეზიუმეც გავაკეთოთ:

1489 წლიდან ერთიან ქართულ სახელმწიფოს საბოლოოდ ბოლო მოეღო. მის ნანგრევებზე ჩამოყალიბდა სამი სამეფო და სამცხე-საათაბაგოს დამოუკიდებელი სამთავრო.

1555 წლის 29 მაისი, ამასიის ზავის საფუძველზე ოსმალეთმა და ირანმა საქართველოს ტერიტორიები თავ-თავიანთ გავლენის ზონებად დაყვეს-გაინაწილეს. ოსმალეთს „ერგო“ დასავლეთ საქართველო და ისტორიული მესხეთი, ხოლო ირანს – აღმოსავლეთ საქართველო და ჯავახეთის მხარის აღმოსავლეთი ნაწილი.

... აი, სწორედ აქედან იწყება გავლენის ზონებად დანაწევრებულ-დაყოფილი „საქართველოების“ დაკნინება-დამცროობა-გავერანებ-გაჩანაგება...

საუბედუროდ და სავალალოდ, განსაკუთრებით ცუდი დღე დაადგა დიდებული მესხეთის რეგიონებს – სამცხე-საათაბაგოსა, ტაო-კლარჯეთ-არტაანს და აჭარა-ჭანეთს.

მართალია, დაპყრობილი ხალხები და ისტორიული ქართული კუთხეები არაერთხელ აუჯანყდა ოსმალო დამპყრობლებს, მაგრამ 1625 წლიდან ოსმალეთი საბოლოოდ ბატონდება ისტორიული მესხეთის მთელ ტერიტორიაზე და იწყება მოსახლეობის მეთოდური, მიზნობრივი და მზაკვრული ფორმებით ძირძველი ქართველი ქრისტიანი მართლმადიდებელი მოსახლეობის გამუსლიმანება-ასიმილაციის პროცესი.

...პირველად საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლებმა მიიღეს მუსლიმანური სარწმუნოება, რაც განპირობებული იყო მამულებისა და პრივილეგიების შენარჩუნების, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმწიფო მმართველობით სტრუქტურებში დაწინაურება-დამკვიდრებით. გლეხობამ მე-18 საუკუნის შუა ხანებამდე შეინარჩუნა ქრისტიანობა, მაგრამ მუდმივმა სარწმუნოებრივმა ზეწოლამ, ამავე მიზეზით ეკონომიკურმა, სოციალურმა და სამართლებრივმა უთანასწორობამ და უუფლებობამ, ქრისტიანული მოსახლეობის პერმანენტულმა შევიწროება-დამცირება-შეურაცხყოფამ, სპეციალურმა, მხოლოდ ქრისტიანთანვის განკუთვნილმა გადასახადებმა და რაც მთავარია, გამიზნულმა სამხედრო-ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომლითაც ქართული ქრისტიანული მოსახლეობა სრულიად უუფლებო და დაუცველ-განწირული აღმოჩნდა, საბოლოო ჯამში გამოიწვია მოსახლეობის სრული გამუსლიმანება, ეროვნულობის დაკარგვისა და სრული ასიმილაცია-გადაგვარების კონტურების ნათლად გამოკვეთა.

... რა ხდება ამ დროს დანარჩენ საქართველოში?!

1783 წელს, ჩრდილოეთ კავკასიის ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ხელი მოეწერა ტრაქტატს – მეგობრობის, მფარველობისა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას!

ტრაქტატის საფუძველზე, ქართლ-კახეთის სამეფო შედიოდა რუსეთის იმპერიის პროტექტორატის – მფარველობის ქვეშ, ასევე, გათვალისწინებული იყო ისტორიული ქართული მიწა-წყლის დამპყრობელთაგან გამოხსნა და ერთიანი საქართველოს ქოლგის ქვეშ გაერთიანება-ინტეგრაცია. ტრაქტატის პირობებით, ქართლ-კახეთის სამეფო სრულად ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას – მართვა-გამგებლობისა და მართლმსაჯულების ხელშეუხებლობას. ქართულ სამეფოს მხოლოდ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება ეზღუდებოდა. ამ მიზნით გაიცვლებოდნენ ელჩი-პროკურატორები, რომლებიც მიიღებდნენ აქტიურ მონაწილეობას საქართველოს საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა-წარმოებაში და შეუთანხმებდნენ რუსეთის საიმპერიო კარს. ე.ი. მეზობელ თუ პარტნიორ ქვეყნებთან რუსეთის იმპერიის მესვეურებთან შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთანხმებლად საქართველოს არ უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკებები და არ დაედო გარიგება-შეთანხმება-ხელშეკრულებები. აქედანვე ირკვევა, რომ რუსეთის იმპერიას თავიდანვე არ უნდოდა მშვიდობისა და თავისუფლების მოყვარე ქართველი ერის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ყოფნა-არსებობა.

რუსეთის იმპერიის უმაღლესი ეშელონების მესვეურთ, კარგად უწყოდათ რუსი ჩინოვნიკებისა და სამხედრო ელიტის ველიკოდერჟავული, შოვინისტური, აგრესიული ქედმაღლობა და სხვა ერების მიმართ პირველხარისხოვნობის გაუმართლებელი ამპარტავნება. ამიტომ, ტრაქტატის გადამუშავებულ ვარიანტში ჩაიდო რიგი მზაკვრული, ორაზროვანი, ინტერპრეტაციის (თავისი გემოვნების დარად აღქმა-მორგების) საშუალების მომცემი პუნქტები-არტიკულები და საიდუმლო დებულებაც კი.

როგორც ირკვევა, ტრაქტატში თავიდანვე ჩაიდო საქართველოს დამოუკიდებლობის ჯერ ხელყოფის, შემდეგ კი სახელმწიფოს გაუქმებისა და საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შეთრევა-შეყვანის შესაძლებლობა.

მართლაც, სულ მალე, რუსეთის საიმპერიო კარმა აამოქმედა კარგად ორგანიზებული და სასურველ შედეგზე ორიენტირებული სადაზვერვო-დივერსიული მანქანა. გარდა იმისა, რომ აქტიურად იყენებდა ჯერ კიდევ ვახტანგ VI გაყოლილი 1500 -ზე მეტი ქართველი დიდებულების – თავად-აზნაურების, თითქმის გარუსებულ-გადაჯიშებულ-გადაგვარებულ შთამომავლობას, რომელთაც რუსეთის მმართველობით და სამხედრო სტრუქტურებში წარმატებებისთვის უკვე მიეღწიათ (ციციანოვი, ბარატიანსკი და სხვა) ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა ახალი რიგებიდან მოიძებნა მსუყე ნიადაგი და განდიდების, ქონების დაგროვების, ხახელმწიფო მმართველობით სტრუქტურებში შეღწევა-მოკალათების მსურველთა მთელი არმია. საბედისწეროდ, ნათლად ეს მდგომარეობა აღწერა და შთამომავლებს გადმოგვცა სულმნათმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის გენიალურ პოემაში – „ბედი ქართლისა“!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა იმისა, რომ თავისი პოზიციების განმტკიცებისა და თვითმპყრობელობის გაძლიერების მიზნით, ქართველმა თავადაზნაურობამ უარი თქვა ქართულ ტრადიციულ „პატრონ-ყმურ“ ურთიერთობებზე და სრულად აითვისა და გაითავისა „ბატონ-ყმური“ რუსული მოდელი და ურთიერთობები ქართველი ერის დაბალი ფენების მოსახლეობის მიმართ, ფართოდ შეითვისა და გაითავისა ყმათა დასჯა-დამცირების ისეთი მეთოდები, როგორიცაა გაროზგვა, დასახიჩრება, დაუმორჩილებელთა გაციმბირება-გადასახლება, რითაც სრულიად დაიმორჩილა და დააკაბალა ისედაც დაჩაგრულ-დამცირებული ქართველი გლეხობა და მოსამსახურე პერსონალის ფართო ფენები.

... ქართველთა მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები ხსენებულ ტრაქტატში ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის გაცილებით სერიოზულ ხელყოფას ხედავდნენ, ვიდრე თვით ირანის შაჰისადმი ვასალურ მორჩილებაში. დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების აკრძალვამ (იმ პირობებში, როდესაც პეტრბურგიდან სამხრეთ კავკასიაში რამდენიმე თვის შემდეგ ჩამოდიოდა ფოსტა თუ შეტყობინება), საქართველო თურქეთისა თუ ირანის მხრიდან დაუსრულებელი შემოსევებისთვის გაწირა. კავკასიონის ქედი რუსეთის მხრიდან სწრაფ სამხედრო დახმარებასაც გამორიცხავდა. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე უდავოდ ხაფანგში გაება (თუ გამიზნულად გააბეს?!..), მაგრამ უამისოდაც არ შეიძლებოდა... რუსეთი კავკასიას, შავსა და კასპიის ზღვებს აუცილებლად დაიპყრობდა. არ შეიძლებოდა ქართლ-კახეთი გამარჯვებულის მხარეზე არ ყოფილიყო.

შედეგად, რუსეთის იმპერიის ფარული და მზაკვრული მიმხრობის გამო, შეგულიანებულმა ირანის შაჰმა, აღა-მაჰმად-ხანმა შემოესია აღმოსავლეთ საქართველოს, თბილისი აიღო, გადაწვა-გააჩანაგა და უზარმაზარი ადამიანური და ეკონომიკური ზარალი მიაყენა...

რუსეთის იმპერიის კოლონიალურმა პოლიტიკამ, ვერ იგუა საზღვრისპირა, ახლად დაპყრობილ-შემოერთებულ მიწებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითომ „სეპარატისტულად“ განწყობილი მუსლიმანური აღმსარებლობის ქართული მოსახლეობა და თურქეთის იმპერიასთან რელიგიური ნიშნით მოსახლეობის გაცვლის შესახებ ფარული გარიგება დადო.

შედეგად, 60-65 000 ძირძველი ქართველი მესხი, ოსმალების მიერ გამუსლიმებული, მუჰაჯირად გადასახლდა თურქეთის შიდა რაიონებში, მათ მაგივრად კი არზრუმისა და ყარსის ვილაეთებიდან სომხური მოსახლეობა ჩამოასახლეს. ასევე ჩამოასახლეს მართლმადიდებელი, მაგრამ ენაგამოცვლილი ბერძნები, პროტესტანტი გერმანელები და დუხაბორ-მალაკანი სექტების წევრი რუსები და დაუმორჩილებელი პოლონელ-უკრაინელები!.. დარჩენილი არაქართული წარმომავლობის თურქმანულ-ქურთული ტომები და ჰემშილები კი თავს შესანიშნავად გრძნობდნენ!..

ოსმალურმა და რუსულმა დამპყრობლურმა, კოლონიალურმა და მზაკვრულად გატარებულმა „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკამ თავისი მზაკვრულ-მუხანათური შედეგი გამოიღო: ჯერ იყო და ოსმალურმა კაბალურმა სოციალურმა და ეკონომიკურ-სამხედრო პოლიტიკამ და შეუწყნარებელმა რელიგიურმა მიდგომამ ძირძველი ქართული რეგიონის – დიდებული მესხეთის მკვიდრი ქრისტიანი მართლმადიდებელი მოსახლეობა საბოლოოდ დაიმორჩილა, გადააგვარა და გამუსლიმანა. მეორე მხვრივ, სწორედ ოსმალეთის იმპერიის მიერ დანერგილი ფანატიკური მუსლიმანური რწმენის ბრალი იყო, როცა რუსეთის იმპერიის მიერ სამცხე-ჯავახეთისა და კოლა-არტაანის დაპყრობის შემდეგ, ამ უკანასკნელმა, იმპერიის საზღვრების უსაფრთხოების საბაბით, ვერ იგუა მუსლიმანური აღმსარებლობის ქართველთა თავის ისტორიულ, მამა-პაპურ მიწაზე დარჩენა!.. რუსეთის იმპერიამ, იმის მაგივრად, რომ ეზრუნა მუსლიმანი ქართველები დაბრუნებოდნენ მამა-პაპურ სარწმუნოებას და ღირსეულად ეცხოვრათ წინაპართა მიწაზე, რათა მათი შვილები ნაღდ ქართველ პატრიოტებად დამდგარიყვნენ, პირიქით, ჯერ იყო და ოსმალებთან ფარული გარიგებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი შეუწყო მათი უმრავლესობის ოსმალეთის შიდა რეგიონებში მასიურ გადასახლებას, აქ დარჩენილები კი, პირიქით, ოსმალო-თათრებად გამოაცხადეს, ოსმალურ-თათრული ენა აღიარეს მათ მშობლიურ ენად!..

არც საბჭოთა ხელისუფლებას უზრუნია სამცხე-ჯავახეთის ქართველ მუსლიმანთა დანარჩენ ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრაცია-შერწყმა-შეთვისებაზე. მათაც მუსლიმანი ქართველები, თარაქამა-თურქმანების დარად, თურქ-მესხებად გამოაცხადეს, აღიარეს მათ მშობლიურ ენად ოსმალურ-თათრულ-აზერბაიჯანული ენა, ხოლო სკოლებში სწავლების კურსი აზერბაიჯანულ (ოსმალურ-თათრულ) ენაზე დანერგეს. ამით საბოლოოდ მოხდა ძირძველი მესხი ქართველების სრული ასიმილაცია და დეგრადაცია. შედეგად მიიღეს, საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთა მტკიცებით, ანტოგონისტურად, სეპარატისტულად განწყობილი გათურქებული მოსახლეობა, რისი „ლოგიკური“ დაგვირგვინება იყო 1944 წელს მათი ძირ-ფესვიანად აყრა და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში სპეცგადასახლება მშობლიურ ადგილებში დაბრუნების უფლების ჩამორთმევით!..

... ჩვენთვის საინტერესო დივერსიულ-ტერორისტული აქტიც, ჩატარებული თურქეთის საზღვრისპირა რეგიონში ჩაბუდებულ-ჩანერგილი ბანდიტურ-ტერორისტული დაჯგუფების მიერ, რომელიც შურისგების აქტადაც შეიძლება გავიაზროთ, სწორედ ზემოთ აღწერილი კოლონიალურ-შეუწყნარებლური პოლიტიკის შედეგი გახლავთ!..

თავი II

საბჭოთა მესაზღვრეების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, რომელიც განხორციელდა სასაზღვრო საგუშაგოს პირადი შემადგენლობის, ოფიცრებისა და მათი ოჯახის წევრების ფარული შეიარაღებული თავდასხმის შედეგად პირწმინდად ამოწყვეტით, საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო წრეების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ შეფასდა როგორც გამიზნული, კარგად დაგეგმილი და პროფესიულ დონეზე განხორციელებული სამხედრო-პოლიტიკური კონტექსტის დივერსიულ-ტერორისტული აქტი, რომელსაც შორს მიმავალი, მრავალვექტორიანი, მრავალფუნქციური, საბჭოთა კავშირისა და მისი შეიარაღებული, ასევე უსაფრთხოების ძალების ავტორიტეტისა და ღირსების შემლახავი მადისკრედიტებელი მიზნები და შედეგები ჰქონდა.

პოლიტიკურ კონტექსტში ჩრდილოატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის (ნატო) წევრი და კანდიდატი ქვეყნები ამ წარმატებულად განხორციელებული დივერსიულ-ტერორისტული აქტით, მიზნად ისახავდნენ საბჭოთა კავშირის, როგორც მეორე მსოფლიო ომში წამყვანი და ფაშიზმზე გლობალურად გამარჯვების სულისჩამდგმელი და მებაირახტრე ქვეყნის პოლიტიკური იმიჯის შერყევას და სამხედრო-პოლიტიკური უძლეველობისა და წარმატებულობის იმიჯის შერყევა-შელახვას. პრაქტიკულად კი ეს იყო დივერსიულ-ტერრისტული აქტი, შეკვეთილი და დაგეგმილი სპეცსამსახურების მიერ, ხოლო, უშუალო შემსრულებლებისთვის – კონკრეტული ტრაგედიისა და ზარალის გამო შურისგების სისხლიანი აქტი, გნებავთ, სამაგიეროს გადახდა!..

საბოლოოდ გამოიკვეთა: დივერსიულ-ტერორისტული აქტის დამკვეთია თურქეთის მოკავშორე ჩრდილო-ატლანტიკური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის პოლიტიკური ხელმძღვანელობა; აქტის დამგეგმავია თურქეთის სპეცსამსახურების: ეროვნული უსაფრთხოების სამსახურისა და საგარეო დაზვერვის ერთობლივი ოპერაცია. შემსრულებელი კი – ისტორიული მესხეთის რეგიონიდან ლტოლვილი თუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოქცეული კრიმინალთა დაჯგუფება, რომელთაც დიდი ადამიანური, მატერიალური და მორალური ზარალი მიადგათ თანამემამულეთა მასობრივი გადასახლების შედეგად დამდგარი კონკრეტული შედეგების ფონზე.

ამრიგად, გამოძიების დღის წესრიგის უპირველეს ამოცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად დაისახა დივერსიულ-ტერორისტული აქტის უშუალო შემსრულებელთა დადგენა და მათი ლიკვიდაცია-გაუვნებელყოფის ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებაში საბჭოთა წეს-წყობილების დამყარების და რუსეთის მიერ მათი ფაქტობრივი ანექსიის შემდეგ, 1921 წელს გაფორმებული, ჯერ რუსეთ-თურქეთსა (ე.წ. მოსკოვის ხელშეკრულება), შემდეგ კი, ერთის მხრივ, თურქეთსა, მეორეს მხვრივ, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის (ე.წ. ყარსის ხელშეკრულება, რომელზედაც მედიატორის როლს რუსეთის წარმომადგენლობა ასრულებდა) სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძელზე თურქეთს გადაეცა საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი ძირძველი ქრთულ-სომხური მოსახლეობით. ამავე ხელშეკრულების საფუძველზე, 1925 წელს განხორციელდა საბჭოთა კავშირ-თურქეთს შორის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია და დემარკაცია.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის პრაქტიკული დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საბაბით, 1932 წელს საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი ჩაიკეტა. საზღვრის ტოტალური ჩაკეტვის მიუხედავად, იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ჩვენი, ასევე თურქეთის საზღვრისპირა რეგიონების მცხოვრებნი ურთიერთნათესავური და ეთნიკური ერთობლიობით, ტრადიულად ჩამოყალიბებული მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებით იყვნენ დაკავშირებული, ხშირი იყო საზღვრის კვეთის შემთხვევები ნათესავური თუ კონტრაბანდისტულ-კრიმინალური მოტივებით.

ამ კონტექსტში, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა სასაზღვრო ჯარების, უშიშროების სამსახურის ტერიტორიული ორგანოების, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სხვა საკავშირო დაქვემდებარების სპეცსამსახურების არქივებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცული მასალების ობიექტური, დაწვრილებითი და გულდასმითი შესწავლა-გაანალიზება, მათი სავარადო შემხებლობის დადგენის მიზნით კონკრეტულ დივერსიულ-ტერორისტულ აქტთან.

თავი III

საარქივო და საგამოძიებო მასალების შესწავლისას ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის ყურადღება მიიპყრო სახელმწიფო საზღვარზე, კერძოდ ახალციხის რაიონში, ურაველის ხეობაში, მთა გუმბათის ჩრდილოეთ ფერდობზე თურქეთიდან შემოჭრილ ბანდიტებსა და საგუშაგოს საგანგაშო ჯგუფს შორის შეიარაღებული შეტაკების ფაქტმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1946 წლის აგვისტოს მიწურულს.

თურქეთიდან შემოჭრილი კრიმინალური ბანდა ჩვენს ტერიტორიაზე, გუმბათის მთის ფერდობზე მობალახე ცხვრის ფარის გატაცებას და საზღვარზე გადარეკვას შეეცადა. ცხვრის ფარა ეკუთვნოდა კახეთის რეგიონის მეურნეობას. შეიარაღებული დაპირისპირებისას საბჭოთა კავშირის მხრიდან დაიღუპა ერთი და დაიჭრა ორი მესაზღვრე, ხოლო ბანდის მხრიდან დაიღუპა სამი და დაიჭრა ერთი ყაჩაღი, რომელიც სასაზღვრო განწესზე საშველად მისულ საგანგაშო ჯგუფს ტყვედ ჩაუვარდა. ყაჩაღი ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს, მიესაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრის მოხდით. ყაჩაღი სასჯელს დასავლეთ საქართველოში, დაბა ხონში განთავსებული მკაცრი რეჟიმის კოლონიაში იხდიდა.

გადარჩენილი ბანდიტი, იმჟამად პატიმარი, აღმოჩნდა შევქეთ ჩილიმოღლი, წარმოშობით ასპინძის რაიონის სოფელ ოთადან. ჩილიმოღლი დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისგან თავის არიდების მიზნით, ჯერ ტყეში გავიდა, შემდეგ კი სხვა თანამზრახველებთან ერთად თურქეთის ტერიტორიაზე გააღწია.

შევქეთ ჩილიმოღლის დაკითხვის ოქმისა და საბრალდებო მასალებიდან იკვეთებოდა, რომ ის თურქეთის ტერიტორიიდან სახელმწიფო საზღვრის არალეგალური, უკანონო კვეთით, სამ თანამზრახველთან ერთად აპირებდა საზღვრის მიმდებარედ საქართველოს ტერიტორიაზე მობალახე ცხვრის ფარის გატაცებას და თურქეთის ტერიტორიაზე გადარეკვას, მაგრამ უშედეგოდ. თანამზრახველები დაუხოცეს, თვითონ კი, დაჭრილი ტყვედ ჩავარდა. ის ბანდის შეკრებას, მის ხელმძღვანელობას, ვანდალური აქტის, შეიარაღებული ბანდიტური თავდასხმის და ცხვრის ფარის გატაცება-გადარეკვის დაგეგმვა-ხელმძღვანელობას თავის თავზე იღებდა. მის ჩვენებებში სხვა, გამოძიებისთვის საყურადღებო მასალები და გარემოებები არ იკვეთებოდა.

ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფს შევქეთ ჩილიმოღლის ჩვენება სარწმუნოდ და ამომწურავად არ მიაჩნდა, ამიტომაც, დაიგეგმა მასთან გამოცდილი ჩეკისტი-ოფიცრის ჩანერგვა და მიზნობრივი მუშაობა, გამოძიებისთვის საყურადღებო და აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით.

პატიმარ შევქეთ ჩილიმოღლის საკანში ჩანერგვის კანდიდატად შეირჩა, მომზადდა და სათანადო ინფორმაციით აღიჭურვა ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის წევრი, კაპიტანი სამველ ბალასანიანი.

ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელობამ, ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებითა და შესაბამის უწყებებთან კორდინაციით, ხონის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიავლინა მაიორი ევგენი დოლგორუკოვი და კაპიტანი სამველ ბალასანიანი. კოლონიის ხელმძღვანელობას წინასწარ ეცნობა და სათანადო განკარგულება მიეცა ჯგუფის მივლინებისა და მასზე სათანადო დახმარების აღმოჩენის, განთავსების, სამუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაო და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის, სააღრიცხვო თუ ოპერატიულ მასალებსა და საბუთებზე შეუზღუდავი წვდომის უფლების მინიჭების შესახებ. კოლონიის ხელმძღვანელობამ ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის წევრების კურატორობა კოლონიის რეჟიმის უფროსს, მაიორ ჯუმბერ ხარაბაძეს „მიანდო“.

მაიორი ჯუმბერ ხარაბაძე ყოვლად ერუდირებული, გათვითცნობიერებული, საქმის მცოდნე, ერთგული და საქმიანი ოპერმუშაკი გამოდგა. მან შევქეთ ჩილიმოღლის საკანში ჩანერგა საიდუმლო ინფორმატორი „დუგლასი“, რომლის მეშვეობითაც სათანადოდ შეისწავლა შევქეთის პიროვნული თავისებურებები და ქცევის მახასიათებლები, ასევე, მისი ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეები, დაადგინა საკონტაქტო წრე და საკანში მისი სტატუსი. დადგინდა, რომ ის ჩვეულებრივი პატიმარია, – „მუჟიკის“ სტატუსით. საკნის მამასახლისთან და „ბლატნოი“ პატიმრებთან კარგი რეპუტაციით და ავტორიტეტით სარგებლობს. გამომწვევად არ იქცევა. შევქეთი საშუალოზე მაღალი, მხარბეჭიანი, ფიზიკურად ძლიერი, ამტანი და გაბედული პიროვნება იყო. მიუხედავად ამისა, პატიმრებთან ჩხუბს, კონფლიქტს თუ სხვა გაუგებრობას ყოველთვის ერიდებოდა. კონფლიქტის ინიციატორი ან ჩხუბის წამომწყები არასდროს ყოფილა. მას აკვიატებულ დევიზად აუჩემებია: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა ვაჟკაცისაგანო“ – მართალიცაა!.. უფრთხილდება სახელისა და ღირსების შემლახავ ქცევებსა და გარემოებებს. ვერ ეგუება დამცირებასა და შეურაცხყოფას, მით უმეტეს, თუ დაუმსახურებლად ვინმე აუხირდება, ან მისთვის უღირს ქცევას, ან საქმეს დაავალებს, ან დაუმსახურებელად ცილს დაწამებს ან ცრუ ბრალდებას წაუყენებს.

კაპიტან სამველ ბალასანიანის ჩასანერგად საჭირო იყო შევქეთ ჩილიმოღლის ცალკე საკანში მოთავსება, რისთვისაც წინასწარ მომზადებული პროვოკაცია გათამაშდა, რასაც მოყვა ფიზიკური დაპირისპირება და უკანასკნელის დადანაშაულება.

საკანის მამასახლისი, წინასწარი გათვლით, რეჟიმის სამსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხურის ოპერმუშაკმა გასაუბრებაზე გაიყვანა. პატიმარ შევქეთ ჩილიმოღლის გაგულისებისა და კონფლიქტზე წამოგების საბაბად გამოყენებული იქნა მისგან საკნისა და სართულის დერეფანში განთავსებული ნაგვის – „პარაშას“ გატანის დავალება – აგდებული, შეურაცხმყოფელი ფორმით, რაც მოხერხებულად განახორციელა კიდეც საიდუმლო ინფორმატორმა „დუგლასმა“. შევქეთმა, როგორც „მუჟიკმა“ იუკადრისა ასეთი დამამცირებელი და პატივის შემლახველი საქმის გაკეთება, რასაც ჯერ სიტყვიერი შელაპარაკება შემდეგ კი ფიზიკური დაპირისპირება და ხელჩართული ჩხუბი მოჰყვა. ციხის ადმინისტრაციამ, რა თქმა უნდა, შევქეთი დაადანაშაულა, ჯერ სამი დღე კარცერში გამოამწყვდია, შემდეგ კი ცალკე საკანი მიუჩინა.

სწორედ ამ საკანში განხორციელდა კაპიტან სამველ ბალასანიანის შესახლება-ჩანერგვა.

პატიმარი იშხან თოფალოღლი – ასე წარუდგინა თავი სამველ ბალასანიანმა შევქეთ ჩილიმოღლის. პატიმრები, როგორც ერთი ხალხის შვილები, ერთი ბედისანნი, ერთ გასაჭირში მოყოლილნი, მალევე გაეცნენ, მიენდნენ და დამეგობრდნენ. ერთმანეთს თავთავისიც უამბეს.

იშხან თოფალოღლიმ შევქეთს თავისი მოუყვა: ის ასპინძის რაიონის სოფელ თმოგვის მკვიდრია, საზღვრის ჩაკეტვამდე კონტრაბანდით იყო დაკავებული, არტაანიდან და ჩილდირიდან სხვადასხვა საქონელი კონტრაბანდული გზით ჩამოქონდა და ახალქალაქისა და ახალციხის ბაზრობებზე ასაღებდა. ხშირად კი მეზობელ სოფლებში ადგილობრივ მცხოვრებთა დაკვეთებს ასრულებდა. საზღვრის ჩაკეტვის შემდეგ კონტრაბანდული საქმიანობა ძალიან სარისკო და სახიფათო გახდა. ის კი თავისას მაინც არ იშლიდა, მაინც ახერხებდა საზღვარზე კონტრაბანდული საქონელის გადმოტანას და გასაღებას, ამონაგებით კი თავს ირჩენდა. ქართულ მხარეს თანამზრახველი გაიჩინა და უხიფათო და გარანტირებული კონტრაბანდული არხიც გაჭრა. სოფელ კურტკალეს მიმდებარედ, მოხერხებულ და სხვებისთვის უცნობ და მიუვალ ადგილას, მდინარე მტკვრის ნაპირას, ტყით დაბურულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბექობზე, სასაწყობე მიწური და ფაცხა მოიწყო, სადაც არტაანიდან და ჩილდირიდან, ზოგჯერ კი ყარსიდან, გააჩნდა შეკვეთას და საქონლის ღირებულებას, ჩამოტანილ საქონელს ასაწყობებდა. შეკვეთილ საქონელს წყალგაუმტარ ქსოვილში-მუშამბაში გაახვევდა, წინასწარ მომარაგებულ ხმელ ლატანებს ტივად შეკრავდა, მტვარზე დააცურებდა და თანამზრახველს სათანადო ნიშანს მისცემდა. თანამზრახველი მდინარე მტკვრისა და კარზამეთის შესართავთან, ტყიან ჭალაში, თავთხელზე ტივს ნაპირთან მიაცურებდა, საქონელს ჩამოხსნიდა, გადამალავდა, შემდეგ კი ადრესატს წინასწარ შეთანხმებულ ფასში მიყიდდა. თანამზრახველი, სახელად ქერემი, თარაქამას ტომისა, სოფელ მირაშხანის მცხოვრები იყო. ყოველთვის პატიოსნად და საქმიანად ახერხებდა კონტრაბანდული საქონლის დაბინავება-რეალიზაციას. ქერემს მეზობელ სოფლებში გამოუჩნდა ერთგული ნათესავ-მოკეთეები, რომლებიც გარკვეული საზღაურის ფასად ეხმარებოდნენ, ხშირ შემთხვევაში „ხელსაც უცლიდნენ“. ასე გაგრძელდა ერთხანს.

შემდეგ საყოველთაოდ ცნობილი რამ მოხდა – სამცხე-ჯავახეთის მუსლიმი მოსახლეობა დედაბუდიანად შუა აზიის რესპუბლიკებში გადაასახლეს. მისი სანათესაოც, რა თქმა უნდა, გადასახლებაში მოჰყვა. იშხანი გადასახლების პერიოდში თურქეთში აღმოჩნდა, მორიგი კონტრაბანდული შეკვეთის შესასრულებლად ყარსში იყო წასული. მუსლიმი მოსახლეობის გადასახლება თურქეთის საზღვრისპირა რეგიონებს ელვის სისწრაფით მოედო, დიდი ტანჯვა-ვაებისა და ვაი-ვიშის მოწმე გახდა, არცაა გასაკვირი, მათ ხომ საქართველოს ამ რეგიონში უამრავი მოყვარე-ნათესავი თუ ნათელმირონი ჰყავდათ... იშხანს რაღა დარჩენოდა, ჩილდირის (ჩრდილის) სოფელ კურტკალეში ერთ ძველ მეგობარს შეეკედლა და უღიმღამო, უაზრო ცხოვრებას მიენდო... ახლაც იმით იმშვიდებს თავს, რომ დედისერთა იყო, მშობლები მალე გარდაეცვალნენ, დაოჯახებაც ვერ მოასწრო, ასე რომ შუა აზიაში მხოლოდ საბიძაშვილო და საახლობლო გადაუსახლეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ, მტკვრის პირას, დარდიანი ფიქრების გასაფანტად დასეირნობდა, მდინარის მეორე ნაპირას, ტირიფის კორომში ნაცნობი სომეხი, სახელად პოღოსა, სოფელ სულდას მცხოვრები, შენიშნა, კამეჩებს აბალახებდა. პაპანაქება სიცხე იყო, ამიტომ, იძულებული გამხდარა კამეჩები გასაგრილებლად მტკვართან ჩამოერეკა. პირუტყვი თავთხელზე წყალში ჩაწოლილი ხალვათად იცოხნიდა. ჯერ შეეშინდა, ვაითუ, რუსმა მესაზღვრებმა არ შენიშნონ და ცეცხლი არ გაუხსნან. ბოლოს ნებისყოფა მოიკრიფა და ნაცნობ სომეხს ქვის კენჭი ესროლა. პოღოსა ფრთხილი და ფხიზელი ცნობიერების აღმოჩნდა. მიმდებარე ტერიტორია დაზვერა, საეჭვო რომ ვერაფერი შენიშნა, გამოეხმაურა, იცნო კიდეც. ადრე, ერთ-ორჯერ მასაც ჩამოუტანა თურქეთიდან კონტრაბანდული საქონელი. ისაუბრეს, თავთავიანთი თქვეს, ერთი სიტყვით დაახლოვდნენ. გაიხსენეს ძველი ცხოვრება და კონტრაბანდული საქონლის გადმოტანა-გასაღების ამბებიც. ბოლოს, პოღოსამ თამბაქოსა და ნარკოტიკის-ანაშას კონტრაბანდული გზით გადმოტანა შესთავაზა, ამჟამად დიდი მოთხოვნილებაა ამ საქონელზეო. იშხანმა გაიხსენა ძველი, ჩვეული საქმიანობა, ისიც, რომ კონტრაბანდულ საქონელს მტკვარზე ლატანის ტივით აცურებდა, თავთხელზე კი თანამზრახველი-მეწყვილე იჭერდა და ასაღებდა. პოღოსას აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა... ორივე გაიჩენდა საჭირო თანხას და მაძღარ ცხოვრებას ეღირსებოდნენ.

კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობა აეწყო. ასე გაგრძელდა ერთხანს... პოღოსას შეკვეთისამებრ, იშხანი ეზიდებოდა საჭირო საქონელს, ის კი ასაღებდა და ამოღებულ თანხას სანახევროდ იყოფდნენ... მართლა, იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა რუბლი თურქეთში, შესაბამისად, თურქული ლირა საბჭოთა კავშირში არ გამოდგებოდა, მათი ქონა კი უკანონო საქმიანობის ფაიზაღი ნივთმტკიცება იქნებოდა, შეთანხმდნენ, რომ პოღოსა, შესაბამისი კურსით ვერცხლითა და ოქროთი მისცემდა მის წილს. ერთხელ პოღოსამ დიდი ოდენობით ნარკოტიკი – ჰაშიში დაუკვეთა. იშხანს, მართალია, ერზრუმში ჩას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლაც კი მოუწია, მაგრამ დაკვეთა პირნათლად შეუსრულა. როგორც ყოველთვის, მისი წილი თანხის გადმოცემა საქონლის რეალიზაციის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ამისთვის საგანგებო სამალავიც კი მოაწყვეს!

იშხანი და პოღოსა რამდენიმე თვე ნაყოფიერად და კეთილსინდისიერად თანამშრომლობდნენ. იშხანი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ პოღოსა ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად სარფიანი, საგრძნობი ამონაგების გამო გაწუწკდებოდა და პარტნიორს გადააგდებდა... იშხანი დათქმულ დროს, შეთანხმებულ ადგილზე ელოდა თანამზრახველს. პოღოსა კი იგვიანებდა. იშხანს გულმა რეჩხი უყო, ვაი თუ პოღოსამ უღალატა, გადააგდო... იფიქრა, მიზეზთა გამო, პოღოსა პირადად ვერ შეხვდა. იქნებ, მისი წილი ამონაგები სამალავში დატოვა. სულმა წაძლია... საზღვრის მიმდებარე ტერიტორია დეტალურად დაათვალიერა, საეჭვო რომ ვერაფერი შენიშნა, სამალავის შემოწმება გადაწყვიტა. სამალავი მდინარის მეორე ნაპირზე, ტყიან კორომში, გამხმარი თხემლის ფესვებში იყო შეგულებული. მტკვარი თავთხელზე გადმოვიდა, სამალავს იოლად მიაგნო, შესამოწმებლად დაიხარა და... მოულოდნელი რუსულად შეძახილი: – „ხელები ზევით, თქვენ დაპატიმრებული ხართ, არ გაინძრეთ, გესვრით“, სამი ავტომატმოღერებული მესაზღვრე თითქოს მიწიდან ამოიზიდნენო... წინააღმდეგობის გაწევას, ან გაქცევის მცდელობას, აზრი აღარ ქონდა!... ასე ჩავარდა სამართალდამცავი ორგანოების ხელში.

საზღვრის უკანონო კვეთისა და კონტრაბანდული საქმიანობისთვის, 12 წელი მოიუსაჯეს და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში „გაამწესეს“. ანდაზის არ იყოს, – „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“- საქართველოში დარჩენით და აქ შექმნილი მდგომარეობით, იშხანი მაინც მადლობელია, არ გააციმბირეს მაინც... მამა-პაპათა სამშობლოში იხდიდა სასჯელს. თურქულის გარდა, ქართული ენაც იცის, ამითაც უადვილდება სხვა პატიმრებთან კონტაქტი და ურთიერთობების დალაგება, – ასე დაამთავრა თავისი ტირადა პატიმარმა იშხან თოფალოღლიმ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IV

... შევქეთ ჩილიმოღლი, იმავდროულად ფრთხილი და დაკვირვებული აღმოჩნდა, თავისებურად წინდახედულიც კი. მართალია, იშხან თოფალოღლის მთელი გულისყურით უსმენდა, შიგდაშიგ ეჭვის დარი ემოციაც იკითხებოდა მის ვითომდა გულუბრყვილო გამომეტყველებაზე, მაგრამ მაინც გულგრილი რჩებოდა სხვისი ბედის მიმართ. შევქეთი უსმენდა და სინანულის გრძნობას გამოხატავდა თანამესაკნის ავბედით, უიღბლო სვე-ბედზე. ხანდახან თავს სასოწარკვეთილი გააქნევდა, ალბათ იმის თქმა თუ უნდოდა, ეეხ... შენ რა, მე რა არ გადამხდა, ჩემს უბედურ თავზე მხოლოდ კევრით ხორბალი არ ულეწიათო!.. ოპერმუშაკი არ ჩქარობდა, არც რამეს ეკითხებოდა მის ვინაობასა თუ სადაურობაზე. შევქეთს ესეც თანამოსაუბრის სასარგებლოდ ენიშნა, მოგზავნილს ნამდვილად არ ჰგავსო... შევქეთს მთელი ღამე არ ეძინა, სულ წრიალებდა, ოხრავდა. სამჯერ მაინც ადგა, ისედაც ვიწრო საკანში ბოლთას მოყვა... ვიწრო, ცხაურიან სარკმელში მთვარე დალანდა, ხელები ცისკენ აღაპყრო და ყურანის რამდენიმე სურა კვნესა-ხვნეშით ჩიფჩიფით ჩაიკითხა. ბოლოს, ვითომ დაწყნარდა, გულზე მოეშვა, პატიმრის ნარზე – „შკონკაზე“ , პირით კედლისკენ მიბრუნებულ-მოკუნტულმა, ოხვრანარევი ფშვინვა ამოუშვა...

იშხან თოფალოღლიმ შევქეთზე ადრე გაიღვიძა, ჩეკისტის მახვილ თვალსა და ფხიზელ გონებას არ გამოპარვია შევქეთის სულიერი მდგომარეობა და ემოციური განცდები. გუმანით ხვდებოდა, რომ დაინტერესების ობიექტი ალაპარაკდებოდა, გადაუშლიდა გულს და აღსარებასავით მოყვებოდა და თანამოსაკნეს გააცნობდა თავის ხვაშიადსა და ჭირ-ვარამს, მხოლოდ საჭირო იყო ლოდინი და ჩვეულებრივი ადამიანური თანაგრძნობა. ამასობაში დილის ულუფა – პაიოკიც შემოიტანეს. რა თქმა უნდა, პატიმრის ჩვეულებრივი ულუფა იყო, მაგრამ უფრო ფაქიზად და გემოვნებით შემზადებულ-მორთმეული.

როგორც იქნა, შევქეთმაც გაიღვიძა. სარკმელს გახედა, თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისთვის ჩაიბუტბუტა, დილის ნამაზი დავაგვიანეო, სასწრაფოდ განბანვის რიტუალი – აბდესი ჩაატარა, ქვეშაგებიდან საგანგებოდ შემონახულ-გადამალული ცხვრის ტყავის ნაჭერი გამოაძრო, მექასკენ – ყიბლა, მიბრუნდა და სალოცავად მოემზადა, იშხან თოფალოღლიმაც წაბაძა შევქეთს, გვერდით ამოუდგა და ერთხანს უტყვად, თავისთვის ლოცულობდნენ... ბოლოს მორჩნენ, სამგზის უფლის სადიდებელი წარმოთქვეს და ერთმანეთს თავი დაუკრეს – თემენას რიტუალი შეასრულეს. უსიტყვოდ წამოდგნენ, ლოცვის ადგილი მოაწესრიგეს, შევქეთმა ცხვრის ტყავი დაახვია და ქვეშაგების ქვეშ ამოდო. უმძრახად შეექცეოდნენ ტუსაღის ულუფას. მორჩნენ. ჭურჭელი დარეცხეს. იშხანმა ჯიბიდან თუთუნის თოფრიკა და ასანთი ამოიღო, გაზეთის ნაგლეჯით პაპიროსი გააწყო, მადიანად, ღრმა ნაფაზი დაარტყა და თავის შკონკაზე მიწვა. უცებ, დაფეთიანებულივით, წამოჯდა, ბოდიში მოიხადა, როგორ მომივიდაო და შევქეთს თუთუნი და გაზეთის ნაგლეჯი შეთავაზა. შევქეთმა ჯერ იუარა, მინდა მოწევას თავი დავანებოო, ვითომ თავის მართლება უნდაო, მაგრამ ცდუნებამ სძლია, უხმოდ აიღო თოფრიკა, პაპიროსი გაახვია და მადიანად დაარტყა ნაფაზი... ერთხანს ასე იყვნენ უმძრახად, თან მადიანად აბოლებდნენ თავთავიანთ სადარდებელ-საფიქრალს მიფიცხებულნი. ბოლოს ნამწვიღა რომ შერჩათ, სანაგვეში მოისროლეს და თავთავიანთ შკონკასა და საფიქრალს დაუბრუნდნენ. შევქეთი, ეტყობოდა, იშხანის გუშინდელი ნაამბობით შეძრული, უფრო ცხადად და ნათლად ითავისებდა თავის უბედურ, გამწარებულ ცხოვრებას, დაწყევლილ სვე-ბედს და უღიმღამო, გაურკვეველი მომავალი უფრო ნათლად და ცხადად წარმოიდგინა... სევდა-ვარამის გათავისებული გმინვა აღმოხდა, ხელი ჩაიქნია, ასეთი ცხოვრების დედაცო და ხელსაბანს მიაშურა. მობრუნდა, იშხანს მოუბოდიშა, – იშხან ეფენდი, მაპატიე, უგუნურობაში ნუ ჩამომართმევ ჩემს ქცევას, აღარ შემიძლია, გავიტანჯე კაცი... იშხანმა თანაგრძნობითა და სრული გაგებით თავი დაუკრა, – შევქეთ ეფენდი, მესმის შენი, კადნიერად ნუ ჩამომართმევ, ამას წუხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც მივხვდი, მთელი ღამე არ გეძინა, ბორგავდა, კვნესოდი, ვიღაცას მხსნელად და მაშველად უხმობდი...

– ეფენდი, ოცდაათი წლის კაცი ვარ და ოცდაათი დღეც ვერ გავიხარე. ვერც ოჯახს მოვეკიდე. მარტოსული, ჯერ იყო და ტყე-ღრესა და კლდე-კაპანში დავწანწალებდი, ბოლოს სიკვდილს კლანჭებიდან ძლივს დავუსხლტი, 15 წელი მაქვს მისჯილი...ეეჰ, კიდევ 13 წელი დამრჩა... ვთქვათ და ციხეს გადავურჩი, მერე? სად წავიდე, ვისთან წავიდე? როგორ ვიცხოვრო?!.

– მესმის შენი შევქეთ ეფენდი, მეც 12 წელი მაქვს მისჯილი. განა არ შემეძლო წყნარი, ნორმალური ცხოვრება, საკუთარი მეურნეობის ქონა, ცოლ-შვილის ყოლა... ახლობელ-ნათესავებთან ერთად თანაცხოვრება და ცხოვრებისეულ გამოწვევებთან ჭიდილი და გამარჯვება, მაგრამ...

– ეეხ, სწორედ ეს „მაგრამაა“ მთავარი... თავიდანვე უიღბლოდ აეწყო ჩემი ცხოვრება. ჩემი ოჯახი ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში ცხოვრობდა. საუბედუროდ მალე დავვობლდი. რაღაც გადამდები, უკურნებელი სენი შეეყარათ მშობლებსა და მცირეწლოვან და-ძმას... იმ წელს ბევრი გამოესალმა სიცოცხლეს. დედაჩემის მხრიდან, შორეული ნათესავის ოჯახმა, რომელიც ამავე რაიონის სოფელ დერცელში ცხოვრობდა, შემიკედლა ობოლ-ოხერ-ტიალი... იმ ოჯახმა იკისრა ჩემი აღზრდა და მოვლა-პატრონობა. წვა-დაგვასა და გაჭირვებაში ვიზრდებოდი, ისე, რომ თვალს ცრემლი თითქმის არ შემშრობია. ათი წლის თუ ვიქნებოდი, ცხვარში გამამწესეს. კი მოგეხსენება პატარა მწყემსის ამბავი.

საბჭოთა წყობას ნელ-ნელა ვეგუებოდით. ჩვენს სოფელში ჯერ არტელი, შემდეგ კი კოლმეურნეობა ჩამოაყალიბეს. კომკავშირშიც შევედი. როგორც კეთილსინდისიერი და დამჯერი ახალგაზრდა, მესაქონლეობის ფერმაში წვრილფეხა პირუტყვის ბრიგადის ხელმძღვანელად ამირჩიეს. ეკონომიურად მოვკეთდი. მეგობარ-მეზობლების დახმარებით სოფლის ბოლოში იმ დროისთვის საკმაოდ ლაზათიანი ფიცრული სახლი გავმართე, გლეხური მეურნეობასაც მივყე ხელი, ცხვარ-ბატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანი და მეწველი ძროხაც კი გავიჩინე, ოჯახის შექმნასაც ვაპირებდი. ჩემმა მზრუნველმა ნათესავმა ჩემი განზრახვა გულთან ახლოს მიიტანა, მეზობელი სოფლიდან ჩვენებური გოგო გამირიგა. გამოსასყიდი თანხა – რიშვეთი და საპატარძლოს ოჯახის წევრებისთვის საჩუქრებიც მოვიძიეთ და ის იყო ქორწილიც უნდა გაგვემართა, რომ მეორე მსოფლიო ომი დაიწყო.

მთელს საბჭოთა ქვეყანაში საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა, მათ შორის, საქართველოშიც. ჩემი სოფლის ახალგაზრდებთან ერთად მეც მომივიდა სამხედრო უწყება. როგორც მობილიზაცია დაქვემდებარებულ სამხედრო ვალდებულს სამხედრო კომისარიატში მიბარებდნენ. სოფელში, მობილიზაციას დაქვემდებარებულთაგან, თითქმის ქუდზე კაცი იყო ჩემს დღეში. ომში წასვლა ვის უნდოდა, მაგრამ სხვა საშველი არ იყო. წვევამდელის შესაფერი ხიბაკ-ხუბაკი მოვამზადე, უხუცესი ნათესავის ლოცვა-კურთხევა მივიღე და სოფლის „ბირჟაზე“ გავედი, ახლობელ-ნაცნობებს გამოვემშვიდობები,- მეთქი.

სოფლის წყაროსთან, ჩემს ბედს ნაზიარევი რამდენიმე ახალგაზრდა შევნიშნე და მათკენ გავემართე. ის იყო ბიჭებს „სალამ-ქალამი“ ჩამოვართვი, რომ სოფლის მეჩეთის მინარეთზე, სოფლის ხოჯა ავიდა და სალოცავად მიწვევა – „ეზანი“ წარმოთქვა. სოფლის ახალგაზრდებთან ერთად, მეჩეთში შევიკრიბეთ. ყიბლის – ამბიონზე ჩვენი სოფლის ხოჯის გვერდით ჩალმა-ხალათში გამოწყობილი უცნობი ღვთისმსახური შევნიშნე. მისი ჩაცმულობა, მიხვრა-მოხვრა და მედიდური ქცევა მიგვანიშნებდა, რომ ჩვენს წინაშე ცნობილი და ავტორიტეტიანი იმამი იდგა. ამას ჩვენი ხოჯის ქლესა ქცევებშიც შენიშნავდი. ჩვენი ხოჯა ამბიონზე ავიდა, ადიდა ალაჰი, შემდეგ დიდი მოწიწებით ყურანი გამოაბრძანა, სათითაოდ დაგვამწკრივა, ხელის დადებით, საიდუმლოდ შესანახად გამიზნული ცნობის გაუთქმელობის მიზნით, ყურანზე დაგვაფიცა და იმამს მისცა სიტყვა.

იმამი თურქეთიდან შემოგზავნილი სასულიერო პირი, გნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავთ მუსლიმი ემისარი აღმოჩნდა, რომელმაც თურქეთის მთავრობისა და ქვეყნის უმაღლესი სასულიერო უწყების მოწოდება გაახმიანა, მოგვიწოდებდნენ თურქი ერის წარმომადგენლებს, თანამემამულეებს, მართლმორწმუნე მუსლიმანებს მონაწილეობა არ მიგვეღო თურქეთის რესპუბლიკის მოკავშირე გერმანიის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. გვთავაზობდნენ შეიარაღებულები ორგანიზებულად გავსულიყავით ტყეში, დავლოდებოდით ზემდგომი თურქი ხელმძღვანელობების მითითებებს და მათი მითითება-წინადადებისამებრ გვემოქმედა.

ერთი სიტყვით, ოცამდე ახალგაზრდა, მოხე-დერცელი-უტყუსუბნის სოფლებიდან, შეძლებისდაგვარად შევიარაღდით და იმ მოლას ხელმძღვანელობით გავედით ქვაბლიანის ხეობაში, თრიალას ტბის მიმდებარე ტყეში. ამბობდნენ, სხვა რაიონებიდან უფრო მეტი მეამბოხე გავიდა ტყეშიო.

ტყეში გავარდნილ-გასულებს სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმლით და ტყვია-წამლით, ხსენებული იმამის – თურქეთიდან მოვლენილი ემისრის დავალებითა და აქაური ხოჯა-მოლების უშუალო ორგანიზებით, ადგილობრივი თურქმანული და ქურთული წარმომავლობის მოსახლეობა გვამარაგებდა. მეფის წყაროს ტყეშიც გავდიოდით სანადიროდ, ერთ-ორჯერ ირმის მოკლაც მოხერხდა. ირმის მწვადები ერთ რამედ ღირდა!

ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები და სამართალდამცავები მაქსიმალურად ცდილობდნენ ჩვენს შემორიგებას, სახლებში დაბრუნებას და სამშობლოს წიმაშე პატრიოტული ვალის მოხდას... ჩვენთანაც იყო შერიგებისა და სახლებში დაბრუნების შეთავაზების მცდელოლებები, მაგრამ უშედეგოდ. მოლას პირით, ცივი უარი შევუთვალეთ!

1942 წლის აგვისტოს მიწურულს, საბჭოთა მთავრობა დარწმუნდა, რომ ტყეში გავარდნილთა მშვიდობიანი შემორიგების მცდელობები უშედეგო იყო. მაშინ, საქართველოს შინსახკომის ორგანონოებსა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპეციალურ დავალაებათა რაზმებს დაევალათ, ტყეში გავარდნილ-გახიზნულ მობილიზაციას თავამრიდებელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკური გაუვნებელყოფა, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი ლიკვიდაცია.

სპეცდანიშნულების რაზმებმა ალყაში მოაქციეს გავარდნილთა სავარაუდო განლაგების რაიონები და დაიწყეს მეთოდური გაწმენდითი სამუშაოები. ჩვენი რაზმის სამოქმედო რაიონიც იქნა ალყაშემორტყმული. დაჭერა-ლიკვიდაციის შიშით ადგილობრივი გულშემატკივრები და ნათესავები სურსათ-საწოვაგით ვეღარ გვამარაგებდნენ. შიმშილით სულის ამოხდომა შორს არ იყო!..

სწორედ იმ დროს, როცა ყველა იმედი და შესაძლებლობა ამოგვეწურა, ციდან მოვლენილივით, ირიმჭალის ხევიდან ტყეტყე ნავალი, ერთი მოლა გამოგვეცხადა, საიდუმლოდ გვამცნო, რომ თურქეთის ტერიტორიიდანაა გადმოსული, რომ სოფელ ერიმთან, მდინარის ხევში ჩასაფრებულია თურქეთის მთავრობის მიერ ხელდასხმული და მის მფარველობის ქვეშ მყოფი, სამცხეს ყოფილ მკვიდრთაგან შემდგარი, მოტივირებული, მობილიზებული დივერსიული დაჯგუფება, რომელსაც დავალებული აქვს, ჩვენი, ესე იგი მეამბოხეთა დაცვა და თურქეთის ტერიტორიაზე ორგანიზებული, უვნებელი გაყვანა!

მოლა რასიმმა (ასე ერქვა თურქეთიდან შემოგზავნილ სასულიერო პირს), ჩვენი ნდობის მოპოვებისა და მობილიზაციას თავარიდებულთა თურქეთში უვნებლად გადაყვანის განძრახვის სერიოზულობა და შეუვალი შესაძლებლობა რომ დაემტკიცებინა, ბევრი რამ საყურადღებო გვიამბო. მისი თქმით, მთელ სამცხე-ჯავახეთში ათიათასზე მეტმა თავზეხელაღებულმა ახალგაზრდამ უარი განაცხადა გერმანია-საბჭოთა კავშირის ომში მონაწილეობაზე, გამწვევ პუნქტებში გამოცხადებაზე უარი თქვა, შეიარაღდა და ტყეში გავიდა. მანვე გვითხრა, რომ ასპინძა-ახალქალაქის რაიონებში, ჩამოყალიბებულია სამასკაციანი კბილებამდე შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც ამჟამად ოთა-ციხისჯვრის ტყეში აფარებს თავს და თურქეთის ხელისუფლების სიგნალსა და სათანადო ხელშეწყობას ელოდება, რომ შეიარაღებული დაპირისპირების შემთხვევაშიც კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააღწიოს მოძმე თურქეთის ტერიტორიაზე და იქ მცხოვრებ ნათესავებს შეუერთდეს.

მანვე მოგვიყვა, რომ ისტორიული ერუშეთისა და საპალაკაციოს, ასევე ფოცხოვ-არტაანის რაიონებში მოქმედებს კარგად ორგანიზებული, შეიარაღებული და სათანადოდ გაწვრთნილი დაჯგუფებები, რომელთა რიგებში გაწევრიანებული არიან საქართველოს, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზების გამო გაქცეულ-გადახვეწილი თურქმანულ-თარაქამული წარმომავლობის პირები.

ერთ-ერთ ასეთ დაჯგუფებას ხელმძღვანელობს, ხუსეინ ჩაუშოღლი, წარმოშობით ისიც საქართველოდანაა, კერძოდ ახალქალაქის ერთ-ერთი სოფლიდან. დაჯგუფება ბინადრობს სახელმწიფო საზღვრის მიმდებარედ, მდინარე ფოცხოვის ნაპირას, ისტორიული ჯაყისმანის ციხე-სიმაგრის მიმდებარედ განლაგებულ ნასოფლარში.

დათქმულ დროს, სამკაციან ჯგუფებად დაგვყეს, ყველას თავთავიანთი მარშრუტი მიგვიჩინეს და საზღვრის ფარული კვეთის მითითება მოგვცეს. ღვთის თუ განგების ნებით, საზღვარი უსაფრთხოდ გადავკვეთეთ და სოფელ ერიმს მივაღწიეთ.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მალევე გაირკვა, რომ თურქეთის ხელისუფლებას ჩვენ არაფერში ვჭირდებოდით, მათ მხოლოდ ის სურდათ, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირის არმიის რიგებში არ გავწევრიანებულიყავით და თურქეთის მომხრე გერმანიის წინააღმდეგ არ გვებრძოლა. მივხვდით, რომ მწარედ მოვტყუვდით, მაგრამ გვიანღა იყო, უკან დასახევი ყველა გზა მოჭრილი გვქონდა. ასე გავწევრიანდით მე და ჩემი ორი თანასოფლელი ხუსეინ ჩაუშოღლის დაჯგუფებაში. სხვა გამოსავალი მაინც არ გვქონდა, უცხო მხარეში, უსახლკაროდ, უნათესაოდ, უსახსროდ, შიშველ-ტიტველი ვის ვუნდოდით, სად და როდემდე ვიწანწალებდით?!

შაბანებელის მთის ფერდობზე ნაკვეთი მიწურ-ბანიანი სახლები საიმედო საცხოვრისსა და თავშესაფარს წარმოადგენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, თანაც უსაფრთხო იყო, ვინაიდან საზღვრის სიახლოვის გამო, როგორც თურქეთის საჯარისო ქვედანაყოფების, ისე ჟანდარმერიის განწესები თავს არიდებდნენ საზღვრის სიახლოვეს გაკარება-გადაადგილებას საბჭოთა მესაზღვრეებთან მოსალოდნელი ექსცესების ან შესაძლო შეიარაღებული დაპირისპირების თავიდან არიდების მიზნით.

ბაზად გვექცა ხსენებული ნასოფლარი. მთაში ნაკვეთი მიწურ-ბანიანი ნაგებობებითა და ჯერ კიდევ გამოსადეგი საყოფაცხოვრებო დანიშნულების გომურ-სათავსოებით. ერთ-ერთი ნაგებობა იარაღისა და სურსათ-სანოვაგის საწყობად გამოიყენებოდა, ხოლო მეორე, დარბაზული სამგანყოფილებიანი მესხური ბანიანი სახლი საცხოვრებლად იყო განკუთვნილ-მოწყობილი.

რაზმში გაწევრიანებული ვიყავით 12 კაცი. რამდენიმე მეწველი ძროხა, ერთი ბუღა და დაახლოებით ასცხვარიანი ფარა იყო მთელი ბანდის ავლა-დიდება. ჯგუფის ყველა წევრი შეიარაღებული იყო დამბაჩებით, თურქული წარმოების ხუთტყვიანი შაშხანებით (ეგრეთწოდებული – ბეშლი), ხმალ-ხანჯლებითა და სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ჯაყვა-დანებით. ჯგუფის წევრები რიგრიგობით მწყემსავდნენ ნახირსა და ცხვრის ფარას, ასევე დაკავებული იყვნენ ბაღ-ბახჩის, კარტოფილის, სიმინდისა და ლობიოს ნათესების მოვლა-პატრონობით. რა თქმა უნდა, ძირითადი საქმიანობა ყაჩაღობა და ქურდობა იყო.

ბანდის ყველაზე ხელაღებული და გულიანი წევრები, პერიოდულად საზღვრის კვეთით, შემოდიოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და იალაღებზე იტაცებდნენ საქონელს, ცხვრის ფარებსა და მოიალაღეების რძის ნაწარმს, თუ სხვა სურსათ-სანოვაგეს.

თანდათან მოვშინაურდით, მიგვიღეს ჯგუფის სრულფასოვან წევრებად და საიდუმლოც აღარ იყო ბანდიტური ჯგუფის ავან-ჩავანი... როგორც ერთმა ყაჩაღმა მომიყვა, ხუსეინი თავის დროზე, იქნებოდა 1939 წლის შემოდგომა, ქურდობის გამო საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოთა სამართალდამცავებს გამოექცა და თურქეთში გადმოიხვეწა. ჯერ რიგითი წევრი იყო, შემდეგ, საბჭოთა მესაზღვრეებთან ერთ-ერთი შეტაკებისას ბანდის უფროსი მოკლეს, რის შემდეგაც ხელში აიღო ყაჩაღების ჯგუფის ხელმძღვანელობა.

ხუსეინ ჩაუშოღლი მალევე მოექცა ფოცხოვის სპეცსამსახურის წარმომადგენელთა თვალთახედვის არეში, სწორედ ამის შემდეგ მოხერხდა უფრო გეგმიანად, საზრიანად და მიზანსახულად მოქმედებები როგორ საბჭოთა, ისე თურქეთის საზღვრისპირა რაიონებში.

ხუსეინ ჩაუშოღლის მეცადინეობითა და ძალისხმევით, შესაბამისი სპეცსამსახურების ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით ჩამოყალიბდა დივერსიულ-ტერორისტული ბანდიტური ჯგუფი, რომელიც თავის მხვრივ, თურქეთის ტერიტორიაზე გამოიყენებოდა როგორც ჟანდარმერიისა და საჯარისო ქვედანაყოფების დამხმარე ბრიგადა სპეცსამსახურების ვერკონტროლირებადი კონტრაბანდისტების, ყაჩაღების, ბანდიტებისა და სხვა კრიმინალური ელემენტების განადგურება-გასანეიტრალებლად და ამავდროულად, ჟანდარმერიისა და საჯარისო ქვედანაყოფების მხარდასაჭერად, რომლებსაც ევალებოდათ საზღვრის ფიზიკური დაცვა და სასაზღვრო ზოლში სასაზღვრო-სარეჟიმო ღონისძიებების გატარება.

ხუსეინის დაჯგუფების წევრები, პერიოდულად ეწეოდნენ ყაჩაღურ გამოხდომებს საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში, განსაკუთრებით, საზაფხულო იალაღებზე, იტაცებდნენ მსხვილფეხა რქოსან საქონელსა და ცხვრის ფარებს. თავს ესხმოდნენ მოიალაღეებს და გაჰქონდათ დიდძალი რძის პროდუქტები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მოწყობილობანი. ნაქურდალის რეალიზება ხდებოდა არტაანისა და ფოცხოვის ბაზრებზე, ამოღებული თანხებით კი ხელს ითბობდნენ როგორც ბანდიტები, ასევე, მათი მფარველები და ხელმძღვანელები. ზოგადად გავარდნილი ბანდების შენახვა-გამოკვება საკმაოდ ძვირი ჯდებოდა.

ვითარება რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1944 წლის ნოემბერში საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით, სამცხე-ჯავახეთიდან შუა აზიის რესპუბლიკებში ტოტალურად გადაასახლეს მოძმე თურქმანულ-თარაქამული და ჰემშილ-ქურთული წარმომავლობის მოსახლეობა, რითაც ხსენებულ ბანდფორმირებებს საქართველოს სზღვრისპირა რაიონებში საყრდენი და მფარველი ბაზა გამოეცალათ. მეორე მხვრივ, გადასახლებაში მოყვნენ ბევრი მათგანის ოჯახის წევრები, ნათესავ-ახლობლები, რამაც, თავის მხვრივ, უფრო გააბოროტა, გააცოფა – გაამძვინვარა ისედაც მხეცურ-ყაჩაღურ-ბანდიტური სულის მატარებელნი.

თავი V

შევქეთ ჩილიმოღლი, გულადი და შეუდრეკელი, გამბედავი ხასიათის გამო მალე დაუახლოვდა და დაუმეგობრდა ხუსეინ ჩაუშოღლის. ხუსეინი მას მარჯვენა ხელად მიიჩნევდა, საიდუმლოებებს ანდობდა და ყოველთვის სხვადასხვა შეხვედრებზე თუ გარჩევებზე თან მიყავდა. ერთი სიტყვით, მტკიცე ნდობა და მეგობრობა აკავშირებდათ.

ხუსეინ ჩაუშოღლის „წყალობით“, შევქეთ ჩილიმოღლი გაეცნო და დაუმეგობრდა მეორე ბანდიტურ-ყაჩაღური დაჯგუფების მეთაურ მუსტაფა ქელეშოღლის, წარმოშობით სამცხის რეგიონის ასპინძის რაიონიდან, რომლის დაჯგუფება მოქმედებდა ისტორიული ერუშეთისა და საპალაკაციოს (ჩილდირის, გნებავთ ჩრდილის) ტერიტორიაზე. დაჯგუფება უშუალოდ მოქმედებდა, ცხოვრობდა ასპინძის რაიონის ნიალის ველის მიმდებარედ, მდინარე კარზამეთის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფელ ბადელაში.

დროთა განმავლობაში, როგორც თურქეთის სპეცსამსახურების, ასევე ბანდის მეთაურებისთვისაც ორი ბანდფორმირების შენახვა მეტად ძვირი და ადგილობრივი მოსახლეობისთვის სახიფათოც ხდებოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ერთი, მათ საქართველოს საზღვრისპირა სოფლებში დასაყრდენი და ხელშემწყობი პირები თუ გარემოებანი სრულად გამოეცალათ, მეორეც, თურქმანული წარმომავლობის მოსახლეობის გადასახლების შემდეგ, საბჭოთა სასაზღვრო ჯარებმა კარდინალურად შეცვალეს საზღვრის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთელი სისტემა: ადგილმდებარეობაზე გამოიკვეთა სასაზღვრო ზოლისა და სასაზღვრო ზონის ფარგლები, სასაზღვრო ზოლში დაშვება ხორციელდებოდა მხოლოდ იმ კონტინგენტის, რომელსაც უშუალო შემხებლობა ჰქონდა (დროებითი სეზონური ცხოვრება, მიწის ნაკვეთების და სათიბების ფლობა, საზფხულო იალაღები, სეზონური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოება), სასაზღვრო ზონაში დასაშვებად შემოიღეს სპეციალური საშვის სისტემა. სასაზღვრო ზოლის მიმდებარე თურქმანულ-თარაქამულ-ქურთული წარმომავლობის მცხოვრებთა სოფლები და დასახლებული პუნქტები სრულად დაცარიელდა, საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან გეგმიურად ჩამოსახლებული ქართველი მოსახლეობა კი განსახლებული იქნენ ბარის და ბარისპირა სოფლებში. სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ნასოფლარები კი გამოიყენებოდა როგორც პირუტყვის საზაფხულო საძოვრები. საზღვრისპირა მთის ზოლის სოფლებში მცხოვრები ქრისტიანი ქართველები ჩამოასახლეს გამოთავისუფლებულ ბარის სოფლებში. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ თურქმანული მოდგმის და გათურქებული ქართველების უმეტესობა ყოველთვის მტრულად აღიქვამდა ქრისტიან ქართველებს, სომხებსა და ბერძნებს, რომლებსაც თავის დროზე ყოველმხვრივ ავიწროვებდნენ, აყაჩაღებდნენ, აბუჩად იგდებდნენ, ძარცვავდნენ, ტაცებდნენ ქალებსა და ბავშვებს და ტყვეთა ბაზრობებზე სარფიანად ყიდდნენ.

ამგვარად, თურქეთის საზღვრისპირა რეგიონებში მოთარეშე ბანდიტურ-ყაჩაღურ დაჯგუფებებს, საქართველოს საზღვრისპირა თურქმანული მოსახლეობის სახით, მათი შუა აზიაში სპეცგადასახლების შემდეგ, მფარველი და საყრდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოეცალათ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბევრი ყაჩაღთგანი წარმოშობით სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან იყო და იქ დიდი სანათესავო და სამოყვრო კავშირები ჰქონდათ და რაც მთავარია, საალაფო და დასაყაჩაღებელი თითქმის არაფერი დარჩათ, თუ არ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ერუშეთისა და საპალაკაციოს ვრცელი საძოვრები ისტორიულად და ამჟამადაც გამოიყენებოდა კახეთის რეგიონის მეცხვარეების მიერ როგორც ცხვრის ფარებისთვის ტრადიციული საზაფხულო საძოვრები. მეორეცაა, ქართველმა მოსახლეობამ საზღვრისპირა მიტოვებული ნასოფლარების ადგილას საზაფხულო ფერმები, სეზონური საძოვრები და მარცვლეულის ნაკვეთები გაიჩინა.

ხსენებულ ბანდიტურ ჯგუფებს ისღა დარჩენოდათ, დალოდებოდნენ საზაფხულო სეზონის დადგომას, საზღვრის კვეთით, ეცადათ ამ კონტინგენტის დაყაჩაღება და გაძარცვა, საბჭოთა მესაზღვრეებთან შეიარაღებული შეჯახება-დაპირისპირების საშიშროების ფონზე ბედი ეცადათ პირუტყვის გატაცების, ან მოიალაღეების გაძარცვა-დაყაჩაღების ხარჯზე მოეთბოთ ხელი.

1946 წლის ზაფხულში, ბადელასა და ჯაყისმანის დაჯგუფებები გაერთიანდნენ. ის ბანდიტები და ყაჩაღები, ვისაც თურქეთის ტერიტორიაზე, მათ შორის საზღვრის მიმდებარე რაიონებში, ოჯახები და ახლო ნათესავები ჰყავდათ, ბანდებს ჩამოცილდდნენ. საბოლოოდ შეიგნეს, რომ კანონგარეშე ცხოვრება, ტყე-ღრეებში ხეტიალი, მუდმივი შიში, იღბლისა და შემთხვევის ანაბარა ცხოვრებას, უფრო სწორად არსებობას, აზრი აღარ ჰქონდა. თურქეთის სამართალდამცავ ორგანოებში გამოცხადნენ, მოინანიეს ადრე ჩადენილი დანაშაული, შეურიგდნენ ადგილობრივ მმართველობას, დაუბრუნდნენ მშვიდობიან ცხოვრებას და პატიოსანი შრომით არჩიეს ოჯახისა და თავის რჩენა. ჩვენი ბანდის ხელმძღვანელი – ხუსეინ ჩაუშოღლიც შეურიგდა ხელისუფლებას და საცხოვრებლად ერზინჯანში წავიდა, გაეცალა თავის წარსულს, ასე ვთქვათ. შევქეთ ჩილიმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღლი და მისი ორი თანასოფლელი ბადელაში გადმოვიდნენ და მუსტაფა ქელეშოღლის ბანდას შეუერთდნენ.

ამრიგად, ყაჩაღთა დაჯგუფებაში სულ თორმეტი ბანდიტ-ყაჩაღიღა დარჩა, ისინიც ადრე საქართველოდან გამოქცეულები იყვნენ. მათ სხვა არჩევანი არ დარჩენოდათ. თურქეთში ნათესავებიც არ ჰყავდათ. მათი ოჯახები კი შუა აზიის რესპუბლიკებში გადასახლებას დაექვემდებარნენ. თითქმის ყველა მათგანი საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძებნებოდნენ მთელი რიგი ბანდიტურ-ტერორისტულ დანაშაულებათა გამო.

ახალ დაჯგუფებას სათავეში ჩაუდგა ყოფილი ბადელას დაჯგუფების ხელმძღვანელი, მუსტაფა ქელეშოღლი, ასპინძის რაიონის სოფელ ოშორას მკვიდრი, რომელიც ჯერ კიდევ 1936 წელს, ნიალის ველზე ქართველი მოიალაღეების ძარცვისას მძიმედ დაიჭრა, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად საზღვარგარეთ გააღწია და საზღვრისპირა სოფელ ბადელაში დამკვიდრდა.

მუსტაფამ ამ ხნის განმავლობაში (1936-1944 წ.წ.) რამდენჯერმე შესძლო საზღვრის უკანონო კვეთა, მშობლების, ძმისა და ნათესავების მონახულება. ჰქონდა მცდელობა გადაეყვანა ისინი თურქეთში, მაგრამ უშედეგოდ. მოხუცი მშობლების საზღვარზე არალეგალური გაყვანა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, თანაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული., ამიტომ აღარ გარისკა. საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შემდეგ საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების გამო, მობილიზასიის თავის არიდების მიზნით, სხვებთან ერთად მისი ერთადერთი ძმა – სულეიმანიც გავიდა ტყეში. გავარდნილთა ჯგუფი თავს ოთა-ციხისჯვრის ტყეს აფარებდა.

მუსტაფამ მოახერხა მისი ერთადერთი ძმის ჯგუფის ადგილმდებარეობის დადგენა, ორ ბადელელ თანამოაზრესთან ერთად, საზღვრის ფარული კვეთით, გააღწიეს საქართველოს ტერიტორიაზე და გავარდნილთა ჯგუფს შეუერთდნენ. ბანდიტებმა გაამხნევეს და წააქეზეს მობილიზაციას თავამრიდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები. გადაწყდა მათი თურქეთში ფარული გაყვანა. მარშრუტი შეარჩიეს და შეისწავლეს: ოთას ტყე – დამალა – გულსუნდა – ზედა თმოგვის ნასოფლარი – სოფელ ძველის საზაფხულო იალაღები – კარზამეთის ციხე-კოშკის ნანგრევები – მდინარე კარზამეთი – სოფელი ბადელა. გაუმართლათ. ამინდიც მკვეთრად გაუარესდა, თავსხმა წვიმა და სეტყვა მძვინვარებდა, ისეთი, როგორც ჩვენში იტყვიან: გულიანი კაცი, ასეთ ამინდში, გარეთ ძაღლსაც კი არ გააგდებსო. ამით ისარგებლეს ბანდიტებმა, ორ ჯგუფად გაიყვნენ და სახელმწიფო საზღვრისკენ დაიძრნენ. საზღვარს უვნებლად მიაღწიეს, მაგრამ კარზამეთის ციხე-კოშკის მიმდებარედ, შემთხვევით გადააწყდნენ საბჭოთა მესაზღვრეთა გაძლიერებულ განწესს. მესაზღვრეთა მოთხოვნის – იარაღი დაეყარათ და დანებებოდნენ, საპასუხოდ ცეცხლი გახსნეს, იმ იმედით, რომ თურქეთის ტერიტორიამდე სულ რამდენიმე ასეული მეტრიღა იყო დარჩენილი და ორგანიზებულად გააღწევდნენ სამშვიდობოს. ორმხრივი სროლის შედეგად დაჯგუფების უმეტესობა ან დაიღუპა, ან მძიმედ დაიჭრა, მხოლოდ მუსტაფამ ძმასთან და ორ ასპინძელთან ერთად მოახერხა საზღვრის გარღვევა და თურქეთის ტერიტორიაზე გაღწევა.

საზღვარზე მომხდარი შეიარაღებული ინცინდენტი და შეიარაღებული ჯგუფის მიერ საზღვრის კვეთა თურქეთის ჟანდარმერიას და სპეცსამსახურებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ. მალე სოფელ ბადელას ეწვია ჟანდარმთა ოცეული, რომელსაც ორი სამოქალაქო პირიც ახლდა თან. როგორც შემდეგ გაირკვა ესენი იყვნენ თურქეთის საგარეო დაზვერვის ყარსის საგუბერნიო სამმართველოს არტაანის განყოფილების უფროსი და ამავე განყოფილების ოპერრწმუნებული. სოფელ ბადელას მამასახლისისა და ჩილდირის კაზას ჟანდარმერიის უფროსის დახმარებით საგანგებოდ შეისწავლეს ყველა ის პირი, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზნით გადმოვიდნენ სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან და აქ დამკვიდრდნენ. მალევე პატიმრობაში აიყვანეს მუსტაფა, მისი ძმა სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეიმანი, ასპინძელი ვინმე რასიმი და რამდენიმე ბადელელი, რომლებიც თავის დროზე საქართველოდან გადმოვიდნენ და აქ დამკვიდრდნენ.

ერთი კვირის შემდეგ, მუსტაფა ქელეშოღლი და მასთან ერთად აყვანილი პირები, გაათავისუფლეს. როგორც მოარული ხმები დადიოდა, არტაანის დაზვერვის მიერ მოხერხდა მუსტაფასა და სულეიმანის კონფიდენციალურ თანამშრომლობაზე დაყაბულება. ამის დასტურად მოჰყავდათ მუსტაფას ბანდის ადგილზე დატოვება, ხელშეუხებლობა და გარკვეულწილად ხელშეწყობაც კი.

თავი VI

სოფელ ბადელას მიმდებარე ტერიტორია მთა-გორიანია. ხრიოკი მიწა კი – ნაკლებმოსავლიანი. ოჯახის სამყოფი პურისა და ქერის მოყვანაზე ხომ საუბარიც ზედმეტია, ძირითადი დარგი მეცხოველეობა იყო. თხუთმეტკაციან ჯგუფს მოვლა-პატრონობა, სასმელ-საჭმელი სჭირდებოდა. გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა ჯგუფის ადგილმდებარეობისა და საცხოვრისის გამოცვლა. ერთ მშვენიერ დღეს მუსტაფა და მისი ძმა სულეიმანი, ცხენებზე ამხედრებულნი ფოცხოვში წავიდნენ, იქ ვის შეხვდნენ და ვისთან რა გარიგებას მიაღწიეს, არავინ იცის, მაგრამ ფოცხოვიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენი ჯგუფი, თხუთმეტი მებრძოლის შემადგენლობით, ძირბუდიანად გადავბარგდით ჯაყისმანის ციხე-სიმაგრის მიმდებარე ხუსეინ ჩაუშოღლის დაჯგუფების ყოფილ ბაზაზე. აქ უფრო იოლი იყო ცხოვრება. სახნავ-სათესი და საძოვარიც ბლომად გვქონდა. აქედან საქართველოს საზღვრისპირა სოფლებზე თავდასხმა და ნახირის გატაცებაც იოლი იყო. სახელმწიფო საზღვარი მთების – გუმბათისა და შაბანებელის თხემზე გადიოდა, მიუვალი, ჯაგნარიანი ფერდობები კი საგრძნობლად აი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლებდა საზღვრის კვეთას და თურქეთის ტერიტორიაზე თავის შეფარებას. ისიც აადვილებდა ვითარებას, რომ ქართულ მხარეს ცხვრის საზაფხულო იალაღები და საკოლმეურნეო მსხვილფეხა პირუტყვის ფერმები და სათიბებიც კი უშუალოდ საზღვრის მიმდებარედ იყო განლაგებული. თავის მხვრივ, ეს გარემოება, როგორც თურქეთის, ასევე საბჭოთა კავშირის სასაზღვრო სტრუქტურებს საგრძნობლად ურთულებდა საზღვრის ეფექტურ დაცვას და საჭიროების შემთხვევაში სამხედრო დაჯგუფების მანევრს.

ისიც ცნობილი იყო, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა ხელს არ იღებდა 1921 წლის მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების საფუძველზე თურქეთისთვის გადაცემული ძირძველი ქართული და სომხური მიწების დაბრუნებაზე და ფართო შესამზადებელ-სააგიტაციო კამპანიასაც ატარებდა.

თავის მხვრივ, თურქეთის სპეცსამსახურები მაქსიმალურად ცდილობდნენ წინმსწრები ინფორმაციის მოპოვებას. ვინაიდან საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში მათი ძირითადი საყრდენი და ხელშემწყობი კონტინგენტი, ე.წ. თურქი-მესხების სახით, შუა აზიის რესპუბლიკებში გადაასახლეს, შეიმუშავეს და დახვეწეს ჯაშუშ-მსტოვართა ინსტიტუტი, რომლებსაც სპეციალური მომზადებისა და წვრთნის შემდეგ ფარულად აგზავნიდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე, მუსტაფასა და მისი ჯგუფის ფუნქციაც შეიცვალა. ის ფაქტიურად თურქეთის დაზვერვის ნახევრადფორმალურ სტრუქტურად იქცა. ჯგუფის ყველა წევრი სპეცაღრიცხვაზე აიყვანეს. გაიცა იარაღი და შესაბამისი აღჭურვილობა. სპეციალურ კურსს გადიოდნენ და პერიოდულად, წყვილ-წყვილად აგზავნიდნენ საბჭოთა ტერიტორიაზე სპეციალური სადაზვერვო დავალებით.

ერთ-ერთი ასეთი მივლინებიდან მობრუნებისას, მუსტაფამ საკბილოდ მონიშნა მთა გუმბათის ფერდობზე, საზღვრის სიახლოვეს განლაგებული ცხვრის ფარეხი, სავარაუდოდ კახეთის რეგიონის რომელიღაც კოლმეურნეობის საკუთრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავარაუდო თავდასხმის რაიონში, სახელმწიფო საზღვარი უშუალოდ მთის ქიმზე გადის, საქართველოს მხარეს ვიწრო ზოლია დავაკება, შემდეგ კი დახრამული, ეკალ-ბარდიან-შქერიანი ფერდობი იწყება. სასაზღვრო საგუშაგო ფარეხიდან კარგა მოშორებითაა განლაგებული. მესაზღვრეთა განწესი პერიოდულად, დღეში ორჯერ, დილით და შებინდებამდე, სამი მესაღვრის შემადგენლობით, ავტომატებითა და ხელის ტყვიამფრქვევით შეიარაღებულები, ნაგაზთან ერთად შემოვლის მეთოდით აკონტროლებენ საზღვრის ამ მონაკვეთს. თურქეთის მხარეს კი საზღვრის ხაზიდან ციცაბო ფერდობი იწყება, მაგრამ საკმაოდ მოხერხებულია გამოცდილი ქვეითის გადასაადგილებლად. საზღვრის ორივე მხარეს, მთის ფერდობები უტყეოა, მხოლოდ დაბალი ჯაგნარით და ეკალ-ბარდითაა დაფარული. მდინარე კარზამეთის სათავეებთან იზრდება ჯუჯა ფიჭვი და მურყანი. ბუჩქნარი მხოლოდ შქერნალია. ერთი სიტყვით, მოულოდნელი თავდასხმა, ცხვრის ფარის გატაცება და საზღვრის კვეთა ყოვლად შესაძლებელია.

მუსტაფამ მაინც ვერ გარისკა მოუმზადებლად თავდასხმა. მისი ძმა – სულეიმანი და მე მთის ქიმზე გაგვგზავნა, რათა მთელი დღის განმავლობაში დურბინდით გვეთვალთვალა და შეგვესწავლა უშუალოდ ამ მონაკვეთზე საზღვრის დაცვის სისტემა – სასაზღვრო განწესების დაგზავნა-გადაადგილების პერიოდულობა და საგანგაშო ჯგუფების მოქმედება. მუსტაფა კი ერთ თანამებრძოლთან ერთად ცხვრის ფარეხების დასაზვერად და ველზე ბალახობის სპეციფიკის შესასწავლად წავიდა. საფარში მოკალათებულმა, რამდენიმე გასროლა გააკეთა, ამით სურდა მესაზღვრეთა საგანგაშო და საზღვრის დაფარვის ჯგუფების მოსვლის დრო დაენიშნა და მოქმედების წესი შეესწავლა.

სამი დღის შემდეგ, მათთვის საჭირო ყველა ინფორმაციას ფლობდნენ. საჭირო გახდა მაყუჩიანი სნაიპერის შაშხანების შეძენა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაჭიანურდებოდა მეცხვარეთა და ცხვარზე მიჩენილი კავკასიური ნაგაზების გაუვნებელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფა-ლიკვიდაცია. მუსტაფამ ისიც გაითვალისწინა, თუ როგორ უნდა დაეხიათ საზღვრისკენ, თუ საბჭოთა მესაზღვრეებს შემთხვევით გადაეყრებოდნენ.

და აი, განზრახვის სისრულეში მოყვანის დღეც დადგა. მდინარე კარზამეთის სათავე თითქმის მთის ქიმიდან იწყება, კარზამეთის ციხე-კოშკის ნაშალის მიდამოებში კალაპოტი ფართოვდება, აქედან სახელმწიფო საზღვარი მდინარის კალაპოტზე გადის.

შუა დღის ხვატია. მწყემსებმა სიცხისგან გათანგულ-გაბრუებული ცხვარი მთის ფერდობი გადმოატარეს და დასარწყულებელ-გასაგრილებლად მდინარესთან მიუშვეს. ორი მწყემსი და სამი ბომბორა კავკასიური ნაგაზი ახლდა ფარას. ნაგაზები, შეთანხმებულივით, რიგ-რიგობით ცხვრის ფარას გარს უვლიდნენ გაფანტვასა და მდინარის მეორე მხარეს გასვლას უშლიდნენ, თითქოს იცოდნენ, რომ იქიდან თურქეთის ტერიტორია იწყებოდა.

მუსტაფას ვარაუდით, მან ყველაფერი გათვალა. ორი სნაიპერი შაშხანებით ისე განალაგა, რომ მეცხვარეები და ნაგაზები სრულ საცეცხლე დაფარვის ზონაში მოქცეულიყვნენ. რამდენიმე ყაჩაღი კი ცხვრის ფარის სწრაფი და ორგანიზებული გადარეკისთვის ჩაასაფრა. მე და სულეიმანი ჩასაფრებაში ვისხედით, ჩვენები უნდა დაგვეზღვა, თუ რაიმე არაორდინალური მოხდებოდა, რა თქმა უნდა, იგულისხმებოდა მესაზღვრეების გამოჩენა.

დაუპატიჟებელი სტუმრების გამოჩენა და მოახლოებული საფრთხე პირველებმა ნაგაზებმა იგრძნეს, ყურები ცქვიტეს, მთელი სიფრთხილით არე-მარე დაზვერეს. ძაღლების მოუსვენრობა არც გამოცდილ, ალღოიან მეცხვარეს გამოპარვიათ, ყურადღებით შეათვალიერეს ადგილმდებარეობა, საზღვრის მხრიდან ცხვარს დაუარეს საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში ფარის გარეკვის მიზნით. ამ დროს მაყუჩიანი შაშხანების ტყვიების ყრუ ზუზუნი გაისმა, ორივე მწყემსი, ისე რომ დაყვირებაც ვერ მიასწრეს, ფერდობზე დაგორდნენ, ძაღლებსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი დღე არ დაადგათ... ყაჩაღებმა ცხვრის ფარას დაუარეს, მდინარის კალაპოტში შეყარეს და ფერდობს შეუსიეს, ალბათ, მთის ქიმის გადალახვას და სამშვიდობოზე გასვლას ცდილობდნენ.

მართალია, ყრუ, მაგრამ შაშხანების ტყვიების ზუზუნი ციხე-კოშკის ნანგრევებში მოწყობილ საფარში განლაგებული მესაზღვრეების ფხიზელ და ფრთხილ ყურამდც მიწვდა. მესაზღვრეებმა საგუშაგოზე განგაშის სიგნალი აახმიანეს. თვითონ კი ადგილმდებარეობის დაზვერვა-დათვალიერება დაიწყეს. მალე გაერკვნენ საქმის არსში. საზღვრის მიმდებარე ზოლში ცხვრის ფარა შენიშნეს, რომელსაც ხუთიოდე შეიარაღებული სამოქალაქო პირი გამალებით მთის ქიმისკენ მიერეკებოდა. დაუყოვნებლივ მოქმედება იყო საჭირო, თორემ სულ რაღაც სამასი მეტრი და მომხვდურები მთის ქიმს გადალახავდნენ და მთის მეორე ფერდობზე, სამშვიდობოზე გავიდოდნენ.

სასაზღვრო განწესმა სწორედ გათვალა – საზღვრის მხრიდან დავლა და ცხვრის ფარას ადევნებული ყაჩაღების ბლოკირება შეუძლებელი იყო, ამიტომ, გადაწყდა მოწინააღმდეგე შეიარაღებული მხარის საცეცხლე დაფარვა, მით უმეტეს, რომ ცეცხლი პირველებმა თურქებმა გახსნენს. ორი მეცხვარე და მათი თანმხლები მეცხვარის ნაგაზები ჩახოცეს.

ორმხრივი ცეცხლის შედეგად, რამდენიმე თავდამხსმელი დაიღუპა და დაიჭრა. შევქეთი და სულეიმანიც საფარიდან გააქტიურდნენ, ცდილობდნენ მესაზღვრეთა წინააღმდეგობის აღკვეთას. მათი საფარი, მათდასაუბედუროდ, ბექობზე განთავსებული მესაზღვრეებისთვის ხელის გულზე აღმოჩნდა. შედეგად, ერთი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული, მეორე კი მძიმედ დაიჭრა. შედეგად, მართალია, დანარჩენმა ყაჩაღებმა ცხვრის ფარის გადარეკვა მოასწრეს, მაგრამ რამდენიმე დახოცილი და დაჭრილი „ამანათად“ დაუტოვეს საბჭოთა მესაზღვრეებს.

ამასობაში საგუშაგოდან საგანგაშო ჯგუფიც მოვიდა. დაჭრილი ყაჩაღი ძლივს სუნთქავდა და გამწარებული თურქულად თავისას მოთქვამდა. ჩვენი ერთი მეცხვარეც გადარჩენილიყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ ბარძაყში მოხვედროდა მტრის ტყვია. დახოცილი ფირალების ცხედრები და დაჭრილები ვალეში, სასზღვრო კომენდატურის განლაგებაში, გადაასვენეს.

* * *

– მერე რა მოხდა? – იკითხა იშხანმა, რომელიც მანამდე გულისყურით უსმენდა შევქეთს.

– მერე? მე მძიმედ დავიჭერი, გონი დავკარგე. როცა საბჭოთა მესაზღვრეებმა გონს მომიყვანეს, სულეიმანის უსულო გვამი ჩემს ფერხთით ეგდო,- თქვა შევქეთმა, ცრემლიანი თვალები მსმენელს აარიდა და მარჯვენა სახელურით შუბლზე სიმწრის ოფლი შეიწმინდა.

თავი VII

მაშასადამე, ყველაფერი თავის ადგილზე დგება! გამოდის, რომ გარდაცვლილი ახლაგაზრდა, დივერსიულ-ტერორისტული დაჯგუფების ხელმძღვანელის, მუსტაფა ქელეშოღლის ძმა – სულეიმანი ყოფილა!.. მუსტაფას ახლო ნათესავებიდან აღარავინ დარჩენოდა. საგვარეულო სანათესავოს დიდი ნაწილი თავის დროზე თურქეთის ტერიტორიის სიღრმეში მუჰაჯირად გადახვეწილა, ნაწილი, ვინც კი საქართველოში დარჩენილან, 1944 წელს შუა აზიაში გადაუსახლებიათ. მუსტაფას ძმა თავდავიწყებით უყვარდა, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა და ელოლიავებოდა. სარისკო საქმეებზე ცდილობდა არ წაეყვანა, ბანაკში ტოვებდა სხვადასხვა სამეურნეო საქმეების შესასრულებლად. ბოლო „საქმეზეც“ არ უნდოდა წამოეყვანა, მაგრამ სულეიმანმა დაიჩემა, მე უკვე დავკაცდი და შემიძლია სერიოზულ საქმეებშიც მივიღო მონაწილეობაო, თანაც ხანგრძლივი თვალთვალისა და ვითარების ზედმიწევნით და დაწვრილებით შესწავლა-გაანალიზების შემდეგ, ჩაითვალა, რომ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლებად რისკის შემცველად მოჩანდა ძმის „საქმეზე“ წაყვანა.

შევქეთ ჩილიმოღლის მონაყოლიდან ისიც ირკვეოდა, რომ მუსტაფა ქელეშოღლი არამარტო თავზეხელაღებული და უშიშარი პიროვნება იყო, ასევე გულჩათხრობილი, თავნება და ბოღმიანი. არ ჩვეოდა ვინმესთვის ავკაცობის თუ ბოროტების შერჩენა, მაშასადამე, ცოცხალი თავით ვერ მოისვენებდა, სანამ ძმის მკვლელობის გამო შურს არ იძიებდა!..

მაშასადამე, მუსტაფა, ადრე თუ გვიან, საბჭოთა მესაზღვრეებზე, როგორც მისი ძმის მკვლელებზე, აუცილებლად იძიებდა შურს, ოღონდ, როდის და რა ფორმით, ამის შესახებ, რა თქმა უნდა იშვიათად თუ ვინმეს გაანდობდა.

შევქეთ ჩილიმოღლის მიზანსახული და დაუძალებელი „გამოკითხვის წყალობით“, იმ ვითარებაში, როცა საბჭოთა ოფიცერი, მისი თანასაკნელი, სრული თანამზრახველის, ჭირთა თანამოზიარის და გულშემატკივარის როლს ბრწყინვალედ თამაშობდა, ცნობილი გახდა მუსტაფას დარჩენილი ბანდის შემადგენლობა, შეიარაღება და ბანდიტურ-ტერორისტული პოტენციალი და შესაძლებლობები. ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ მუსტაფას ავტორიტეტისა და მისი მფარველების ძალისხმევით, შესაძლებელი იყო ბანდის შევსება-გაფართოება საქართველოდან გადახვეწილი და საზღვრისპირა დასახლებულ პუნქტებში შეხიზნული მესხეთელი თურქების ხარჯზე, რომელნიც სხვადასხვა მიზეზთა გამო ანტაგონისტურად იყვნენ განწყობილი ყოველგვარი საბჭოურის მიმართ, ყოველივე ამას ლოგიკურად ემატებოდა მათი ნათესავების „უსამართლოდ და დაუმსახურებლად“ შუა აზიაში გადასახლება.

ყოვლად შესაძლებელი იყო, სწორედ მუასტაფას ბანდის მიერ განხორციელდა დივერსიულ-ტერორისტული აქტი, კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთ სასაზღვრო საგუშაგოზე თავდასხმა და ენით აღუწერელი ტრაგედია, რომელსაც ემსხვერპლა სასაზღვრო საგუშაგოს თითქმის მთელი პირადი შემადგენლობა. სწორედ ხსენებული საგუშაგოს დაცვის ქვეშ მყოფ უბანზე განხორციელდა ჩვენს მწყემსებზე ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდიტური თავდასხმა და სწორედ ხსენებული საგუშაგოს მესაზღვრეებმა ჩაცხრილეს მომხვდურები, მათ შორის, მუსტაფას ძმა სულეიმი.

კვანძი იკვეთება – თურქეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, დასავლელ პარტნიორებთან შეთანხმებითა და კოორდინაციით, ქვეყნის სპეცსამსახურებს დაუკვეთეს ხსენებული დივერსიულ-ტერორისტული აქტი, რომლებმაც დაგეგმეს და მუსტაფას ბანდის მეშვეობით განახორციელეს. მიზანიც ნათელი ჩანდა – ამ აქტით ჩრდილი ადგებოდა საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითუნარიანობასა და მისი საზღვრების შეუვალობას და რაც მთავარია, შეარყევდა საბჭოთა სახელმწიფოს უძლეველობის იმიჯს!

შექმნილი სიტუაცია კიდევ ერთხელ არწმუნებდა საბჭოეთის სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შურისძიების გარდაუვალობის აუცილებლობაში. დივერსიულ-ტერორისტული აქტის მომწყობნი და შემსრულებლები სამაგალითოდ უნდა დასჯილიყვნენ!

თავი VIII

სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან ე.წ. „თურქი-მესხების“ მასობრივმა გადასახლებამ, თავის მხვრივ, საგრძნობლად შეზღუდა და შეასუსტა საბჭოთა სპეცსამსახურების, მათ შორის, სასაზღვრო ჯარების სადაზვერვო ორგანოების კონტრდაზვერვითი და სადაზვერვო შესაძლებლობები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადასახლებას ასევე დაექვემდებარნენ საბჭოთა უშიშროების ტერიტორიული ორგანოებისა და საბჭოთა სასაზღვრო ჯარების სადაზვერვო სამსახურების საიდუმლო ინფორმატორებიც. ამ გარემოებამ, საგრძნობლად შეასუსტა, რიგ უბნებზე კი სრულიად მოშალა ადრე სამაგალითოდ აწყობილი და გარანტირებულ შედეგებზე ორიენტირებული, ფუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქციონირებადი აგენტურული ქსელი, რომელთა წევრების უმრავლესობა ასევე დაექვემდებარა შუა აზიის რესპუბლიკებში გადასახლებას.

სრულიად საჩინო და გასაგებია, რომ ამ გარემოების გამო, საგრძნობლად შეიზღუდა, რიგ უბნებზე კი მოიშალა, სახელმწიფო საზღვრის არალეგალური კვეთის გზით, აგენტებისა და სპეცკურიერების მოსაზღვრე ქვეყნის ტერიტორიაზე მივლინების შესაძლებლობა, რამაც განაპირობა სადაზვერვო საქმიანობის ფორმებსა და მეთოდებში რიგი ცვლილებების შეტანა. ერთი სიტყვით, საგრძნობლად რთული და სახიფათო გახდა საზღვრის კვეთით ჩვენი აგენტურის შეგზავნა ან საზღვარგარეთული კურიერების მივლინებები მეზობელი ქვეყნის საზღვრისპირა რეგიონებში.

ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკური და სამხედრო პარტნიორების, სათანადო სტრუქტურებისა და ორგანოების ძალისხმევითა და თანადგომით რადიკალურად შეიცვალა თურქეთის სასაზღვრო რეჟიმისა და სახელმწიფო საზღვრის ფიზიკური დაცვისა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები და მეთოდები. შეიქმნა სასაზღვრო დაცვის სტრუქტურები საველე არმიის რიგებიდან ცალკეული ქვედანაყოფების გამოყოფის გზით, შეიცვალა ჟანდარმერიის ფუნქციები და ვალდებულებები სასაზღვრო ზონასა და ზოლში სასაზღვრო რეჟიმისა და მისი კონტროლის გააქტიურების გზით. რა თქმა უნდა, ქვეყნის სპეცსამსახურებმაც გაამკაცრეს და გააქტიურეს კონტრდაზვერვითი და დაზვერვითი საქმიანობა. ამრიგად, თურქეთის სახელმწიფო საზღვრის დაცვა და მისი ოპერატიულ-სადაზვერვო უზრუნველყოფა, რიგ შემთხვევაში, არაფრით ჩამოუვარდებოდა არც საბჭოურს და არც ევროპის წამყვან ქვეყნებს.

თურქეთის სასაზღვრო სტრუქტურები ჩამოყალიბდნენ როგორც საგრძნობლად ორგანიზებული, ღრმად ეშელონირებული და საიმედონი. ეგრეთ წოდებულ „უცხო პირთა“ გამოვლენა-შესწავლა დაევალათ ჟანდარმერიის ტერიტორიულ ქვედანაყოფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს, რომლებიც, თავის მხვრივ, ქმნიდნენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან შემდგარ „მონადირეთა რაზმებს“, რომლებიც საცხოვრებელ თუ სამუშაო ადგილებში, განსაკუთრებით, საზღვრის მიმდებარე მთა-გორიან და ძნელადმისადგომ უბნებზე აგზავნიდნენ ხსენებულ რაზმებს და ჯგუფებს. ასე რომ, სასაზღვრო ზოლში ჩვეულებრივ მთიბავთა თუ მეჯოგეთა ჯგუფი შესაძლოა „სახალხო მესაზღვრე“ ყოფილიყო, რომელიც ნებისმიერ უცნობსა და საეჭვო ქცევის პიროვნებას დაასმენდა უახლოეს სასაზღვრო ან ჟანდარმერიის ქვედანაყოფში ან სულაც სოფლის მამასახლისთან – მუხტართან.

ისიც უნდა გაგვეთვალისწინებინა, რომ მუსტაფა ქელეშოღლის დივერსიულ-ტერორისტული დაჯგუფება იმყოფებოდა თურქეთის სპეცსამსახურების ქოლგის ქვეშ, ასრულებდა „სახალხო მესაზღვრის“ ფუნქციებს, იყო საკმაოდ ორგანიზებული, მომზადებული და რაც მთავარია, შურისძიებისთვის მოტივირებული. ეს გარემოება, თავის მხვრივ, ფაქტიურად გამორიცხავდა ბანდაში გარეშე პირის მოხვედრას ან „შემთხვევით მიტმასნებას“, გაფიქრებაც კი ზედმეტი იყო გაწევრიანებასა და ნდობის მოპოვებაზე.

თავი IX

საბოლოოდ საბჭოთა საგამოძიებო-ოპერატიული ჯგუფის წევრები და ზემდგომი ხელმძღვანელობა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „ციხე შიგნიდან უნდა გამტყდარიყო“. ესე იგი, უნდა მოეძებნათ „უნივერსალური“ პირი, რომელსაც კარგად იცნობდა და ენდობოდა მუსტაფა და რაც მთავარია, დივერსიულ-ტერორისტული დაჯგუფების ბაზაზე მისი გამოჩენა და ჯგუფში გაწევრიანების სურვილი სავსებით ლეგიტიმური და მოტივირებული უნდა ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი პიროვნება კი პირველ რიგში უნდა გვეძებნა მუსტაფა ქელეშოღლის თანასოფლელ-ნათესავთა რიგებიდან.

გადასახლებას დაქვემდებარებული მოქმედი აგენტურის რიგებიდან გარიცხული, მაგრამ დაკონსერვებული და დარეზერვებული „იერლებისა“ და თურქმანულ-თარაქამული წარმოშობის აგენტურის ღრმა და ყოვლისმომცველი შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ორი კანდიდატურა, რომლებიც, მეტ-ნაკლებად შესაძლოა მოაზრებული ყოფილიყვნენ თურქეთში გადასასხმელად და მუსტაფა ქელეშოღლის ბანდაში ჩასანერგად.

როგორც უკვე აღვნშნეთ, ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში გადაასახლეს საიდუმლო ინფორმატორთა – აგენტურის მთელი არმია, რომლებიც ირიცხებოდნენ შეიარაღებული ძალების საგანგებო განყოფილებების (სამხედრო კონტრდაზვერვის), სახელმწიფო უშიშროების ტერიტორიულ ორგანოებსა და შინაგან საქმეთა სტრუქტურულ ერთეულებში. ისინი სათანადოდ მომზადებული, შესწავლილ-გადამოწმებული, გამოწრთვნილი, სანდო და თავიანთ საქმეში გათვითცნობიერებული და ინფორმირებული საიდუმლო პირები იყვნენ.

სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის რეგიონში ადრე მცხოვრებ საიდუმლო ინფორმატორთა დადგენა-შესწავლა-გადამოწმების შემდეგ, აზრი შეჯერდა და ყურადღება შეჩერდა ორი პირის მიმართ:

1. აგენტი „შამშიდი“. დაბადებული 1903 წელს, ხუთკლასიანი განათლებით. განათლება მიღებული აქვს აზერბაიჯანულენოვან სკოლაში, ქალაქ ახალციხეში. დაბადების ადგილი – ასპინძის რაიონის, სოფელი ოთა. თურქი-მესხი, ე.წ. „იერლი“. მისი ოჯახი (დედ-მამა, ორი ძმა, ცოლი, ქალ-ვაჟი) ნათესავებთან და სხვა თანასოფლელებთან ერთად გადაასახლეს ყირგიზეთის რესპუბლიკაში. „შამშიდი“ ჩინებული დურგალი იყო. მისი აშენებული ოდა-სახლები დღესაც ბლომად მოიძებნა ახალციხისა და ასპინძის სოფლებში. მას გარემოცვა იცნობს „უსტა ოსმანის“ თიკუნით.

„შამშიდი“ გადმობირებულია 1934 წელს სასაზღვრო ჯარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ახალციხის სასაზღვრო რაზმის სადაზვერვო სამსახურის მიერ. იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთის რესპუბლიკის ფოცხოვ-არტანის რეგიონის საზღვრისპირა დასახლებულ პუნქტებში ჰყავდა ბევრი ნათესავ-მოყვარე და ნაცნობი, თავისუფლად ფლობდა თურქულ, ქართულ და რუსულ ენებს, ის აქტიურად გამოიყენებოდა საზღვარგარეთის კურიერის პოზიციაზე. თანამშრომლობის პერიოდში მასზე მინდობილ დავალებებს პირნათლად ასრულებდა. ორმაგ თანამშრომლობაში ან საეჭვო ვითარებაში დაფიქსირებული არ ყოფილა. ოპერატიულ ორგანოებთან თანამშრომლობის მოტივი – იდეური, ასევე მატერიალური დაინტერესება.

გადასახლების წინ აგენიტი „შამშიდი“, ისევე როგორც გადასახლების სიაში მოხვედრილი ყველა საიდუმლო ინფორმატორი, გარიცხული იქნა მოქმედი აგენტურული ქსელიდან, გარიცხვის შემდეგ მისი მონაცემები დაკონსერვდა, უშიშრიების სისტემის ტერიტორიული ორგანოების მიერ კავშირის აღდგენისა და მასთან თანამშრომლობის განახლების აკრძალვით. იმის გათვალისწინებით, რომ „შამშიდი“ თავის დროზე ფლობდა მნიშვნელოვან, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ სპეციფიურ ინფორმაციას, მას გაუთქმელობის ხელწერილი განმეორებით, გადასახლების წინაც ჩამოერთვა. მასთან კავშირის აღდგენის უფლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარების საქართველოს სასაზღვრო ოლქის ოპერატიულ სამსახურებს შეეძლოთ, მკაცრად დათქმული პირობითა და სათანადო პაროლ-გამოძახილის წარდგენით.

2.აგენტი „აზიზი“. დაბადებული 1908 წელს, ხუთკლასიანი განათლებით, განათლება მიღებული აქვს აზერბაიჯანულენოვან სკოლაში, დაბა ადიგენში. დაბადების ადგილი – ადიგენის რაიონის სოფელი ვარხანი. თურქი-მესხი, ე.წ. „იერლი“. მისი ოჯახი (დედ-მამა, და-ძმა, მეუღლე, ორი ვაჟი) ნათესავებთან და თანასოფლელებთან ერთად გადაასახლეს უზბეკეთის რესპუბლიკაში, ფერგანის ველზე.

„აზიზი“ საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარების ახალცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხის სასაზღვრო რაზმის ოპერატიული სამსახურის მიერ გადმობირებულია 1937 წელს. იმის გამოისობით, რომ შესანიშნავად ფლობდა სპილენძის ნაწარმის მკალავ-შემდუღებლის ხელობას, საამქროც ჰქონდა გამართული, მოსახლეობა მომეტებულად „კალაიჯი მემედის“ სახელით იცნობდა. თავისებური ავტორიტეტითაც სარგებლობდა. ფოცხოვი -არტაანის რეგიონში ბევრი ნათესავ-ახლობელი ჰყავდა, ხშირად დადიოდა მათთან, კარგი, მოყვრულ-ნათესავური ავტორიტეტი და ურთიერთობები იცოდა. მისი გადმობირება და მასთან საიდუმლო ურთიერთობის დამყარება თავიდანვე გათვლილი იყო საზღვრის მიღმა დასახლებულ პუნქტებში მუშაობისთვის. ესე იგი, თავიდანვე გათვლილიყო მისი გამოყენება საზღვარგარეთული კურიერის პოზიციაზე (რუსული აბრევიატურა – ზაკორდონნი კურიერი, შემოკლებით ზაკკურიერი – ავტ.შენ.).

აღსანიშნავია ის გარემიება, რომ „აზიზს“ ზოგჯერ, მისი კავშირებიდან გამომდინარე, პერიოდულად იყენებდნენ საზღვრისპირა რეგიონებში კონტრაბანდული და დივერსიულ-სადაზვერვო ჯგუფების გამოვლენა-შესწავლა-დეზორგანიზაციის მიზნით. ძირითადად საზღვარგარეთ მივლინებაში იგზავნებოდა ფოცხოვისა და არტაანის რეგიონის სხვა დასახლებულ პუნქტებში. იყო შემთხვევები, კონკრეტული მიზნის მისაღწევად ან რომელიმე ბანდიტურ-დივერსიული ჯგუფის დადგენა-შესწავლის მიზნით, დიდი ხნითაც რჩებოდა თურქეთის საზღვრისპირა დასახლებულ პუნქტებში. ამ დროს მისი ლეგენდირება ხდებოდა როგორც ართვინელი ჰემშილი, რომელიც მკალავის პროფესიით ირჩენდა თავს.

„აზიზის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად გამოვლენილი და გაუვნებელყოფილი იქნა რამდენიმე კონტრაბანდისტი და ბანდფორმირების წევრი თუ თანამზრახველ-ხელშემწყობი. ასევე გამაოვლინეს საზღვრისპირა დასახლებული პუნქტების მოსახლეობას შორის რამდენიმე ადგილობრივი პირი, რომლებიც ეჭვმიტანილად აღიარეს თურქეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1937-1944 წლებში, ესე იგი სასაზღვრო ჯარების სადაზვერვო ორგანოებთან საიდუმლო თანამშრომლობის პერიოდში, ის ყოველთვის გამოირჩეოდა კეთილსინდისიერებით, პედანტურობით, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებით. მისი გადმობირების მოტივიც იდეური და მატერიალური დაინტერესება იყო. ამ ხნის განმავლობაში, მის მიმართ ორგულობის თუ სხვა მაკომპრომეტირებელი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის კომიტეტის ბრძანებულების თანახმად, გადასახლებულთა რიგებში მოექცნენ ყველა თურქმანულ-თარაქამული, ქურთულ-ყარაფაფახური, ჰემშილ-თათრული წარმომავლობის პირები მიუხედავად დაკავებული თანამდებობისა, სტატუსისა თუ დამსახურებისა. გადასახლების წინ აგენტი „აზიზიც“, ისევე როგორც გადასახლების სიაში მოხვედრილი ყველა საიდუმლო ინფორმატორი, გარიცხულ იქნა მოქმედი აგენტურული ქსელიდან, გარიცხვის შემდეგ მისი მონაცემები დაკონსერვდა, უშიშრიოების სისტემის ტერიტორიული ორგანოების მიერ კავშირის აღდგენისა და მასთან თანამშრომლობის განახლების აკრძალვით. იმის გათვალისწინებით, რომ „აზიზი“ თავის დროზე ფლობდა მნიშვნელოვან, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ სპეციფიურ ინფორმაციას, მას გაუთქმელობის ხელწერილი განმეორებით, გადასახლების წინაც ჩამოერთვა. მასთან კავშირის აღდგენის უფლება მხოლოდ საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ჯარების საქართველოს სასაზღვრო ოლქის ოპერატიულ სამსახურებს შეეძლოთ, მკაცრად დათქმული პირობითა და სათანადო პაროლ-გამოძახილის წარდგენით.

საქმეს ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში გადასახლებამდე აგენტი „შამშიდი“ – „უსტა ოსმანი“ ოპერატიულ კავშირზე, პირად კონტაქტზე იმყოფებოდა მაიორ შოთა ლაზიშვილთან, ხოლო აგენტი „აზიზი“ – „კალაიჯი მემედი“ – მაიორ შაქრო ლომიძესთან. ეს და სხვა გარემოებანი, თავის მხრივ, საგრძნობლად აადვილებდა აგენტების დაძებნას, კონტაქტზე გასვლას და ოპერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიული კავშირის აღდგენის შესაძლებლობას. ახლა მთავარი იყო ყოფილი აგენტებისა და მისი ოჯახების ადგილმდებარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების დადგენა-შესწავლა, მათი დამოკიდებულება სპეცსამსახურებთან და ოპერმუშაკებთან. თავისთავად მხედველობიდან არ უნდა გამორჩენოდათ ის გარემიება, რომ ყოფილი აგენტები უნდობლობითა და გულგრილად, ანტაგონისტურად ხომ არ იქნებოდნენ განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლებისა და მით უმეტეს, მისი სპეცსამსახურების თუ თანამშრომლების მიმართ, რამეთუ წლების განმავლობაში ერთგული მსახურება და უმწიკვლო საიდუმლო თანამშრომლობა არ იქნა გათვალისწინებული. შესაბამისმა უწყებებმა არაფრად ჩაუგდეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ფასად გაწეული სამსახური და სხვებთან ერთად, განურჩევლად და უკომპრომისოდ, გადასახლებულთა სიაში მოახვედრეს და შუა აზიაში უკრეს თავი. საქართველოს სასაზღვრო ოლქის სპეცსამსახურის ხელმძღვანელობა, მომხდარი ტერაქტის სიმძიმისა და ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტზე ნეგატიური ზეგავლენის სპეციფიკიდან გამომდინარე, იმასაც არ გამორიცხავდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო გარკვეულ კომპრომისზე წასვლა თუ ჩვენთვის საინტერესო, უკვე ცნობილი პირები საიდუმლო თანამშრომლობის აღდგენისა და ნაყოფიერი, შედეგზე გათვლილი საიდუმლო თანამშრომლობის საფასურად წამოაყენებდნენ გარკვეულ მოთხოვნებსა და პირობებს. ერთი სიტყვით „ჩიტი ბრდღვნად ღირდა“!..

თავი X

მაიორების: ლაზიშვილისა და ლომიძის შორეულ, გრძელვადიან, ფათერაკიან და გარკვეულწილად საბედისწერო მივლინებას, რა თქმა უნდა, წინ უსწრებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შესაბამის კათედრაზე, წარგზავნა, სადაც სამი თვის განმავლიბაში სწავლობდნენ და სათანადოდ ხვეწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ, მათთვის სასაუბრო დონეზე უკვე ცნობილ, თურქულ და აზერბაიჯანულ ენებსა თუ მათ დიალაექტებს. ამ ენების სწავლება-დახვეწა და სათანადო დონეზე ფლობა აუცილებელი იყო მათი ცენტრალურ აზიაში სპეცმივლინების ლეგენდირების ფორმატით. მათი რეალური ვინაობა და სადაურობა, მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, ცნობილი გახდებოდა უზბეკეთისა და ყირგიზეთის სახელმწიფო უშიშროების სამსახურების ხელმძღვანელთა მკაცრად განსაზღვრული წრისთვის, ისიც სამსახურებრივი და გარემოებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე. დანარჩენებისთვის კი არიან საბჭოთა შეარაღებული ძალებიდან დემობილიზებული ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, დიდი სამამულო ომის მონაწილეები, ადრე საქართველოში მცხოვრები თურქი-მესხები, რომლებიც ასევე დაექვემდებარენ 1944 წლის შემოდგომაზე მათი თანამემამულების მსგავსად ცენტრალურ აზიაში გადასახლებას. ამჟამად აქ ჩამოვიდნენ ოჯახის წევრებისა და ნათესავების მოსაძებნად და მათთან შესაერთებლად. რა თქმა უნდა, ორივე ოფიცერმა მიიღო სათანადო, ამომწურავი ინსტრუქციები, ლეგენდირების ცნობარები, აღიჭურვენ სათანადო საბუთებით, ცნობებით, სამგზავრო-სამივლინებო ფულადი თანხით და ეკიპირება-ტანისამოსით.

საკავშირო ზემდგომმა ხელმძღვანელობამ, დავალების საგანგებო საჭიროებისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვალა ჩეკისტთა მოსკოვში მივლინება, პირადად გაცნობა, მივლინების მიზნებისა და ამოცანების კიდევ ერთხელ გააზრება-ათვისების დონის შემოწმება, მივლინების პერიპეტიების, ლეგენდირებისა და არაორდინარულ, საგანგებო, დაუგეგმავ და გაუთვალისწინებელ სიტუაციებში მოხვედრისას ქცევის წესები და იმ სამსახურთა და თანამშრომელთა საკონტაქტო მონაცემები, რომელთაც სათანადო დახმარებისა და მხარდაჭერისთვის უნდა მიმართონ.

დათქმულ დროს, 1948 წლის გაზაფხულის მიწურულს, სათანადო მომზადებისა და აღჭურვის შემდეგ, მაიორები ლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიშვილი და ლომიძე თბილისის სარკინიგზო სადგურზე, თბილისი-მოსკოვის მატარებლის მოლოდინში, ყავახანის ჯიხურში ყავას მიირთმევდნენ და განყენებულ თემებზე მსჯელობდნენ. პირობა დაედოთ, სამსახურებრივ საკითხებზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თუ მგზავრობისას, არ ესაუბრათ. ნაკლები ყურადღების მიქცევის მიზნით, ჩეკისტებს არავინ აცილებდა.

როგორც იქნა, თბილისი-მოსკოვის მატარებელიც ჩამოდგა. ჩეკისტები მიდიოდნენ როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეები. კუპირებულ ვაგონში, მათთვის გათვლილი წინასწარ დაჯავშნილი ადგილები მალევე მოძებნეს და განთავსდნენ.

მესამე დღეს, მოსკოვში, კურსკის სარკინიგზო სადგურზე ჩამოქვეითდნენ. მოსკოვი ორივემ კარგად იცოდა, თავის დროზე უშიშროების ორგანოების სკოლაში ეუფლებოდნენ ჩეკისტის რთულ და სპეციფიურ ცოდნა-გამოცდილებას. ბაბუშკინოს რაიონში, წინასწარ შეკვეთილ სასტუმროში განლაგდნენ და დაელოდენ ხელმძღვანელობასთან აუდიენციას. ომის შემდგომი მოსკოვი ნელ-ნელა იერსახეს იცვლიდა, დაბომბვების შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების უმეტესობა უკვე შეკეთებულ-მოწესრიგებული, ხოლო, სკვერები, გაზონები და ქუჩები-მოწესრიგებული. ცხოვრება უბრუნდებოდა ჩვეულ რიტმს, რესტორან-ბარებიც მუშაობდა.

ჩეკისტები მეორე დღეს დათქმულ დროს გამოცხადნენ ლუბიანკაზე – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სათავო ოფისში. საგრძნობად დაძაბული და აფორიაქებულები ჩანდნენ. არცაა გასაკვირი, ცხოვრებაში პირველად იყვნენ იმ შენობაში, სადაც წყდებოდა საბჭოთა ქვეყნის მოსახლეობისა და მსოფლიოს მრავალი ხალხების ბედ-იღბალი...

ქართველი ჩეკისტები, დათქმულ დროს, სპეციალურმა ბადრაგმა ააცილა სათანადო ოპერატიულ ხელმძღვანელთან. თათბირი ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად საქმიანი და ნაყოფიერი იყო. კიდევ ერთხელ აღინიშნა და ხაზი გაესვა დივერსიულ-ტერორისტული აქტის პოლიტიკურ მნიშვნელობას, ქვეყნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო იმიჯის, საბჭოთა სპეციალური ორგანოებისა და ძალოვანი სტრუქტურების პრესტიჟს, რომ საბჭოთა ორგანოებმა ყველაფერი უნდა იღონონ ტერაქტის დროული გამოძიებისა და დამნაშავეთა სამაგალითო დასჯის კუთხით. იმასაც გაესვა ხაზი. თუ აგენტების მხრიდან გამოითქვა გონივრული თხოვნა, შესაძლებელი იქნებოდა გარკვეულ კომპრომისზე წასვლა. უზბეკეთისა და ყირგიზეთის უშიშროების ორგანოების პასუხისმგებელი პირები (რომელთა მონაცემები და მათთან დაკავშირების არხები ჩეკისტებს სპეცპაკეტით გადაეცათ) გაფრთხილებული არიან საჭირო დახმარების აღმოჩენისა და ცენტრთან უწყვეტი კავშირის დასამყარებლად. ასევე ითქვა, რომ ხსენებული საგამოძიებო საქმის კურატორი ყველა დაიტერესებულ ორგანოსა და პირს თავის დროზე სათანადო მითითებებსა და ინსტრუქციებს დაუგზავნიდა. ასევე, ხაზი გაესვა ქართველი ბიჭების მოცემულ საქმეში განსაკუთრებულ როლსა და პასუხისმგებლობას.

მეორე დღესვე დაიგეგმა ჩეკისტების საჰაერო ტრანსპორტით ტაშკენტში გამგზავრება. იქ უკვე დამოუკიდებლად უნდა ემოქმედათ, წინასწარ შემუშავებული და გათვლილი ლეგენდის თანახმად. მათვე გადაეცათ წინასწარ მომზადებული საჭირო სამივლინებო, შენიღბვის საბუთები და ფულადი თანხა.

თავი XI

ტაშკენტში, უზბეკეთის რესპუბლიკის დედაქალაქში, თვითმფრინავი აეროპორტში მშვიდობიანად დაეშვა. ვინმე არ დახვედრიათ, ასე იყო გათვლილი. ქართველ ჩეკისტებს რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ჰქონოდათ იქაურ კოლეგებთან კონტაქტი, ამას საქმის დელიკატურობა კონსპირაციის პრინციპები და მოთხოვნილობები ითვალისწინებდა. ასევე, დანიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნულების ადგილებზე, არავის უნდა სცოდნოდა ქართველი ჩეკისტების დაინტერესების პირთა ვინაობა და სადაურობა.

ქართველი ჩეკისტები წინასწარ ცნობილ, შეგულებულ და დამისამართებულ კონსპირაციულ ბინაში მოეწყვნენ, სადაც საჭირო სურსათ-სანოვაგე, ლეგენდის შესაბამისი ტანსაცმელი და ეკიპირება დახვდათ. ტაშკენტში ორი დღე დარჩნენ. საჭირო იყო ადგილობრივ კლიმატთან და არსებულ სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებთან და ვითარებასთან შეგუება, მორალურად მომზადება და ძალების მობილიზება. მართალია, ქართველი ჩეკისტები გაწონასწორებული ხასიათითა და კაცთმოყვრული, კეთილი ზნით გამოირჩეოდნენ, მაინც გარკვეული დრო იყო საჭირო, რათა ქართული მენტალიტეტის, ხასიათისა და ქცევების თავისებურებათა შეჯერება-შეგუება მოეხდინათ აზიურ, კერძოდ კი, უზბეკურ და ყირგიზულ ზნე-ჩვეულებებთან.

პირველად „აზიზი“ – „კალაიჯი მემედი“ უნდა მოეძებნათ, შეხვედროდნენ, აღედგინათ ოპერატიული კონტაქტი, თანხმობის მიღების შემთხვევაში დაეგეგმათ, მასთან ურთიერთობის გრაფიკი და თურქეთში მივლინების პირობები.

რა თქმა უნდა, ჩვენი ჩეკისტებისთვის წინასწარ იყო ცნობილი „აზიზის“ მისამართი, ოჯახური, სოციალური და მატერიალური მდგომარეობა, საქმიანობა და ოჯახის წევრების ვინაობა.

ქართველი ჩექისტები, ამჟამად კი თურქი-მესხების როლში, ჯარიდან დემობილიზებული და სპეცგადასახლებას დაქვემდებარებული პირები, ჩამოსვლიდან მესამე დღეს, დილიდანვე, ტაშკენტის საქალაქათშორისო ავტოსადგურისკენ გაემართნენ. ავტოსადგურის ცნობათა ბიუროში გაარკვიეს მათთვის საინტერესო რაიონულ ცენტრში, ქალაქ ფერგანაში, მიმავალი ტრანსპორტის გრაფიკი და მოგზაურობის ხანგრძლივობა, შეიძინეს ბილეთები და საუზმე ადგილობრივ კაფეში მიირთვეს.

თავი XII

ფერგანის ველი უზბეკეთის აღმოსავლეთით მდებარეობს, მთათაშორის დაბლობს მოიცავს, ტიან-შანისა და გისარო-ალაიას მთათა სისტემებს შორის. ველი მოიცავს სივრცეს 300 კმ. სიგრძითა და 70 კმ. სიგანით. ადმინისტრაციული თვალსაზრისით, მოიცავს ორ ოლქს – ნამანგანასა და ანდიჟანს. ტაშკენტიდან მიმავალმა კამჩინის უღელტეხილი უნდა გადახვიდე, რომელიც ზღვის დონიდან 2028 მეტრის სიმაღლეზეა. ველს ჩამოუდის წყალუხვი მდინარე სირდარია, რომელიც თავის მხვრივ შენაკადებთან ერთად ველის წყლის მთლიან სისტემას წარმოადგენს. უშუალოდ ფერგანის ველი და მიწათმოქმედებისთვის გამოსადეგი სავარგულები მეოცე საუკუნის 30-იან წლებში გაყვანილი ფერგანის დიდი არხის წყლით ირწყვება. ნიადაგი ფრიად ნოყიერია. მოჰყავთ დიდი რაოდენობით ყურძენი, ხორბალი და ბრინჯი. ფართოდაა განვითარებული მესაქონლეობა. რელიეფი ძირითადად ველიან-ბორცვიან-მთიანია, ძალიან წაგავს სამცხე-ჯავახეთის რელიეფს. უზბეკეთის სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, ფერგანის ველი მკვეთრად გამოირჩევა მოსავლიანობითა და შინაური პირუტყვის მოვლა-გამოზამთრების სათანადო პირობებით.

„აზიზი“, მოსახლეობაში „კალაიჯი მემედის“ სახელით ცნობილი პიროვნება, თავისი და მეზობელი სოფლელების მოსახლეობაში ცნობილი და თავისებურად ავტორიტეტიანი პიროვნება აღმოჩნდა. საქართველოდან წამოღებული ხელსაწყო-დანადგარები და საკმაოდ კარგად ათვისებული მკალავის პროფესია აქაც გამოადგა. სოფლის ცენტრში, კოლმეურნეობის ავტოფარეხის მიმდებარედ, მისთვის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას გამოუყვია მოზრდილი სათავსო, სადაც მემედს სახელოსნო გაუმართავს. სპილენძის ჭურჭელი და სხვა საყოფაცხოვრებო ინვენტარი როგორც საქართველოდან გადასახლებულ, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას შორის ფართოდ გამოიყენებოდა და ბევრიც მოიპოვებოდა. ზოგადად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილია, რომ სპილენძისგან დამზადებული ჭურჭელი მოუკალავად გამოუსადეგია, განსაკუთრებით სამზარეულო და კვებითი დანიშნულების, რადგან მოუკალავ ჭურჭელში შენახული საჭმელი არა მარტო გამოუსადეგი, არამედ მომწამვლელიც კი ხდება.

ჰოდა, მემედს სახელოსნო გაუმართავს და გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ მუყაითად და პასუხისმგებლიანად ემსახურება ადგილობრივ მოსახლეობას და ოჯახში სათანადო შემოსავალიც შეაქვს. თანაშემწეებად კი მამამისი, მოხუცი, მაგრამ საკმაოდ ჯანმაგარი და ვაჟები ეხმარებიან, რომლებიც სკოლის შემდეგ, მამასთან სიამოვნებით რჩებიან. აქედან მიღებულმა შემოსავალმაც განაპირობა ნახევრადმიწური, ბანიანი სახლის სათანადოდ გამართვა და კეთილმოწყობა. მემედის მშობლები უკვე პენსიონერები არიან, მეუღლე კი კოლმეურნეობაში მუშაობს. ერთობლივი ძალისხმევით, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეებს უსადაგებენ საოჯახო მეურნეობის სამაგალითოდ წარმართვა-წარმოებას და სამეზობლოსთან შედარებით, შეძლებულადაც ცხოვრობენ.

ქართველმა ჩეკისტებმა გათვალეს მემედის მუშაობის გრაფიკი, დამხმარეთა და კლიენტთა აქტივობის პერიოდულობა, შეურჩიეს, როცა მემედი მარტო საქმიანობდა სახელოსნოში და ესტუმრნენ. შოთა ლაზიშვილმა ფარდულთან მოფარებული ადგილი შეარჩია და სამზირო პოზიცია დაიჭირა, შაქრო ლომიძემ კი ყაბალახი აიხვია და მემედის სახელოსნოში შეაბიჯა. მემედმა ახლადმოკალული თუნგი გვერდზე გადადო, ხალათის სახელურით შუბლზე ოფლი შეიწმინდა და მხოლოდ ახლა შეათვალიერა კართან მდგომი მხარბეჭიანი, წარმოსადეგი, ყაბალახახვეული მამაკაცი. – „ბუირუმო“, (მობრძანდი – თურქ.) მიმართა და მეორე თუნგს სწვდა. შაქრო ოდნავ მოიხარა, ჩაახველა და ქართულად, ნართაულად, ადრე შეთანხმებული პაროლით მიმართა:

– სალამი მემედ – კალაიჯი, – „არსიანზე ჩამოთოვა, ბარში კი ვარდის ბუჩქი ჯერ კიდევ ყვავის“, – ეს ის საიდუმლო ფრაზა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყო, რაც მასთან ოპერატიულ კავშირზე გამსვლელ ჩეკისტს უნდა ეთქვა. მემედი მოულოდნელმა, „უცნაურმა“ ფრაზამ დააფეთა, ტანში გამყინავმა ჟრუანტელმა დაუარა, ააჩქარა და მომხვდურს ჯიქურ მიაფეთა შიშნარევი თვალები. შაქრომ ნელ-ნელა სახიდან ყაბალახის ყური მოიცილა, მეგობრულად გაუღიმა და ლამაზი შავი თვალები მომნუსხველად მიანათა. მემედი ხარბად მიაჩერდა შაქროს, თვალებს არ უჯერებდა, საიდან სადაო!.. ბოლოს გონს მოეგო, მოეშვა, მეხსიერება დაძაბა, საჭირო ცნობას მიაგნო, ოდნავ ჩაეღიმა, მისი მიხვედრილობისა და გონის გამჭრიახობის სიკისკასე მოეწონა, ალბათ, ძლივსგასაგონად, ათრთოლებული ხმით მიუგო:

– „ნამდვილად, ვარდიც და აგერ ზამბახიც ჰყვავის, დაილოცოს უფლის განგება“, – ეს უკვე გამოძახილი იყო, რაც საბოლოოდ ადასტურებდა, რომ ამოიცნეს ერთმანეთი, როგორც საიდუმლო თანამშრომლობის აქტორებმა. კიდევ ერთჯერ საგულდაგულოდ შეთვალიერეს ერთმანეთი, ცოტაც და გაუშინაურდნენ კიდეც. უხერხული ვითარება, როგორც მასპინძელმა, მემედმა დაარღვია:

– ხოშ-გელდი, შაქრო ბატონო, ამ სიშორეს რა ქარმა გადმოგაგდოთ, ხომ მშვიდობაა?

– სალამი, ბატონო ჩემო, გაიხარე. რას იზამ, სამშობლოს ისევ დავჭირდით! მემედ-ეფენდი, ხანდახან ვითარება და საქვეყნო საჭიროება ჩვენზე და ჩვენს სურვილებზე ძლიერია, აქ დიდხანს ვერ დავრჩები, თანაც კოლეგა-მეგობარი მელოდება. ორი დღის შემდეგ, საღამოს ექვს საათზე, ქალაქ ფერგანაში, სასტუმრო „სირდარიაში“ გელოდებით, იმედია არ დაგვაღალატებთ!

– რა გაეწყობა, შაქრო ბატონო, ბრძანება თქვენი. არ დაგიმალავ, რაც ჩვენს ხალხსა და ჩემს ოჯახს თავს გადაგვხდა, ამის შემდეგ თუ ვინმეს საქართველოდან მოვაგონდებოდით, ვერ წარმომედგინა, ნამდვილად, ღვთის ძრახვანი და გზები შეუცნობადია... თუ ასეა საჭირო, სხვა გზა და საშველი არაა, უნდა დავემორჩილო ბედის გამოწვევებს, – ოდნავ წამოწითლდა, გუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლღიობის, ავშედეგიანობის შეეშინდა, ალბათ, ცოტა მოიღუშა და ბედშეგუებული კაცის მზერა მიაპყრო შაქროს.

– მე შეიძლება მენდო მემედ-ეფენდი, იცი, ჩვენ ყოველთვის მეგობრები ვიყავით. ჩვენდა საუბედუროდ, მაღლა რას გადაწყვეტენ, ჩვენ არც გვეკითხებიან, პირადად მე ძალიან გაფასებ და ბოლომდე გენდობი.

– მესმის, შაქრო-ეფენდი, ჩვენ ნამდვილად არასდროს ერთმანეთისთვის არაფერი დაგვიშავებია და ყოველთვის პატიოსანი და მეგობრული ურთიერთობები გვქონდა, ისე კი გამოგიტყდებით, ცნობისწადილი მკლავს, აქ რა ქარმა გადმოგაგდოთ, არ მეგონა თუ თქვენს სამსახურს კიდევ გავახსენდებოდი, დავჭირდებოდი ან გამოვადგებოდი. სიმართლეს გეტყვით, ძირბუდიანად კი მოგვთხარეს მშობლიური ფესვებიდან!..

– მესმის, მემედ-ეფენდი, სამწუხაროდ აქ დიდხანს ვერ გავჩერდები, არ მინდა ვინმეს ყურადღება მივიქციოთ, დათქმულ დროს, მქონდეს იმედი რომ ჩამობრძანდები?

– კი შაქრო-ეფენდი, მოვალ, აუცილებლად მოვალ!..

– მემედ-ეფენდი, გამოცდილი კაცი ხარ, კი იცი, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, არ გვჭირდება ზედმეტი თავსატეხი, სიფრთხილისა და კონსპირაციის ზომებისა კი მოგეხსენება!..

– კი, შაქრო ბატონო, ყველაფერი მესმის, გპირდებით, დეტალებში გათვლილ-გათვალისწინებული იქნება, არც მე მჭირდება ზედმეტი ეჭვები და ხათაბალა, ღამისთევით მოვდივარ?

– რა თქმა უნდა, სასტუმროს ნომერსა და სხვა სამზადისზე ჩვენ ვიზრუნებთ.

– კარგი ეფენდი, მშვიდობით გევლოთ!.. შეხვედრამდე, – თქვა, ჩვეული მანერით ჩეკისტს თვალი ჩაუკრა და მოსაკალავ თუნგს წაეპოტინა...

შაქრო ლომიძემ, ჩვეული მანერით, ხელის აღმართვითა და თავის დაკვრით, მემედს უსიტყვოდ დაემშვიდობა, ჩეკისტის კვალობაზე, გასასვლელი და შემოგარენი დაზვერა, მიმოათვალიერა, მომლოდინე შოთას თვალი უყო და გასასვლელისკენ აჩქარებული ნაბიჯით გაეშურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIII

დათქმულ დროს, სასტუმრო „სირდარიას“ ფოიეში მემედმა ფრთხილად შეაბიჯა. მიმოათვალიერა, ვითარება აწონ-დაწონა და კიბეს ნელი, მოზომილი ნაბიჯით აუყვა. მესამე სართულზე მოიძია სასტუმრო ოთახის ადრე მონიშნული ნომერი და კარს ფრთხილად მიუკაკუნა. მობრძანდითო, – შიგნიდან ნაცნობმა ხმამ შეეხმიანა და მემედმაც ფრთხილად შეაღო კარი.

მაიორი ლომიძე სტუმარს მოუთმენლად ელოდა, ვინ იცის ეჭვმა – ვაი თუ არ მოვიდესო, როგორ შეაწუხა, ახლა კი კმაყოფილმა გაშლილი ხელებით შეეგება და ქართული ჩვევით, მარჯვენა მხარზე ემთხვივნენ ერთმანეთს. მაიორი ლაზიშვილი, ოთახის სიღრმეში საწერ მაგიდას მიჯდომოდა, სიგარეტს აბოლებდა და გაზეთს ფურცლავდა. სტუმარს მაშინვე ფეხზე წამოუდგა და მეგობრულად ხელი გაუწოდა. სახელდებით წარუდგა.

სალამ-ქალამის შემდეგ სასადილო მაგიდას მიუსხდნენ. ჩეკისტებს წინასწარ მოემზად-მოეთადარიგებინათ ვახშამი. შაქრომ ჩაი ფინჯნებში ჩამოასხა და დამსწრეთ ქართული ღვინის ჭაშნიკი შესთავაზა. შაქრომ მემედს მაიორი ლაზიშვილი წარუდგინა და თან თხოვა:

– ფამილარობა საჭირო არაა, სახელებით მივმართოთ ერთმანეთს, შინაურულად ვიგრძნობთ თავს, უცხოობას და უხერხულობას არ შეგვიქმნის, – თქვა, ადგა. კარადა გამოაღო და ქართული ღვინის „ქინძმარაულის“ ბოთლი გადმოდგა მაგიდაზე.

– მემედ-ეფენდი, როგორც მსმენია, აქაურები ღვინოს ძალიან არ წყალობენ, შენ იმედია მიირთმევ?

– რაც საქართველოდან წამოვედით, ნამდვილად, ღვინო აღარ დამილევია, ისე კი გამოგიტყდებით, სულის ტკივილამდე მომენატრა ღვინოცა და ყოველივე ქართულიც!.. თურმე ქართულად საუბარიც მომნატრებია... – თქვა, სევდიანად, გულისამოყოლებამდე დარდიანად ამოიოხრა, მდუღარე ცრემლით დაცვარული თვალები დამსწრეთ აარიდა და სახელურით ჩუმად შეიწმინდა. საუბარში შოთაც ჩაერთო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მემედ-ეფენდი, მოგეხსენება, თქვენი ხალხის მიმართებაში, იმ საბედისწერო გადაწყვეტილების მიღებაში არც საქართველოს მთავრობას და არც ქართველ ხალხს ხელი არ ურევია, ჩვენ მშვენივრად ვთანაცხოვრობდით, ვშრომობდით და ძალ-ღონეს არ ვიშურებდით, კეთილმეზობლურად, სანდოდ და პატივისცემით ვცხოვრობდით... ცენტრალური ხელისუფლება არავის არაფერს ეკითხებოდა... კი ვიცით, თქვენ „იერლები“ მკვიდრი ძირძველი ქართველები ხართ, ოღონდ იმპერიებმა თავის თარგზე გამოჭრეს და მოიზომეს ხალხების რელიგიური თუ პატრიოტული გრძნობები, რასაც ხელი შეუწო ხალხის გაუთვითცნობიერებამ, გამოუცდელობამ და გაუნათლებლობამ, თორემ ჩვენ რამ განგვასხვავა, ეროვნულობა და რელიგიური აღმსარებლობა სულ სხვადასხვა კატეგორიებია, კი იცი შენ. მაგალითისთვის, აჭარლებიც მუსლიმანებია, მაგრამ შესანიშნავი ქართველები და მამულიშვილები არიან... სამცხე-ჯავახეთშიც, იმპერიების „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკა რომ არა, ჩვენი „იერლი“ მესხებიც მშობლიურ გარემოს, სამშობლოსა და წინაპართა საცხოვრისს არ მოსწყდებოდნენ. ბოლომდე უნდა გავითავისოთ, რომ თქვენი გადასახლების საქმეში ქართველი ერის ბრალეულობა, ზოგადად, არ იკვეთება!..

– ბატონო შოთა, ეგ გარემოება ბოლომდე რომ გათავისებულ-შეგნებული არ მქონდეს, განა აქ რა ძალა მომიყვანდა?! მე თქვენ ჩემს მოძმეებად, ხოლო ქართველებს მშობლიურ ერად მივიჩნევ, თორემ იმის შემდეგ, რაც მე, ჩემმა ოჯახმა და ჩემმა ხალხმა პირთამდე ვიწვნიეთ, სხვათაშორის, სრულიად დაუმსხაურებლად და ტყუილუბრალოდ, არც მოგესალმებოდით, პირიქით, სამკვდრო-საციცოცხლოდ გადაგემტერებოდით, – მემედმა ამოიოხრა, ცრემლდაცვარული თვალები მორიდებით შეიწმინდა და შორეთს მიაპყრო სევდიანი, ტანჯვა-ვაების მზიდი მზერა!..

– გვესმის მემედ-ეფენდი, გათავისებული გვაქვს ქართველი ერის უდანაშაულობა თქვენი ხალხის წინაშე და შესაბამისად, შეგნებული გვაქვს თქვენი ხალხის აბსოლუტური უმეტესობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდანაშაულობა, სწორედ ამან გაგვაბედვინა და შეგვაგულიანა აქ ჩამოსვლაზე, შენთან სტუმრობა და თანამშრომლობის განახლების შემოთავაზება, თორემ... – აქ მაიორი ლაზიშვილი ცოტა შეყოვნდა და მაიორ ლომიძეს მიაბჯინა თვალები, – შენ ხომ არ იტყოდიო, რამეს.

შაქრომ იგუმანა შოთას ნათქვამი, ჩვეული მანერითა და ტონით მიმართა მემედს:

– მემედ-ეფენდი, როგორც ხვდები, ამ სიშორეზე ჩვენ ტყუილად არ ჩამოვსულვართ, კვლავ დავჭირდით სამშობლოს!.. ვალდებულიც ვართ ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს ვემსახუროთ, ოღონდ, სანამ ჩვენი აქ ჩამოსვლის მიზეზს გეტყოდეთ და საქმის ყურში ჩაგაყენებდეთ, რას იზამ, ჩვენი სამსახურის სპეციფიკა მოითხოვს, გაუთქმელობის ხელწერილი ხელახლა უნდა გავაფორმოთ!...

– ისევ გაუთქმელობის ხელწერილი?!. მერამდენედ! – უფრო თავისთვის, სინანულით ჩაილაპარაკა, ხელი ჩაიქნია, – კარგი, შეჩვეული ვარო, – წაიბუზღუნა და შოთას წინასწარ გამზადებული და შეთავაზებული ქაღალდი და საწერკალამი გამოართვა. მაგიდას მიუჯდა, ფურცელი წინ დაიდო, საწერკალამი თითებში გამოკვართა და ცნობისწადილიანი მზადყოფნა დააფიქსირა. მაგრამ ანაზდად ნირი ეცვალა!.. კალამი გვერდზე გადადო, ღრმად ჩაისუნთქა, სუნთქვა შეიკრა, სასოწარკვეთილ გმინვად და შებღავლებად აღმოხდა, მუშტი უმისამართოდ მოიღერა, თვალებიდან ბრაზიანი ნაპერწკლები აკვესა, თითქოს ყველაფრისთვის მზადყოფნის გადაწყვეტილება მიიღოო და ამოიგმინა:

– ჯანიც გავარდეს, როდემდე, როდემდე ვითმინოთ ტანჯულმა ხალხმა და სადამდე ვათრიოთ პირუტყვული ხვედრი!.. საკმარისია, ან ჩემსას მათქმევინებთ, ან ახლავე გამათავეთ, პარტატიული პისტოლეტები მაინც გექნებათ თან, თორემ უმაგისოდ გამოცდილი ქართველი ჩეკისტები ამ სიშორეს, ეგზომ ფათერაკიან, განსაცდელითა და მოულოდნელობებით აღსავსე გზას არ დაადგებოდით, მათქმევინეთ ჩემი!.. ჩათვალეთ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ სასიკვდილოდ განწირულის უკანასკნელი ღაღადისია, სიკვდილმისჯილის უკანასკნელი სიტყვა! – თქვა, ამოიხვნეშა და განწირულის თვალები ჩეკისტებს მიაბჯინა.

შოთამ, პირველმა გაარღვია მოულოდნელი მეხთაკვეთება და ბოლომდე გაითავისა განწირული ადამიანის ბოლო ვედრება-ამოძახილის არსი. წყნარად, ფეხაკრეფით მივიდა, მხარზე ხელი მოუთათუნა, თავი გადააწევინა, თვალებში ჩახედა, მხრებში შეანჯღრია და შეეცადა მის დამშვიდებას:

– ბატონო მემედ, დამშვიდი, კაცო! მესმის შენი, განა არ მესმის, მაგრამ ყველა შექმნილი გარემოების მძევლები ვართ, შეიძლება მსხვერპლი უფრო, ალბათ!.. განა არ გვესმის?! გვესმის! თქვენ, სამოქალაქო პირები დანის პირზე მაინც დააბიჯებთ, მაგრამ როგორ გგონიათ, ჩვენ, სამართალდამცავი ორგანოებისა თუ სხვა ძალოვანი სტრუქტურების ოფიცრები არ დავდივართ ხანჯლის პირზე? განა დაგავიწყდა, დანა ცალპირლესულია, ხანჯალი კი ორლესული!.. განა ჩვენ მეტს არ ვრისკავთ?! განა საფრთხე და ფათერაკი ჩვენ არ გვისაფრდება, თან ყოველ ნაბიჯზე! მეგობარო, ჩვენ ორლესულზე დავდივართ!.. თქვენ ერთი შანსი მაინც დაგიტოვეს, სპეცგადასახლებით მაინც გაკმარეს ყველაფერი, ჩვენ კი ერთი არასწორი ნაბიჯი, დაუფიქრებელი, გაუზრებელ-გაუანალიზებელი გადაწყვეტილება და რა გადასახლება, რის გასახლება – დახვრეტა არ აგვცდება!.. ამიტომ ჯერ საფიქრალია, ვინ უფრო ადგას სახიფათო და ფათერაკიან გზას!.. მაგრამ ერთია ჭეშმარიტება: დედასამშობლოსა და მშრობელ ერს თავგანწირული და შემართული სამსახური სჭირდება! ხომ გსმენია ქართული სიბრძნე-შეგონება: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“, ჩვენც უნდა გადავრჩეთ, უნდა დავრჩეთ, ვალმოხდილნი და ამაყნი! – შოთა ძალიან აღელდა. ის ასეთი ჯერ არავის ენახა! შაქროსაც საგრძნობლად შეეშინდა!.. აღელდი!.. დაშოშმინებას შეეცადა, მხრებზე ორივე ხელი მოხვია და შეანჯღრია. შოთამ, როგორც იქნა, სული მოითქვა, ღვინიანი ჭიქა მარჯვენათი აიტაცა და სულმოუთქმელად დაცალა. ტუჩებზე ხელი გადაისვა, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევა მემედსაც შესთავაზა. შაქროს და მემედს თვალებში ჩაა-შტერდა, ალბათ, იმ დროისა და გარემოებისთვის გაუგონარი „სიმართლე წამოსცდა“და ახლა თანდამსწრეთა გულწრფელ თუ სანუგეშო, თანაზიარ რეაქციას ელოდებოდა...

მემედი საკმაოდ განათლებული და გათვითცნობიერებული, გამოცდილ-გამოჯაგული კაცი იყო, კიდეც გაიგო შოთას ნა-თქვამის აბსოლუტური გულწრფელობა და რაც მთავარია, მა-რთალი სიტყვა! როგორც იქნა შოთა დამშვიდდა, თავი ხელში აიყვანა... მემედ-ეფენდიც დაწყნარდა, მოლბა, ორივე ოფიცერს ცნობისწადილიანი, მაგრამ სრული ნდობისა და სოლიდარობის შარავანდედით გაცისკროვნებული თვალები შეანათა და წაი-დუდუნა:

– ჩემო მეგობრებო, გულწრფელობის, ასეთი გაუგონარი სი-მართლისა და ნდობისთვის უღრმესი მადლობა, მაგრამ ვთვლი, დადგა დრო ჩემი ნაფიქრალ-ნააზრევი და გულის ფიცარზე დაჭედილი სიმწრიან-სისხლიან-ცრემლიანი გულისნადები მო-გახსენოთ, ეს უკანასკნელი ყინულიც გადნეს ბარემ, როგორც იტყვიან, „სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს“... უნდა გითხრათ ჩემი ხალხისა და ჩემი ოჯახის გულისწყრომა და გულისტკივილი, თქვენ კი თქვენი თქვით და განსაჯეთ!...

მაიორმა ლომიძემ, პაუზით ისარგებლა, ქარვასავით კამკამა ქართული ღვინით სამივე ჭიქა პირთამდე გაავსო და მეინახე-ებს მიუჩოჩა, თვითონვე იკისრა სადღეგრძელოს თქმა, თა-ნაც ფეთქებადსაშიში გრძნობების საბოლოოდ დაშოშმინება უნდოდა:

– მეგობრებო, მესმის თქვენი, მესმის „განწირული სულისკვე-თება“, მაგრამ რას იზამ, ყველა ჩვენგანს თავისი წილი ტვირთი და პასუხისმგებლობა გაგვაჩნია, ჩვენი საკეთებელი ვაკეთოთ, დანარჩენი უფლისთვის მიგვინდია... დიდება უფალს! – თქვა, ორივეს ჭიქა მიუჭახუნა და მსუნაგივით დახარბებულმა, სუ-ლის ერთი მოთქმით დაცალა. შოთამ და მემედმაც მიბაძეს!.. სული მოითქვეს, ორიოდე ლუკმა მიაყოლეს და გაირინდნენ. ყველას პირადი საფიქრალი ხვაშიადად მოსდებოდა გულსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობა-გონებას... ეტყობა, მემედს დიდი ხანია მართლაც არ დაელია, ღვინომ იმოქმედა, რიდის, ხათრის თუ შიშის გრძნობა საგრძნობლად დათრგუნა და გააბედვინა:

– ეეჰ, ჩემი ოჯახი და ჩემი ხალხი, თურქი-მესხები რომ შეგვარქვეს, ყველაზე დატანჯული და დაჩაგრულები შევიქენით 1550 – იანი წლებიდან მოყოლებული. ჯერ იყო და დიდებული მესხეთი ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო. ოსმალური იმპერიული პოლიტიკა დაპყრობილ ტერიტორიებზე „თაფლაკვერისა და მათრახის“ პრინციპს პირნათლადად და განუხრელად ატარებდა: იმ პროვინციის მოსახლეობას, რომლებიც გაბედავდნენ და შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევდნენ, ყოვლად დაუნდობლოდ ეპყრობოდნენ – ცეცხლითა და მახვილით მოედებოდნენ მათ მამულს, საცხოვრისს გადაუბუგავდნენ, ურჩებს უმოწყალოდ ხოცავდნენ, ჟლეტდნენ, ისტროიული მამულებიდან პირწმინდად აყრიდნენ, ზოგს მონებად ჰყიდნენ, ზოგს კი უკიდეგანო იმპერიის მიუვალ, სამხრეთის პროვინციებში ასახლებდნენ, ცეცხლითა და მახვილით აიძულებდნენ ისტორიული, მამა-პაპური აღმსარებლობის დაგდებას და ისლამის მიღებას. გამოსავალი ერთი იყო – ისლამის მიღება! თუ ისლამის რჯულს ეზიარებოდი, იწყებოდა უშფოთველი ცხოვრება: არავითარი ბატონ-ყმური ურთიერთობები, თავისუფალი გლეხობა თუ სამხედრო ბეგარასაც მოიხდიდა ან სათადარიგო სამხედრო ვალდებლების პირობას გააფორმებდა, ანუ ხუთწლიანი ვადით სამხედრო ვალდებულად ჩაირიცხებოდა, მემკვიდრეობითი უფლებით საადგილმამულო მიწასაც მიიღებდა, დაოჯახდებოდა, მეურნეობას გამართავდა. ამ შემთხვევაში მხოლოდ სავალდებულო ადგილობრივ და სახაზინო გადასახდს იხდიდა!.. არამუსლიმანი პროვინციის მოსახლეობა, რომლებიც ოსმალო სარდლობის შემოთვლის შემდეგ, უომრად და უბრძოლველად დანებდებოდა და ოსმალების ბატონობას აღიარებდა, თავისუფლდებოდა დევნა-შევიწროებისგან, გადასახლებისგან, ტყვედ აყვანა-გაყიდვისგან!.. მაგრამ იმპერიაში არსებული სამხედრო-ეკონომიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რელიგიური პოლიტიკა, ფაქტობრივად, ყოვლად უუფლებო და აუტანელ მდგომარეობაში აყენებდა ქრისტიან-მართლმადიდებელ ხალხს: ჯერ ერთი, ე.წ „საქრისტიანო“ გადასახადს აკისრებდნენ ოჯახის ყოველ მამაკაც წევრს, საადგილმამულო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ფლობის უფლება სრულიად წართმეული ჰქონდათ, მხოლოდ დროებითი სარგებლობის უფლებით შეეძლოთ გამოყენება. მუსლიმი მოსახლის თუ ჩინოვნიკის მიმართ სრულიად უუფლებო, დაუცველი და მიუსაფარი აღმოჩნდებოდა. სამართალს ვერსად იპოვიდი, ვერც თავს დაიცავდი!.. ქრისტიანული ოჯახი და ქრისტიანი წევრი მეტ-ნაკლებად ხელშეუხებელი იყო მანამ, სანამ ქრისტიანთათვის გათვლილ და დაბეგრილ გადასახადს იხდიდა. ვეღარ იხდის?! – გამოსავალი ორია: – ან მუსლიმანურად ინათლება, – ან უნდა დატოვოს ოსმალეთის იმპერიის საზღვრები და სხვაგან გადასახლდეს, სხვა საშველი გზა და გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობდა!.. ასე გახდნენ მუსლიმანები ჩემი ძირძველი მართლადიდებელი ქრისტიანი ქართველი წინაპრები!.. აკი, თარაქამები, ყარაფაფახები, თურქმანები, ქურთები თუ ჰემშილები ჩვენ დღესაც „იერლებს“ გვეძახიან, მაშასადამე ძირძველ, მკვიდრ „გურჯებს“ – ქართველებს!.. ასე გაგრძელდა 1828 წლის მიწურულამდე!..

1827-1828 წლებში წარმოებულ ოსმალეთ-რუსეთის ომში ოსმალეთის იმპერია დამარცხდა. რუსეთის იმპერიამ ოსმალოს წაგლიჯა (საქართველოს მიუერთა?!) ისტორიული ქართული მიწები: – სამცხე-ჯავახეთი, კოლა-არტაანი, ერუშეთი და საპალაკაციო!.. ჩვენმა პაპებმა, როგორც იქნა, გადავაგდეთ ოსმალეთის უღელიო, შვებით ამოისუნთქეს! გვეშველა, როგორც იქნა, სამშობლო-საქართველოს წიაღში დავბრუნდითო, მაგრამ, სად ხარ?! – „ვაის გავეყარეთ და ვუის შევეყარეთო“, ასე მოგვივიდა.

რუსულმა იმპერიულმა მმართველობამ მუსლიმანი ქართველები ვერ იგუმანა, „თავისიანად“ ვერ იგუა!.. ორ, ერთმანთისადმი მტრულ, ანტაგონისტურად განწყობილ, ახლად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამეზობლებულ იმპერიებს შორის სამხედრო-პოლიტიკური ვითარების დაძაბვის შემთხვევაში, როგორც ერთმორწმუნეებმა, ვაითუ ოსმალეთის იმპერიის ინტერესები გაატარონო. თავის მხრივ, ოსმალეთის იმპერიის მესვეურებს არ უნდოდათ ერთმორწმუნე, ამავდროულად გულადი, ვაჟკაცი, ბრძოლისუნარიანი და მამაცი მეომარი გურჯების დაკარგვა!.. ამიტომ, ორივე იმპერიამ თავიანთი ინტერესების თანმხვედრი პოლიტიკა გაატარეს: – ოსმალეთმა ყველაფერი იღონა, რომ მუსლიმი გურჯები თავისთან მიემხრო და იმპერიის სიღრმეში, მეჩხერდასახლებულ რეგიონებში ჩაესახლებინა, რუსეთის იმპერიამ კი – მუსლიმანური აღმსარებლობის თავზეხელაღებული და დაუმორჩილებელ-ძნელად დასამონებელი გურჯები თავიდან მაქსიმალურად მოეცილაებინა. ამას მოჰყვა 60-65 000 მუსლიმანი გურჯის მამა-პაპური ადგილებიდან აყრა და თურქეთის ტერიტორიაზე გადასახლება, ე.წ. მუჰაჯირობა. რუსეთის იმპერიის მესვეურებმა, მუსლიმი გურჯების სოფლებსა და ეზო-კარმიდამოში დაასახლეს თურქეთის აღმოსავლეთ პროვინციებიდან და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთიდან ჩამოასახლებული, მათდამი ლოიალურად განწყობილი სომეხი და ბერძენი მოსახლეობა, ოსმალეთის იმპერიის ყოფილი ქვეშევრდომები. საგულისხმოა კიდევ ერთი გარემოებაც: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში დარჩენილი სხვა მუსლიმი ხალხები, გარდა „იერლებისა“ – მაჰმადიანი ქართველებისა, ხალვათად ცხოვრობდნენ და სხვა ქრისტიან ხალხებთან სრულუფლებიან მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მხოლოდ მაჰმადიანი ქართველები, ახალ დამპყრობლებს – რუსებს „გაეჩხირათ ყელში“... იმის მაგივრად, რომ მუსლიმანი ქართველების მიმართ მართებული ეროვნულ-აღმსარებლობითი პოლიტიკა გაეტარებინათ, მუსლიმანი ქართველებისთვის სათანადო ლოიალური პირობები შეექმნათ, რათა დაბრუნებოდნენ მშობლიურ ქართულ გარემოსა და მართლმადიდებლობას – მამა-პაპათა ძირძველ აღმსარებლობას, პირიქით, ყოვლად ავიწროებდნენ და მათში ისედაც ძლივს მბჟუტავ ეროვნულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგნებასა და იდენტობას ახშობდნენ არანაკლები უსისხლო, დესპოტური მეთოდებით, ვიდრე, ოსმალები! რაც მთავარია, ქართველი მუსლიმანები თავისიანებად-ქართველებად არც იგუმანეს და არც მიიღეს, მონათლეს „თურქ-მესხებად“, როგორც თურქული ეთნოსის წარმომადგენლები და მშობლიურ ენად ოსმალო-თურქული გაუნაპირეს-დაუმტკიცეს – დოკუმენტურადაც გაუფორმეს.

პირველი მსოფლიო ომი გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის იმპერიების კოალიციის მარცხითა და სრული კრახით დამთავრდა. თურქეთი გამარჯვებულმა კოლონისტებმა ოკუპაციისა და გავლენის სფეროებად დაყვეს. მაგრამ აქაც გამოუჩდათ ოსმალეთის იმპერიის ნარჩენებს რუსი კომუნისტების სახით მხსნელები და მხარდაჭერები, რომლებსაც არ უნდოდათ ევროპელ იმპერიალისტ გამარჯვებულთა ტრიუმფი ყოფილი ოსმალეთის იმპერიის სამფლობელოებში. რუსმა კომუნისტებმა ხელი შეუწყეს თურქთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ოსმალეთის არმიის გენერალი, მუსტაფა ქემალი.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერია, რომელიც ანტანტის: – ინგლის-საფრანგეთის კოალიციის მხარეს იბრძოდა, ადრე გამოეთიშა პირველ მსოფლიო ომს, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების, ცარიზმის დამხობისა და ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შედეგად. აქაც, ამითაც, ისარგებლეს ოსმალეთის იმპერიის არმიის ნარჩენებმა: – აჭარა, ტაოკლარჯეთი, კოლა-არტაანი და სამცხე-ჯავახეთი კვლავ ხელთ იგდეს! მერე?! მერე მოხდა ის, რომ კომუნისტთა ლიდერმა ვლადიმერ ლენინმა, სოციალიზმის მსოფლიოში გავრცელების იდეით შეპყრობილმა, ისარგებლა გარემოებით, რომ თურქული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მატერიალურ-სამხედრო თვალსაზრისით, მძიმე მდგომარეობაში იყო, იფიქრა, რომ დახმარება-მხარდაჭერის შემთხვევაში, შესაძლოა სოციალიზმის იდეით განმსჭვალულიყო და მსოფლიო სოციალიზმის იდეაზე გადმონათლებულიყო, ქემალისტებს არნახული დახმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება აღმოუჩინა, იმ დროისთვის დიდძალი ფულადი სახსრების გამოყოფისა და იარაღის გადაცემის სახით.

ლენინურმა პოლიტიკამ ესც არ „იკმარა“: – ქემალისტური თურქეთისადმი ლოიალური, მეგობრული პოლიტიკის განსამტკიცებლად, 1921 წლის ჯერ მოსკოვის, შემდეგ კი ყარსის საზავო ხელშეკრულებით თურქ-ქემალისტებს გადასცა ძირძველი ქართული მიწა-წყალი: კოლა-არტაანი, ერუშეთი-საპალაკაციო, შავშეთ-იმერხევი, ართვინ-ლაზეთი, ტაო-კლარჯეთი. მხოლოდ დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და ქართველი მოხალისე პატრიოტების წყალობით, საქართველომ დაინარჩუნა სამცხე-ჯავახეთი და აჭარა. აქიდანაც კი აჭარის სამხრეთი სექტორი – ზემო მაჭახელი და ბორჩხის მაზრა თან მიაყოლეს ფეშქაშად!

1923 წელს, ჩამოყალიბდა ლაიციზმის პრინციპებზე დაფუძნებული თურქეთის რესპუბლიკა, რომლის პირველი პრეზიდენტი გახდა მუსტაფა ქემალი, შემდეგში, „ათა თურქად“ (თურქების მამა) მონათლული. ახალ თურქეთთან მეგობრულ ურთიერთობებს და კეთილმეზობლური თანაცხოვრების პრინციპების „დაცვას“ საბოლოოდ შეეწირა „თურქ-მესხებად“ გამოცხადებული გურჯი მოსახლეობა, რომლებიც ე.წ. „თვითგამორკვევის“ პრინციპის დაცვით თურქმანული წარმომავლობის სხვა ხალხებთან ერთად თურქულ ეთნოსად სრულად აღიარეს.

ასე გაგრძელდა, სანამ მუსტაფა ქემალი ზეობდა თურქეთში. ოცდაათიან წლეებში იტალიასა და გერმანიაში ფაშიზმი იმარჯვებს. თურქეთშიც მუსტაფა ქემალი გარდაიცვალა!.. ევროპაში ახალმა ომმა იფეთქა. თურქულმა რეაქციულმა ძალებმა საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობები გაწყვიტეს და არსებითად მიემხრნენ ფაშისტურ გერმანიას. მატერიალურ და სამხედრო დახმარებასაც ბარაქიანად უწევდნენ და ხელსაყრელ პირობებს ელოდნენ, რათა შეჭრილიყვნენ სამხრეთ კავკასიაში და ხელში ჩაეგდოთ ბაქოს ნავთობით მდიდარი რეგიონი. ამ მიზნებისთვის, საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვართან თურქეთს მილიონიანი არმია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყავდა მობილიზებული. ახალი საომარი კერის სავარაუდო გაჩენამ ნეგატიურად იმოქმედა სამცხე-ჯავახეთის თურქმანული წარმოშობის მუსლიმანური ხალხების ბედზე – თუ ადრე ეს ხალხები ქემალისტურ თურქეთთან მეგობრობის „გზად და ხიდად“ მოიაზრებოდა, ახლა თურქეთის სახელმწიფოს „მხარდამჭერთა და დივერსიულ-ტერორისტული მისწრაფებების ნოყიერი ნადაგად“ მონათლეს. ჯერ იყო და უნდობლობის ვირუსმა იმძლავრა და გონება აურია ზოგიერთ „თურქ-მესხს“, ამას შედეგად მოყვა უზარმაზარი მასის მუსლიმანური აღმსარებლობის მოსახლეობის შუა აზიის რესპუბლიკებში სპეცგდასახლება, განურჩევლად ამაგისა, დამსახურებისა თუ სხვათა, – მემედმა მონოლოგი დაასრულა, თავი ხელებში ჩარგო და უხმოდ მწარედ აქვითინდა...

ქართველ ჩეკისტებს, როგორც არავის და როგორც არასდროს, ესმოდათ მემედის და მისი ხალხის ტანჯული სვე- ბედისა, მაგრამ?! მაგრამ მათ ვინ რას ეკითხებოდა!.. ვაი რომ „თავს ზევით ძალა არაა და რომ ძალა აღმართს ხნავს“!.. რამდენიმე წუთი ასე უბრად იყვნენ. მემედმა, უკვე ჭარმაგმა და მრავალ ჭირვარამგამოვლილმა კაცმა, როგორც იქნა, ქვითინით გული იჯერა, ცოტა დამშვიდდა, დაწყნარდა, ზანტად წამოდგა, ქურთუკის ჯიბეში ქისა მოიხილა, თუთუნი გაზეთის ნაგლეჯში გაახვია, მოუკიდა, ღრმად რამდენიმე ნაფაზი დაარტყა, რუხი სქელი კვამლი ოდნავ მოცახცახე, მოკუმული ტუჩებიდან გამოცრა, ფანჯარასთან მივიდა და მზერა შორეთს მიაპყრო.

ქართველი ჩექისტები, ღრმად ჩაფიქრებულნი, გრძნობა-გონება აწეწილ-აფორიაქებულნი, უხმოდ აბოლებდნენ პაპიროსს და ერთმანეთს მზერას არიდებდნენ. ალბათ, ისინიც, უფრო ბრალეულობას არა, უმწეობას დასტიროდნენ!.. ბოლოს, როგორ იქნა დამშვიდნენ. მყუდროება შოთამ დაარღვია:

– მეჰმედ-ეფენდი, ჩვენ შენი სრულად გვესმის, გამოსავალს თუ ხედავ, რაიმეს?!.

– ჯერ თქვენი მითხარით, რას მოითხოვთ ჩემგან, მერე ჩემსასაც გეტყვით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეკისტებმა მემედს დაწვრილებით გააცნეს თურქეთის ტერიტორიიდან გადმოსული ბანდიტური დაჯგუფების მიერ განხორციელებული დივერსიული-ტერორისტული აქტი და მისი შედეგები როგორც კრიმინალური, ისე პოლიტიკური კუთხით. თქვეს, რომ დივერსიულ-ტერორისტული აქტის აქტორებისა და მისი შემკვეთების დადგენა-გამოვლენა, ხოლო, უშუალოდ დანაშაულის ჩამდენთა და მონაწილეთა – დადგენა-შესწავლა, სამაგალითოდ და სათანადოდ დასჯა ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურებისა და სამართალდამცავი ორგანოების პრესტიჟის საქმეა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულმა, ჯერ-ჯერობით დაუდგენელმა და დაუსჯელმა დანაშაულმა, ნეგატიურად იმოქმედა საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟსა და ავტორიტეტზე. საერთაშორისო აქტორთა თვალში კი დაამცირა ქვეყნის უძლეველობისა და უსაფრთხოების არქიტექტურის მდგრადობა, – მეორე მსოფლიო ომში დამაჯერებელი და ძლევამოსილი გამარჯვების ფონზე.

მემედს ისიც „გაუმხილეს“, რომ ამ საქმეში მარტო არ იქნება, მას ეყოლება მეწყვილე, წარმოშობით სამცხედან, ისიც „იერლის“ მოდგმის, რომელიც ამჟამად ყირგიზეთში ცხოვრობს. რა თქმა უნდა, თუ ორივეს მხრიდან პრინციპული თანხმობა იქნება, მათ ერთმანეთს გააცნობენ, დააწყვილებენ და ერთად მიავლენენ თურქეთში ხსენებული დავალების შესასრულებლად. ჩეკისტებმა იმასაც გაუსვეს ხაზი, რომ დავალება ძალიან რთული, სარისკო და ფათერაკებით სავსე იქნება. თუ მივლინება წარმატებით დასრულდება და ხსენებული დაჯგუფების ყველა წევრის ლიკვიდაცია მოხერხდება, ის და მისი მეწყვილე სანაქებო საჩუქარსა და აღიარებას დაიმსახურებენ!

მემედი დაინტერესდა დივერსიულ-ტერორისტული აქტის ჩამდენთა ვინაობით, მაგრამ ჩეკისტებმა დელიკატურად გვერდი აუარეს უხერხულ კითხვაზე პასუხს და ურჩიეს მოვლენებს წინ არ გავუსწროთო, როცა ყველა საკითხი მოგვარდება და დათქმის ნიუანსები შეთანხმდება, ყველა საჭირო ცნობებსა და ინსტრუქციებს მიიღებენ. რა თქმა უნდა, ისიც ამცნეს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქმედო არეალი იქნებოდა, მისთვის კარგად ნაცნობი, ფოცხოვი-არტაანის ტერიტორია.

მემედი ფიქრმა გაიტაცა. მის წინ გადაიშალა მშობლიური გარემო, ასე საყვარელი და საოცნებო ადგილების ხედები, ბავშვობა, ყრმობა, პორველი სიყვარული, მის ცხოვრებაში ჩეკისტების პირველი გამოჩენა, საიდუმლო თანამშრომლობის პერიპეტიები და სარისკო მივლინებები თურქეთის საზღვრისპირა რაიონებში...

შემდეგ? ამაგის დაუფასებლობა და დედაბუდიანად უცხო მხარეში გადასახლება. რა ქნას, ენდოს?! ვაი თუ კვლავ გამოიყენონ და გადააგდონ, მოატყუონ, იმედები გაუცრუონ?! ბოლოს თუთუნის ქისა და ასანთი მუჭში ჩაბღუჯა, ბოდიშიო, – დამსწრეთ უჩურჩულა და აივანზე ფეხაკრეფით გავიდა.

ჩეკისტებმა ერთმანეთს გადახედეს. კრინტიც არ დაუძრავთ, არც რიამე რეაქცია ჰქონიათ, მათ ნათლად ესმოდათ მემედის მდგომარეობა, ნაგვემ-ნატანჯი სულის მოძრაობანი და ის, რომ ასეთ სერიოზულ რისკზე წასვლა, სიცოცხლის სასწორზე დადება, უცხო გარემოში მოხუცი მშობლების და ოჯახის უპატრონოდ დაგდება ადვილი გადასაწყვეტი ნამდვილად არ იყო. მემედი ჩეკისტებს თუ დადებით პასუხს გასცემდა, რამე საპირწონეც ხომ უნდა მოეაზრა – ღირდა კი „ჩიტი ბდღვნად“?! – ისინიც დუმდნენ, თითოეულმა თავისთავი მემედის ადგილას წარმოიდგინა, ალბათ, ამიტომაც პაპიროსს პაპიროსზე აბოლებდნენ და უბრად ისხდნენ.

მემედმა აივანზე ნახევარი საათი დაჰყო. უხმოდ მობრუნდა, აივნის კარი მიიხურა. ფეხაკრეფით მაგიდასთან მივიდა, ჭიქა ღვინით გაავსო, ერთი გაქნევით უსიტყვოდ დალია, თუთუნის „ძიგარაც“ (ასე ეძახიან თუთუნის თვითნაკეთ პაპიროსს კუთხურად) გაახვია, გააბოლა, საწოლზე ჩამოჯდა, ერთხანს იწრიალა, თითებიც აწვალა. ბოლოს თავი ამაყად მაღლა ასწია, მხრებში გასწორდა, ჩაახველა, ხმაც დაიბოხა და თავისთავში ღრმად და მტიცედ დარწმუნებული კაცის კვალობაზე, მტკიცედ განაცხადა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ამხანაგო ჩეკისტებო, მე გავისიგრძეგანე თქვენი დავალება, გავიაზრე მისი მნიშვნელობაც, ფათერაკიანობაც და მივიღე მტკიცე გადაწყვეტილება დაგთახმდეთ თურქეთში მივლინებასა და დავალების შესრულებაზე, ოღონდ, უაპელაციო პირობით: – დავალების შედეგიანად შესრულებისა და უფლის ნებით, მშვიდობით დაბრუნების, ან ჩემი დაღუპვის შემთხვევაშიც კი, ჩემსა და ჩემი ძმის იბრაჰიმის ოჯახებს, მუდმივ საცხოვრებლად საქართველოში, მშობლიურ მიწაზე, დააბრუნებთ!

ჩეკისტები ჩაფიქრდნენ. მემედის თანამშრომლობის განახლებაზე პრინციპულმა თანხმობამ გაახარათ, აღაფრთოვანათ კიდეც, მაგრამ პრინციპული პირობის ირგვლივ ვერაფერს ეტყოდნენ, ეს არსებითად სცილდებოდა მათ უფლებებსა და კომპენტენციას. ასეთ გადაწყვეტილებას მხოლოდ საკავშირო მთავრების უმაღლეს ეშელონებში თუ განიხილავდნენ და დადებით გადაწყვეტილებას მიიღებდნენ. დაფიქრდნენ. დუმილი, ისევ მაიორმა ლაზიშვილმა დაარღვია:

– მემედ-ეფენდი, ჩვენ ფრიად მოხიბლული ვართ შენი ვაჟკაცური გადაწყვეტილებით, მაგრამ საუბედუროდ შენი პირობის შესრულება ჩვენს უფლებებს აღემატება, უნდა მოვახსენოთ ზემდგომ ორგანოებს და დაველოდოთ გადაწყვეტილებას... მანამდე კი მოდი, შენი თანხმობა და წამოყენებული პირობა წერილობით გავაფორმოთ.

– კი ბატონო, უყოყმანოდ გავაკეთებ ამას, – თქვა მემედმა და ადრე მომზადებული ქაღალდის ფურცელი და საწერკალამი მოიმარჯვა. მაიორმა ლაზიშვილმა რუსულად უკარნახა ტექსტი და მიუთითა განცხადების გაფორმების სტილის აუცილებლობაზე. რა თქმა უნდა, ხაზი გაესვა გაუთქმელობის ვალდებულებასა და კონსპირაციის განუხრელი დაცვის აუცილებლობას. შეთანხმება გაფორმდა. მაიორმა ლომიძემ ჭიქები, ისევ ღვინით შეავსო, წამოდგა და დამსწრეთ ანიშნა წამომდგარივნენ.

– ჩვენ მოხარული ვართ, რომ პრინციპულ შეთანხმებას მივაღწიეთ. მემედის დათქმულ პირობას ზემდგომ ორგანოებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვახსენებთ, პასუხს შეგატყობინებთ და დავგეგმავთ შემდგომ ქმედებათა თანმიმდევრობას. მემედ ეფენდი, შენ სახლში დაბრუნდები, ყველაფერი ყველასთვის საიდუმლოდ რჩება, ჩვენ ყირგიზეთში გადავალთ, შენს შესაძლო მეწყვილეს მოვძებნით, გავესაუბრებით, თანხმობის შემთხვევაში ერთმანეთს გაგაცნობთ. დაელოდე ჩვენს შეტყობინებას, – თქვა, ჭიქა ჯერ შოთას მიუჭახუნა, შემდეგ მემედს და უკვე დამშვიდებულ-დაწყნარებულმა ნება-ნებად, ყლუპ-ყლუპად დააგემოვნა მადლიანი ქართული ღვინო, სადღაც შორეულ აზიაში!..

ცოტა კიდევ დალიეს, ბოლო ინსტრუქციები და დათქმები შეათანხმეს და დასაძინებლად გაემართნენ.

მემედი მეორე დღესვე სოფელში გაემგზავრა, იმ პირობით, რომ მეწყვილის გასაცნობად და მოქმედებათა შემდგომი გეგმების თაობაზე ჩეკისტების დეპეშას დაელოდებოდა, სადაც დაშიფრული, წინასწარ შეჯერებული ტექსტის თანახმად, ტაშკენტში მიიწვევდნენ.

თავი XIV

ქართველი ჩეკისტები ტაშკენტში დაბრუნდნენ. კონსპირაციულ ბინაზე ერთი დღე-ღამე დაისვენეს. შემდეგ კი, მატარებლით ქალაქ ჯალალაბადისკენ გაემგზავრნენ. კავკასიიდან (როგორც ჩრდილოეთი, ასევე სამხრეთი კავკასიის რეგიონებიდან) გადასახლებულთა ძირითადი მასა ქალაქ ჯალალაბადის მიმდებარე სოფლებში დააბინავეს. სამცხე-ჯავახეთიდან და აჭარიდან გადასახლებულთა უმეტესობა განათავსეს სოფელ ირისსა (ჯალალაბადიდან 5 კმ) და სოფელ ბაზარკურგანში (ჯალალაბადიდან 30 კმ). აქ ასევე განთავსებული იყვნენ ჩეჩნები, ინგუშები, ყაბარდო-ბალყარები.

ჯალალაბადის ოლქის ლანდშაფტი, ბუნებრივი პირობები, ფლორა და ფაუნა მკვეთრად განსხვავდება ფერგანის ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისგან. აქ ტყეებს ვერ ნახავ, ზოგადად მრავალწლიანი მცენარეული საფარი ძალიან მწირია. დასახლებული პუნქტების გზების გასწვრივ თუ ნახავ ხელოვნურად დარგულ ალვის ხეებს. ძირითადად, მცენარეული საფარი აქ ბუჩქიან-ბარდიანი კორომებია. სტეპები და მთა-გორიანი მოტვლეპილი, ხრიოკი ადგილმდებარეობაა. დასახლებული პუნქტები მდინარეების აუზებში ან გაშლილ სტეპებშია განლაგებული. ზაფხული ძალიან ცხელია, ზამთარი გრილი, ტემპერატურა იშვიათად + 20 გრადუსზე ქვევით დაიწიოს. „ზოგი ჭირიც მარგებელიაო"- ქართული ანდაზისა არ იყოს, მცენარეული საფარით ღარიბი, შესაბამისად ხე-ტყისა (მათ შორის) და საწვავის მკვეთრი უკმარისობის პირობებში, სიცივით სიკვდილი მაინც არ უწერია ადამიანს. მთების კლდოვანი გადახრუკული ფერდობები, რუხი კლდეები და ღრანტეები, ქართველი კაცისთვის განსაკუთრებით ძნელადშესაგუებელია. სტეპები მხოლოდ გაზაფხულ-ზაფხულში ბიბინებს მწვანედ, ისიც ლერწმოვან-შამბნარიანი...

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგი მესაქონლეობაა. მეტწილად მოშენებული ჰყავთ ცხებები, აქლემები, ვირები... ბლომად ყავთ თხის არვე და ცხვრის ფარები. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მხოლოდ საკომლო დანიშნულებისაა, ძირითადად კავკასიელებს მოუშენებიათ. მოჰყავთ ბამბა, კარტოფილი, სიმინდი, კომბოსტო... ხე-ტყის სიმწირის, შესაბამისად, უშეშობის გამო საჭმლისა და სხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებისას საწვავად იყენებენ წივას, სიმინდისა და ბამბის ჩალას.

სახლები ძირითადად ერთსართულიანია, ტალახის ბრიკეტებით ამოყვანილი, ტალახითვე შელესილ-შედღვებილი. ასეთი ტიპის სახლი, როგორც წესი, ორი განყოფილებისგან შედგება: ერთი წილი ადამიანთა, ხოლო მეორე – ცხოველთა და ფრინველთა სადგომადაა მოწყობილი. სინესტის და შმორის სუნს ცხოველისა და ფრინველის ფეკალიების სპეციფიკური „სურნელიც" აზავებს.

ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურებს კავკასიიდან გადმოსახლებული სპეცკონტინგენტის ოჯახებისთვის საკარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდამო-საბოსტნე მიწის ნაკვეთები და ოჯახური მეურნეობისთვის აუცილებელი სავარგულები გამოუყვიათ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (სახნავ-სათესი მიწები და საძოვრები) მომეტებული წილი კოლმეურნეობების საკუთრებაა.

გადასახლებულთა უმეტესება დასაქმებულია კოლმეურნეობებში მიწათმოქმედებით, უმეტესწილად ბრიგადირის, მექანიზატორისა და ავტოტრანსპორტის მძღოლის პოზიციაზე. ადგილობრივი მოსახლეობა – უზბეკები, ყირგიზები და თურქმენები ძირითადად მესაქონლეობასა და მებამბეობას მისდევენ.

ქართველი ჩეკისტების დაინტერესების ობიექტი – „უსტა ოსმანი“ სოფელ ბაზარკურგანში ცხოვრობდა. წლების განმავლობაში, ათვისებული, დახვეწილი და საკმაოდ მომგებიანი ხელობა – დურგლობა „უსტა ოსმანის“აქ არაფრად გამოსდგომია, მაგრამ საზრიან და მუყაით კაცს ხელი არ ჩაუქნევია, მეცხვარეობა-მემინდვრეობას მექანიზატორობა უმჯობებია და ტრაქტორისტ-კომბაინერი დამდგარა. ამჟამად მექანიზატორთა ბრიგადას ხელმძღვანელობს.

ჩექისტები ქალაქ ჯალალაბადში მყუდრო სასტუმროში დაბინავდნენ. სოფელ ბაზარკურგანში გასამგზავრებლად კი ადგილობრივი მცხოვრებისგან ცხენი და ცალთვალა ეტლისდარი ურემი იქირავეს. თავისთვის სურსათ-სანოვაგე, ხოლო ცხენისთვის რამდენიმე დღის საკმარისი ქერი და თივაც მოიმარაგეს. ჯალალაბადის ოლქის სოფლებში „ხეტიალის“ დალეგენდირებაც ძველი დაიტოვეს – დემობილიზებული თურქი-მესხები სანათესაოს ძიებაში არიან!..

ქართველ ჩეკისტებს აგენტ „შამშიდის“ – „უსტა ოსმანის“ ნახვა არ გაჭირვებიათ. სოფელში მას ყველა იცნობდა, როგორც გამოცდილ და ხელის შემშველელ მექანიზატორს. ჩეკისტებმა კოლმეურნეობის მანქანა-ტრაქტორების სადგურს იოლად მიაკვლიეს. შემთხვევით დამგზავრებული ბალყარელის გამოისობით. შეხვედრის ადგილი და დრო შესაბამისი შეარჩიეს – დღის მეორე ნახევარი, დრო, როცა მექანიზატორთა ძირითადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი მოსავლის ასაღებად მინდვრადაა გასული, ხოლო, მექანიზატორთა ბრიგადირი პარკშია მეორე ცვლაში გამსვლელი ტექნიკის -ტრაქტორებისა და კომბაინების ტექნიკური გამართულობის შესამოწმებლად.

დათქმისამებრ, მაიორმა ლომიძემ სამზერი პოზიცია შეარჩია, პაპიროსს მოუკიდა და უდარდელი მედროვის დარი პოზა მოირგო. მაიორი ლაზიშვილი კი სადგურის ფარდულში შევიდა, სადაც, შემთხვევით გამვლელთან გასაუბრების წყალობით გაიგო, რომ „უსტა ოსმანი“ადგილზეა და კომბაინს უკირკიტებს. მაიორმა შორიდანვე მონიშნა დაინტერესების ობიექტი, მისი ადგილმდებარეობა, გარეშე პირების არ არსებობით ისარგებლა და ოსმანს ფეხაკრეფით მიუახლოვდა. ოსმანი ქანჩით კომბაინის ბორბლების ჭანჭიკებს უჭერდა.

– სალამ-ალეიქუმ „უსტა ოსმან“ – თურქულად მიესალმა, ობიექტის ყურადღების მოპყრობის კვალობაზე კი ქართულად ადრედათქმული პაროლი ჩაიდუდუნა: – „თავფარავანის ტბაზე მებადურობას და კოცონზე შებრაწულ მურწას რა სჯობია, ეეხ!..“ – ოსმანმა თავი ზანტად ასწია, არამკითხე უცნობს გამჭოლი მზერა მიაპყრო, მომხვდური აათვალიერ-ჩაათვალიერა. ადრე მოსმენილი და საგანგებოდ დამახსოვრებული ფრაზის გაგონებამ კი უცებ ააღელვა, კიდეც გააოგნა, შეაშფოთა. საქართველოდან შორს, გადაკარგულში, სადღაც ყირგიზეთის სტეპებში, თანაც ასეთ არაორდინალურ, შეუსაბამო პირობებში, მადლიან, საოცნებო საქართველოში სანიშნოდ და საამანათოდ დათქმული, დაშიფრულ-დამახსოვრებული ფრაზა თან ეუცხოა, თან ენიშნა, თან ეშინაურა, შეცბა კიდეც!.. წამსვე ვერ იგუა, თვალებს არ უჯერებდა, გონებას ძაბავდა – აზიურ გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილი ყაბალახიანი პირი თუ ქართველი ვაჟკაცი, გამოცდილ-გამობრძმედილი ჩეკისტია. ეუცნაურა, ეხამუშა კიდეც, მაგრამ გონს მალევე მოეგო. ოსმანი სტუმარს გულდასმით დააკვირდა, გაზომ-აწონა, გამოცდილი მუშტარივით აათვალიერ-ჩაათვალიერა და იცნო მაიორი ლაზიშვილი – წლების განმავლობაში მისი ოპერატიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელი და თანამოაზრე. ჩაუცინა და გამოძახილი ჩაიჩურჩულა: – „კალმახს რა სჯობია, მაგრამ უთევზობისას მურწასაც დიდი სიამოვნებით მივირთმევდი, ეფენდი“. მიეახლა, მეგობარსა და მრჩეველ-დამრიგებელს მხურვალედ ეამბორა და გაკვირვებულმა იკითხა:

– შოთა-ეფენდი, აქ, ამ მიყრუებულ გადასაკარგავში ნამდვილად არ გელოდი, რა ქარმა გადმოგაგდო შე დალოცვილო! – კიდევ ერთხელ, მოეფერა, მხრებზე მძლავრი ტორები მოხვია.

– რას იზამ, ჩემო ოსმან, ჩემი პროფესიის გადამკიდე, სად არ აღმოჩნდები კაცი. აქ რამ მომიყვანა?! ოსმან-ეფენდი, მიკიბ-მოკიბული რომ არ მიყვარს კი იცი, შენთან სერიოზული საქმე მაქვს, მინდა საფუძვლიანად განვიხილოთ, ავწონ-დავწონოთ და მოვითათბიროთ. კი იცი, ძველი ჩეკისტი ხარ, აქ დიდხანს გაჩერებაც არაა მიზანშეწონილი, თუ არ გაგიჭირდება ჯალალაბადში ჩამოსვლა, იქ ვისაუბროთ დანარჩენზე. მაინტერესებს როგორ არიან შენები, როგორ გადაიტანეთ შორეული, ფათერაკებიანი იძულებითი მგზავრობა, ოჯახის ყველა წევრი ხომ საღ-სალამათად არიან?

– ალლაჰ რაზიოლსუნ, ეფენდი (ღმერთი იყოს შენით კმაყოფილი, ბატონო), დიდება ალაჰს, ყველაფერი ღირსეულად გადავიტანეთ და უკლებლივ, უვნებელი ჩამოვედით მთელი ოჯახი, ისე, სამწუხაროდ, ბევრმა დაკარგა გზაში ახლობლები, – თქვა, ჩაფიქრდა, ალბათ მძიმე მოგონებამ და ადრე განცდილმა დააღონა ოსმანი!.. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, გათვითცნობიერებული და საქმეში ჩახედული კაცის კვალობაზე, დაუდასტურა:

– შოთა-ეფენდი, მესმის ყველაფერი, გადაუდებელი საქმე რომ არა, აქ რა ქარი გადმოგაგდებდათ. შენი ხმალი და ჩემი კისერი! როგორც გენებოთ, დათქმულ დროსა და ადგილას, ჩემი თავი შემოგევლოთ!..

– ოსმან-ეფენდი, თან ჩემს მეგობარს გაგაცნობ, მაიორ-შაქრო ლომიძეს, გსმენია მის შესახებ, ალბათ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მსმენია, მაგრამ პირადად არ ვიცნობ, არაა პრობლემა. დიდი სიამოვნებით გავეცნობი.

– დიდი მადლობა გაგების, თანადგომისა და ვაჟკაცური შემართებისთვის! – მეგობრულად მხარზე ხელი მოუთათუნა. შეთანხმდნენ, დათქვეს შეხვედრის დრო და ადგილი, კონსპირაციის მოთხოვნილებათა განუხრელი დაცვის აუცილებლობა და ერთმანეთს მეგობრულად დაშორდნენ.

* * *

აგენტი „შამშიდი“ – „უსტა ოსმანი“, შეთანხმებულ დროს ქალაქ ჯალალაბადში, ადრე შეგულებულ და დათქმულ სასტუმროში, დროზე გამოცხადდა. სოფლის ნობათის წამოღებაც არ დავიწყებოდა. ჩეკისტებს ნესვი, ლეღვის ჩირი და ოჯახში ქართული წესით შეყენებული მაწონი და გამოხდილი ნაღები ჩამოუტანა.

ოსმანმა დიდი მიწიწებით გაიცნო მაიორი ლომიძე, ურთიერთგაგებისა და თანადგომის მყარი რწმენაც აღუთქვა.

„შამშიდს“, გამოცდილ საიდუმლო ინფორმატორს, „კალაიჯი მემედისგან “განხვავებით, ბევრი ახსნა-განმარტება არ დასჭირვებია. მომავალი დავალებაც მისთვის უცნობი და გადაულახავი არ აღმოჩნდა. დაადასტურა, რომ ადრეც მუშაობდა დივერსიულ-ტერორისტული ჯგუფების, ყაჩაღებისა და ბანდიტების გამოვლენა-დასადგენად.

ჩეკისტები ყველაზე მეტად იმან გაახარა, რომ „უსტა ოსმანი“თურმე პირადად იცნობდა მათი დაინტერესების ობიექტს – ხუსეინ ჩაუშოღლის და მისი ბანდის ზოგიერთ წევრებსაც. თუ შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, გადაულახავ სირთულეს არ შექმნიდა მასთან დაკონტაქტება, ნდობაში შესვლა და მისი ბანდის წევრობა.

ჩეკისტებთან საიდუმლო თანამშრომლობის აღდგენა-გაგრძელებაზე პრინციპული თანხმობა, თურქეთის ტერიტორიაზე მივლინებისა და ხსენებული დივერსიულ-ტერორისტული დაჯგუფების გამოვლენა-ლიკვიდაციის საქმეში მონაწილეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კონსპირაციის განუხრელი დაცვის აუცილებლობა – ახალი ხელწერილის გაფორმებით დაადასტურა.

მეწყვილის აუცილებლობას მანაც გაუსვა ხაზი და სამშობლოზე დანატრებულმა, მანაც უცილობელ პირობად მისი და მისი ორი ძმის – ენვერისა და ჯელალის ოჯახების საქართველოში დაბრუნება წამოაყენა. გეგონებოდათ, „კალაიჯი მემედი“ და „უსტა ოსმანი“ წინასწარ მოლაპარაკებული და შეთანხმებული იყვნენ. შეთანხმდნენ, რომ მისი და ორი ძმის – ენვერისა და ჯელალის ოჯახების მუდმივ საცხოვრებლად საქართველოში დააბრუნების პირობას მოსკოვში ზემდგომ ორგანოებს მოახსენებდნენ და შედეგებს შემდეგ შეხვედრაზე გააცნობდნენ. შემდეგი შეხვედრა გაიმართება ტაშკენტში, რის შესახებაც დეპეშით შეატყობინებენ. დათქვეს დეპეშით დაშიფრული ტექსტის ამოცნობის შესაძლებლობა და წესი. ასევე დათქვეს, რომ სამუშაო და საცხოვრებელი ადგილიდან გარკვეული ვადით წასვლილ მიზეზს ოჯახთან და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობასთან თვითონ მოიფიქრებს და შეათანხმებს.

თავი XV

ჩეკისტები ტაშკენტში დაბრუნდნენ. იმსჯელეს, იანგარიშეს და დაამუშავეს მოსკოვში შიფროგრამით გასაგზავნი მოხსენების ტექსტი.

ზემდგომ კურატორს აცნობებდნენ ინფორმატორებთან ოპერატიული კავშირის აღდგენის შესახებ. მოახსენეს და დაასაბუთეს მათი მოსაზრება და შესაბამისი არგუმენტირება იმ გარემოებისა, რომ დასახული დავალების შედეგიანი, წარმატებული შესრულებისთვის აუცილებელია ინფორმატორთა, ყოფით ნიადაგზე, კონფლიქტის იმიტირება, პასუხისგებაში მიცემისა და დაზარებულთა მხრიდან შურისძიების თავიდან აცილების მიზნით, საცხოვრებელი ადილებიდან გაქცევა, საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის კვეთით, მათი გადასროლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირანის ტერიტორიაზე და იქიდან გადასვლა თურქეთში. ჩეკისტების მოსაზრებით, ეს გარემოება უფრო სარწმუნოს გახდიდა არტაანის მხარეში, ჩვენთვის დაინტერესებულ ბანდის ლიდერთან, შეხვედრას და ბანდაში გაწევრიანების სურვილს.

ასევე დაასაბუთეს და მოახსენეს, დავალების წარმატებით შესრულების შემთხვევაში, ინფორმატორების და მათი უახლოესი ნათესავების ოჯახების, სულ ხუთი ოჯახის, საქართველოში რეპატრიაციის გამართლებულობა, ოღონდ საქართველოს რომელიმე სხვა რეგიონში, მაგრამ არა სამცხე-ჯავახეთში. მოხსენებაში იმასაც გაესვა ხაზი, რომ ჩვენი ინფორმატორების ოჯახის წევრები და უახლოესი ნათესავები წარმომავლობით ძირძველი ქართველები არიან, ეროვნულობით შთაგონებულნი და ქართული სულისკვეთებით განწყობილები. მათი არაქართული მოსახლეობისგან იზოლირებული ლოკაციისა და სწორი აღზრდა-განათლების პირობებში, სავსებით შესაძლებელია წინაპართა ფესვებზე „გადმომყნობა“.

ქართველი ჩეკისტები მესამე დღეს, სავსებით დასვენებვულნი, მოწესრიგებულნი, ცივილურად გამოწყობილნი, საქმიანად მოტივირებულნი, უზბეკეთის სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სათავო ოფისში გამოცხადდნენ – მოსკოვში შეთანხმებულ, ადრე დათქმულ, საქმეში გათვითცნობიერებულ, პასუხისმგებელ მაღალჩინოსანთან შესახვედრად.

შეხვედრა სათავო ოფისში, კონფიდენციალურ ვითარებაში წარიმართა. ადგილობრივი უშიშროების კომიტეტის მაღალჩინოსანი, ეროვნებით ყირგიზი, გულღია და გულთბილი ადამიანი აღმოჩნდა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ცდას და ძალისხმევას არ აკლებს, რათა გაითვალისწინოს იძულებით გადმოსახლებულთა მძიმე ხვედრი, მაქსიმალურად შეუმსუბუქოს მათთვის შეუჩვეველი გარემო და შეუქმნას ნორმალური სასიცოცხლო და საყოფაცხოვრებო პირობები.

მაღალჩინოსანი სრულად გათვითცნობიერებული აღმოჩნდა უზბეკეთსა და ყირგიზეთში ქართველი ჩეკისტების მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლინების მისიაში, საქმის არსსა და მასზე დაკისრებულებ ვალდებულებებში. ქართველმა ჩეკისტებმა აქაურ კურატორს ზოგადად გააცნეს საქმის ვითარება და შედეგები, მადლობა მოახსენეს მზრუნველობისა და თანამშრომლობისთვის.

ჩეკისტებმა დაწვრილებითი ანგარიში მოამზადეს და შიფროგრამით წარუდგინეს მოსკოვში ზემდგომ კურატორ-ხელმძღვანელს.

ქართველი ჩეკისტების ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში მივლინების სპეციფიურობა, დავალების დელიკატურობა და კონსპირაციის განუხრელი დაცვის აუცილებლობა, მათი ცხოვრებისეული აქტივობებისგან თავშეკავებასა და გარკვეულ შეზღვუდვებსაც გულისხმობდა. ამიტომ, ისინი ძირითადად კონსპირაციულ ბინაზე იმყოფებოდნენ, საქმის პერსპექტივებისა და დაგეგმარების საკითხებით იყვნენ დაკავებული. მხოლოსდ ერთხელ, ხსენებულმა, ყირგიზმა კურატორმა, გაიყვანა ქალაქგარეთ პიკნიკზე.

მეოთხე დღეს, ქართველი ჩეკისტები უზბეკეთის უშიშროების კომიტეტის კურიერმა ცენტრალურ ოფისში იხმო. იქაურმა კურატორმა ჩვენს ჩეკისტებს გააცნო მოსკოვიდან მოსული შიფროგრამის შინაარსი და შედგომი მოქმედების გეგმა და თანმდევი გარემოებები. შიფროგრამიდან იკვეთებოდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება კვლავინდებურად აქტუალურად თვლის ქვეყნის იმიჯისა და საერთაშორისო ავტორიტეტის შემლახველი აქტის დაუყოვნებლივ გამოძიების აქტუალურობას და დამნაშავეთა უმკაცრეს დასჯას. ამიტომ თანახმაა ჩვენი ინფორმატორების წამოყენებული მოთხოვნა შესრულდეს, ეფექტური და ამომწურავი შედეგის დადგომის პირობით. ჩეკისტებს ინფორმატორთა შეხვედრა-გაცნობის, მათი ხასიათებისა და ქცევების მისადაგების, ერთობლივი, შეთანხმებული ქმედებების შეთავსება-თანმხვედრი უნარების ჩამოყალიბებისა და საბრძოლო დავალების შესასრულებლად მზადყოფნის გონივრული ვადები განესაზღვრათ. სათანადო ინსტრუქციებიც მიიღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XVI

წინასწარ შეთანხმებული, დაშიფრული ტექსტისა და დათქმული პირობით, ორივე ინფორმატორის საცხოვრებელ მისამართზე დაიგზავნა ტელეგრამები. დათქმულ დროს, ქართველი ჩეკისტების შეგულებულ და ათვისებულ კონსპირაციულ ბინაზე მოხდა „უსტა ოსმანისა“ და „კალაიჯი მემედის“ შეხვედრა და გაცნობა. შეხვედრა ყოვლად შთამბეჭდავი გამოდგა. იმდენად რომანტიკული, რომ მაიორ შოთა ლაზიშვილს თვალწინ წარმოუდგა ილიასეული – „კაკო ყაჩაღისა და ზაქროს“ შეხვედრის სცენა კუდი-გორის ტყეში...აკი, წაიღიღინა კიდეც:

„გულს გული იცნობს და ღონეს – ღონე,
მენდე, გაგიყო ჭირი და ლხენა.“

შოთას განწყობა და დიდი ილიას ლექსის ექსპრომტად ჩაღიღინება ბინაში მყოფებს მოეწონათ, გამხნევდნენ, გამხიარულდნენ, გათამამდნენ და გაუცხოებისა და უხერხულობის გრძნობა სადღაც დაიკარგა და გაიცრიცა. ხოლო, შესაძლო უნდობლობის თუ ეჭვების ყინული გადნა და აორთქლდა. თანამემამულეებმა, ერთი ბედისა თუ უბედობის შვილებმა, გულმხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს. ამაყი და თავმომწონე „გურჯების“ უნებურად თვალებზე მომდგარი მდუღარე, ძარღვიანი კურცხალი ორივემ მალულად შეიხოც-შეიწმინდა და მაისურის სახელურში ჩამალა... გაცნობა იმდენადვე ემოციური იყო, რამდენადაც დანატრებული და უბედობით განწირული მოძმეების უეცარი შეხვედრის სიხარული და სევდა!.. ჩექისტები დინჯად, ჩაურევლად, განდგომით უმზერდნენ სვე-ბედამწვარ, იმედგადაწურულ-შეგუებულ და კვლავ, ჩეკისტების თუ განგების ნებით შეყრილ თანამოძმეებს. ასე გაგრძელდა ათი წუთი...სალამ-ქალამი, მოკითხვები... ბოლოსდაბოლოს ემოციებიც დაცხრა!..

მაიორმა ლაზიშვილმა მაგიდასთან მიიპატიჟა სტუმრები და მოკლედ, მაგრამ მთელი სიცხადითა და დამაჯერებლობით გააცნო ზემდგომი ორგანოების მიერ დამუღამებული და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი ინსტრუქციები შემდგომ მოქმედებათა ირგვლივ და საკავშირო მთავრობის პრინციპული, როგორც უკიდურესი გამონაკლისი, თანხმობა მათ მიერ წამოყენებული პირობის, ე.ი. ხუთი ოჯახის საქართველოში დაბრუნების შესახებ, ოღონდ სხვა რეგიონში, თუ დავალება იქნება უპირობოდ, ზედმიწევნით და პირნათლად, შედეგიანად აღსრულებული. „იერლებმა“ უპირობა მზადყოფნა და მადლობა გამოხატეს ზემდგომი საკავშირო ხელისუფლებისადმი.

ქართველმა ჩეკისტებმა ოსმანისა და მემედის აზრიც მოისმინეს. უსტა ოსმანის, როგორც არალეგალურ საქმიანობაში გამოცდილ-გამობრძმედილი კაცის მოსაზრება: თურქეთში არალეგალური გადასვლა და ხუსეინ ჩაუშოღლის რაზმში შეღწევა და ჩანერგვა ბუნებრივი და უპირობოდ დამაჯერებელი რომ ყოფილიყო, მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ თურქმენეთის ტერიტორიიდან, საზღვრის არალეგალურად გარღვევის ინსცენირებით, ცხენებზე ამხედრებულ-იარაღასხმულნი გადავიდოდნენ ირანში, ირანიდან კი თურქეთში, არტაანის პროვინციაში, ფოცხოვში. ირან-თურქეთში, საზღვრის გარღვევით, გადასხმის ოსმანისეული ვერსია დამაჯერებლურად გამოიყურებოდა!..

იმაზეც შეჯერდნენ: ოსმანისა და მემედის საცხოვრებელი ადგილებიდან უეცარი და დიდი ხნით გაუჩინარების მიზეზი ადგილობრივი ხელისუფლების, სამართალდამცავი ორგანოებისა და მოსახლეობის თვალში მათ მიერ ჩადენილი დანაშაული და მოტივები ეჭვის გამომწვევი რომ არ ყოფილიყო, მათ, თანასოფლელებთან, ადრე არსებული დაპირისპირების საბაბით, ინსცენირებული ჩხუბი უნდა მოეწყოთ და დაპირისპირება გაეღრმავებინათ. სახლიდან გაიქცევიან სასჯელის თავის არიდების მიზნით.

სახლიდან უეცარი, დიდი ხნით გაუჩინარების მოტივად ოჯახის უფროს წევრებს საიდუმლოდ გაანდობენ: მეზობელი სოფლის უხუცესთან საუბრისას დაადგინეს, რომ საქართველოში, ადიგენის რაიონში, ისტორიული ალთუნ ყალეს – ოქროს ციხის მიმდებარედ, ძველი საცხოვრისის ტერიტორიაზე, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დმოსახლების წინ მოუწყვია სამალავი, სადაც დიდძალი განძი – ოქროს მონეტებისა და ძვირფასი სამკაულების სახით, გადაუმალავს. მოხუცს, უკვე სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვულს, დანანებია განძის უპატრონოდ მიტოვება, საიდუმლო ჯეელ, რისკიან საქმიან კაცებს გაუმხილა და მისი ოჯახისთვის გადასაცემად მხოლოდ განძის მცირე წილი მოუთხოვია, იმასაც შიშობდა, თურმე, განძი ვინიცობას ურჯულოების ხელში არ ჩავარდეს, ჩვენებმა მაინც გამოიყენონო.

... ერთი კვირის შემდეგ, დათქმულ დროს, ტაშკენტში, ნაცნობ და შეგულებულ კონსპირაციულ ბინაზე, შეიკრიბნენ ქართველი ჩეკისტები და უკვე „ლტოლვილი და ძებნილი სისხლის სამართლის დამნაშავეები“!..

მოსკოვიდან მიღებული ინსტრუქციის თანახმად, სათანადო ლეგენდით, საბუთებითა და ფულადი სახსრებით ეკიპირებულ-უზრუნველყოფილი ჩეკისტები და საიდუმლო ინფორმატორები გადადიან თურქმენეთში. საბჭოთა კავშირ-ირანის სახელმწიფო საზღვართან, სერაქსის სასაზღვრო რაზმის სადაზვერვო სამსახურის თანამშრომელთა თანადგომითა და მფარველობით, დაბინავდებიან კურორტ „ფირუზას“ მიმდებარედ, ბუნების წიაღში შემალულ სადაზვერვო სამსახურის საიდუმლო ბაზაზე. იქ იგეგმება და ტარდება არალეგალურ მივლინებაში გასამგზავრებელთა გაწვრთნა, საცეცხლე და სამედიცინო მომზადება, ირანის ტერიტორიაზე გადასხმის ლეგენდირება და მომზადება.

საწვრთელი კურსი ოცი დღე გაგრძელდა. ადგილობრივი უშიშროების სამსახურის ინსტრუქტორების დახმარებით საიდუმლო აგენტებმა აითვისეს იარაღთან მოპყრობისა და გამოყების, დისტანციური გამოყენების ელექტრომართვადი ასაფეთქებელი მოწყობილობის დანაღმვა-განაღმვის, მართვის და უსაფრთხო მომსახურების წესები, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესები და საშუალებები, ცხენებთან მოპყრობის, მოვლა-პატრონობისა და უსაფრთხო გადაადგილების ხერხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდუმლო ინფორმატორების სასახელოდ უნდა ითქვას, მათ სანაქებოდ, ზედმიწევნით აითვისეს ირანისა და თურქეთის ტერიტორიებზე გამოჩენის, გადაადგილების, ცხოვრების ლეგენდირება და წესები. ხუსეინ ჩაუშოღლის ბანდის განლაგების დაძების და ბანდაში გაწევრების ლეგენდები და მიზეზები. დაფუძნების შემდეგ, ჩვენს ჩეკისტებთან კონტაქტზე გამოსვლის წესები და პირობითი ნიშნები. სამალავების მოწყობისა და გამოყენების თავისებურებები და სხვა.

დათქმულ დროსა და ადგილას, სერაქსის სასაზღვრო რაზმის დასაცავ მონაკვეთზე, მეშვიდე სასაზღვრო საგუშაგოს უბანზე, გამშრალი მდინარის კალაპოტის ბუნებრივი საფარის გამოყენებით ორმა შეიარაღებულმა და სათანადოდ აღჭურვილმა ლტოლვილმა მხედარმა სახელმწიფო საზღვრის არალეგალური კვეთით, შეაღწიეს ირანის ტერიტორიაზე და კურსი ქალაქ მეშჰედისკენ აიღეს!..

თავი XVII

ერთი კვირის თავზე, ქართველი ჩეკისტები, საღ-სალამათნი, მოტივირებულნი და გულგამაგრებულნი დაბრუნდნენ მშობლიურ საქართველოში. სამშობლოს, მშობლიური გარემოსა და ოჯახების მონატრებაც მოესწროთ! თბილისში, დაზვერვის სამმართველოს ხელმძღვანელობას დაწვრილებით მოახსენეს მათზე დაკისრებულ-მინდობილი დავალების პირნათლად შესრულება, საიდუმლო ინფორმატორთა ირან-თურქეთის გავლით დანიშნულების ადგილისკენ მივლინება და მათი მოტივაცია, მათ აქტივობასა და დავალების პირნათლად შესრულებაზეა დამოკიდებული მათი და მათი უახლოესი ნათესავების ბედი – მიიღებენ თუ არა სანუკვარ შესაძლებლობას დაუბრუნდნენ სამშობლო ქვეყანას, მართალია საქართველოს სხვა რეგიონში, მაგრამ მაინც მშობლიურში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

... ახალციხის სასაზღვრო რაზმის „შაბანებელის“ სასაზღვრო საგუშაგოს მარჯვენა ფლანგზე, ისტორიულ ციხე-სიმაგრე „ჯაყისმანის“ – მესხეთის მმართველ ათაბაგ-ჯაყელთა სამკვიდრო-რეზიდენციის მიმდებარედ, მცენარეული საფარით მდიდარ შემაღლებაზე სახელდახელოდ, მაგრამ მკვიდრად და საიმედოდ მესანგრე-გამნამღველთა ოცეულის ჯარსკაცების აქტივობით, გაიმართა საიდუმლო სათვალთვალო პუნქტი, სადაც მესაზღვრეებთან ერთად, განუწყვეტლივ მორიგეობდნენ სადაზვერვო სამსახურის ოფიცრებიც, რომლებიც სულგანაბული, მოუთმენლად ელოდნენ ჩვენი აგენტების სიგნალს – ციხის შუა ქონგურაზე წითელ ბაირაღს!.. რაც იმას მოასწავებდა, რომ საზღვრის ხაზთან, ჩვენს ტერიტირიაზე, საგანგებოდ, წინასწარ დათქმულ სამალავში უკვე ჩადებულია ჩვენი ჩეკისტებისთვის ეგზომ სანუკვარი და საჭირო ინფორმაცია ჩვენი აგენტების დანიშნულების ადგილზე მშვიდობით ჩაღწევის, ხუსეინ ჩაუშოღლის დივერსიულ-ტერორისტულ დაჯგუფებასთან კონტაქტის, დაახლოება-შეღწევა-ჩანერგვისა და ნდობის მოპოვების ინფორმაცია.

... იმ დღეს, მაიორი შაქრო ლომიძე ხელმძღვანელობდა საიდუმლო სათვალთვალო პოსტის განწესს. ღამით ჯარისკაცები მორიგეობდნენ, უთენია კი ჩეკისტები. რიგრიგობით ცვლიდნენ ერთმანეთს. მაიორმა ლომიძემ განწესის უფროსი სერჟანტისგან ღამის თვალთვალის შედეგების პატაკი ჩაიბარა, მოსასვენებლად იქვე ბლინდაჟში გაგზავნა, თვითონ კი სათვალთვალო პოსტზე გავიდა. დურბინდი მოიმარჯვა, სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე თურქეთის დასახლებული პუნქტები, სახნავ-სათესი ფართობები, საძოვრები, ტყე-მარღანები და ხევ-ხუვები საგულდაგულოდ მოათვალიერა, ბოლოს მზვერავთა სანუკვარ „ჯაყისმანის“ ციხე-სიმაგრის ნანგრევები მოათვალიერა და მონიშნულ ადგილს მიაშტერდა. როგორც იქნა! როგორც იქნა! დათქმულ ქონგურზე ალისფერი ბაირაღი შენიშნა. ჯერ თვალებს არ უჯერებდა, დიდი ხნის ნანატრი შედეგის მირაჟი ხომ არ არისო, – იფიქრა... საგანგებოდ, ხელის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თრთოლვით, ცხვირსახოცით გაწმინდა დურბინდის ოკულარები და მეტი მონდომებით და მთელი სიფხიზლით დაათვალიერა სანუკვარი ქონგურის კედელი... ნამდვილად, სანიშნო ბაირაღია! მაშინვე, რადიოსადგურით მოახსენა ზემდგომ ხელმძღვანელობას საკონტროლო ნიშნის – წითელი ბაირაღის გამოფენის შესახებ, თავად კი სათვალთვალო პოსტის პირადი შემადგენლობისთვის განგაშის სიგნალი გასცა. სნაიპერი და მეტყვიამფრქვევე საცეცხლე დაზღვევის დავალებით პოზიციაზე განალაგა, მეავტომატეები სანგარში გადაანაწილა, თვითონ კი ახალგაზრდა მზვერავ-ლეიტენანტ მიხეევთან ერთად, სიფრთხილისა და შენიღბვის მოთხოვნათა სრული დაცვით საიდუმლო სამალავისკენ გაეშურა. აი სამალავიც!.. ადგილმდებარეობის დაზვერვისა და შესწავლის შემდეგ, ვაი თუ თურქმა მესაზღვრეებმა, ან სპეცსამსახურის მესვეურებმა პროვოკაცია არ მოგვიწყონო (არადა ყველაფერი იყო მოსალოდნელი, ვაი თუ ჩვენმა აგენტებმა გაგთქვეს, ან თურქეთის სპეცსამსახურების ხელში ჩავარდნენ, აწამეს, ორმაგ თანამშრომლობაზე დაიყოლიეს და ოპერატიული თამაში გაგვიმართეს, ან სულაც უარესი,- პროვოკაციაზე წამოგება გადაწყვიტეს. ყველაფერი გასათვალისწინებელი იყო!.. კიდევ ერთხელ ადგილმდებარეობა ზედმიწევნით, დაწვრილებით მოზვერა-მოათვალიერა და სამალავის შიგთავსი შეამოწმა... აი, სანუკვარი და ამდენი ხნის ლოდინის ნაყოფი – აკურატულად დალუქული, საკმაოდ მოზრდილი მუყაოს პაკეტი. კაპიტანმა ლომიძემ სული მოითქვა!.. პაკეტი საგულდაგულოდ უბის ჯიბეში შეინახა და ლეიტენანტთან ერთად გამალებული სვლით სათვალთვალო საგუშაგოზე დაბრუნდა. იხმო ავტომობილი. ლეიტენანტ მიხეევს საგანგებო მითითებები მისცა და ახალციხისკენ გაემგზავრა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XVIII

მაიორ ლომიძეს ახალციხის სასაზღვრო რაზმის სადაზვერვო სამსახურში მოუთმენლად ელოდნენ!..

ოპრატიულ თათბირს ესწრებოდნენ: პოლკოვნიკები ინასარიძე და გიორგაძე, მაიორები დოლგორუკოვი, ჯაყელი, ლაზიშვილი და ლომიძე.

დამსწრეთ გარკვეული მღელვარება ეტყობოდათ. არცაა გასაკვირი, ამდენი ხნის დაუღალავ და მუხლჩაუხრელ შრომას სათანადო შედეგი უნდა გამოეღო. მაიორმა ლაზიშვილმა, ხელების თრთოლვით გახსნა ჩვენი ინფორმატორების მიერ მოწოდებული ბარათი, თვალი მყისიერად გადაავლო, „შამშიდის“ კალიგრაფია წამსვე ამოიცნო, რუსულად ეწერა, ჩაახველა, ეტყობა ხმის ჩაწმენდა უნდოდა, და ოდნავ ათრთოლებული ხმით დაიწყო: – „მოგესალმებით, ეფენდი. მე და მემედმა, თითქმის ერთი თვე მოვანდომეთ მეშჰედიდან ფოცხოვამდე, გზაზე რიგი ფათერაკები და თავგადასავლები გადაგვხვდა, შანლიურფასთან კინაღამ გაგვძარცვეს და სიცოცხლეს გამოგვასალმეს, მაგრამ, დიდება უფალს, ხათაბალა თავიდან ავიცილეთ, ფოცხოვამდე საღ-სალამათი და უვნებელი ჩამოვაღწიეთ. ქალაქ ფოცხოვის მიმდებარედ, ერთ-ერთ სოფელში, ჩემს ძველ ნათესავს ვესტუმრეთ. უნდა მოგახსენოთ, მის გაკვირვებას და გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ძნელად წარმოედგინა ამდენი ხნის შემდეგ ჩვენი უეცარი გამოჩენა. იცოდა, რომ სამცხე-ჯავახეთის მთელი მუსლიმანი მოსახლეობა ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში გადაგვასახლეს და უკან დაბრუნების უფლება ჩამოგვართვეს. ჩვენ შეძლებისდაგვარად, მოვუყევით ჩვენს თავზე დამტყდარი უბედურებისა და შუა აზის რესპუბლიკებში ჩვენიანების იქაური ყოფის შესახებ. ასევე, მეტად დამაჯერებლად მოვუყევით ყოფით ნიადაგზე ჩხუბის, კაცის შემოკვდომისა და ირანში გაქცევის შესახებ. ნათესავი დავარწმუნეთ, რომ იქ დარჩენა არ შეიძლებოდა, დახვრეტა ან მუდმივი პატიმრობა არ აგვცდებოდა! ისიც მოვუყევით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად გამწარებული და გაბრაზებული ვართ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და შურისძიების გრძნობით ვართ აღვსილი. იქ აღარ დაგვედგომებოდა. მაინც ყველა და ყველაფერი დავკარგეთ, მშობლებთან და ცოლ-შვილთან დაბრუნების გზაც მოჭრილი გვაქვს, აქ წამოსვლისა და შურისძიების გარდა, რა გზა დაგვრჩენოდა. ნათესავმა თანაგრძნობა გამოგვიცხადა და განძრახვაც მოგვიწონა. მეც ვისარგებლე ნათესავის თანაგრძნობითა და ფრთხილად დავინტერესდი, არიან კი კიდევ თავზეხელაღებული „დელიბაშები“, რომლებიც კომუნისტებს დროდადრო თავს ახსენებენ და შურისძიების ხვაშიადს იკმაყოფილებენ?! აქაც გაგვიმართლა – ჩემი ნათესავი თურმე კარგად იცნობდა ხუსეინ ჩაუშოღლუს. მას და მის ბიჭებს არაერთხელ დახმარებია კიდეც. შევეცოდეთ, მაგრამ მაინც არ გვირჩია შურისძიების გზაზე დადგომა. შეგვპირდა, აქ დაგამკვიდრებთ და ოჯახებსაც მოეკიდებითო, მაგრამ ჩვენგან დასაბუთებული კატეგორიული უარი მიიღო. ბოლოს მანაც გაითავისა: ალბათ ჩვენი ცხოვრების უაზრობა და ბედუკუღმართობა წარმოუდგა თვალწინ და დახმარება აღგვითქვა. ისიც გაითვალისწინა, რომ ჩვენი მოულოდნელი გამოჩენა, პირველ ხანებში საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო.

ერთი სიტყვით, რამდენიმე დღის შემდეგ, ხუსეინთან შეხვედრა მოგვიხერხა. ამ ხნის განმავლობაში, ხუსეინი და მისი ჯგუფი ისევ აგრძელებდნენ ყაჩაღურ ცხოვრებას. პერიოდულად თავს ესხმოდნენ არტაანის სოფლებში ქურთებსა და დუხობორების ნარჩენებს, შავშეთ-ართვინელი გურჯებისა და ჰემშილების სოფლებსა და საზაფხულო იალაღებს. ნაძარცვ-წაგლეჯილით იოლად გადიოდნენ. ცხვრის ფარა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგიც კი დაუდით.

ჩვენი გამოჩენა, ხუსეინს ჯერ სულაც არ ეპიტნავა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემმა ნათესავმა ჩვენი თავგადასავალი და ვინაობა გააცნო, ჯგუფში მიგვიღო და მეგობრობის ხელიც გამოგვიწოდა. ერთიც მინდა აღვნიშნო, „ჯაყისმანის“ ციხის მახლობლად, გურჯების მიტოვებულ ნასოფლარში, რამდენიმე სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუკეთებიათ, ლტოლვილი ქალები მიუყვანიათ და იქ გაუმართავთ საცხოვრისი, ხოლო მარბიელი-საყრდენი ბაზა, სადაც იკრიბებიან კრიმინალური საქმეების გასარჩევად, ან ყაჩაღური რეიდის დასაგეგმად, ცალკე, კლდეში ნაკვეთ ქვაბში არის მოწყობილი. ქვაბული ვრცელია. გაუკეთებიათ ბუხარი, სამზარეულო და ორ რიგად ჩარიგებული საძინებელი ტახტები. ეტყობა, თავყრილობის შემდეგ მოილხენენ და ღამისთევით რჩებიან. აქვე აქვთ მოწყობილი სპეციალური სათავსო, სადაც ჯგუფის შეიარაღება და საბრძოლო მასალები ინახება. ბაზაზე მუდმივად ორი „დელიბაში“ მორიგეობს, დანარჩენი ნასოფლარზე რჩებიან, სადაც სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქმეებით არიან დაკავებულნი. ისიც აღსანიშნავია, რომ ჟანდარმერიის ასეული განლაგებულია ქალაქ ფოცხოვში, უახლოესი პოსტი კი – სოფელ თურქგიოზში. ხუსეინს კარგი ურთიერთობა აქვს ჟანდარმების შეფთან, პერიოდულად სტუმრობს და სხვადასხვა საჩუქრებით ანებივრებს. ისინიც, იმის გათვალისწინებით, რომ ხუსეინის ბანდა ფოცხოვისა და არტაანის მოსახლეობას არ აყაჩაღებს, არ ავიწროებს და არ ძარცვავს, კეთილგანწყობილნიც კი არიან ყაჩაღებისადმი. მემედიც გკითხულობთ და მეგობრულ სალამს გითვლით. ველით თქვენს შემდეგ მითითებებს, იმ პირობით, რომ ჩვენი დათქმა უპირობოდ შესრულდება. კეთილის სურვილებით, უსტა ოსმანი“.

* * *

შემოდგომა იწურება. მალე პირველად ჩამოთოვს. საჭიროა დივერსიულ-ტერორისტული დაჯგუფების გაუვნებელყოფა დიდთოვლობასა და გზა-ბაწრების ჩაკეტვამდე. ვინ იცის გაზაფხულამდე რა მოხდება. ამიტომ, ზემდგომ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით გადაწყდა და დაიგეგმა ბანდის ლიკვიდაცია შემჭიდროებულ ვადებში. ბანდის ლიკვიდაცია მათი სამყოფელი, ბაზის დისტანციური ასაფეთქებელი საშუალებებით უნდა განხორციელდეს. საბრძოლო შეტაკება და ამის შედეგად გამოწვეული არეულობა, თურქეთის სამართალდამცავი ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განოების ფართო გამოძიების საგანი გახდება, რაშიც, შესაძლოა, საბჭოთა მხარესაც დასდებებ ბრალს. ბაზის აფეთქება, ისიც დასახლებული პუნქტებიდან საგრძნობ მანძილზე მოშორებით, ერთჯერადი აქტია, ნაკლებ ხმაურიანია და ბანდაც სრულად ლიკვიდირებული იქნება. საჭირო იყო ხუსეინ ჩაუშოღლის მოტივირება, რომ ბაზაზე საზეიმო სუფრის გაშლა და „დელიბაშებთან“ ერთად მოლხენა გადაეწყვიტათ. ჩეკისტებმა ისიც გაითვალისწინეს, რომ ბანდის უმეტესობა საქართველოს საზღვრისპირა სოფლებიდან ადრე ლტოლვილები არიან, ისინი სპირტიან სასმელებთან და ქეიფზე მწყრალად არ იყვნენ.

შესაბამისი ინსტრუქცია და მითითებები საიდუმლო სამალავის მეშვეობით ჩვენს აგენტებს დაეგზავნათ.

მალე მოვიდა დასტური. ჩვენი აგენტები ითხოვდნენ დისტანციური მართვის ასაფეთქებელი მოწყობილობის გადაცემას და სპირტიანი სასმელებით მომარაგებას. საგულისხმოა, რომ თურქმენეთში სპეციალურ ბაზაზე ორივეს ზედმიწევნით შეასწავლეს ასაფეთქებელ მოწყობილობათა ხმარება, დამონტაჟება და გამოყენება.

სამი დღის შემდეგ საჭირო მოწყობილობა და აღჭურვილობა, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტრადიციული სურსათ-სანოვაგე და სპირტიანი სასმელის მარაგი სამალავში ჩააწყვეს.

ინსტრუქციით, კალაიჯი მემედი და უსტა ოსმანი სამორიგეოდ ერთად რჩებიან ბაზაზე, ამონტაჟებენ ასაფეთებელ მოწყობილობას ისე, რომ ქვაბული სრულად ჩამოინგრეს და ყველა ბანდის წევრი მოიყოლოს, დისტანციური მართვის პულტი კი საზღვრის მიმდებარედ შეიფუთება, რომ აფეთქების შემდეგ გურჯმა აგენტებმა საქართველოს ტერიტორიაზე უვნებლად და შეუმჩნევლად გამოაღწიონ.

კიდევ ერთხელ, საიდუმლო სამალავის მეშვეობით, მიიღეს დასტური სპეცოპერაციის ჩატარების მზადყოფნის შესახებ. დროც სათანადო შეირჩა.

დათქმულ დროს, ბანდიტთა თავშეყრის ქვაბული და მიმდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარე ტერიტორია აფეთქებამ შეაზანზარა. უფრო მძლავრ ჭექა-ქუხილს ჰგავდა, შემდეგ კი ყველაფერი მიწყნარდა და ღამის წყვდიადში გაიცრიცა!..

* * *

მოგვიანებით უსტა ოსმანი და კალაიჯი მემედი თავმომწონედ, გარკვეული სიამაყითაც კი მოყვებიან: – მას შემდეგ, რაც ბაზა ასაფეთქებლად მოვამზადეთ და საზღვრის კვეთის ყველა ასპექტი შევაჯერეთ, მოვითათბირეთ და ხუსეინი მარტოდ მოვიხელთეთ. მოვიგონეთ ჩვენი წინაპრების საქართველოში მადლიანი და უდარდელი ცხოვრება, ქართული ადათ-წესები და ტრადიცები, ქართული პურობა, ქეიფი და საზეიმო დროსტარება და შევთავაზეთ ბიჭებთან – დელიბაშებთან ერთად მამა-პაპური სუფრის გამართვა. ისიც გავითვალისწინეთ, რომ იმჟამად, ფოცხოვის სოფლებში ღვინისა და არაყის ნახვა ან ყიდვა თითქმის შეუძლებელი იყო. ადრეც, სამცხე-აჭარიდან გადმოქონდათ ჩვენს ძველებს. გამოსავალი აქაც ვიპოვეთ, შევთავაზეთ შავშეთის იმერხევში გადასვლა და იქაურ გურჯებთან ღვინისა და არაყის შეძენა. მაშინ, კომპაქტურად დასხლებული გურჯები კიდეც ქართველობდნენ, ხელისუფალთაგან საიდუმლოდ არაყს კიდეც ხდიდნენ და გვარიან ქართულ ღვინოსაც აყენებდნენ. საკლავი და სხვა სანოვაგე ადგილზეც ბლომად მოგვეპოვებოდა. ხუსეინს ჩვენი შეთავაზება მოეწონა, ალბათ მონატრება-ნოსტალგიამაც სძლია: – ჯანიც გავარდეს, ამქვეყნად ერთხელ ვცხოვრობთ, საიქიოს რა გაგვყვებაო, – და დავითანხმეთ საზეიმო ქეიფის გამართვაზე მყუდრო გარემოში, ბაზაზე, გამოქვაბულში, იმამ-მოლებისა და ადგილობრივი ფანატიკოსი, თავგადაკლული მუსლიმანებისგან განკერძოებითა და გარეშე თვალისგან მოფარებით. ხუსეინს „დელიბაშები“ სიამოვნებით დათანხმდნენ. მამა-პაპური ქეიფი და მოლხენა არ გვაწყენდაო.

საკლავიც დაიკლა, მწვადებიც აიგო, „იმერხეული“ ღვინო და არაყიც ბლომად მოვიმარაგეთ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუსეინ ეფენდიმ, ყველა ასე მიმართავდა, უსტა ოსმანის, როგორც ინიციატორს, მიანდო თამადობა!.. მერიქიფეობა კი კალაიჯი მემედმა ითავა. გასაგებია, რომ თამადამ და მერიქიფემ მათზე დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შეასრულეს. ისიც ათამამებდათ, რომ საქართველოდან შემოგზავნილი ღვინო და არაყი, ადრე მოთადარიგებული და საძილე საშუალებებით შეზავებული, თავის საქმეს იზამდა.

მართლაც, შუა ღამე იქნებოდა მიტანებული, რომ მეინახეები დათვრნენ და უკლებლივ საღათას ძილით ჩაეძინათ. მხოლოდ ორნი ფხიზლობდნენ და სასმელსაც, განსხვავებულს, ზომიერად მიირთმევდნენ!..

აგენტებმა ხუსეინი და მისი „დელიბაშები“ კიდევ ერთხელ სათითაოდ შეამოწმეს, ქვაბულის შესასვლელი ერთადერთი კარი საიმედოდ ჩარაზეს და ღამის წყვდიდს შერთვნენ...

გამაყრუებელმა აფეთქებამ, რამდენიმე საათის შემდეგ, იქაურობა შეაზანზარა!..

სამცხელმა გურჯმა შურისმაძიებლებმა უფალს ხმამაღლა შეჰღაღადეს: სისხლი – სისხლის წილ, სიცოცხლე – სიცოცხლის წილ!..

* * *

გასაგებია, რომ თურქეთის საზღვრისპირა რეგიონში მოქმედი, თურქეთის სპეცსამსახურების მიერ კონტროლირებადი და დაგეზილი დივერსიულ-ტერიტორისტული დაჯგუფების მაღალკვალიფიციურ, მაღალორგანიზებულ დონეზე, კვალის დაუტოვებლად, მთელი შემადგენლობით, გაუვნებელყოფა-ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაცია თურქეთის და მისი მოკავშირე ქვეყნების სპეცსამსახურებისთვის მყისიერად ცნობილი გახდა, მაგრამ რასაც ვერ დაამტკიცებდნენ, ვის დაბრალებდნენ!..

ქართული სპეცსამსახურების მაღალჩინოსნები კი კმაყოფილები, ხელაწეულები, წელში გამართულები, ნიშნისმოგებით იტყოდნენ, ალბათ: – „სადაც შენი დაიკვეხნო, იქ ჩემიცა თქვიო“!...

* * *

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობამ, ამჯერად, დათქმული პირობა შეასრულა: კალაიჯი მემედისა და უსტა ოსმანის სანათესავო, სულ ხუთი ოჯახი, სპეცგანკარგულებით გადმოასახლა საქართველოში, გურიის რეგიონში, ერთ-ერთ სოფელში განათავსა. მათაც, თავის მხვრივ, პირობა შეასრულეს – მამა-პაპური გვარები დაიბრუნეს, ჭეშმარიტად ეზიარნენ ქართულ ენასა და ეროვნული ცხოვრების წესს!..

მათი შთამომავლობა, დღესაც, ქართულ საზოგადოებაში სრულად ინტეგრირებულნი და შესისხლხორცებულნი, კეთილად აგრძელებენ ერისა და სამშობლოს სამსახურს!

ჭეშმარიტად, – „საქართველოვ შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!..“

ბათუმი
2023 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

წინათქმა---------- 3

კარი პირველი
დიდებული მესხეთის ნანგრევებზე!..

თავი I ---------- 6
თავი II ---------- 9
თავი III ----------18
თავი IV ----------23
თავი V ----------35
თავი VI ----------39
თავი VII გადასახადები და საგადასახადო
სისტემა ოსმალეთის იმპერიაში ----------44
თავი VIII ----------50
თავი IX ისლამის გავრცელა სამხრეთ-
დასავლეთ საქართველოში----------55
თავი X მუჰაჯირობა სამცხე-ჯავახეთიდან... ----------58
თავი XI ზოგი რამ ე. წ. „თურქი მესხების“
ცნებისა და ვინაობის შესახებ ----------65
თავი XII ----------72
თავი XIII ----------81
თავი XIV----------88
თავი XV----------93

კარი მეორე
ბოროტება დაუსჯელი არ რჩება!

თავი I ---------- 118
თავი II ---------- 123
თავი III ---------- 126
თავი IV ---------- 133
თავი V ---------- 142
თავი VI ---------- 147
თავი VII ---------- 152
თავი VIII ---------- 154
თავი IX ---------- 156
თავი X ---------- 161
თავი XI ---------- 164
თავი XII ---------- 166
თავი XIII ---------- 170
თავი XIV---------- 184
თავი XV---------- 190
თავი XVI---------- 193
თავი XVII---------- 196
თავი XVIII---------- 199

გამომცემლობა „ივერიონი“.
მისამართი: თბილისი. მარჯანიშვილის 18. I სართ.

E-mail: info@iverioni.com.ge